N24 (523) 17/VI-23/VI-2010 ფასი 1 ლარი

გზა

ქართული პროზის საგანძური

ტომი №16
გოდერძი ჩოხელი

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი
ლევან გოთუა

„ვარსკვლავური სენით დაავადებულთა“ იმიჯმეიკერის გულახდილი ინტერვიუ

„თინასთან მუშაობა ძალზე რთულია“

ვინ იზრუნებს სკანდალური იმიჯის მქონე გოგონებზე

ავანტიურისტი შალვა რამიშვილი ახალ ამპლუაში

რატომ აპირებდა ედუარდ შევარდნაძე შოუმენის მოკვლას

მეარღნე, რომელიც მუსიკამ სიკვდილისგან იხსნა

ვის გართობაზე ზრუნავს მჭავანაძის „ნათლული“

ვის ემუქრება მსახიობი

პაატა გულიაშვილი და ნინო არაზაშვილი პოლიციაში „ჩაუშვეს“

რატომ მფარველობს ქართველ გოგონას პალერმოს ყოფილი მერი

ISSN 1987 - 5029

საშობლოს მოწყვეტილი მწერლის ტრაგედია

„ქართული პროზის საგანძური“

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!



ლევან გოთუა



აკა მორჩილაძე



ვასილ გარნოვი



ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან" ერთად
შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

ქართული კლასიკისა და თანამედროვე პროზის რჩეული ნიმუშები

ტომი №16 - გოდერძი ჩოხელი

წიგნის ფასი **3!**

ეს ფასი ძალაშია მხოლოდ 17 - დან - 24 ივნისამდე!

№1 გურამ დოჩანაშვილი
№2 მიხეილ ჯავახიშვილი
№3 ნოდარ დუმბაძე
№4 ილია ჭავჭავაძე
№5 გურამ რჩეულიშვილი
№6 ვაჟა-ფშაველა
№7 რეზო ჭეიშვილი
№8 აკაკი წერეთელი
№9 გურამ გეგეშიძე
№10 დავით კლდიაშვილი
№11 ოტია იოსელიანი
№12 გრიგოლ აბაშიძე (წიგნი-I)
№13 გრიგოლ აბაშიძე (წიგნი-II)
№14 არჩილ სულაკაური
№15 ნიკო ლორთქიფანიძე

მხოლოდ 10 დღე!
გამოიწერეთ ჟურნალი „გზა“ და შეიძინეთ უკვე გამოსული თითოეული ტომი მხოლოდ 3 ლარად!
(მაღაზიებში 6 ლარი ღირს)

„ ელვა.ჯი “
ტელ: 38 26 73;
38 26 74

AIRZENA HOLIDAY
აირზენა ჰოლიდეი

ანტალია • ბელექი • ქემერი • სიდე • ალანია

ტურისტული კომპანია **„აირზენა ჰოლიდეი“**
გთავაზობთ საოცნებო
დასვენებას თურქეთის საუკეთესო სანაპიროებზე!

ფასში გათვალისწინებულია - ავიაბილეთი, სასტუმრო,
ტრანსფერი, დაზღვევა.

დ ა გ ვ ი კ ა ვ შ ი რ დ ი თ

აირზენა ჰოლიდეი
ტურისტული კომპანია

დ. აღმაშენებლის გამზ. № 127 | თბილისი 0164 | საქართველო
ტ +995 32 505 005 | ფ +995 32 915 506
www.airzena-holiday.com | info@airzena-holiday.com

როდენი – წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!

მისი დროული მიღება თავიდან აგაცილებთ წონაში მატებასაც

- ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი ჰროდუქტი
- ხელს უშლის ნახშირწყლების სხლმეებში გადასვლას
- ხელს უწყობს სხლმეების ბოლომდე დაწვას
- აკვეთებს მადას ენერგიის მომატების ფონზე
- ნორმამდე დაჰყავს სიმსუქნის ჰორმონი ლეპტინი და ქოლესტერინი
- ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე და შლეტები
- ანესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას

მოგვაკითხეთ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. №28 ან მიმართეთ „ნეოფარმის“ და „ჯი პი სის“ საფთიაქო ქსელს, როგორც თბილისში, ასევე ქუთაისსა და ბათუმში. დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე 99 00 14; 895308405; 893 668318; 899 21 02 32

e-mail - promoita@mail.ru
nikosaniltd@mail.ge

მილების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

სიახლე დამწყებ ფეხბურთელებისათვის!

თქვენ ხართ ის ბავშვი ვისაც ფეხბურთი უყვარს?

მაშინ ეს წიგნი დაგეხმარებათ იოვრჯიშოთ ისე, როგორც მსოფლიოს ცნობილი ფეხბურთელები ბავშვობაში

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში

საუკეთესო საჩუქარი დიასახლისებს!

320 თანამედროვე ჯერეი !

10 ივნისიდან

იყიდეთ წიგნის მაღაზიებში

ფასი: 29.99

წიგნები სახლში მიტანით „ელვა.ჯი“ 38 26 73; 38 26 74

№24 (523)
17 - 23 ივნისი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
საზიზღრები და საძაგლები
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ საზრდო 7
სამშობლოს სიყვარულისთვის სამშობლოს მოწყვეტილი მწერლის ტრაგედია
■ სახელმწიფო 8
■ მასმედია 10
„ცენტრი“ — ახალი ტოქშოუ „პალიტრის“ ეთერში
■ საოკუპაციო ზონა 12
სიცოცხლესა და შიმშილს შორის გაკეთებული არჩევანი
■ პერსონა 14
■ იმიჯი 18
პროფესია, რომელიც „ფულიან ხალხს“ სჭირდება
■ კარიერა 20
ინჟინერ-ეკონომისტი, რომელშიც ესტრადის მომღერალმა ტენორი აღმოაჩინა
■ ტანდემი 22
რატომ უჩივლეს პაატა გულიაშვილსა და ნინო არაზაშვილს
■ შემოქმედი 24
დავით გიორგობიანი „მონანიებიდან“ — „ქრისტეს მიმდევრებამდე“
■ ვარსკვლავები 26
■ ემიგრანტი 28
■ სულის სიმტკიცე 31
„ერთად გადავარჩინოთ სიცილის დედოფალი“
■ მადლი 32
„ვიმეგობროთ უსინათლოსთან“ — უსინათლოების პრობლემები და ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი თანამედროვე ლიტერატურა
■ მინირომანი 34
სინანული
■ დედათბილისი 36
ახალი ხიდი და გზა, რომელიც „თავის სათქმელს იტყვის“

ქვეყანა

„ცენტრი“ — ახალი ტოქშოუ „პალიტრის“ ეთერში

„მოგეხსენება, რადიოს კარგად ვიცნობ. როცა არსებობს ისეთი სარედაქციო დამოუკიდებლობა, როგორიც „პალიტრას“ აქვს და მაქვს იდეები, რატომ არ უნდა გამეკეთებინა მსგავსი პროექტი?!. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, რადიოში რომ მივედი, ზოგადი იდეა მაშინ გამიჩნდა...“

7

სახე

„მონანიებიდან“ — „ქრისტეს მიმდევრებამდე“

„საზოგადოებაში ბევრი სიცრუე და სიმართლის „მტრობაა“, რამაც ჩემში პროტესტი გამოიწვია... რამდენიმე წელი ეკლესია-მონასტრებში ვიარე და მართლმადიდებლური ცოდნა დავაგროვე“.

18

ცხოვრება

ერთად გადავარჩინოთ „სიცილის დედოფალი“

„მზია სამშობლოზე შეყვარებული ადამიანია. ამბობდა: ისეთი რა უნდა გამიჭირდეს, რომ საქართველოდან წავიდეო. მაქსიმუმ, ერთი კვირა რჩებოდა საზღვარგარეთ. მგონი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ნოსტალგიამაც უარყოფითად იმოქმედა“.

28

ფიქრები

გამოუყენებელი შვებულება, მაგარი მძღოლი და სევდიანი ამბავი

„20 წელია, გათხოვილი ვარ, მეუღლეც მყავს, მაგრამ ნამდვილი სიყვარული არ ვიცი, რა არის. საერთოდ, სიყვარულზე წარმოდგენა არა მაქვს. ამდენი წლის თანაცხოვრების შემდეგ, მეუღლეს უბრალოდ შევეჩვიე. ვერ შევიყვარე იმიტომ, რომ მომიტაცა“...

76

■ ავტო 39
■ ქართული სპორტის ლეგენდები 40
როდის ასრულდება იმედი
■ ტაძარი 43
არაბების ნეგატიური გავლენა
ანტიოქიის ეკლესიაზე
■ დიზაინერი 44
■ ანტიდეპრესანტი 46
■ ეს სამყაროა 46
■ საკითხავი ქალებისათვის 48
■ ჯანმრთელობა 50
■ ჩემი ცხოვრების გზა 52
რამ აიძულა „რეროს“ ბოლო თაობის
წარმომადგენელი, რომ შინაგან ჯარებში ემუშავა
■ პროფესია 54
მჟავანაძის „ნათლული“ ელიტურ
სტუმრებს ართობს
■ გამოფენა 56
■ თინეიჯერული პონტები 57
სკოლის დირექტორის მიერ მოწყობილი
ოინი და იღბლიანი „იურისტი“
■ წვეთი პოეზია 60
■ ავტოპორტრეტი 61
ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და
მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)
■ ფანტასტიკური დეტექტივი 65
რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ
მიცვალებულთან (გაგრძელება)
■ რომანი 69
სვეტა კვარაცხელია. ძლიერი სუსტი
ქალი (გაგრძელება)
■ რეალური 73
ULTRIX (გაგრძელება)
■ გზავნილები 76
გამოყენებული შვებულება, მაგარი
მძღოლი და სევდიანი ამბავი
■ ყველა ერთისათვის 80
■ მობილი-ზაცია
■ მოზაიკა 86
■ შეუცნობელი 87
■ მუნდიალი 89
■ ერუდიტი 92
„თუ თავად ქალმა არ ამოგირჩია, ყირაზედაც
რომ გადახვიდე, მასთან არაფერი გამოგივა“
■ გასართობი 94
■ ასტროლოგია 96
■ სკანვორდი 97
■ საფირმო კროსვორდი 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,
რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



ახალი ხიდი და გზა, რომელიც „თავის სათქმელს იტყვის“

„გმირთა მოედნის დაპროექტება და მშენებლობა 1965-78 წლებში მიმდინარეობდა. მაშინ მოედნის რადიუსი მხოლოდ 20 მეტრი იყო...“

36

ადამიანი

მჟავანაძის „ნათლული“ ელიტურ სტუმრებს ართობს

„135 წლის არის, ბიძაჩემს ოდესიდან აქვს ჩამოტანილი... თბილისში ერთადერთი ოჯახი შემორჩა, რომლის წევრებიც არღანს აკეთებენ — აკოფა ქიტესოვი უკვე 90 წლის არის და ასაკის მიუხედავად, ინსტრუმენტზე მაინც მუშაობს“.

52

ბიბლუსი

— ივანე ვახტანგის ძე ჩუმიაშვილი ხარ ხომ? — ჰკითხა ერთ-ერთმა დამფრთხალ მასპინძელს.

— დიახ... — ტანში უსიამოვნოდ გააჟრჟოლა ვანიკოს. — რაშია საქმე?..

— მოკეტე! — გააწყვეტინა მეორემ და თვალით საავარძელზე ანიშნა. — დაეგდე და ყველაფერი დაწვრილებით მოგვიყევი!

60

ტაიმ-აუტი

„თუ თავად ქალმა არ ამოგირჩია, ყირაზედაც რომ გადახვიდე, მასთან არაფერი გამოგივა“

„წელს ალბათ დასასვენებლად წასვლას ვერ მოვახერხებ... ამიტომ ვეცდები, დილაობით კუს ტბაზე ვიარო. საერთოდ, ზღვაზე დიდხანს ვერ ვჩერდები. მთაში ყოფნით კი არასდროს ვიღლები. პანტიანთან ახლოს, წვერში აგარაკი მაქვს, სადაც მდინარეც არის, დასვენებისთვის საუკეთესო ადგილია. იქ ყოფნაც მიყვარს“.

86

საზიზღრები და საძაგლები

შესავლის ნაცვლად ამ გაგანია მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ფეხბურთის მაგივრად პოლიტიკით რომ დაიწყებ კაცი მკითხველთან საუბარს, ეს არის საქმე?! არადა, რა გინდა, რომ ქნა: ფეხბურთი ფეხბურთად არ ვარგა (ოღონდ ჯერ ბრაზილია და ესპანეთი არ მინახავს, ახლა სამშაბათი საღამოა) და პოლიტიკას რაც შეეხება — კი დაგპირდით, ჩემპიონატის დამთავრებამდე მხოლოდ ფეხბურთსა და „კაი-კაი რამეებზე“ ვილაპარაკოთ-მეთქი, მაგრამ პირადად როცა შეგეხებიან, თანაც, ძალიან მაღალი ტრიბუნიდან, მტკივნეული და ძნელი მოსათმენია... რას ვგულისხმობ და, მიშა როა, პრეზიდენტი, — ქართველი ჟურნალისტები „აგრესიულები და საძაგლები“ არიანო!!!

ტრიბუნის სიმაღლეს რაც შეეხება: ვენეციის კომისიის 20 წლის იუბილეზე ბრძანა ეს საქართველოს პრეზიდენტმა და დარწმუნებული ვარ, ეგონა, რომ კარგ რამეს ამბობდა!..

ერთ რამეს თავშივე აღვნიშნავ: დიდი მოინგლისურე არ გახლავართ, მაგრამ ვინც არის, იმ ხალხმა მითხრა, რომ სიტყვა — nasty, რომელიც პრეზიდენტმა ჟურნალისტების მიმართ გამოიყენა, ნიშნავს არა „უბრალოდ საძაგელს“, არამედ გაცილებით უარესს, ამ სიტყვის სლენგურ მნიშვნელობას თუ გავითვალისწინებთ და ქალაქურად ვიტყვით, — ქართველი ჟურნალისტები დიდი ჩათლახი ხალხიაო! აი, ასე ბრძანა მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილმა!!!

ბატონო პრეზიდენტო, სანამ „ღრმა ანალიზს“ შევუდგებოდე, ამთავითვე უნდა გითხრათ: — ჩემსა და თქვენს „პადელნიკებს“ შორის, ჩათლახის „ასე“, და მერე „ისე“ ანუ „ასე და ისე“!!!

ახლა, როგორც ის კრეტინი რუსი ოფიცერი იტყოდა, ილიას „მგზავრის წერილებიდან“: „თქვენ ჩაი დაასხით და მერე მოვყვეთ სამეცნიერო ლაპარაკსა“...

დაასხით, ხომ?.. ყურადღება მიაქციეთ, ერთი კაცი ვიცი, სხვის ჩაის სვამს ხოლმე.

მოკლედ, მე ვფიქრობ, მსჯელობამ შემდეგ კითხვებზე უნდა გაგვცეს პასუხები: 1) თქვა თუ არა ის, რაც თქვა? 2) რატომ თქვა ის, რაც თქვა? 3) ნანობს თუ არა იმას, რაც თქვა? 4) ვინმეს მოეწონა თუ არა ის, რაც თქვა?

პირველ კითხვაზე პასუხი, ალბათ, ყველაზე მარტივად გეჩვენებათ: ქვეყანამ უსმინა და, — რას ჰქვია, არ თქვა, აბა, ხომ არ მოგვესმაო?! მით უმეტეს, რომ ამის შემოწმება უადვილესია — ყველგან ნახავთ ჩანაწერს: „იუთუბი“ და „მაივიდეოჯი“ და „ლაივსკორი“ და... ა, ჰო, „ლაივსკორი“ ფეხბურთის ფსონების ამბავშია... მოკლედ, უეჭველად თქვა და ჩავთვალოთ, რომ პირველ კითხვაზე დადებითი პასუხი გვაქვს...

მეორე კითხვა — „რატომ თქვა?“ ოოო, აქ პასუხის სამი ძირითადი ვარიანტია, მე ჩემს აზრს არავის ვახვევ თავს და შეგიძლიათ აირჩიოთ: იმიტომ, რომ ასე ჰგონია; იმიტომ, რომ ურჩიეს, ასე თქვიო; იმიტომ, რომ ფეხებს ვერავინ მოსჭამს (აბა, თუ მიხვდებით, მე რომელ ვარიანტს ვფიქრობ?)

მესამე კითხვა — ნანობს თუ არა?! აეეე

ავღანეთში სასარგებლო წიაღისეული აღმოაჩინეს

ავღანეთში აღმოჩენილი სასარგებლო წიაღისეულის საბადოები ამერიკელმა სპეციალისტებმა, დაახლოებით, 1 ტრლნ დოლარად შეაფასეს. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იტყობინება, ნაპოვნია ოქროს, სპილენძის, კობალტისა და ლითიუმის საბადოები, რომლებიც ლეპტოპებისა და პორტატული მოწყობილობების ელემენტის წარმოებაში გამოიყენება. საბადოები იმდენად მდიდარია, რომ შესაძლოა, ავღანეთი მალე ნედლეულის ექსპორტის მხრივ მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდეს. პენტაგონში მომზადებულ სამუშაო ჩანაწერებში აღნიშნულია, რომ ავღანეთი შეიძლება, „ლითიუმის საუდის არაბეთად“ მოგვევლინოს. საბადოები ამერიკელ გეოლოგთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომელმაც ქვეყნის ტერიტორიაზე, პენტაგონის წარმომადგენლის ხელმძღვანელობით, 2006 წელს დაიწყო კვლევები. ■

66 წლის ინდოელმა ქალმა სამი ბავშვი გააჩინა

ინდოელი ბხატერი დევი, რომელიც 66 წლის ასაკში პირველად დაორსულდა, სამი შვილის დედა გახდა. ასაკოვანი ქალბატონი ხელოვნური განაყოფიერების გზით დაორსულდა, მაგრამ ბხატერსა და მის მეუღლეს, სინგხის აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ტყუპი, თან — 3 ვაჟი გაუჩნდებოდათ. დღენაკლული ახალშობილები საკეისრო კვეთით მოევლინნენ ქვეყანას, ამიტომ რეანიმაციაში მოათავსეს. აღფრთოვანებას ვერ ფარავს მამა, რომელმაც თავის დროზე, უშვილობის გამო, 3 ცოლი გამოიცვალა. ■

ჰონკონგში ინტერნეტსასაფლაო გაიხსნა

ჰონკონგის ხელისუფლებამ ინტერნეტში ვირტუალური სასაფლაო გახსნა. ჩინური ტრადიციის მიხედვით, ახლობლებმა წელიწადში, სულ ცოტა, ორჯერ მაინც უნდა გაიხსენონ გარდაცვლილი. პრობლემა კი ის გახლავთ, რომ ჰონკონგში დაკრძალულთა ჭირისუფლები ჩინეთის სხვადასხვა კუთხეში ან საზღვარგარეთ ცხოვრობენ და გარდაცვლილი ახლობლების საფლავების მონახულებას წელიწადში ერთხელაც ვერ ახერხებენ. ამიერიდან მათ საშუალება ექნებათ, უფასოდ შექმნან ვებგვერდი, რომელსაც გარდაცვლილ ახლობელს მიუძღვნიან. ვებგვერდზე განთავსდება ინფორმაცია გარდაცვლილის შესახებ, ფოტოებსა და ვიდეოჩანაწერებთან ერთად. ინტერნეტსასაფლაოს სტუმრები გარდაცვლილისთვის პატივის მიგებას ვირტუალური ყვავილებით, სანთლებით, ხილითა და სხვა, მათთვის ტრადიციული საშუალებებით მოახერხებენ. ■

ლატვიელებმა პატარძლების აღლუმი გამართეს

საპატარძლო კაბაში გამოწყობილმა 150-მდე გოგონამ ლატვიის საკურორტო ქალაქ იურმალაში გამართულ პატარძლების აღლუმში მიიღო მონაწილეობა. როგორც ადგილობრივი გაზეთი „ტელეგრაფი“ იტყობინება, „პატარძლებთან“ ერთად, მსვლელობაში ჰუსართა მუნდირში გამოწყობილი ვაჟებიც მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია, რომ ღონისძიებაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმ გოგონებს მისცეს, რომლებიც სულ ახლახან დაქორწინდნენ ან უახლოეს მომავალში აპირებენ ოჯახის შექმნას. ■

პუტინის ახალი პროფილი

„ლიდერი, რომელიც ამერიკას თავს ესხმოდა და სტალინს ეთაყვანებოდა, დღეს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში „დათბობის“ ტენდენციას უჭერს მხარს, — წერს „ნიუზუიკი“. 3 წლის წინ პუტინმა, სტალინის განდიდების მიზნით, რუსეთის ისტორიის სახელმძღვანელოების თავიდან დაწერა ბრძანა და საბჭოთა დიქტატორის რეაბილიტაციის პერსპექტივით მსოფლიო შეაშფოთა, ახლა კი ამერიკასა და ევროპასთან საქმიან შეთანხმებებზე, სავაჭრო ზონებზე საუბრობს. წელს პუტინის ყველაზე დიდი პროექტი — ევროკავშირთან პარტნიორობის შესახებ ყველა სფეროს მომცველი, ახალი შეთანხმების გაფორმებაა. საგარეო პოლიტიკის ახალი დოქტრინა, რომელზეც კრემლი ამჟამად მუშაობს, ისეთი მსოფლიოს შექმნას ითვალისწინებს, რომელშიც რუსეთი და სხვა ზესახელმწიფოები ერთმანეთთან ითანამშრომლებენ და სადაც ევროკავშირი და აშშ ქვეყნის ყველაზე სასურველ პარტნიორებად განიხილებიან“, — ირწმუნება გამოცემის ჟურნალისტი. მოსკოვის დემოგრაფიის, მიგრაციისა და რეგიონული განვითარების ინსტიტუტის დირექტორის, იური კრუპნოვის აზრით, ევროპელი და ამერიკელი საზოგადოება არასწორად აფასებენ პუტინს. მისი თქმით, შერბილებული ტონი იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთის პრემიერი უარს იტყვის თავის მთავარ მიზანზე — საბჭოთა კავშირის აღდგენაზე. „მხოლოდ ის შეიცვალა, რომ ათწლეულის მანძილზე პირველად, მსოფლიო, პუტინის გზით წავიდა და ახლა ის თავს უბრალოდ განტვირთვის საშუალება აძლევს“, — ამბობს კრუპნოვი. ■

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა **ხათუნა ბახტურიძემ**

ქვეყანა

სამშობლოს სიყვარულისთვის
სამშობლოს მოწყვეტილი მწერლის ტრაგედია

„ამდენი განსაცდელი გამოიარა და მაინც დიდ ბავშვად დარჩაო“

„სად არ მათრიეს, სად არ გადამაგდეს, სად არ მაწვალეს. ყველაფერს რომ ჩავყევი და გავიხსენე, თვითონ განვცვიფრდი, ნუთუ ყოველი მე მხვდა წილად... ჩემს თავზე მძიმე ზღაპარმა გადაიარა. ერთი ადამიანისთვის ეს ბევრზე ბევრია გადასატანად და დაუჯერებელიც!..“ — წერდა ლევან გოთუა — მწერალი, საზოგადო მოღვაწე, მთამსვლელი... მომავალ ხუთშაბათს ჟურნალ „გზასთან“ ერთად მკითხველი „ქართული პროზის საგანძურის“ მე-17 ტომად სწორედ ამ საინტერესო მწერლისა და ადამიანის ნაწარმოებებს მიიღებს.

ირმა ხარშილაძე

ლევან გოთუამ 66 წელი იცოცხლა და აქედან 22 — გადასახლებაში გაატარა. 1920-ინი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. უფროს ძმასთან, არჩილთან ერთად, 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობდა და პირველად სწორედ ამიტომ გადაასახლეს. იმხანად 18 წლის იყო. მას შემდეგ კიდევ ორჯერ აღმოჩნდა გადასახლებაში. დახვრეტაც კი ჰქონდა მისჯილი. ერთხელ მისი მამა — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, გაზეთ „ვოზროჟდენიეს“ მთავარი რედაქტორი პართენ გოთუა, რომელიც ასევე დაკავებული ჰყავდათ, დასახვრეტად გაუყვანიათ, მაგრამ ბოლო მომენტში, გვარი რომ ამოუკითხავთ, მიმხვდარან, რომ მისი კი არა, ახალგაზრდა გოთუას დახვრეტა სურდათ, ამ გაუგებრობას კი შვილიც გადაურჩენია... 200-მდე საოცარი წერილი გამოუგზავნია გადასახლებიდან ოჯახისთვის. „ვერ გამიგია, სამშობლო იმიტომ მიყვარს, რომ ასე შორსა ვარ, თუ იმიტომ ვარ ასე შორს, რომ ასე ძალიან მიყვარს სამშობლოო“, — წერდა.



გადასახლებიდან დაბრუნებულს, კარგა ხანს არ აძლევდნენ საქართველოში ცხოვრების უფლებას. მხოლოდ 1960 წლის 25 აპრილს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველმა ა. გიგაურმა გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“ პროტესტით მიმართა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის უმაღლეს სასამართლოს და, დანაშაულის დაუმტკიცებლობის გამო, ლევან გოთუას რეაბილიტაცია მოითხოვა. პროტესტი დაკმაყოფილდა და რეაბილიტირებული მწერალი საქართველოში დაბრუნდა. 55 წლის ლევან გოთუა დაოჯახებულა და არმაზში დასახლებულა.

*მწერლის ქალიშვილი — **ლელა გოთუა** ძალიან პატარა — სულ 6 წლის ყოფილა, როცა მამა გარდაეცვალა...*

— ლელა, სულ არ გახსოვთ მამა?

— როგორ არ მახსოვს?! ძალიან თბილი და მოსიყვარულე ადამიანი იყო. თითქოს ბავშვურიც. მახსოვს, კალთაში ჩამისვამდა ხოლმე და მასთან ერთად ვხატავდი. ნებისმიერი ჩემი ბავშვური „აღმოჩენა“, გაოცება, მიგნება, ბავშვურად აღაფრთოვანებდა ხოლმე. ყველას უკვირდა: ამდენი გაჭირვება, განსაცდელი, ტკივილი გამოიარა და მაინც დიდ ბავშვად დარჩაო. დედაჩემს — ციცო ალხაზიშვილს აქვს მოყოლილი: თავის ოთახში მუშაობდა და ერთხელ შევუსწარი, იცრემლებოდაო. დედა გაოცებულა: რა გატირებსო? — მამუკა კახნიაური (მამა ერთ-ერთი ნაწარმოების გმირს გულისხმობდა) ორმოში ჩავარდა და ვეღარ ამომყავსო (*იცინის*)... დედა ყველგან დაჰყავდა თურმე. ალბათ — მეც, მაგრამ ის საღამოები და იუბილეები საერთოდ არ მახსოვს, სამაგიეროდ, კარგად მახსოვს, კახეთში გამართული ერთ-ერთი საღამოდან ნაჩუქარი თეთრი ვირით რომ დაბრუნდნენ არმაზში (იქ აგარაკზე



ვცხოვრობდით) და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა (*იცინის*)... ერთხელ კიდევ, იხვების გადაფრენის დროს, სტუმრები გვყავდნენ. ისე დაბლა მოფრინავდნენ იხვები, იოსებ ნონეშვილმა ქვა ესროლა და ერთი ჩამოაგდო. ძაღლმა ამოიყვანა წყლიდან და მახსოვს, აღარავის გავატანე ის იხვი: სათუთად მოვუარე და ამის შემყურე მამა ძალიან ბედნიერი იყო: ბუნების, ფრინველებისა და ცხოველების დამცველი შვილი მეზრდებაო... ისიც კარგად მახსოვს, დედამ „ტომ სოიერი“ რომ წამიკითხა და ისე მომეწონა განძის პოვნის ამბავი, გადავწყვიტე, ბედი მეც მეცადა. სახლის გარშემო თხრა დავიწყე და მამა სიცილით კვდებოდა: ამან ასე თუ განაგრძო, საძირკველს გამოუთხრის სახლსო (*იცინის*)... დილაობით მე ვაღვიძებდი: ოთახში შევაკითხავდი და ცხვირს ჩამოვქაჩავდი ხოლმე. მამა იძულებული ხდებოდა, მალე გამოფხიზლებულიყო და სასწრაფოდ ზღაპარი მოეყოლა — სხვაგვარად ვერ დამეხსნებოდა... ჭადრაკის თამაშსაც მასწავლიდა და უბედნიერესი ვიყავი, რომ „ვუგებდი“. თვითონაც აღფრთოვანებული იყო: ხედავთ, რა ჭკვიანურ სვლებს აკეთებსო! ცურვასაც მასწავლიდა მტკვარზე. ჩვენთან სტუმარი არ ილეოდა და მუდამ 20-კაციანი სუფრა იყო გაშლილი. სამწუხაროდ, ასაკის გამო არ მახსოვს, რა თემაზე საუბრობდნენ ხოლმე მამა და სტუმრები, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, ბევრ საინტერესო თემას შეეხებოდნენ. მახსოვს, ერთხელ სტუმარმა გამომცდელად მკითხა (ამ დროს მამის კალთაში ვიჯექი და ვხატავდი), — „ვეფხისტყაოსანი“ ვინ დაწერაო? თავაუღებლად ვუპასუხე, — მამამ-მეთქი. — აბა, შოთა რუსთაველმა რაღა დაწერაო? — ჩამეკითხა და მივხვდი, ის არ ვთქვი, რაც უნდა მეთქვა. გაბრაზებით თავი ავწიე და ვუპასუხე: იცით, რა? მამამ და შოთა რუსთაველმა ერთად დაწერეს-მეთქი (*იცინის*).

— დედასა და მამას ერთმანეთი სად გაუცნიათ?

— დედა მწერალთა პოლიკლინიკაში მუშაობდა თურმე და მწერლებს ძალიან უყვარდათ. თუ არ ვცდები, კიტა ბუაჩიძეს უთქვამს: ციცუნია, მე უნდა გაგათხოვო და ისიც ვიცი, ვის გაგაყოლებო; მამას გულისხმობდა თურმე. არადა, იმხანად დედა ახალგაზრდა იყო — მამაზე 22 წლით უმცროსი. მაგრამ მამის შეყვარებაში ასაკს ხელი არ შეუშლია: როგორც ჩანს, ძალიან მოიხიბლა ლევანით. მახსოვს, მამა რომ გარდაიცვალა და მიმიყვანეს, დედა ძალიან ტიროდა, მე კი დავამშვიდე: დედა, ნუ ნერვიულობ, ახალი მამა გვეყოლება და თანაც, ამაზე კარგი-მეთქი. გაგიჟებულა დედაჩემი: რას ამბობს ეს ბავშვი, აქედან წაიყვანეთო (*იცინის*)!..

— მამის გარდაცვალების შემდეგ აღარ გათხოვილა?

— არა. იცით, მამა ის ადამიანი იყო, ვისთვისაც აუცილებლად ბოლომდე უნდა გეერთგულა. არ მავიწყდება — მამას ინსულტი რომ დაემართა და მძიმედ ავად შეიქნა, მეორე დღესვე გამაცალეს იქაურობას. უკეთესობა რომ არ ეტყობოდა, ვერც ლაპარაკობდა და ვერც მოძრაობდა, ექიმებმა დედას ურჩიეს, გოგონა მოუყვანეთ, ეგებ ფსიქოლოგიურად ამან უშველოს და უფრო კონტაქტური გახდესო... რომ მიმიყვანეს, უეცრად ხელი გადამხვია, ჩამიხუტა და ტირილი დაიწყო. რადგან განერვიულდა, ექიმებიც შეშინდნენ, — უარესად არ გახდეს, ბავშვი გაიყვანეთო. გამოვყავდი და გასაოცარი რამ მოხდა: კაცს ამდენი ხნის განმავლობაში ხმა არ ამოეღო, არ განძრეულა, ჩემი გასვლისას კი უცებ წამოჯდა და დამიძახა. ყველანი შოკში ჩაცვივდნენ... მამას მაინც ვერ ვუშველეთ და ძალიან მალე გარდაიცვალა.

— თქვენ გაქვთ ოჯახი?

— 2 შვილი მყავს: 22 წლის ვაჟი და 17 წლის გოგონა. ბაბუას ნაწარმოებებს ყოველთვის ინტერესით კითხულობენ და მისი ამბებიც ძალიან აინტერესებთ. სამწუხაროდ, წერის ნიჭი არც მე გამომყვა და არც მათ.

— მამას ჰგავხართ?

— ბუნებითაც მამას ვგავარ და გარეგნობითაც, განსაკუთრებით კი — მამის დედას... ძალიან მწყდება გული, რომ მამას და მე ერთად ყოფნა არ დაგვცალდა: ჩემთვისაც მნიშვნელოვანი იქნებოდა და მისთვისაც, მით უმეტეს — ნანატრი შვილი ვყავდი და ჩემით ძალიან ამაყობდა. ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ჩემი შვილებითაც ეამაყა. ■

„საქართველოს ეყოლება ახალი პრეზიდენტი და წარმომადგენლობითი მთავრობა, რომელსაც ქართველი ხალხი გააკონტროლებს“, — ეს განცხადება პრეზიდენტმა მას შემდეგ გააკეთა, რაც ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საკონსტიტუციო რეფორმის დაწყება, სააკაშვილის მხრიდან ხელისუფლებაში დარჩენის მცდელობად შეაფასეს. როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო რეფორმაზე მომუშავე სახელმწიფო კომისიამ უკვე მიიღო პროექტი, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილების ხარჯზე პარლამენტისა და პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების გაზრდას ითვალისწინებს.

ნათუნა ბახტურიძე

კომისიამ სულ 3 პროექტი განიხილა, ხოლო კენჭისყრისას, მისი 41 წევრიდან, ყველაზე მეტმა — 31-მა თავმჯდომარის, ავთანდილ დემეტრაშვილისა და მდივნის, თენგიზ შარმანაშვილის მიერ მომზადებულ ვარიანტს მისცა ხმა. ამ პროექტს მხარი დაუჭირეს კომისიის წევრებმა საპარლამენტო უმცირესობიდანაც. არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა კომისიის მუშაობას თავიდანვე ბოიკოტი გამოუცხადეს. კომისიის სხდომაზე ვერ გავიდა „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელის, ლევან რამიშვილის პროექტი და კომისიის სხვა 2 წევრის მიერ მომზადებული პროექტი, რომელიც აშშ-ის საკონსტიტუციო მოდელს ეყრდნობოდა.

ავთანდილ დემეტრაშვილის თქმით, აგვისტომდე პროექტში გარკვეული ცვლილებები კიდევ შევა. პოლიტტექნოლოგიებისა და კვლევის ცენტრის დირექტორი, კახა კახიშვილი მიიჩნევს, რომ დემეტრაშვილისა და შარმანაშვილის პროექტი ყველაზე მეტად, სააკაშვილს აძლევს ხელს, რადგან მას საშუალება ეძლევა, მეორე ვადის ამონურვის შემდეგ თავისი ადგილი მონახოს სახელმწიფო მმართველობაში. მისი ვარაუდი კიდევ უფრო გაამყარა ფრანგულ გაზეთ „ლე მონდში“ გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ, რომელშიც საქართველოს პრეზიდენტი ამბობს, რომ პრემიერ-მინისტრობაზე უფიქრია, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გაურკვეველი. რეალურად, რა არის ახალი კონსტიტუციის მიზანი და რა მექანიზმებით შეძლებს საზოგადოება ხელისუფლების გაკონტროლებას? — ამის გარკვევას კომისიის თავმჯდომარესთან, ***ავთანდილ დემეტრაშვილთან*** *საუბრისას შევეცადეთ.*

— ბატონო ავთანდილ, განვმარტოთ — რატომ შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია და რამ განაპირობა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის საჭიროება?

— საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა რამდენიმე ფაქტორით იყო განაპირობებული, ერთ-ერთი გახლდათ ქართველ ხალხში გაჩენილი სოციალური პროტესტი. საზოგადოება უკვე რეალურად მოითხოვდა არსებული მმართველობის სისტემის შეცვლას. მოთხოვნა ზოგჯერ პერსონ-

ახალი პრეზიდენტი, ახალი კონსტიტუცია და ძალაუფლების გადანაწილების ახალი პრინციპები

იფიცირებული იყო, ზოგჯერ — ზოგადი... გარდა ამისა, არსებობდა საგარეო ფაქტორები: საერთაშორისო ორგანიზაციები იმპერატიულად მოითხოვდნენ, რომ საქართველოს, რომელსაც მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეული წევრობა სურდა, შეეცვალა არსებული მმართველობის ფორმები დაბალანსებული მმართველობის სისტემით. ზოგი ამბობს, რომ ჩვენ საზოგადოებას ვთავაზობთ საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელს, ზოგი კი ფიქრობს (მართლებიც არიან), რომ წარმოვადგინეთ შერეული მმართველობის მოდელი, რომელშიც საპარლამენტო რესპუბლიკის ელემენტიც უხვადაა.

— ძალაუფლების გადანაწილების პრინციპი როგორია?

— ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ პრეზიდენტის (ჩემი აზრით) გადაჭარბებული უფლებამოსილება გადანაწილებულიყო მთავრობასა და პარლამენტზე. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, მთავრობა გახდება აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომლის ფორმირებაშიც, პრეზიდენტის ნაცვლად, ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი მიიღებს მონაწილეობას. პრეზიდენტი რჩება სახელმწიფოს მეთაურად, მაგრამ ის ერთპიროვნულად ვერ მიიღებს ვერც საშინაო და ვერც საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

— ახალი კონსტიტუციის მიხედვით, გაკონტროლდებიან თუ არა ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელები, რომლებიც სისტემაში თავიანთი ერთგული ადამიანების მოყვანის მიზნით, პროფესიონალ კადრებს ათავისუფლებენ?

— ისეთი თანამდებობის პირს, როგორიცაა პრეზიდენტი, მინისტრი, პალატის თავმჯდომარე, პარლამენტი გააკონტროლებს; საჭიროების შემთხვევაში, მის გადასაყენებლად, იმპიჩმენტის პროცედურასაც გამოიყენებს. წვრილმან ჩინოვნიკებს საკანონმდებლო ორგანო ვერ გააკონტროლებს. მთლიანი სახელმწიფო მექანიზმის საქმიანობას სამოქალაქო საზოგადოება გააკონტროლებს.

— სამოქალაქო საზოგადოება როგორ მოახერხებს სახელმწიფო მექანიზმების გაკონტროლებას?

— საზოგადოებას საშუალება მიეცემა, სახელმწიფო მექანიზმებზე კონტროლი განახორციელოს როგორც არჩევნების, ისე რეფერენდუმის დროს...

— სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, ყველა ხელისუფლება კონსტიტუციას საკუთარი სურვილების მიხედვით ცვლის. ახალ კონსტიტუციაში თუ არის ჩადებული რაიმე მექანიზმი, რომელიც მსგავს თვითნებობას შეუძლებელს გახდის?

— ამის ერთ-ერთი გარანტია ის არის, რომ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მხოლოდ ერთი, კონკრეტული პირი ვეღარ მიიღებს. რაც შეეხება მართვის მეთოდებს, ეს დამოკიდებულია არა მარტო კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებზე, არამედ სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო თანამეგობრობაზე. ისე კი ჩვენ კონსტიტუციაში ნამდვილად ჩავდეთ შემაკავებელი მექანიზმები, რომლებიც ხელისუფლებას, პარლამენტს, პრეზიდენტსა და სასამართლო ხელისუფლებას ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას არ მისცემს.

— როგორც ვიცი, კომისიის წევრთა ერთი ნაწილი მოითხოვდა, რომ კონსტიტუციაში შესულიყო ცვლილება, რომლის მეშვეობითაც, საკონსტიტუციო სასამართლოს, საერთო სასამართლოში მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობა მიეცემოდა. ეს საკითხი როგორ გადაწყდა?

— ეს ნამდვილად, კარგი ინიციატივაა — ამის შედეგად, ბოლოს და ბოლოს, დავთმობთ პირველ ადგილს, რომელიც სტრასბურგში შეტანილი სარჩელების რაოდენობით მოვიპოვეთ... ამ საკითხზე მუშაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს და საბოლოო გადაწყვეტილებას ივლისის ბოლოს ან აგვისტოს დასაწყისში მივიღებთ. ■

„გურიელი ექსპორტი“ – ბრენდის ისტორია

ჩაის უნიკალური თვისებების შესახებ კაცობრიობამ ბევრი რამ იცის, მაგრამ რაც დრო გადის, კიდევ უფრო მეტს იგებს.

ჩაის შეუცვლელი თვისებების შესახებ XIX საუკუნის საქართველოში ბევრი არაფერი იცოდნენ, მაგრამ არსებობდა ადამიანი, რომელიც თავდადებით იბრძოდა იმისათვის, რომ ეს უმნიშვნელოვანესი კულტურა ქართველებსაც გვქონოდა. ეს კაცი გახლდათ მამია V გურიელი. მან გურიაში შეიტანა და დარგო ჩაის ნერგები. ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე მამია მეხუთე გურიელი გურიის ავტონომიურ სამთავროს 1809-1826 წლებში მეთაურობდა. საქართველოს ისტორიის და ტრადიციების ბრწყინვალედ მცოდნეს შესანიშნავად ესმოდა საქართველოში სამკურნალო, დეკორატიულ მცენარეთა ბაღების და ყვავილნარების გაშენების აუცილებლობა, რომელიც ანტიკურ ხანაშიც არსებობდა და რომლის მიმანიშნებელია ბერძნულ-რომაულ წყაროებში შემონახული ცნობები მითურ მედეას სამკურნალო მცენარეთა წალკოტის შესახებ. ქართულ ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში მოხსენიებული სამეფო ბაღები, რომლებსაც ერქვა სამოთხენი და მტილსამოთხენი. მაგ. ლეონტი მროველი მიუთითებს მირიან მეფის ბაღზე, რომელიც იმ მიდამოებში ყოფილა გაშენებული, სადაც ახლა სვეტიცხოველია. ასევე არსებობს გადმოცემები ვახტანგ V და ვახტანგ VI-ს სამეფო დიდ ბაღებზე, რომლებიც თბილისის ბოტანიკური ბაღის წინამორბედია და სადაც გაშენებული იყო ადგილობრივი და ინტროდუქცირებული მცენარეები.

საქართველოში ფაქტობრივად მე-19 საუკუნის 10-იანი წლებიდან დაიწყო მამია გურიელმა ჩაის, ციტრუსების და სურნელოვანი ვარდის ნერგების შემოტანა. 15 წლის განმავლობაში მან ფორთოხლის, ლიმონის ნარგავების და ჩაის ბუჩქების გაშენებით შესანიშნავი ბაღნარი მოაწყო თავის მამულში. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ზომიერად სველი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში ამ კულტურების გაშენება უნიკალური მოვლენა იყო. თითქმის ათი წლის განმავლობაში მსხმოიარობის, მოსავლიანობის შეუფერხებელმა ფაქტმა ჩაის და ციტრუსების კულტივირების სტაბილური შესაძლებლობები დაადასტურა. საქართველოში ჩაის და სუბტროპიკული კულტურების სამრეწველო-ეკონომიკური პერსპექტივა უცებ იქნა აღქმული და ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა მთელ იმპერიაში. მისი გაშენების არეალის გაფართოების შესაძლებლობების დადგენის მიზნით, რუსეთის მთავრობამ დაფინანსა რამდენიმე ძვირად ღირებული სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რამოდენიმე რეგიონში. მათი დადებითი დასკვნები საბოლოო ჯამში სოხუმის, ქუთაისისა და სალხინოს ბაღების გაშენების სტიმული და საფუძველი გახდა. რუსეთი ვერ ეგუებოდა ადგილობრივ, ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობას. კავკასიაში თუკი რამე პროგრესული ხდებოდა, მის გაკეთებას ვორონცოვს და რუს ჩინოვნიკებს აწერდნენ ან ვანდალურად ანადგურებდნენ. ასე მოექცნენ გურიელის ბოტანიკურ ბაღს, სადაც რუსეთ-თურქეთის (1854-56 წწ.) ომის დროს სამხედროები ჩაასახლეს, რომლებმაც აჩეხეს და გაანადგურეს იგი.

როგორც შპს „გეოპლანტის“ მთავარი მენეჯერი ბატონი თამაზ ხმალაძე ამბობს, ისტორიულ სამართლიანობად მიაჩნიათ, არ დაივიწყონ მამია მეხუთე გურიელის პიონერული დამსახურება საქართველოში ჩაის და სუბტროპიკული კულტურების გაშენების თვალსაზრისით. შპს „გეოპლანტის“ მიზანია ქართული დაფასოებული ჩაის პროდუქციის ერთ სახეს გურიელის სახელი უწოდოს.

ჩაი გურიელი ექსპორტი იქნება ხარისხითა და შემადგენლობით შეუცვლელი თქვენს ცხოვრებაში. ამიერიდან ქართველებს გვექნება ჩაი, რომელიც იზრუნებს ჩვენს ჯანმრთელობაზეც და ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაზეც. ჩაი, რომლის გემოც ისევე დაუვიწყარი გახდება თქვენთვის, როგორი დაუვიწყარიც მამია V გურიელის ღვაწლი იყო ჩვენს ისტორიაში. ■

„ცენტრი“ — ახალი ტოქშოუ „პალიტრის“ ეთერში

„ჩვენს სფეროში მოღვაწე ადამიანების უმრავლესობა მეტ-ნაკლებად ავანტიურისტია“

საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი შალვა რამიშვილი წელიწადია, რაც ციხიდან გამოვიდა, მაგრამ არც ერთი დღე არ დაუსვენია და უკვე რამდენიმე მედიაპროექტი შემოგვთავაზა. ამჯერად მან ტელევიზიიდან რადიო „პალიტრაში“ გადაინაცვლა და 14 ივნისიდან, ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) ტოქშოუს — „ცენტრი“ უძღვება. ამ საბაბით შევხვდი და იმაზე, თუ როგორ მოირგო ახალი ამპლუა და უამრავ სხვა საინტერესო საკითხზეც ვისაუბრეთ.

ნათია ჟივიძე

— „ცენტრი“ არის ტოქშოუ, სადაც სტუმრები მოდიან და ვსაუბრობთ ისე, როგორც რადიოსივრცეში არავის უსაუბრია.

— რატომ გგონია, რომ შენ გარდა, ასე არავის უსაუბრია?

— კი არ მგონია — დარწმუნებული ვარ. ეს საუბარი „ცხელ“ პოლიტიკურ თემებზე არ იქნება, რადგან მსგავსი ტიპის გადაცემა რადიო „პალიტრაში“ არაერთია, მაგრამ აქტუალური იქნება. ვეცდები, ის ცნობილი ადამიანები, რომლებიც ჩემს გადაცემაში სტუმრად მოვლენ, რადიომსმენელს განსხვავებული კუთხით დავანახვო. დავუშვათ, ადამიანის მოღვაწეობის სფეროები კარგად ვიცი, რადგან ბევრთან მიმუშავია და საერთოდ, ცნობისმოყვარე ვარ. მგონია, რომ შევძლებ, რესპონდენტს დავუსვა ისეთი შეკითხვა, რომლის მიზანიც ამ ადამიანის არსის კარგად წარმოჩენა იქნება: რა უყვარს, რა მსოფლმხედველობა აქვს, როგორი ხასიათისაა და ა.შ. მაგალითად, პირველი სტუმარი მყავდა ლევან ბერძენიშვილი, რომელიც ძალზე მაგარი და „მრავალწახნაგოვანი“ ადამიანია. მას უამრავი ისეთი საინტერესო „კუთხე“ აქვს, რომელიც შესაძლოა, ხალხს ვუჩვენოთ. მდგომარეობა იმანაც გააიოლა, რომ ჩვენ ძალიან დიდი ხნის მეგობრები ვართ და ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. ეს ორი მეგობრის საუბარი უფრო იყო, ვიდრე ინტერვიუ. საერთოდ, მინდა, თითოეული გადაცემა ისე აეწყოს, რომ ნებისმიერ სტუმართან საუბარი უშუალო და ცოცხალი იყოს.

— მეგობრული საუბრისას შენთვის ჩვეულ ცინიზმს არ გამოიყენებ?

— რატომაც არა?! თუ ეს ცინიზმი გადაცემის წაყვანის ორიგინალური მანერა იქნება, ვფიქრობ, მსმენელისთვისაც საინტერესოა.

— გადაცემის ეთერში გასვლის დრო დავაკონკრეტოთ.

— შაბათ-კვირის გარდა, ყოველ სამუშაო დღეს, საღამოს 8 საათზე. გადაცემა ერთსაათიანი იქნება. მისი მსვლელობის დროს, მსმენელს შეუძლია, დარეკოს და საკუთარი მოსაზრება გამოთქვას.

— ვისი იდეა იყო, ამდენი წლის შემდეგ, რადიოში შენი დაბრუნება?

— მოგეხსენება, რადიოს კარგად ვიცნობ. როცა არსებობს ისეთი სარედაქციო დამოუკიდებლობა, როგორიც „პალიტრას“ აქვს და მაქვს იდეები, რატომ არ უნდა გამეკეთებინა მსგავსი პროექტი?!. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, რადიოში რომ მივედი, ზოგადი იდეა მაშინ გამიჩნდა; მერე უფრო კარგად ჩამოვყალიბდი და ასეთი გადაცემა გავაკეთე. რადიო ჩემთვის მხოლოდ წარსული კი არა, საკუთარი შესაძლებლობების გამოყენების კარგი საშუალებაცაა. თანაც, რადიოში გადაცემის გაკეთებას, რა თქმა უნდა, ისეთი დიდი ხარჯები არ სჭირდება, როგორიც — ტელევიზიაში.

— როგორც ვიცი, რადიოეთერში შენს გამოჩენას ხალხის გამოხმაურება მოჰყვა. თუმცა მსმენელთა უმრავლესობა ამ ფაქტით უკმაყოფილოა. ხომ არ იცი, რატომ?

— ეს ბუნებრივიცაა. ხალხს მიაჩნია, რომ ავანტიურისტი ვარ... ჩვენს ბიზნესში მთავარია, ხალხს აღელვებდე, — მნიშვნელობა არა აქვს, როგორ აღელვებ, რადგან სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია.

— ბანალური ფრაზაა...

— ჰო, ასეა, მაგრამ სწორია.

— გულახდილად მითხარი — ავანტიურისტი ხარ?

— ჩვენს სფეროში მოღვაწე ადამიანების უმრავლესობა მეტ-ნაკლებად ავანტიურისტია. მეც მათ შორის ვარ. ავანტიურა იყო, თავის დროზე ძალიან იაფად რადიო რომ „გავაკეთე“. იგივე ავანტიურაა, ტელეკომპანია „202“-ის შექმნა...

— ჰო, ბექაურისთვის ფულის გამოძალვაც ხომ დიდი ავანტიურა იყო...

— მართალი ხარ. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ავანტიურა იყო ჩემს ცხოვრებაში და მაგის გამო, 4 წელი „დავისვენე“.

რომ არა თეას გვერდში დგომა, მე ვერც ერთ წარმატებულ პროექტს ვერ გავაკეთებდი...

— შესაძლებელია თუ არა, რომ მსგავსი პროექტი რომელიმე ტელეკომპანიაშიც განახორციელო?

— ჩემი განვლილი ცხოვრება იმის მაჩვენებელია, რომ გამორიცხული არაფერია. ისეთი რაღაცები გადამხდენია თავს, რასაც ვერ წარმოვიდგენდი. მოულოდნელობებით აღსავსეა ჩემი ცხოვრება. უამრავი წარმატებული პროექტი გამიკეთებია.

— მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლებაც არ გაქვს მიღებული.

— ფიზიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, მაგრამ არ დამისრულებია. უდიპლომო ვარ და ესეც „მოულოდნელობაა“ ჩემთვის. ისე კი კონკრეტული საქმის კეთებას დიპლომი არ სჭირდება.

— გარდა უდიპლომობისა, ერთი პრობლემაც უნდა გქონოდა: ციხიდან გამოსულ ბევრ ადამიანს საზოგადოებაში თავის დამკვიდრება უჭირს, შენ კი ეს ადვილად მოახერხე...

— მართალი ხარ. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ადაპტაცია სწრაფად გავიარე. გარკვეულწილად, საკუთარი ადგილის დამკვიდრება მეც მიჭირს.

— ამის ბრალი ხომ არ იყო, „სიმართლის დროდან“ შენი წამოსვლა?

— არა, უბრალოდ, ის გადაცემა აღარ მაინტერესებდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტს ჩემი მეგობრები აკეთებდნენ და საკმაოდ მაღალრეიტინგული იყო, იქ ჩემი თავი ვეღარ დავინახე და ამიტომ წამოვედი. თანაც, გადაცემას სხვა მიმართულება მიეცა და იმ სიტუაციას ახალი წამყვანი უფრო კარგად მოერგებოდა. ამიტომ დავტოვე პროექტი.

— ეს ცოტა დაუკონკრეტებელი პასუხია. შენი წამოსვლა სწორედ იმ გადაცემის შემდეგ მოხდა, როცა მიშა მესხს მარინა სალუქვაძისადმი ლტოლვის შესახებ შეკითხვა დაუსვი. მას შემდეგ გარკვეული დრო გავიდა. ახლა მაინც აღიარე, რომ სალუქვაძეს გადაგაყოლეს...

— არა. ამას ვერ ვაღიარებ, რადგან ასე არ ყოფილა. მარინა სალუქვაძე არ არის ისეთი ძლევამოსილი ქალბატონი, რომ იმ უწყინარი სისულელისთვის, გადაცემის ხელმძღვანელთა ლობირება მოეხდინა და ჩემი დათხოვნისთვის მიეღწია.

— შენი აზრით, ახალი წამყვანი როგორ მოერგო „სიმართლის დროს“?

— ამ გადაცემას ნანკა ძალიან მოუხდა. ამაზე რეიტინგიც მეტყველებს: „სიმართლის დრო“ ხალხის მოწონებას ისევ იმსახურებს.

— გადაცემის შემდეგ, სარეკლამო კომპანიაში გადაინაცვლე, არა?

— მართალი ხარ. სარეკლამო კომპანიაში ვარ და სხვადასხვა ფირმას რეკლამას ვუკეთებთ. მგონი, ჩვენი დამკვეთი ამით კმაყოფილია.

— მულტიპლიკაციური ფილმი „სამსონაძეებიც“ შენი იდეით გაკეთდა. როგორც ვიცი, ის ეთერში აღარ გავა. რა არის ამის მიზეზი?

— „სამსონაძეები“ იმდენად წარმატებული პროექტი იყო, რომ მას საერთაშორისო გამოხმაურებაც კი მოჰყვა. ასეთი გამოხმაურება ჯერ არც ერთ ქართულ პროექტს არ ჰქონია. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ჩვენ კომპანია „ფოქსმა“ საავტორო უფლებების გამო გვიჩივლა. ეს სისულელეა. „სიმფსონების“ ანალოგი კი ჰქვია, მაგრამ მთლად ასეც არ არის. „ევრონიუსმა“ და უამრავმა სხვა უცხოურმა გამოცემამ „სამსონაძეებზე“ ვრცელი მასალები მოამზადა. რაც შეეხება მის გაგრძელებას, — ჩვენ კონტრაქტი ამოგვეწურა და მის გაგრძელებაზე ჯერჯერობით ლაპარაკი არ არის. ვნახოთ, რა იქნება.

— გყავს 3 მცირეწლოვანი ვაჟი. მათ მოსწონდათ „სამსონაძეები“?

— კი, ყველა სერიას უყურებდნენ. ხშირად საკუთარ მოსაზრებებსაც გამოთქვამდნენ. ამას ვითვალისწინებდი-მეთქი, ვერ ვიტყვი, თუმცა მათი აზრის მოსმენა ჩემთვის საინტერესო იყო.

— საერთაშორისო გამოხმაურება არ ვიცი, მაგრამ საქართველოში „დარდუბალა“ გაცილებით პოპულარული მულტსერიალი იყო.

— მართალი ხარ. მსგავსი პოლიტიკური და რეიტინგული გადაცემის გაკეთება ათჯერ, ძალიან რთულია.

— მაგრამ ერთხელ უკვე გაკეთე...

— მაშინ სხვა სიტუაცია იყო. ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იყო: ვიცი, რომ ის ამ სერიალის გამო ძალიან ბრაზობდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ბატონ ედუარდს შევხვდი და მაშინ მითხრა, „დარდუბალაზე“ ძალიან ვბრაზდებოდი; მაშინ 2 გამოსავალი მქონდა — ან თავი უნდა მომეკლა, ან ის მომეკლა, ვინც ამას აკეთებდაო... საბედნიეროდ, არც ერთი არ გაუკეთებია, რადგან მიიჩნია — რაკი დემოკრატიას „აწვებოდა“, ესეც უნდა აეტანა.

— როცა ციხეში იჯექი, შენი მეუღლე, თეა ძალზე აქტიურობდა, პრესაშიც ჩნდებოდა და შენი უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობდა. ახლა ისევ ჩრდილშია. რას საქმიანობს?

— თეას აქვს საკუთარი სილამაზის სალონი, რომელიც უკვე საკმაოდ წარმატებულია. ის ისეთი ადამიანია, რომელსაც ჩრდილში დგომა ურჩევნია, თუმცა მაშინ ნამდვილად, ძალიან დამიდგა გვერდით. და საერთოდაც, რომ არა თეას გვერდში დგომა, მე ვერც ერთ წარმატებულ პროექტს ვერ გავაკეთებდი... ■

ფიგურინი
- მსენაძეები და ეფექტური საშუალება ჭარბი წონის ბოროტებისთვის
~ სწრაფად და უსაფრთხოდ ახდენს სხეულის ბოროტებას
~ აქვითებს მადას და არ საჭიროებს მკაცრ დიეტას
~ შლის სხიმებს, ზედმეტი ფიზიკური დატვირთვის გარეშე
სრულყოფილი სხეულის ფორმულა!
დოზირება:
წონის გათვალისწინებით მიიღება 1 კაფსულა ორჯერ დღეში ან 2 კაფსულა ორჯერ დღეში, (კურსი 1 თვიდან 6 თვის ჩათვლით). პრეპარატი არ გამოიყენება ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში. სიფრთხილით ინიშნება ნაღვლ-კენჭოვანი დაავადების დროს. გთხოვთ მითითებულ დოზას ნუ გადააჭარბებთ.
ყოველი კაფსულა შეიცავს:
პარკოსანი გუარის თესლები-30მგ.
ლოხა ბასმა (ნატურალური რკინის წყარო)-50მგ.
მრგვალფოთლიანი მრავალძარღვა-30მგ.
მკაცე ემბელიას ნაყოფი-20მგ.
დარფილფილის ნაყოფის მშრალი ექსტრაქტი-20მგ.
კოჟა-20მგ.
სამყე-250მგ.
ინდური ტყვიაბალახა-25მგ.
აკაცია კატეხუს მშრალი ექსტრაქტი-15მგ.
ტრიპალა (ემბელია, ტერმინალია ბელერიკა, ტერმინალია ჩებულა)-100მგ.
გვერდითი მოვლენები:
მომატებული მგრძნობელობა
პრეპარატში შემავალი რომელიმე კომპონენტის მიმართ.
უკუჩვენება:
ორსულობა და ლაქტაცია.
18 წლამდე ასაკი.
გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. გვერდით მოვლენებზე დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ ექიმს.
Фигурин
ТРАВЯНЫЕ КАПСУЛЫ ДЛЯ ПОХУДЕНИЯ
figurin
R- № 0003504
PSP
ჩემი ოჯახის აფთიაქი
აღმაშენებლის 148/III
ავჯანტა ფარმა ლიმიტედი ინდოეთი

გალის რაიონი ის ადგილია, სადაც არც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება და აღარც სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. კანონმდებლობას უწევენ ანგარიშს. მას შემდეგ, რაც რუსული სამხედრო ნაწილები გალის თითქმის ყველა სოფელში შეიყვანეს, მათ თავიანთი წესების შემოღება დააპირეს, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. საბოლოოდ, კონფლიქტის ზონაში ერთგვარი „სახალხო კანონი" ჩამოყალიბდა, რომლის შესრულებაც იქ მცხოვრებთათვის ერთნაირად სავალდებულო არ არის... „ქართული საზღვრის დაცვისა და გამაგრებისთვის", გალის რაიონში დამატებითი რუსული სამხედრო ნაწილების განთავსებამ სეპარატისტულ ხელმძღვანელობას კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩინა — აფხაზი სამართალდამცველები, გავლენიანი კრიმინალები და მათი კლანური დაჯგუფების წევრები რუს სამხედროებთან ძალაუფლებას ვერ იყოფენ...

სიცოცხლესა და შიმშილს შორის გაკეთებული არჩევანი

ლალი პაპასკირი

ის სოფლები, სადაც მოსავლიანობა მაღალია, „აფხაზების ზონად" იყო გამოცხადებული, მაგრამ მას შემდეგ, რაც გალის რაიონში სამხედრო როტაცია განხორციელდა, რუსებმა მისი გაკონტროლება განიზრახეს. იმ აფხაზებმა კი, რომლებიც გაცილებით დაბალი გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ, რუსებთან საერთო ენა გამონახეს და გავლენიან თანამემამულეთა „ჩასაჩოჩებლად" (რომლებთანაც ხშირ შემთხვევაში, იქაური, ასევე გავლენიანი კრიმინალი ქართველები იყვნენ შეკრული), ბრძოლას მიჰყვეს ხელი. ამ დაპირისპირებას ზოგჯერ შეხლა-შემოხლა და მსხვერპლიც მოჰყვება, რაშიც სეპარატისტული ხელმძღვანელობა ქართულ სპეცსამსახურებს ადანაშაულებს. ბოლო დროს რამდენიმე საზღვრისპირა სოფელში დაძაბულობის მიზეზი — ქართველი მოსახლეობისგან მიწის გადასახადის ამოღება გახდა, რაც სოფელ რეფის აფხაზური ადმინისტრაციის უფროსის, დიმიტრი კაციას სიკვდილით დასრულდა. აფხაზურმა მილიციამ „გაჯიუტებული" ქართველებისთვის ჭკუის სასწავლებლად, „სადამსჯელო რაზმები" გაგზავნა, რომლებმაც ადგილობრივ მოსახლეობას ცეცხლი გაუხსნეს და რამდენიმე მათგანს სახლ-კარიც გადაუწვეს. გალელთა დიდი ნაწილი იძულებული გახდა, დროებით ტყეში გახიზნულიყო, რის გამოც, შესაძლოა, სერიოზულად დაზარალდეს, რადგან მოსავლის გარეშე დარჩენა ემუქრება.

ზურაბი, *67 წლის, სოფელ დიხაზურგის მკვიდრი:*

— ახლა სოფელში საგაზაფხულო სამუშაოები მიმდინარეობს და სახლ-კარის მიტოვება, ტყეში გახიზვნა და უმუშევრობა ნიშნავს, რომ მთელი წლის განმავლობაში ოჯახი მშიერი მეყოლება... მარტის შუა რიცხვებიდან სოფლის მოსახლეობა ყანებსა და პლანტაციებშია გაკრებილი. იმ პერიოდში თუ არ მოვასწარით მიწის დამუშავება, მოხნა და დათესვა, მერე მოსავალს ვერ ავიღებთ. ჯერ რასაც ვთესავთ, იმის ნახევარი ან მესამედი მიგვაქვს სახლში და საერთოდ, ვერაფერი რომ ვერ ავიღოთ, რაღა აზრი აქვს ამ სასაკლაოზე ცხოვრებას?!. გალის რაიონის თითქმის ყველა სოფელში ნაყოფიერი მიწაა, მაგრამ მოსავალს სანამ ბეღლამდე მივიტანთ, რამდენიმე ნაწილად იყოფა, თუ რამდენად — ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ვის როგორი კავშირები აქვს „ნაჩალსტვოსთან". ამაზე არაერთხელ დაწერილა და ახალს ვერაფერს მოგიყვებით. თანაც, შეიძლება, მკითხველის გაღიზიანებაც გამოიწვიოს, — თუ ასეა, იქ რაღაზე ჩერდებითო?! მაგრამ წინაპრის საფლავების მიტოვება და სხვის ხარჯზე ცხოვრება ადვილი არ არის.

— აფხაზებსა და რუს სამხედროებს შორის დაპირისპირების მთავარი მიზეზი რა არის?

— მათ დაპირისპირებას ერთი მიზეზი არა აქვს — სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა რამის გამო ხოცავენ ერთმანეთს. გავლენის სფეროებს ვერ იყოფენ, ტერიტორიებს ვერ ინაწილებენ. ხშირ შემთხვევაში, რუს სამხედროებს შორის ხდება გაუგებრობა. ვითარებას ისიც ართულებს, რომ მათ ზურგს უკან აფხაზები დგანან. ზოგჯერ იმდენად ჩახლართულია საქმე, ვერ გაიგებ, სად არის სიმართლე, რატომ და რის გამო მოკლეს ესა თუ ის ადამიანი... ხან ერთს დაუდგება აღზევების ხანა და ის ყვლეფს იქაურობას, მერე, ან მოკლავენ, ან სხვანაირად გააჩუმებენ — ანუ რომელიმე თავზე ხელაღებული აფხაზი კრიმინალი ან სულაც ქართველი ასწავლის ჭკუას და გააჩუმებს; მერე სხვისი აღზევების ხანა იწყება და მისი წინამორბედის „ბატონობის" დროს მშვიდობით გადარჩენილებს მიადგება გასაყვლეფად. ასე გრძელდება დაუსრულებლად.

— ჭკუის სწავლებაში რა იგულისხმება?

— ბევრი რამ: ან მანქანას დაუცხრილავენ, ან ოჯახის წევრს აიყვანენ მძევლად, მისი გამოშვების სანაცვლოდ კი თავგასული აფხაზის უფლებების შეკვეცას მოითხოვენ. ერთი სიტყვით, საშიში აფხაზის გასანეიტრალებლად უამრავი გზა არსებობს... მართალია, აქ რუსი არავის უყვარს, მაგრამ დროთა განმავლობაში ჩვენსა და რუს სამხედროებს შორის მაინც ჩამოყალიბდა ადამიანური ურთიერთობა (მით უმეტეს, რომ რუსები გაცილებით ცოტას ითხოვენ ჩვენგან, ვიდრე აფხაზები). ზოგიერთ სოფელში პირიქით ხდება — ადგილობრივ მოსახლეობასა და აფხაზებს ერთმანეთში უკვე ნაპოვნი აქვთ საერთო ენა და მათ შორის რუსი სამხედროები ამღვრევენ წყალს, რადგან თუ ქართველი და აფხაზი მათ წინააღმდეგ შეიკრა, რაც უნდა კარგი შეიარაღება და ტექნიკა ჰქონდეთ, უსაფრთხოდ მაინც ვეღარ იქნებიან; ან ერთად უნდა იარონ ქუჩაში, ან საერთოდ ვერ ბედავენ გამოსვლას. ამას „მდიდარი" მწარე გამოცდილება აიძულებს... ამას წინათ ჩვენს სოფელში ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა: ბაბუასა და შვილიშვილს ძველი, კოლმეურნეობის დროინდელი, „დევეშეს" ტრაქტორი ჰყავდათ. ბაბუა მოხუცია და მიწის დამუშავების ძალა არა აქვს, შვილიშვილი კი ბავშვობაში ხიდან ჩამოვარდა და ცალი ხელი ატროფირებული აქვს. ბიჭი სკოლის მოსწავლეა, მაგრამ როგორც კი ხვნა-თესვის სეზონი დაიწყებოდა, სწავლისთვის ვეღარ იცლიდა, „მოაჯდებოდა" თავის დანჯღრეულ ტრაქტორს და ცალი ხელით მართავდა. ყველას ეცოდებოდა. აფხაზები ტრაქტორის წასაყვანად რამდენჯერმე მოვიდნენ, მაგრამ შეეცოდათ და აღარ წაიყვანეს... ამას წინათ, რუსები მიადგნენ სამხედრო მანქანით, უთხრეს, — რაღაც ნაწილები დავკარგეთ, გვჭირდებაო, — და წაათრიეს. ისედაც ნახევრად დაშლილი იყო, ძლივს დაფამფალებდა; ნაწილები რომ ამოუცლიათ, მერე დაუწვავთ... ამ საცოდავი ბაბუა-

შვილიშვილისგან აფხაზები ვერანაირ სარგებელს ვერ იღებდნენ, მაგრამ ის მანქანა, რომლითაც რუსებმა ტრაქტორი თავიანთ ნაწილამდე მიათრიეს, ჯერ „დაიკარგა“, მერე კი მდინარის პირას დამწვარი იპოვეს. მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოჩამჩირეში მცხოვრები აფხაზი ძმების „ნახელავი“ იყო, რომლებიც ჩვენს სოფელში ხშირად მოდიან... ტექნიკის დაკარგვისთვის სამხედროები მკაცრად ისჯებიან და მერე ისიც გავიგეთ, რომ სამივე ჯარისკაცი გაასამართლეს... თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როცა რუსები ქართველი მოსახლეობის მხარეს დგებიან. ამით ზედმეტ გართულებებს იცილებენ თავიდან. ისინიც ადამიანები არიან და მოჰბეზრდათ გამუდმებით შიშის ქვეშ ყოფნა. რამდენჯერმე მომისმენია რუსი ჯარისკაცებისგან, — აფხაზეთში გამოგზავნილ სამხედროებზე ლეგენდები დადის, „აფხაზეთისა“ და „ჩეჩნეთის“ გაგონებაზე ტანში გვაჟრიალებსო... მშობლები მილიონით რუბლს იხდიან ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებში, რომ მათი შვილები ამ ჯოჯოხეთს აარიდონ; ვისაც არც ფული აქვს და არც პატრონი ჰყავს, აფხაზეთში უშვებენ...

თამარი, *42 წლის, გალის საავადმყოფოს ექთანი:*

— ჩვენთან, პროფილაქტიკისთვის ან სამკურნალოდ, თუ გადაუდებელ მკურნალობას არ საჭიროებს, არავინ მოდის. უმეტესად, დაჭრილები მოჰყავთ, ქართველები და აფხაზები. შეხლა-შემოხლაში ხშირად რუსი სამხედროებიც ხვდებიან, მაგრამ მათ თავიანთი, სამხედრო ექიმები ჰყავთ, თანაც, ძალიან კარგად მომზადებული, პროფესიონალი სპეციალისტები არიან და პაციენტის ჩვენთან მოყვანას მაინც ერიდებიან. ამით ხელმძღვანელობასთან უსიამოვნებას იცილებენ თავიდან... ამ საავადმყოფოში დილიდან საღამომდე რომ დარჩეთ, დაახლოებით მაინც შეგექმნებათ წარმოდგენა იმაზე, თუ რა ჯოჯოხეთი ტრიალებს კონფლიქტის ზონაში. ზოგჯერ პირდაპირ ყანიდან მოჰყავთ დაჭრილი ხალხი, ტალახიანი და მიწიანი; ზოგს ჩანთაში საგზალი და სამუშაო იარაღები უდევს... ერთხელ პატარა ბავშვმა მომიყვანა დაჭრილი მამა — დღემდე არ ვიცი, როგორ დააწვინა ცხენშებმულ ურემზე... აფხაზები ხშირად იმაზეც მოცვივნიან, — რუსს ან ქართველს ჭრილობა რატომ გადაუხვიეთო?! — მაგრამ ზოგჯერ თავადაც მოჰყავთ დაჭრილები. ძნელია გაარკვიო, ვინ ვისიანია, ვინ ვის ბანაკშია, ვინ მტერია და ვინ — მოყვარე. ზოგჯერ ჩვენი ხალხიც ამაზრზენ რამეებს აკეთებს... თავი ორი საუკუნის წინანდელ საქართველოში მგონია. ფაქტები, რომლებიც ისტორიაში ამომიკითხავს, ახლა, XXI საუკუნეში მეორდება და კაცმა არ იცის, ეს როდის დასრულდება.

— გალის რაიონში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აღარ მუშაობს. მისი წასვლის შემდეგ ვითარება გაუარესდა?

— არანაირი განსხვავება არ არის. ისინი თავიანთთვის იყვნენ და თავიანთ საქმეს აკეთებდნენ, არც მწვადს წვავდნენ და არც შამფურს. ჩვენი პატრონი საერთაშორისო ორგანიზაციები არასდროს ყოფილა... ერთადერთი, რასაც აკეთებდნენ, ჰუმანიტარული პროექტები იყო, სადაც სერიოზული მაფია ტრიალებდა...

კახა, *32 წლის:*

— ძნელია თქვა, აქ არაფერი მოხდებაო, ჩვენთან ყველაფერი შეიძლება მოხდეს... ამას წინათ ახლობელთან ვიყავი და ვიღაც, ქართულად მოსაუბრე მამაკაცები შემხვდნენ. გამიკვირდა. მერე ვიკითხე, — ვინ არის ეს ხალხი-მეთქი? ენგურს მიღმა საქართველოდან ჩამოვიდნენ, ზოგი მშენებლობაზე მუშაობს, ზოგი — ბინების რემონტს აკეთებს, ნაწილი კი დღიურ მუშად მუშაობსო... აქამდე ის მიკვირდა, რუსი ჯარისკაცები ქართველების მიწას რომ ამუშავებდნენ, მაგრამ მერე მითხრეს, — არაყი თუ გაქვს, შენც გესტუმრებიანო... ასე რომ, აქ ვერაფერს გაიგებ, ერთ სოფელში შეიძლება, ომი იყოს, მეორეში კი — მშვიდობა.

ნოდარი, *48 წლის, გალის რაიონის მკვიდრი:*

— წელიწადის ყველა სეზონში გვაქვს პრობლემა და ამას უკვე შეჩვეული ვართ... აფხაზეთიდან დანარჩენი დევნილები ჩვენზე კი ამბობენ, — იმათ რა უჭირთ, საკუთარ სახლში ცხოვრობენო, — მაგრამ ისინი ჩვენზე უკეთეს მდგომარეობაში არიან: საცხოვრებლები მოიწყვეს, ასე თუ ისე, შეგუებული არიან იმას, რომ საკუთარ ჭერს კარგა ხანს ვერ ეღირსებიან, ზოგს საერთოდ დეეკარგა დაბრუნების იმედი და თავიდან დაიწყო ცხოვრება... შეიძლება, ძალიან ცუდად გამომდის, მაგრამ მათ თავიანთი სტატუსი მაინც იციან, ჩვენ კი არ ვიცით, რა გვქვია, — დევნილები ვართ, ნახევრად დევნილები თუ „კუნძულზე“ მცხოვრებლები, სადაც საშინელი რამეები ხდება. აქაური გლეხი ყანაში სამუშაოდ თოფით მიდის! საკუთარ მიწაზე, ხან ერთი გვთხოვს მისი კანონებით ცხოვრებას, ხან — მეორე. ბოლომდე არც ერთ მათგანს არ ვემორჩილებით, მაგრამ ამის სანაცვლოდ, მუდმივი სტრესის ქვეშ ვცხოვრობთ... რუსი სამხედროები გალის სოფლებში „ვილისით“ შესვლას ვერ ბედავენ და „ბეტეერებითა“ და ტანკებით დადიან, ეშინიათ ჩვენი. აფხაზები კი შემოვლითი გზებით, დიდი რისკის ფასად გადაადგილდებიან სოფლის ბნელ შუკებში, რადგან შეიძლება, გამწარებულ ადგილობრივ გლეხს გადაეწყდნენ, რომელსაც ცალპირა თოფი უდევს სახლში... თუმცა არც ისინი გვაძლევენ ამოსუნთქვის საშუალებას და რამდენიმედღიანი პაუზის შემდეგ, როცა ფიქრობ, — იქნებ შეგვეშვნენ და დავისვენებთო, — ვიღაც შენიანი, ეშმაკზე სულმიყიდული, აფხაზებს დაგაყენებს თავზე. აქ ერთი სახლი სოფელში თუ გაქვს, ეს არ ნიშნავს, რომ დაცული ხარ და მშვიდად ცხოვრება შეგიძლია, მეორე სამალავი ტყეშიც უნდა გქონდეს... შეიძლება, მთელი ზაფხული ფუტკარივით იშრომო, მოსავალი მოიყვანო, დააბინავო, გეგონოს, რომ ზამთრის მარაგი გაქვს, მაგრამ ერთ დღესაც ვიღაცამ, თუნდაც გამვლელმა აფხაზმა მანქანა მოაყენოს და შენივე ხელით დაგატვირთვინოს მთელი წლის ნაწვალები, — სიმინდი იქნება, ღვინო თუ დაკონსერვებული კერძები. ხმასაც ვერ ამოიღებ... ასე რომ, ადრიან გაზაფხულზე, როცა მიწაზე პირველი ხნულის კვალი გაგვყავს, მეზობლები ერთმანეთს ვუსურვებთ, — შენი ოჯახის საჭმელი იყოს-თქო...

■

ტენდერი

საყოფაცხოვრებო მოხმარების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ბერტა“

აცხადებს ტენდერს კომპანიის პროდუქციის დისტრიბუციაზე

ტენდერი ცხადდება შემდეგი რეგიონებისთვის: თბილისი, კახეთი, მცხეთა-თიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, სამეგრელო, გურია, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი.

ტენდერში მონაწილეობის მოთხოვნა:
დაინტერესებულ მხარეს უნდა გააჩნდეს ბაზარზე წარმატებული მუშაობის მინიმუმ 2-წლიანი გამოცდილება.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე:
ტელ.: 877 15 45 58; 877 15 45 70
ელ-ფოსტა: commercial@berta.ge; s.lomtadze@berta.ge.

შეურაცხყოფილი მეომრის ადვოკატის კარიერა და პოლიტიკური მომავალი



ფართო საზოგადოებისთვის, ის სკანდალური ადვოკატია, კოლეგებისთვის კი — ყველაზე ჩუმი და უხმაურო პროფესიონალი. შალვა შავგულიძემ, რომელმაც ორი ადამიანის მკვლელი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა, ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს, მართლმსაჯულება ფრიდონ ინჯიასა და მისი ძმის უდანაშაულობაში დაარწმუნა, შემდგომ, გირგვლიანის მკვლელთა დასჯას აქტიურად ითხოვდა, ახლა კი სტრასბურგში ასლან აბაშიძისა და სულხან მოლაშვილის ინტერესებს იცავს. კოლეგებმა, ადვოკატებისთვის გამართულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე, როგორც ყველაზე უხმაურო ადვოკატს, პრიზის სახით, აკვარიუმში ჩასმული თევზი გადასცეს. როგორც მისი მეუღლე, ცნობილი ჟურნალისტი ლუბა ელიავილი ამბობს, ის ოჯახშიც ძალზე უხმაუროა, მაგრამ პატარ-პატარა პრეტენზიები მაინც აქვს... ბატონ შალვას პოლიტიკოსობის პრეტენზიაც აქვს. „ალიანსი საქართველოსთვის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი იმ დღეზე ოცნებობს, როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური ნება შეიცვლება, სასამართლო დამოუკიდებელი გახდება და მართლმსაჯულება იზეიმებს. მისი ყველაზე დიდი ტკივილი — აფხაზეთია... ცხინვალის დაკარგვასაც ძალიან განიცდის, მაგრამ სოხუმში თავად იბრძოდა და დამარცხებით, დამცირებითა თუ უმადურობით გამოწვეული ტკივილი, სხვა ვეტერან მეომრებთან ერთად, პირადად განიცადა.

ნათუნა ბახტურიძე

— ბატონო შალვა, როგორ ფიქრობთ — რატომ არ ემთხვევა ერთმანეთს ფართო საზოგადოებისა და თქვენი კოლეგების აზრი თქვენი შეფასებისას?

— ყოველთვის ვცდილობდი, საქმეზე ჩუმად მემუშავა და საკუთარი პოზიცია მხოლოდ სასამართლო პროცესზე დამეფიქსირებინა. თქვენს კოლეგებსაც გამუდმებით თავს ვარიდებდი, განცხადებას მხოლოდ მაშინ ვაკეთებდი, თუ ჟურნალისტები სადმე გამომიჭერდნენ, მაგრამ არც ასეთ დროს მითქვამს რაიმე სკანდალური, არც მედიის გამოყენება მიცდია სასამართლოზე ზეწოლის მიზნით, უბრალოდ, თვით ის საქმეები იყო ძალიან სკანდალური და გახმაურებული, რომლებზეც ვმუშაობდი. მინდა, ისიც აღვნიშნო, რომ 90-იანი წლებიდან 2004 წლამდე სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი საკმაოდ მაღალი იყო და შეჯიბრებითობის პრინციპიც არსებობდა. ამიტომ მაღალი კვალიფიკაციის ადვოკატები სკანდალური მოქმედებებისა და განცხადებების გარეშეც იგებდნენ საქმეებს.

— თქვენს დასაცავ პირს ყოველთვის თანაუგრძნობთ?

— ვერ ვიტყვი, რომ ადვოკატი მხოლოდ სიმართლის მხარესაა, მაგრამ არც ისეთი ადამიანის საქმეს ვკიდებ ხელს, რომლის მიმართაც შინაგანი პროტესტის გრძნობა მიჩნდება. ზუსტად ვიცი, რომ არასოდეს ავიღებ არასრულწლოვნის გაუპატიურებისა და თაღლითობის საქმეს; ვერც სამშობლოს მოღალატეს დავიცავ. დიდი ინტერესით ვმუშაობ მკვლელობაზე, იმიტომ, რომ ზოგჯერ მომხდარს მკვლელობას არქმევენ, სინამდვილეში კი — აუცილებელი მოგერიება აღმოჩნდება.

— ორი კაცის მკვლელობაში ბრალდებულის გათავისუფლება როგორ მოახერხეთ?

— პიროვნებამ (მის გვარს ვერ დავასახელებ), რომელიც ორმა მამაკაცმა ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცა, იმდენი მოახერხა, რომ გამტაცებლებს იარაღი აართვა და სასიკვდილოდ დაჭრა.

— თქვენთვის, ყველაზე საინტერესო საქმე მაინც რომელია?

— ჩემი ნერვები გირგვლიანის საქმემ შეიწირა, იმიტომ, რომ მოსამართლე ძალიან უსამართლოდ იქცეოდა; ასეთ დროს ემოციის მოთოკვა და თავის გაკონტროლება ძალიან ძნელია... ყველაზე საინტერესო, თემურ ყიფიანის („საქენერგოს“ დირექტორის ყოფილი მოადგილე) საქმე იყო. ჯერ კიდევ პირველ ინსტანციაში იხილებოდა, როდესაც პროკურატურა მიხვდა, რომ ბრალდება უსაფუძვლო იყო და ბატონ თემურს კომპრომისული წინადადება შესთავაზა — პირობით მსჯავრზე შეთანხმების შემთხვევაში, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლებდნენ. რადგან ჩემი დასაცავი პირი მძიმე ავადმყოფი იყო (სისხლძარღვების შევიწროება ჰქონდა) და საპატიმროში ყოფნა ძალიან უჭირდა, ვიფიქრე, რომ ეს წინადადება მისთვის მისაღები იქნებოდა, მაგრამ მან ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მითხრა, — არ მინდა, შვილებს ჩემ გამო რცხვენოდეთ: დამნაშავე არ ვარ, მოდი, ბოლომდე ვიბრძოლოთო. ბოლომდე ვიბრძოლეთ. საქმე მისი გამართლებითა და სრული რეაბილიტაციით დამთავრდა, მაგრამ ჯანმრთელობა სერიოზულად შეერყა. 6 თვე კლინიკაში იწვა, საბოლოოდ, მაინც ვერ გამოჯანმრთელდა, მთელი ცხოვრება მკურნალობდა.

— ასლან აბაშიძის მიმართ შინაგანი პროტესტი არ გაგჩენიათ?

— მის მიმართ ხელისუფლებას სრულიად უსაფუძვლო ბრალდებები აქვს წარდგენილი. ერთ-ერთია — უკანონო გასამხედროებული ფორმირების შექმნა. სრულიად გაუგებარია, რა ნიშნით შეიძლებოდა მიეჩნიათ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებად სამხედრო ნაწილი, სადაც გაწვევას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ახორციელებდა. ასეთივე აბსურდულია მეორე ბრალდებაც: სახელმწიფომ აბაშიძის მუშაობის პერიოდში, აჭარის ბიუჯეტიდან დახარჯული თითოეული თეთრი არამიზნობრივად დახარჯულად შერაცხა. ე.ი. არამიზნობრივად დახარჯულადაა მიჩნეული თანხა, რომელიც 1999-დან 2004 წლამდე მოხმარდა: აჭარის მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის დავალიანების დაფარვას, ბათუმის სრულ გაზიფიკაციას, სამშობიარო სახლის, უნივერსიტეტისა და გვირაბის მშენებლობას!.. აბაშიძის მიმართ შინაგანი პროტესტი არ გამჩენია, იმიტომ, რომ ამ კაცმა ჩვენს ქვეყანას კრიტიკულ მომენტში კიდევ ერთი

კონფლიქტი აარიდა. ცენტრალური ხელისუფლება პროვოკაციული ქმედებებით ცდილობდა კონფლიქტში მის ჩათრევას, მაგრამ ამ ადამიანმა, მიუხედავად იმისა, რომ ავტონომიის ლეგიტიმური ხელისუფალი იყო, ყველაფერი დატოვა და წავიდა. სააკაშვილმა მისთვის საჯაროდ მიცემული სიტყვა გატეხა: თავად მოვისმინე, როგორ განაცხადა, — თუ აბაშიძე აჭარას საკუთარი ნებით დატოვებს და სიტუაციას განმუხტავს, მას, მის ოჯახსა და თანხმლებ პირებს ხელშეუხებლობის გარანტიას მივცემო. როდესაც ხელისუფლებამ აბაშიძის წინააღმდეგ საქმე აღძრა, ვიფიქრე, პრეზიდენტი ხელშეუხებლობაში ალბათ იმას გულისხმობდა, რომ მის დაპატიმრებასა და დეპორტაციას არ მოითხოვს-მეთქი, მაგრამ შევცდი. ძალიან ცუდია, რომ ქვეყნის პირველი პირის სიტყვას ფასი არა აქვს. სააკაშვილი ამის საპირწონე სიკეთეს ქვეყანას ვერ მოუტანს. როდესაც ეს სიტყვები პირველად ვთქვი, უცნობმა პირებმა მამაჩემის მანქანას ცეცხლი გაუხსნეს.

— მსგავსი რამ თქვენ მიმართ სხვა დროსაც განხორციელებულა?

— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში (რომლის საინფორმაციო სამსახურის უფროსი, ჩემი მეუღლე ლუბა ელიავილი იყო) ხელისუფლების მიმართ რაიმე კრიტიკული განცხადება გაკეთდებოდა თუ არა, ხან ლუბას მშობლების სახლს უხსნიდნენ ცეცხლს და ხან ჩემებისას, მაგრამ ამის გამო, პოზიცია არ შეგვიცვლია; არც ახლა ვაპირებთ კომპრომისებზე წასვლას.

— თუ ხელისუფლება ძალისმიერი მეთოდით მოქმედებს, სასამართლო კი დამოუკიდებელი არ არის, თქვენი პროფესიული მოვალეობის შესრულებას როგორლა ახერხებთ?

— ადვოკატის მუშაობა მართლაც, ძალიან რთული და არაეფექტიანი გახდა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა. თუ პოლიტიკური ნება არ შეიცვალა და სასამართლოს დამოუკიდებლობა არ დაუბრუნდა, ქვეყანაში მართლმსაჯულება ვერ იზეიმებს. 2004 წლის შემდეგ კანონმდებლობა ისე დამახინჯდა, რომ მისი დარღვევის გარეშეც შეიძლება ადამიანის უფლებების შელახვა, — ის უკვე თავისთავად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.

— თქვენი აზრით, რამ განაპირობა ის, რომ თქვენს უბანში „ნაციონალების“ კანდიდატმა მოგიგოთ?

— არჩევნები უსამართლოდ ჩატარდა. „ნაციონალებმა“ ამომრჩეველს თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება არ მისცეს. არჩევნების წინა საღამოს პალიკო კუბლაშვილმა ტელევიზიით განაცხადა, — „ნაცმოძრაობის“ კოორდინატორები ყველა უბანზე იქნებიან და ამომრჩეველთა აქტიურობას აღრიცხავენო. ეს იმ ამომრჩეველთა გასაგონად იყო ნათქვამი, რომელთაც პირობა ჰქონდათ დადებული, რომ „ხუთიანს“ შემოხაზავდნენ.

— მათ ხომ ხმის ფარულად მიცემის საშუალება ჰქონდათ!..

— არ ჰქონდათ. „ნაციონალების“ კოორდინატორები საარჩევნო უბნებთან გადაშლილი დავთრებით ისხდნენ, ამომრჩევლებისთვის კოდები ჰქონდათ მინიჭებული და ისე ახორციელებდნენ მათ კონტროლს.

— ეი. პოლიტიკაში მოსვლასაც ვერ ახერხებთ... რას აპირებთ?

— ბრძოლის გაგრძელებას იმ პოლიტიკურ გუნდთან ერთად, რომელსაც ახლა წარმოვადგენ.

— თქვენი პროფესიული არჩევანი რამ განაპირობა?

— ჟურნალისტობა უფრო მინდოდა. იურიდიულზე ჩაბარება ბიძაჩემმა, პროფესორმა თამაზ შავგულიძემ მირჩია. ძალიან კარგი იურისტი და შესანიშნავი პიროვნება იყო. როგორც თავად მითხრა, მისი დახმარებით, მხოლოდ სრულყოფილ იურიდიულ განათლებას კი არ მივიღებდი, არამედ შეუზღუდავი საქმიანობის საშუალებაც მექნებოდა. ასეც მოხდა... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, მოსკოვში გავაგრძელე სწავლა, ვმუშაობდი კიდეც, მაგრამ აფხაზეთის ომმა ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა: ომის დაწყებისთანავე, მეგობრებთან ერთად, 1992 წლის 14 აგვისტოს მოხალისედ წავედი. 15 აგვისტოს შავნაბადას ბატალიონთან ერთად, სადესანტო ოპერაციაში ვმონაწილეობდით. შავნაბადას ასეულმა და მოხალისეების 35-კაციანმა კორპუსმა ლესელიძე ავიღეთ, საზღვარი ჩავკეტეთ და რუსეთს ჯარის შემოყვანის, იარაღისა და საწვავის შემოტანის საშუალება მოვუსპეთ.

— საბრძოლო გამოცდილება გქონდათ?

— არა, ავტომატი მხოლოდ სამხედრო კათედრაზე გავლილი, სამთვიანი „სბორების“ დროს მეჭირა ხელში. მაგრამ როდესაც დავინახე, ჩემი სამშობლოს ნაწილს მართმევდნენ, შინ ვეღარ გავჩერდი. ჩასვლის პირველივე დღეს დაიღუპა ჩემი რამდენიმე მეგობარი, მაგრამ უკან დახევაზე არც გვიფიქრია, გადაწყვეტილი გვქონდა — თუ უზარმაზარ რუსეთთან ომს ვერ მოვიგებდით, ღირსეული წინააღმდეგობა მაინც გაგვწია. ვფიქრობ, ჩვენ ეს შევძელით.

— აფხაზეთში სოხუმის დაცემის დღემდე იმყოფებოდით?

— კი, ბოლო დღემდე იქ ვიყავი. გაგრის დაკარგვის შემდეგ, სოხუმში გადავინაცვლეთ. თავიდან, ძირითად საბრძოლო ოპერაციებში ვმონაწილეობდი, მერე, როგორც იურისტს, მთხოვეს, იქ შექმნილ, სახელმწიფო მინისტრის აპარატში სამართლებრივ საკითხებზე მემუშავა.

— ამ ომში ჩვენ მარცხის კონკრეტულ მიზეზად რა მიგაჩნიათ?

— მიზეზი ძალიან ბევრი იყო — პოლიტიკოსების მიერ დაშვებული შეცდომები თუ გამიზნული ქმედებები. ომი ქართველ მებრძოლებს ნამდვილად არ წაუგიათ, ძალიან ღირსეულად იბრძოდნენ. ხელმძღვანელობის მხრიდან დაშვებული ერთ-ერთი უმთავრესი შეცდომა (თუ გამიზნული გადაწყვეტილება) ის იყო, რომ ქვეყანაში არათუ საომარი, არამედ საგანგებო მდგომარეობაც კი არ იყო შემოღებული. სწორედ ეს გახდა საზოგადოების გახლეჩის მიზეზი. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების შეიარაღებული ძალით დამხობის გამო ქართველები ისედაც არ იყვნენ ერთიანნი. ძალიან ღირსეული უნდა იყო მეომარი, რომ შენი ბრძოლა, სისხლისა და ოფლის ღვრა არ დააყვედრო იმ ადამიანს, რომელიც რესტორნიდან არ გამოდის; ეს მოქეიფე ადამიანები კი, თავის გამართლების მიზნით, მეომრებს მაროდიორობას აბრალებდნენ!.. ჩვენს დამარცხებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა იმ ფაქტმაც, რომ სამეგრელოში ზურგი არ გვქონდა. ზურგის გარეშე ომის მოგება პრაქტიკულად წარმოუდგენელია. თბილისთან მხოლოდ საჰაერო კავშირი გვქონდა. ლოთი ქობალიამ (რომელიც მაშინ სამეგრელოს აკონტროლებდა) რამდენჯერმე მოგვცა იმის პირობა, რომ რკინიგზაზე, თბილისის მიმართულებით დაჭრილებს, დაღუპულებს და დაზიანებულ ტექნიკას მაინც გაატარებდა, მაგრამ შეთანხმებას გამუდმებით არღვევდა. გაძარცულ ეშელონებთან და იარაღაყრილ გამცილებელ ჯარისკაცებთან ერთად, დაჭრილებსა და მიცვალებულებსაც უკან გვიბრუნებდა. ეს საქართველოს კი

არა, ცალკეული პიროვნებების ომი იყო. სტალინმა სამამულო ომი 15 საბჭოთა რესპუბლიკას ერთ, საერთო ომად უქცია — ერთი ტკივილი ჰქონდათ გურიაში მცხოვრებ გლეხის ქალს, რომელიც წინდას ქსოვდა და ბაშკირეთის მკვიდრ მეთევზეს, რომელიც თევზს ახმობდა!.. ქართველებს კი აფხაზეთი ისე წაგვართვეს, ვერც კი გავაცნობიერეთ, რა მოხდა.

— აფხაზეთის ომში მაროდიორობის ფაქტებს უარყოფთ?

— სულაც არა, მაროდიორები იყვნენ და ყველაზე დიდი საშინელება იცით, რა იყო? მაროდიორები არ იბრძოდნენ — ისინი ზურგში, კონტროლირებად ტერიტორიებს ძარცვავდნენ, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ბიჭები კი ამ დროს წინა ხაზზე იბრძოდნენ; იბრძოდნენ მანამდე, სანამ ძალა არ გამოელეოდათ, ან სანამ არ დაიხოცებოდნენ, იმიტომ, რომ მათ არავინ ცვლიდა, არავინ ასვენებდა. წინა ხაზზე ჩვენი საუკეთესო გენოფონდი ნადგურდებოდა. ეს ხომ ხელისუფლების დანაშაულია! ეს როგორი ომი იყო, იცით?.. შეგეძლო, მთელი წელი იქ ყოფილიყავი და ბრძოლის ველზე არ მოხვედრილიყავი, არავინ არაფერს გავალდებულებდა, არც პასუხს მოგთხოვდა ვინმე. შევარდნაძის ხელისუფლებამ გმირები ისევე გაწირა, როგორც სააკაშვილის ხელისუფლებამ. ცხინვალშიც მხოლოდ ცალკეულმა რიგითებმა იბრძოლეს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ქვეყნის სარდლობამ კი, მთავარსარდლის ჩათვლით, თავი შეირცხვინა.

— აფხაზეთის ომში მონაწილეობამ პიროვნულად თუ შეგცვალათ?

— ძნელია, ომში ნამყოფი კაცი არ შეიცვალოს: ძალიან ხშირად ჩამიხედავს სიკვდილისთვის თვალებში, ძალიან ბევრი მეგობარი მომიკლეს თვალწინ... როდესაც შინ დავბრუნდი, ვიგრძენი, რომ გაუხეშებული ვიყავი, — ვეღარც იმ მუსიკას ვუსმენდი, რომელიც ომამდე ძალიან მომწონდა; ჩემზე საერთოდ აღარ მოქმედებდა ის ლექსი, მოთხრობა თუ სხვა ნაწარმოები, რომელიც ადრე დიდ ემოციას იწვევდა... დროთა განმავლობაში ამ ყველაფერმა გამიარა და ძველებური შალვა გავხდი... სამწუხაროდ, ომმა ბევრი მგრძნობიარე, გულჩვილი ადამიანი სასტიკი და დაუნდობელი გახადა. სხვათა შორის, ომს ერთი უცნაური თვისებაც აქვს — ბუნებრივად აჩენს ლიდერებს. მშვიდობიან პერიოდში ადამიანები, ადგილის დასამკვიდრებლად და ლიდერობის მოსაპოვებლად, ხშირად თვალთმაქცობენ; იქ ვერ ითვალთმაქცებ, თუ ვაჟკაცი არ ხარ, ვერაფერს გააწყობ, ლიდერი ვერ გახდები. იცით, რამდენი ამბიციური ბიჭი მინახავს, ომში ძალიან მოკრძალებული როლით რომ დაკმაყოფილებულა?! პირიქითაც ხშირად ხდებოდა — მოკრძალებული ბიჭები რამდენიმე თვეში, მედგარ, უშიშარ მებრძოლებად ყალიბდებოდნენ და მოზრდილი შენაერთების მეთაურებიც ხდებოდნენ.

— ომში რომ წახვედით, უკვე დაქორწინებული იყავით, არა?

— კი, შვილიც მყავდა — გიორგი 5 წლის იყო. ძალიან მენატრებოდა, მის სანახავად, ორჯერ ჩამოვედი ორ-ორი დღით...

— ქალბატონო ლუბა, არ გაგიჭირდათ ფრონტზე მეულლის გაშვება?

ლუბა ელიაშვილი:

— ძალიან გამიჭირდა, მაგრამ რას ვიზამდი?! წასვლა რომ გადაწყვიტა, არც შევწინააღმდეგებივარ, ვიცოდი — აზრი არ ჰქონდა... აქედან ვცდილობდი მის დახმარებას (*იცინის*). დახმარების სურვილს ძალიან სასაცილოდ გამოვხატავდი: ტელევიზიით გამოაცხადებდნენ თუ არა, — აფხაზეთიდან დაჭრილი ჩამოიყვანეს და სისხლის გადასხმა ესაჭიროებაო, — გავრბოდი და სისხლს ვაბარებდი. მეგონა, მე რომ სისხლს ჩავაბარებდი, ჩემი სიკეთე შალვას წინ დახვდებოდა. ვინ იცის, დღეს რამდენ „ხეედრიონელს“ უჩქეფს ძარღვებში ჩემი სისხლი?!. ჩემი ჭკუით, გიორგის ვუმალავდი, შალვა რომ ომში იყო. ერთხელაც მოვიდა და მითხრა, — დედა, ხვალ ალბათ მამას მოკლავენო. გაოგნებულმა ვკითხე, — მაგას რატომ ამბობ-მეთქი? იცით, რა მიპასუხა?.. — ტელევიზორში თქვეს, — ხვალ ფიცხელი ბრძოლა გაიმართება და ფიცხელ ბრძოლაში ხომ ადამიანები კვდებიანო!..

— თქვენ თუ იგრძენით, რომ თქვენი მეუღლე ომიდან შეცვლილი დაბრუნდა?

— კი, ვიგრძენი. გაუხეშება ვერ შევამჩნიე — ცოტა განერვიულებული კი იყო, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერმა გაუარა. იმასაც მივხვდი, რომ ომიდან უფრო გაზრდილი და დასერიოზულებული დაბრუნდა. მანამდე თავქარიანი იყო, ცხოვრებას მარტივად უყურებდა, ფიქრობდა, რომ ყველაფერი წინ ჰქონდა.

— დიდი ხანია, რაც მას ლექსებს უძღვნით?

— (*იცინის*) ლექსებს ძირითადად, ჩემ მიერ შექმნილ პერსონაჟებს ვუძღვნი... შალვასთვისაც დამიწერია ლექსი, მაგრამ ისე, რომ მას ამის შესახებ არც კი გაუგია... ერთი-ორი ლექსი ჩემს პატარა ქალიშვილს — ელენესაც მივუძღვენი, სხვა შემთხვევაში, სულ გამოგონილი ადამიანები არიან ჩემი მუზა. რამდენჯერმე ისეთი ლექსიც დავწერე, რომ მკითხველს მამაკაცი ვეგონე.

— თქვენი ოჯახი სიყვარულით შეიქმნა?

— კი, მაგრამ როდის შეგვიყვარდა ერთმანეთი, ვერც გავიგეთ. პროფესიით ფსიქოლოგი ვარ და პირველად მუშაობა დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში დავიწყე. შალვაც იქ გავიცანი.

შალვა:

— იმ პერიოდში მანქანა ახალი ნაყიდი მქონდა და სულ ვამბობდი, — ჩემს მანქანას მოჰყვა ერთი სათადარიგო საბურავი და ლუბა-მეთქი: მისი სახლი სამსახურსა და ჩემს სახლს შორის იყო, ამიტომ დილით სამსახურში მიმყავდა, საღამოს — სახლში.

ლუბა:

— რამდენჯერმე აღმოჩნდა, რომ შალვა სადღაც იყო წასასვლელი, მე კი არსად მეჩქარებოდა. მერე ეს ყველაფერი ჩვევაში გადაიზარდა და ბოლოს სულ ერთად ყოფნა გვინდოდა...

შალვა:

— ხელის მოწერა სპონტანურად გადავწყვიტეთ. ლუბამ თავის მეგობარს დაურეკა, მე — ჩემსას და ვთხოვეთ, ნახევარ საათში მმაჩის ბიუროსთან მოსულიყვნენ.

— თქვენს ურთიერთობაში სირთულეები არ ყოფილა?

ლუბა:

— როგორ არა?! ორივეს ჩვენი საქმე გვაქვს, რომელსაც ძალიან ბევრი დრო მიაქვს და ერთმანეთისთვის ხშირად ვერ ვიცლით. თანაც, მე ქალისთვის ზედმეტად ლიდერული ხასიათი მაქვს...

— ბატონო შალვა, მეუღლის ლიდერულ ხასიათთან შეგუება გიჭირთ?

შალვა:

— რა გითხრათ?.. ჩეთვის უმჯობესი იქნებოდა, ლუბა უფრო მეტ დროს მე მითმობდეს და როდესაც შინ დაღლილი მოვდივარ, მაღალ მატერიებზე საუბრის ნაცვლად, კვერცხს მაინც მიწვავდეს... თუმცა ეს სერიოზული პრობლემა არ არის — მთავარია, რომ ერთმანეთი გვიყვარს, ერთმანეთის გვესმის და კრიტიკულ მომენტებში ერთმანეთის გამხნევება და მხარდაჭერა შეგვიძლია.

"ალფა" ინდივიდუალურ სადაზღვევო პაკეტს გთავაზობთ

2 ივნისს "ავერსის" ცენტრალურ კლინიკაში "ავერსისა" და სადაზღვევო კომპანია "ალფას" ერთობლივი პროდუქტის - ჯანმრთელობის ინდივიდუალური დაზღვევის პაკეტის პრეზენტაცია გაიმართა.

"ალფამ" დაარსებისთანავე მიიქცია საზოგადოების ყურადღება უპრეცედენტო პროგრამებით, დაბალი ტარიფებითა და უმაღლესი დონის სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფით, ამჯერად კი მან მოსახლეობას ჯანმრთელობის ინდივიდუალური დაზღვევის უნიკალური პაკეტი შესთავაზა: თვეში 10 ლარად ნებისმიერ მსურველს შეუძლია, უფასოდ და ულიმიტოდ მიმართოს ოჯახის ექიმს და მის მიერ გამოწერილი ყველა ძირითადი მედიკამენტი "ავერსის" სააფთიაქო ქსელში 80%-იანი ფასდაკლებით შეიძინოს, სხვა სახის სამედიცინო მომსახურებაზე კი 15-დან 50%-მდე შეღავათი მიიღოს.

"ალფა" გთავაზობთ 15 და 25-ლარიან სადაზღვევო პაკეტებსაც, სადაც სამედიცინო მომსახურების კიდევ უფრო ფართო სპექტრია წარმოდგენილი.

"ავერსის" დამფუძნებლის, ბატონი პაატა კურტანიძის თქმით, "ალფას" ახალი პროდუქტი იმ ადამიანებზეა გათვლილი, რომელთაც მედიკამენტების შეძენა ხშირად უწევთ - მათთვის 80%-იანი ფასდაკლება არცთუ ისე მცირე შეღავათია: "ჩემთვის, ქვეყნის წამყვანი ფარმაცევტული კომპანიის ხელმძღვანელისთვის, ძალიან მტკივნეულია, როდესაც აფთიაქში შემოსულ ადამიანს მედიკამენტის შესაძენად თანხა არ ჰყოფნის. გარდა ამისა, ჩემივე ბიზნესიდან გამომდინარე, დაინტერესებული ვარ, რომ ყოველმა მომხმარებელმა შეძლოს საჭირო მედიკამენტების შეძენა. ამიტომ ვეცადეთ, სადაზღვევო პირობებით მედიკამენტებზე მაქსიმალური შეღავათი გაგვითვალისწინებინა. ჩვენი პაკეტის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი სწორედ მედიკამენტებზე 80%-იანი ფასდაკლებაა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინდივიდუალურ დაზღვევაზე არავითარი შეზღუდვა არ არსებობს. მოგეხსენებათ, სადაზღვევო კომპანიები თავს არიდებენ ხანდაზმულთა დაზღვევას, რადგან მათ მაღალი რისკის ჯგუფს მიაკუთვნებენ, ასევე არ აზღვევენ ორსულებსა და ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებს, ჩვენი ახალი სადაზღვევო პროდუქტის შეძენა კი ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ასე რომ, ამ კატეგორიის ადამიანებისთვის ეს სერიოზული შანსია. დარწმუნებული ვართ, ჩვენი სადაზღვევო პაკეტის გამოჩენა ქვეყანაში მედიკამენტების შეძენის პრობლემას პრაქტიკულად აღმოფხვრის".

ინდივიდუალური დაზღვევის პაკეტის შესამუშავებლად "ავერსი" და "ალფა" უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების დახმარებით დაახლოებით 6 თვის განმავლობაში მუშაობდნენ. "ავერსის" დამფუძნებლის თავდაპირველი მოთხოვნა მედიკამენტების საფასურის 100%-იანი ანაზღაურება გახლდათ, მაგრამ საბოლოოდ, ექსპერტების რჩევით, 80%-ზე შეთანხმდნენ: "დავრწმუნდით, რომ სრული დაფინანსება მედიკამენტების არარაციონალურ დანიშვნასა და მოხმარებას გამოიწვევდა. აპრილში სპეციალური პროგრამით იაპონიაში გახლდით, რათა იქაური ჯანდაცვის სისტემა შემესწავლა. იაპონელები ძალიან ამაყობენ იმით, რომ მათი ქვეყანა სამედიცინო მომსახურების დონით არ ჩამოუვარდება ამერიკას, კანადასა და ევროპას, ხოლო ხარჯი გაცილებით ნაკლებია. საქმე ის არის, რომ იაპონიაში სადაზღვევო კომპანიებს კანონით ეკრძალებათ სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების 100%-იანი დაფინანსება. მომსახურების ღირებულების 30%-ს ნებისმიერ შემთხვევაში დაზღვეული იხდის, რაც საწინდარია იმისა, რომ ზედმეტი კვლევა თუ მედიკამენტი არც ერთ პაციენტს არ დაენიშნება. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მედიკამენტებზე 80%-იანი ფასდაკლება არის ის მაქსიმალური შეღავათი, რომელიც შეიძლება გავუწიოთ მომხმარებელს. დარწმუნებული ვართ, ამ პაკეტით ბევრი დაინტერესდება", - ბრძანა ბატონმა პაატამ და დასძინა, რომ სადაზღვევო პაკეტის შეძენა შესაძლებელია "ავერსის" აფთიაქებში, სადაც მომხმარებელს "ალფას" წარმომადგენელი გაესაუბრება, მიაწვდის დეტალურ ინფორმაციას და გააფორმებს ხელშეკრულებას.

"ალფა" მომხმარებელს მაქსიმალურ კომფორტს სთავაზობს. აქ დაზღვეულები თავს მშვიდად და უსაფრთხოდ გრძნობენ. თბილისში ამ კომპანიის მომსახურებით სახელმწიფო დაზღვევის მქონე 100 ათასზე მეტი ადამიანი სარგებლობს. "ალფამ" გაიმარჯვა თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერშიც და დღეს ამ პროექტის ფარგლებში 54 ათას ადამიანს ემსახურება.

"ალფას" ახალი პროდუქტის პრეზენტაციას თბილისის მერი გიგი უგულავა ესწრებოდა. როგორც ბატონმა პაატამ აღნიშნა, მერიას დაგეგმილი აქვს სერიოზული პროექტების განხორციელება როგორც ჯანდაცვის, ასევე მედიკამენტების დაფინანსების მხრივ: "წინასაარჩევნო კამპანიის დროს მერობის რამდენიმე კანდიდატი აცხადებდა, რომ მუნიციპალური აფთიაქების ქსელს შექმნიდა. ვფიქრობ, მათი ფინანსური გაანგარიშება არარაციონალური იყო, ვინაიდან ასეთი ქსელის შექმნის შემთხვევაში მოსახლეობისთვის წამლების შესაძენად გაცილებით ნაკლები თანხა დარჩებოდათ - კომერციული ფართის შეძენა-დაქირავება, გარემონტება, აღჭურვა სერიოზულ ხარჯს მოითხოვს. ვფიქრობ, ეკონომიკური თვალსაზრისით დღევანდელი ხელისუფლების მიერ მომზადებული პროგრამები გაცილებით რაციონალურია, მეტ ხალხს ეხმარება და მეტ მედიკამენტს გასცემს უფასოდ, ვიდრე მუნიციპალური სააფთიაქო ქსელი შეძლებდა".

იანვარში გამოცხადებულ ტენდერში "ავერსთან" ერთად სამმა სააფთიაქო ქსელმა გაიმარჯვა, რომლებიც მერიის მიერ გაცემული ვაუჩერების მფლობელებს ემსახურებიან. პირველი იანვრიდან დღემდე მერიის დაფინანსებით "ავერსის" სააფთიაქო ქსელიდან 2 მილიონი ლარის ღირებულების მედიკამენტია გაცემული. პროგრამით 90 ათასმა ადამიანმა ისარგებლა.

ქალაქის მერმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ჯანდაცვის უზრუნველყოფა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა ჩვენს ქვეყანაში: "250 ათასი ადამიანი ჯანდაცვის სახელმწიფო პოლისით სარგებლობს, შესაბამისად, მათ პირველად ჯანდაცვაზე მიუწვდებათ ხელი. ვეცდებით, მომავალში ეს სისტემა კიდევ უფრო მოქნილი და მოხერხებული გავხადოთ, ამისთვის კი მნიშვნელოვანია, რომ ჯანდაცვის სფეროში კერძო კაპიტალის მოზიდვას მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი. ამ თვალსაზრისით "ალფას" ახალი ინიციატივა მართლაც შესანიშნავია. მადლობას ვუხდი "ალფასა" და "ავერსის" ხელმძღვანელობას ამ არაჩვეულებრივი პერსპექტივისთვის, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში საუკეთესო წინადადებებისთვის".

პრეზენტაციას დაესწრო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე კოკა ფრუიძეც. მან აღნიშნა, რომ 2006 წელს მხოლოდ 20 ათასი ადამიანი იყო დაზღვეული, დღეს კი მათი რიცხვი მილიონ ექვსასი ათასამდე გაიზარდა: "აქედან 50 ათასი ინდივიდუალური 5-ლარიანი სადაზღვევო პაკეტის მფლობელია. დღეს "ალფა" მოსახლეობას იაფ და კიდევ უფრო გაუმჯობესებულ სადაზღვევო პაკეტს სთავაზობს. იმედი მაქვს, ქვეყანაში სულ მალე საყოველთაო დაზღვევა გვექნება, ამაში კი მედროშის როლს "ალფა" შეასრულებს", - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

"ალფას" გენერალურმა დირექტორმა ედუარდ ცხოვრებაძემ აღნიშნა, რომ ინდივიდუალური დაზღვევის პროექტი სადაზღვევო ბაზრის მოთხოვნა იყო: "უმუშევარ ადამიანებს არ აქვთ საშუალება, კორპორაციული დაზღვევით ისარგებლონ, ხოლო დასაქმებულთა დიდ ნაწილს არც სახელმწიფო უხდის სადაზღვევო პრემიებს. მიუხედავად იმისა, რომ დღითი დღე იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, რომელთა დაზღვევასაც სახელმწიფო აფინანსებს, მაინც მრავლად არიან ისეთები, ვინც დაზღვევის გარეშე დარჩა. ინდივიდუალური დაზღვევის პაკეტები არსებობს, მაგრამ ისინი საგრძნობლად განსხვავდება "ალფას" სადაზღვევო პაკეტისგან. ჩვენ გთავაზობთ უპრეცედენტო შეღავათს მედიკამენტებზე. 15 და 25-ლარიან პაკეტებში შედის გადაუდებელი ქირურგიული და ამბულატორიული მომსახურებაც. იმედი მაქვს, ეს პაკეტი საქართველოს ბაზარზე დიდ მოწონებას დაიმსახურებს. რაც უფრო მეტი მოქალაქე იქნება დაზღვეული, მით უფრო ძლიერი იქნება სახელმწიფო, წელში გამართული იქნება ოჯახი და დაცული იქნება ინდივიდი".

სახე

პროფესია, რომელიც „ფულიან ხალხს“ სჭირდება

ანუ თინა კანდელაკთან, ქსენია სობჩაკთან და ქეთა თოფურიასთან დაოსტატებული იმიჯმეიკერი

რამდენიმე დღის წინ თბილისში გაიხსნა იმიჯმეიკერთა პირველი სკოლა, რომლის ხელმძღვანელიც ლანა მატახერია გახლავთ. ლანამ ამ სფეროში განათლება მოსკოვში მიიღო და პრაქტიკაც იქაურ ტელეკომპანიებში გაიარა. თუ რომელ ცნობილ ადამიანებთან მუშაობდა და მეგობრობდა და რატომ დაბრუნდა საქართველოში, — ამ ყველაფერზე თავად მოგვითხრობს.

ნათია ჟვანია

— როგორც ვიცი, შენი სტუდენტობის დროს, იმიჯმეიკრეობა არცთუ ისე პოპულარული იყო. რატომ გადაწყვიტე, მაინცდამაინც ეს პროფესია შეგესწავლა?

— თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, 2000 წელს, მოსკოვში, დედასა და ბებიასთან გავემგზავრე (ისინი იქ ცხოვრობენ). ჰოდა, გადავწყვიტე, სტილისტების სკოლაში მესწავლა, რადგან იქ ეს სპეციალობა ძალზე პოპულარული იყო და ცნობილი სტილისტის, ალექსანდრე შევჩუკის მოწაფე

ნამდვილად, არა სჭირს „ვარსკვლავური დაავადება“, ძალზე ლაღი და უბრალოა

გავხდი. სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ჩაგვიტარეს გამოცდა. პირველ ადგილზე გავედი და ეს ჩემთვის ძალზე მოულოდნელი იყო.

— რა გააკეთე გამოცდაზე?

— მოგვცეს ასეთი დავალება — ადამიანისთვის პანკის იმიჯი უნდა შეგვექმნა. ჩემი ტანსაცმელი გადავაკეთე, ჩავაცვი და მაკიაჟიცა და ვარცხნილობაც გავუკეთე. ამაში ყველაზე მაღალი ქულა დამიწერეს და მაშინდელი ჩემი ემოცია არასოდეს დამავიწყდება. ცრემლებიც კი წამომივიდა და პირველ რიგში, დედას დავურეკე. ამის შემდეგ, ალექსანდრემ ასისტენტად ამიყვანა და სადაც თვითონ მიდიოდა, ყველგან მივყავდი. ამაში ხელფასს არ მიხდიდნენ, რადგან ხელი უნდა გამეწაფა. წელიწადზე მეტხანს უფასოდ ვიმუშავე. მერე „ვოგის“ ფოტოგრაფთან, ელენა კულანცოვასთან სამუშაოდ გამგზავნეს. მას მოდელების პორტფოლიოები უნდა გადაეღო, მე კი გოგონებს ვმოსავდი და ვარცხნილობასა თუ მაკიაჟს ვუკეთებდი. ლენას მოვეწონე და შტატში ამიყვანა. მერე ჟურნალებში — „ელენ“ და „მერკური“ ვმუშაობდი. „მერკურიში“ პირველად შევხვდი ქსენია სობჩაკს...

— როგორც ვიცი, მერე ტელევიზიაშიც მუშაობდი...

— თინა კანდელაკი და მე თბილისში მეზობლები ვიყავით და ბავშვობიდან ვმეგობრობდით. მოსკოვის ქართულ ეკლესიაში სრულიად შემთხვევით, თინას დედას შევხვდი. ერთმანეთის ნახვა ძალიან გაგვიხარდა. მას კი ჩემი ამბავი თინასთვის უთქვამს. მერე თინა დამიკავშირდა, თავისთან დამპატიჟა და ტელევიზიაშიც მან მომაწყო. მაშინ კანდელაკს პირადი სტილისტი ჰყავდა და მე მის ასისტენტად დამნიშნეს. მერე უკვე სტილისტს მხოლოდ ტანსაცმელი მოჰქონდა, მაკიაჟსა და ვარცხნილობას კი თინას მე ვუკეთებდი. 2 წლის განმავლობაში მხოლოდ ტელეკომპანია „ეს-ტე-ეს“ პროექტებზე ვმუშაობდი, მერე „დამაშნიზეც“ მიმიწვიეს და შტატში ამიყვანეს. ხალხმა რომ გამიცნო, მერე უკვე უამრავი მიწვევა მქონდა და ბევრ ადამიანთან მიხდებოდა კონტაქტი.

— ფაქტია, რომ შენი პროფესია ძალზე საინტერესოა, მაგრამ ალბათ — რთულიც. როცა ადამიანს სურს, რომ მას იმიჯი შეუცვალო, ამ შემთხვევაში რას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა?

— რა თქმა უნდა, ეს საქმიანობა საკმაოდ რთულია. ის ადამიანები, რომლებთანაც მუშაობა მიხდებოდა, თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან და კარგად იციან, თუ რა უნდათ და რა უხდებათ. ამის გამო, ძალიან ჭირვეულებიც გახლდნენ. საბედნიეროდ, მათ

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს და თან, ჩემი შვილის ნათლიაც არის, მუშაობას რომ ვიწყებდით, იქ ჩვენი ახლობლობა მთავრდებოდა

მოვწონდი და ურთიერთობისას არავისთან პრობლემა არ შემქმნია. ისე კი, მოსკოვში ცხოვრების დროს მიეხვდი, რომ „ვარსკვლავური დაავადება“ ნამდვილად არსებობს, რადგან მათი კაპრიზული ხასიათი სწორედ ამ „დაავადების“ ბრალია. რაც შეეხება იმიჯის შეცვლას, — ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და ყველას სხვადასხვაგვარი მაკიაჟი თუ ვარცხნილობა უხდება. ამ შემთხვევაში, სახის მოყვანილობასა და ნაკვთებს აქვს მნიშვნელობა.

— ასეთ, „ვარსკვლავური სენით დაავადებულ“ ადამიანებთან მუშაობა ალბათ საკმაოდ რთულია...

— მართალი ხარ. თინასთან მუშაობა მართლაც, ძალზე რთულია. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს და თან, ჩემი შვილის ნათლიაც არის, მუშაობას რომ ვიწყებდით, იქ ჩვენი ახლობლობა მთავრდებოდა და მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა გვქონდა. საკმაოდ პრეტენზიულია და თან, მოუსვენარი. მაკიაჟის კეთების განმავლობაში სულ ლაპარაკობს, მოძრაობს და ხელს მიშლის.

— ქსენია რამდენად პრეტენზიულია?

— როცა ქსენიას ჟურნალ „მერკურიში“ შეეხვდი, ის ისეთი ცნობილი არ იყო და მაშინ ცოტა სხვანაირი ადამიანი გახლდათ. კარგად მახსოვს, მაშინ წარბების ფორმა რომ შეეუცვალე, ძალზე კმაყოფილი იყო. მერე უკვე ტელევიზიაში შეეხვდი და საკმაოდ შეცვლილი გახლდათ — უფრო პრეტენზიული იყო. სიმართლე რომ გითხრათ, ქსენია, როგორც ადამიანი, ძალიან მომწონს, რადგან ის სულელი და განებივრებული გოგონა არ არის, მართლა, ძალზე ნაკითხი და ჭკვიანია, თუმცა მასთან მუშაობა ძალზე რთულია.

— თინა და ქსენია მეგობრობენ და მათ ძალზე სკანდალური იმიჯი აქვთ. რეალურ ცხოვრებაშიც ასეთი, სკანდალების მოყვარულები არიან?

— ქსენია აბსოლუტურად ისეთივე სკანდალურია რეალობაშიც. რატომღაც მოსწონს ასეთი ცხოვრება. თინა — არა. ძალიან კეთილი ადამიანია. მას ნამდვილი ქართული ხასიათი აქვს, ტრადიციების მოყვარულია. გარდა ამისა, ძალზე თბილია და როცა თავისუფალი დრო აქვს, ცდილობს, ეს დრო ოჯახსა და მეგობრებს გაუნაწილოს. მოკლედ, ძალიან კარგი ადამიანია.

— როგორ შეგელია, საქართველოში რომ წამოხვედი?

— მის გარშემო კიდევ უამრავი პროფესიონალი ადამიანი მუშაობს. ისე, ხშირად ვურეკავთ ერთმანეთს და სულ მეკითხება, როდის უნდა ჩამოხვიდეო? ძალიან აინტერესებს, რა ხდება საქართველოში და ყველაფერს ვუყვები. ჩემი საქმიანობის შესახებაც მეკითხება და ყველაფერს დაწვრილებით ვუამბობ. მოკლედ, მიუხედავად ჩვენ შორის არსებული მანძილისა, ერთმანეთთან მაინც ახლო კონტაქტი გვაქვს.

— უახლოეს პერიოდში ისიც ხომ არ აპირებს საქართველოში ჩამოსვლას?

— უახლოეს მომავალში მსგავსი გეგმა არა აქვს.

— იქ მყოფ სხვა ქართველებთან არ გქონია საქმიანი ან მეგობრული ურთიერთობა?

— ქეთა თოფურიასთან მიმუშავია და მასთანაც ვმეგობრობ. ძალიან მხიარული და გულღია ადამიანია. მას ნამდვილად, არა სჭირს „ვარსკვლავური დაავადება“, ძალზე ლაღი და უბრალოა. კიდევ, ვალერი მელაძეს შევხვდი რამდენჯერმე. მისთვის კონცერტის დროს გამიკეთებია მაკიაჟი. გარდა ამისა, სვეტა ბონდარჩუკთანაც ვმუშაობდი და რა ვიცი, კიდევ უამრავ სხვა ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ადამიანთან...

— ასეთი აწყობილი კარიერის შემდეგ რატომ გადაწყვიტე, საქართველოში დაბრუნებულიყავი?

— ოჯახური გარემოებების გამო წამოვედი: ჩემი მეუღლე აქ გადმოვიდა და საქმიანობა აქ განაგრძო. ოჯახი რომ შემენარჩუნებინა, მეც აქ უნდა წამოვსულიყავი. ძალიან გამიჭირდა იმ ყველაფრის მიტოვება, თუმცა პერიოდულად მოსკოვში ჩავალ და იქაც ვიმუშავებ. იქაურ ხალხთან საქმიან კონტაქტს ისევ ვინარჩუნებ. ვფიქრობ, ეს მიმოსვლა სასარგებლო იქნება, რადგან ისინი ჩვენზე წინ არინ, სწრაფად ვითარდებიან, შესაბამისად, მათგან ბევრ რამეს ვისწავლი და ყველაფერს ახალს საქართველოში გამოვიყენებ.

— აქ ვინმეს პირად იმიჯმეიკერად გიმუშავია?

— თამუნა ინგოროყვას კოლექციის ფოტოგადაღებების დროს, მოდელებთან ვიმუშავე.

— როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენთან იმიჯმეიკერობა არცთუ ისე პოპულარული პროფესიაა...

— მართალი ხარ, მაგრამ იმიჯმეიკერი აბსოლუტურად ყველა ადამიანს სჭირდება: შოუბიზნესის წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს, მსახიობებს... მოსკოვში ამერიკელები სადიპლომო ფილმს იღებდნენ და თანამშრომლობა შემომთავაზეს. ძალზე საინტერესო სამუშაო იყო. ჯერ სცენარს გავეცანი, შევიტყვე, პერსონაჟები რომელ წლებში ცხოვრობდნენ და ამის მიხედვით ჩავაცვი მსახიობებს და მაკიაჟი-ვარცხნილობა გავუკეთე. კიდევ ერთ მაგალითს მოვიტან: 18 წლის გოგონა იყო, რომელსაც მომღერლობა სურდა. მისი სიმღერები მოვისმინე, გავითვალისწინე, თუ რა სტილში მღეროდა, თან მისმა პროდიუსერებმაც ამიხსნეს, თუ მისგან როგორი მომღერლის „შექმნა“ სურდათ და მის იმიჯზე ვიმუშავე... მოკლედ, ძალზე საინტერესო საქმიანობაა და იმედია, საქართველოშიც მალე გახდება პოპულარული.

— იმიჯმეიკერთა პირველი სკოლა, რომელიც გახსენი, შენი ვარაუდით, წარმატებული იქნება?

— კი, როგორ არა?! იმიჯმეიკერი ძალზე საჭირო პროფესიაა. მაგალითად, მოსკოვში მყავდნენ კლიენტები, რომლებიც მაღალი ფენის წარმომადგენლები იყვნენ. მათ უამრავი ფული ჰქონდათ, მაგრამ ტანსაცმლის შერჩევა უჭირდათ, რადგან იმიჯს თვითონ ვერ აგნებდნენ. მათ მაღაზიებში მივყვებოდით, ტანსაცმელს ვურჩევდით, მერე კი მაკიაჟსა და ვარცხნილობას ვუკეთებდით... ახლა აქაც, ორი ასისტენტი მყავს და როცა ვინმე სადმე მიმიწვევს, მუშაობაში მათ დავიხმარ. გარდა ამისა, ჩვენთან უამრავი ადამიანი მოდის, ვისაც საკუთარ თავზე მაკიაჟის გაკეთების შესწავლა სურს. ჩვენს სკოლაში სწავლის კურსი ერთთვიანია, შემდეგი ერთი თვე კი პრაქტიკას გადიან. თუ ადამიანს რაიმე ღონისძიებაზე წასვლა აქვს დაგეგმილი

ქსენია აბსოლუტურად ისეთივე სკანდალურია რეალობაშიც, რაგომღაც მოსწონს ასეთი ცხოვრება

და ჩვენთან მოვა, მას, ჩაცმით დაწყებული, მაკიაჟითა და ვარცხნილობით დამთავრებული, ყველაფერს გავუკეთებთ და წვეულებაზე ისე გავუშვებთ... ■

ინჟინერ-ეკონომისტი, რომელშიც ესტრადის მომღერალმა ტენორი აღმოაჩინა

ქართველი ტენორი გია ონიანი ამჟამად გერმანიაში მოღვაწეობს. ის სამშობლოს სულ რამდენიმე დღით ესტუმრა. მართალია, ცოტა დრო ჰქონდა, მაგრამ ჩვენთან შეხვედრა მაინც მოახერხა. თუ როგორ გახდა ინჟინერ-ეკონომისტი მსოფლიოში ცნობილი ტენორი და როგორ ცხოვრობს ის საზღვარგარეთ, — ამაზე თავად მოგვიყვება.

ნათია ჟვიკე

— როგორც ვიცი, ამჟამად საქართველოში სულ ცოტა ხნით იმყოფებით. რასთან დაკავშირებით ჩამობრძანდით?

— 26 სექტემბერს, გერმანიაში, ქალაქ ბონის თეატრში იხსნება ბეთჰოვენის ფესტივალი, სადაც სპექტაკლში „ტურანდოტი“ ჩემი დებიუტი შედგება. ეს ერთ-ერთი ურთულესი და უსერიოზულესი პარტიაა, ამიტომ მინდოდა, ჩემს პედაგოგთან, ნოდარ ანდღულაძესთან გამევლო რეპეტიცია. საქართველოში სწორედ ამის გამო ჩამოვედი და ბატონმა ნოდარმა მართლაც, ისეთი „გასაღები“ მომიძებნა, რომ უკვე ვიცი, რა როგორ გავაკეთო. შუა ზაფხულში ჩამოსვლას ვერ მოვახერხებდი, რადგან იტალიაში მაქვს გასტროლები, ამიტომ ახლა ჩამოვედი.

— მომზადება ალბათ, ყოველი ახალი სპექტაკლისთვის გჭირდებათ; რეპეტიციებისთვის ყოველთვის საქართველოში ხომ არ ჩამოდიხართ?

— არის საკითხები, რომლებსაც ტელეფონითაც ვაგვარებ, მაგრამ როცა ასეთი საპასუხისმგებლო პარტია მაქვს შესასრულებელი, მაშინ აუცილებლად ჩამოვდივარ და რეპეტიციებს ბატონ ნოდართან გავდივარ.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, სკოლის დამთავრების შემდეგ, სიმღერას არ გაჰყოლიხართ და სულ სხვა სპეციალობა აირჩიეთ...

— საერთოდ, ყველა ადამიანს აქვს მისია, აქედან გამომდინარე — სფერო, სადაც თავს კომფორტულად გრძნობს და ხვდება, რომ მისი ადგილი იქ არის. სამწუხაროდ, ყველას ის ბედნიერება არა აქვს, რომ თავისი მოწოდების შესაბამისად იცხოვროს... სკოლა რომ დავამთავრე, არჩევანი გაკეთებული არ მქონდა, ამიტომ სადაც ჩემი მეგობრები იყვნენ, მეც იქ წავედი და უნივერსიტეტში, საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩავაბარე, თუმცა ვხვდებოდი, რომ ეს პროფესია ჩემი მოწოდება არ იყო.

— მაშინ უკვე მღეროდით?

— სიმღერის ნიჭი რომ მქონდა, ვიცოდი, მაგრამ კლასიკას არ ვმღეროდი. ჩემს ნიჭს უფრო, მეგობრების წრეში ვავლენდი. გარდა ამისა, იმ პერიოდში უნივერსიტეტის ანსამბლის წევრიც გახლდით. 90-იან წლებში საქართველოში შემოქმედებითი ცხოვრება არ იყო, მაშინ ბრძოლა გადარჩენისთვის მიმდინარეობდა...

— რამ გიბიძგათ იმისკენ, რომ ტექნიკური ფაკულტეტიდან საბუთები კონსერვატორიაში გადაგეტანათ?

— ბავშვობაში მუსიკალურ სკოლაშიც დავდიოდი, მაგრამ იქ სწავლა არ დამისრულებია. მეოთხე კლასიდან, სპორტმა გამიტაცა და ვჭიდაობდი. მერე სპორტის სხვა სახეობებშიც ვცადე ბედი. მოკლედ, ჩემს ადგილს ვეძებდი. ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიმაჩნია. ყველა ადამიანი ასე იქცევა. ახლა ჩემი შვილიც იმავეს აკეთებს და მე არ ვუშლი, რადგან ყველაფერი უნდა სცადოს და ბოლოს იპოვის თავის ადგილს... მაშინ უნივერსიტეტის „კავეენის“ ნაკრებშიც ვიყავი. ერთ-ერთი ჩემი გამოსვლა გია ნაცვლიშვილმა მოისმინა, რომელმაც მითხრა, პროფესია უნდა შეიცვალო, რადგან დანაშაული იქნება ღმერთის წინაშე, თუ სიმღერას არ გაჰყვებიო... იტალიელები ამბობენ: ბედის მატარებელი ერთხელ ჩაივლის, მაშინ უნდა მოასწრო და იმ მატარებელს შეახტე, თუ არა და, მეორედ ან ჩაივლის და ან — არაო. საბედნიეროდ, მე ამ მატარებელზე შეხტომა მოვასწარი და კონსერვატორიაში განვაგრძე სწავლა. ამ გადაწყვეტილებამ მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა.

— თქვენი პირველი გასტროლი თუ გახსოვთ?

— სიმართლე თუ გაინტერესებთ, პირველი გასტროლი გალში მქონდა. მაშინ ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ანსამბლში ვმღეროდი. გალის რაიონში, სოფელ ზემო ბარლებში ცნობილი ლოტბარის, არჩილ ხვიტიას შემოქმედებითი საღამო გაიმართა, სადაც ჩვენც ვმონაწილეობდით. ის დღე ძალიან ტკბილად მახსენდება. მით უმეტეს, ახლა, როცა აფხაზეთი დროებით, ჩვენი აღარ არის. კლასიკა კი პირველად მიუნხენში ვიმღერე, მაგრამ ეს გასტროლი არ ყოფილა, — იქაურ ასპირანტურაში ვაბარებდი. იქ გასამგზავრებლად თანხა არ მქონდა და დღევანდელი პარლამენტარი, გოგი ლიპარტელიანი დამეხმარა. მაშინ ის ბიზნესმენი იყო. რომ ჩავსულიყავი და სწავლის პარალელურად მემუშავა, ვერაფერს გავაკეთებდი. თუ რაიმეს მივაღწიე, გოგი ლიპარტელიანის დამსახურებაა. მან ჩემი ბედი განსაზღვრა და მის მიმართ დიდი მადლიერების გრძნობა მაქვს.

— საქართველოში ოპერა არც ისეთი პოპულარულია, როგორც ევროპის ქვეყნებში. იქ უამრავი პროფესიონალი მომღერალია. ალბათ ძნელი იყო, მათ შორის ადგილის დამკვიდრება. ეს როგორ მოახერხეთ?

— საქართველოში ოპერის მომღერლებს უფრო სხვა კრიტერიუმებით აფასებენ, ვიდრე საზღვარგარეთ. მე ქართველ პუბლიკაზე მორგებული წავედი თბილისიდან. რითიც აქ მაყურებელზე ეფექტს ვახდენდი, იქ ეს თვისებები არ გამომადგა. მერე დავაკვირდი, თუ რითი განსხვავდება ჩვენი მაყურებელი იქაური პუბლიკისგან...

— რითი განსხვავდება?

— თუ კარგად მღერი, ქართველი მაყურებელი ყველაფერს გაპატიებს. იქ მხოლოდ სიმღერა არ არის საკმარისი — დრამატული მსახიობიც უნდა იყო. რაოდენ კარგადაც უნდა მღეროდე, თუ სპექტაკლისთვის საჭირო ტიპი არა ხარ, არავინ მიგიღებს. მე კი სცენაზე გაზრდილი არ ვიყავი. შედეგისთვის მალე უნდა მიმეღწია, ამიტომ ძალიან ბევრს ვმუშაობდი საკუთარ თავზე და რამდენიმე თვეში შედეგსაც მივაღწიე. საქართველოდან 2001 წლის ოქტომბერში გავემგზავრე და 2002 წლის ოქტომბერში უკვე ლა-სკალას

სცენაზე მთავარ პარტიას ვმღეროდი. მიუნხენში რომ მივდიოდი, მაშინ ამაზე ვერც კი ვიოცნებებდი.

— ახლა უკვე თქვენი აგენტიც გყავთ, არა?

— რა თქმა უნდა. ლა-სკალას სცენაზე გამოსვლის შემდეგ ამ სფეროს ადამიანებმა გამიცნეს, აგენტები დამიკავშირდნენ. აგენტი ყოველთვის მყავდა, მაგრამ პერიოდულად ვიცვლი, რადგან თითოეულ მათგანს თავისი არეალი აქვს. არ მინდა, სულ ერთი და იმავე ქვეყანაში მქონდეს კონცერტები. მინდა, ჩემი ცხოვრება უფრო საინტერესო იყოს, ამიტომ, ერთ აგენტთან იმიტომ ვიყავი, რომ ის ლათინურ ამერიკაში მუშაობდა, მეორე — აზიაში და ა.შ. ამის მიხედვით ვიცვლი მათ და უამრავი ქვეყნის კულტურას ვეცნობი.

— როგორც ვიცი, ვიდრე პროფესიონალ მომღერლად ჩამოყალიბდებოდით, უამრავ კონკურსში მონაწილეობდით...

— მართალია. სულ 4 კონკურსში მივიღე მონაწილობა და ყველა მათგანში გავიმარჯვე. ფესტივალებში მონაწილეობა სახელის მოხვეჭისთვის არის საჭირო. მერე კი ამის დროც აღარ გრჩება. ახლა კი, რომელიმე ფესტივალზე რომ გავიდე, სირცხვილიცაა. ამით ხალხი გაღიზიანდება.

— მიუნხენის შემდეგ ლა-სკალაში 4 წლის განმავლობაში მუშაობდით. როგორ მოხვდით იქ?

— ასპირანტურაში სწავლის დროს მილანიდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ვერდის ოპერისთვის ტენორს ეძებდნენ. მაშინ ასპირანტურის მხოლოდ ერთი წელი მქონდა დახურული. არჩევნის წინაშე დავდექი: ან სწავლა უნდა გამეგრძელებინა, ან იტალიაში წავსულიყავი. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი ვარჩიე. მით უმეტეს, რომ იტალიაში უკეთეს პირობებს მთავაზობდნენ. ორწლიან სტაჟირებაზე უნდა ვყოფილიყავი და თან, სტიპენდიასაც გადამიხდიდნენ. მიუნხენში კი სტიპენდია არ იყო. მიუნხენში მითხრეს, — ოღონდ ნუ წახვალ და სტიპენდიას დაგინიშნავთო, — მაგრამ უარი ვთქვი. მერე მითხრეს, — ერთადერთი ადამიანი ხარ, რომელმაც თავისი სურვილით დაწერა განცხადება თხოვნით, სასწავლებლიდან გამრიცხეთო. ამ ფაქტის სამახსოვროდ, ფოტოც კი გადამიღეს.

— ახლანდელი გადასახედიდან, ფიქრობთ, რომ მაშინ სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ?

— რა თქმა უნდა. ყველა მომღერლისთვის მილანი და ლა-სკალას სცენა საოცნებოა. ორწლიანი სტაჟირება გავიარე, მერე კი იქ სამუშაოდ დავრჩი. იტალიაში სულ 4 წელი ვიცხოვრე. იმ პერიოდში იქ დათო საყვარელიძეც ცხოვრობდა, რომელთანაც ძალიან ვმეგობრობდი. ამასობაში, თბილისში „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, ქვეყანაში უამრავი რამ შეიცვალა, საზღვარგარეთ მცხოვრები სპორტსმენები და მომღერლები საქართველოში დაბრუნდნენ. ნინო ანანიაშვილიც იმ დროს დაბრუნდა სამშობლოში. დათო ოპერის ხელმძღვანელად დანიშნეს. მეც სწორედ მაშინ შემომთავაზეს აქ ჩამოსვლა, თან დამპირდნენ, რომ ნორმალური ხელფასი მექნებოდა. მაშინვე დავთანხმდი და ჩამოვედი, რადგან მიყვარს ჩემი ქვეყანა, თუმცა იქაურ კონტრაქტებსა და კონტაქტებზე უარი არ მითქვამს და პერიოდულად, იქაც ჩავდიოდი და ჩემს შემოქმედებით საქმიანობას ვაგრძელებდი. მერე შევიტყვე, რომ ოპერის თეატრში სარემონტო სამუშაოები უნდა დაწყებულიყო და 3-4 წელი იქ ვერანაირი სპექტაკლი ვერ დაიდგმებოდა. ისევ წასვლა გადავწყვიტე. თან, იმ დროს გერმანიაში, „ტრუბადურში“ ვმღეროდი. მაშინ არც ვიცოდი, რომ ბონის თეატრიდან ჩემს მოსასმენად ჩამოსულიყვნენ. რეპეტიციის შემდეგ კი შემომთავაზეს, მათთან მემუშავა. მაშინ უარი ვუთხარი, — ორ თეატრში ერთდროულად ვერ ვიქნები-მეთქი. მერე ჩემს მეგობრებთან — პაატა ბურჭულაძესა და ლადო ათანელთან კონსულტაციები გავიარე. მათ მითხრეს, — შენი პირობები უთხარი, იქნებ გთანხმდებიანო. ასეც მოვიქეცი. რა თანხასაც სხვა მომღერლები იღებენ, ორმაგი მოვითხოვე. გარდა ამისა, ვუთხარი, რომ თუ წლის განმავლობაში, კონტრაქტის პირობებით გათვალისწინებულ კონცერტზე მეტს ჩავატარებ, იმისთვისაც ჰონორარი უნდა გადამიხადონ, საცხოვრებელი პირობები უნდა მომცენ და ა.შ. მოკლედ, რაც თავში აზრად მომივიდა, ყველაფერი ვუთხარი. სიმართლე გითხრათ, სულაც არ ველოდი, რომ ასეთ პირობებზე წამოვიდოდნენ, მაგრამ დამთანხმდნენ და უარს ხომ ვეღარ ვეტყოდი?! ასე გადავსახლდი ისევ გერმანიაში.

— ორიოდე სიტყვით თქვენს ოჯახზეც მიამბეთ.

— ჩემი მეუღლე, ხათუნა წიკლაური უნივერსიტეტში სწავლისას გავიცანი და მალევე დავოჯახდით. ის მომღერალს არ გაჰყოლია ცოლად — ინჟინერ-ეკონომისტს მისთხოვდა (*იცინის*)... ჩემმა შემოქმედებითმა გზამ მის თვალწინ ჩაიარა. რომ არა მისი დახმარება, ამდენს ნამდვილად, ვერ მივაღწევდი. მომღერალს ისეთი ხელშეწყობა სჭირდება, თუ მას ოჯახი არ დაეხმარება, წარმატებას ვერ მიაღწევს. გარდა ამისა, ჩემს ცოლს ძალიან კარგი სმენა აქვს. სიმართლეს ყველა როდი გეტყვის, მეუღლე კი, რაც უნდა გულსატკენი იყოს, ყველაფერს გულახდილად გაგიზიარებს. მის შენიშვნებს ყოველთვის ანგარიშს ვუწევ, რადგან პროფესიონალის კი არა, ჩვეულებრივი მსმენელის აზრი უფრო მაინტერესებს. დარბაზში მუსიკის მცოდნე 5-10% თუ იქნება, დანარჩენი — ჩვეულებრივი ხალხია. ამიტომ პუბლიკასთან ურთიერთობას ჩემი ცოლის მეშვეობით ვამყარებ. 2 შვილი მყავს, ქალ-ვაჟი: ბიჭი 15 წლისაა, გოგონა კი — 5-ის.

— როგორია „გერმანული“ ცხოვრება?

— ძალიან ცივილიზებული და თბილი ხალხია. მათთან, ჩემი წარმომავლობის გამო, დისკომფორტი არ შემქმნია. იქ ჩემი ფან-კლუბიც კი მაქვს, რომლის წევრებიც არც ერთ ჩემს სპექტაკლს არ აცდენენ. სპეციალურად მათთვის სოლო კონცერტიც კი გავმართე. იტალიაში ასე არ იყო: ჩემი წარმატების გამო ბევრი ღიზიანდებოდა. გერმანიაში კი პირიქითაა.

— იქაურ ქართველებთან თუ გაქვთ ურთიერთობა?

— რა თქმა უნდა! ჩემს თეატრში კიდევ ერთი ქართველია, რომელსაც სამშობლოში არ იცნობენ. მან პირველად აქ, საახალწლო კონცერტზე იმღერა. ის რამაზ ჩიკვილაძე გახლავთ. ვმეგობრობთ. კარიერა იტალიაში დაიწყო, მერე საფრანგეთში მღეროდა და ბოლოს ისე მოხდა, რომ ბონში შევიყარეთ. ორივე, ნოდარ ანდღულაძის აღზრდილები ვართ, შესაბამისად, კარგა ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ და ვმეგობრობთ. გარდა ამისა, იქ ერთ კორპუსშიც ვცხოვრობთ. დანარჩენ ქართველებს კი ქართულ ეკლესიაში ვხვდები ხოლმე.

— საქართველოში არ გიწვევენ ხოლმე?

— უკვე 2 წელია, აქ არ მიმღერია, რადგან თვითონ სად იმღერონ, ის არ იციან... საზღვარგარეთ სამუდამოდ კი არ წავსულვარ. ჩემი ფესვები მაინც აქ არის და სამშობლოში დავბრუნდები. სულ სტუმრად ხომ ვერ ვიქნები?! მე საქართველოს მოქალაქე ვარ და მოქალაქეობას არასოდეს შევიცვლი. ჩემი ქვეყანა მიყვარს და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ჩემი შემოქმედებით, ჩემი ქვეყანა მსოფლიოში წარმოვაჩინო.

■

რატომ უჩივლეს პაატა გულიაშვილსა და ნინო არაზაშვილს

ვისი „მოკვლით“ იმუქრება შოუმენი

ბევრი იარა თუ ცოტა, „მზის დარტყმიდან“ „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემაში ამოყო თავი. იქაც „ფარული კამერის“ ფორმატის ჩანართზე, სახელწოდებით — „გამატელევიზორეს“ — მუშაობს... თურმე ბავშვობაში, იმის გამო, რომ ისეთი ოხუნჯობები უყვარდა, როგორსაც „მზის დარტყმაში“ აკეთებდა, მეტსახელად — „აფიიროვიჩი“ შეურქმევიათ, მაგრამ ამბობს, რომ დღეს ეს სახელი აღარ შემორჩა. სამაგიეროდ, კვლავაც ისეთივე ოხუნჯობის ხალისი და განწყობილება აქვს, როგორსაც კვირაში ორჯერ დილის ეთერში გვთავაზობს. პაატა გულიაშვილს, მსახიობობის პარალელურად, შოუმენობა საუცხოოდ გამოსდის და ამიტომაც, ნინო არაზაშვილმა — „რუსთავი 2“-ის დილის პროგრამის მთავარმა პროდიუსერმაც თავის გადაცემაში მიიწვია...

ლალი ფაცია

— სულ თავიდან დავიწყოთ: როგორ გაიცანით ერთმანეთი?

პაატა:

— დაახლოებით 10 წლის წინ „თავისუფალ თეატრში“, ვამპილოვის პიესის („იხვებზე ნადირობა“) მიხედვით დადგმულ სპექტაკლში კოსტიას როლს ვთამაშობდი. პრემიერის დღეს ნინო გარეთ დამხვდა და ინტერვიუ ჩამომართვა. უნდა გენახა, როგორი აღფრთოვანებული ვიყავი!.. ასე რომ, ეკრანზე პირველი გამოჩენა ანუ ჩემი შემოქმედების ტელეეკრანზე წარმოჩენა ნინოს უკავშირდება...

ნინო:

— ვამპილოვის ეს პიესა ბავშვობაში მშობლებთან ერთად, ბათუმის თეატრში მქონდა ნანახი. როდესაც დილის გადაცემაში ამ სპექტაკლის გაშუქება გადავწყვიტეთ (მაშინ კორესპონდენტი გახლდით), ვთქვი, — ეს პიესა კარგად ვიცი და სპექტაკლზე მე წავალ-მეთქი... უეცრად პატარა, უსაყვარლესმა, ნიჭიერმა მსახიობმა 3 წუთის განმავლობაში სცენაზე საოცარი ცეცხლი დაანთო და დარბაზი ტაშისგან დაინგრა. ჰოდა, მისით მეც დავინტერესდი და სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, სანამ საგრიმიოროდან გამოვიდა, იქიდან ფეხი არ მომიცვლია. ახალგაზრდა მსახიობს შესანიშნავი როლი ჰქონდა და მისი კომენტარი რეპორტაჟში როგორ არ ჩავსვა-მეთქი?!. პაატა შენობიდან სულ ბოლოს გამოვიდა. მაშინ — არა და, ახლა მინდა ვკითხო: საგრიმიოროში ამდენი ხანი რას აკეთებდი?

პაატა:

— როდესაც დამწყები მსახიობი ხარ და, მით უმეტეს, სპექტაკლში მთავარი როლი არ გაქვს, პრემიერაზე იმაზე არასდროს ფიქრობ, რომ გარეთ შეიძლება, კორესპონდენტი დაგხვდეს: ჟურნალისტები უმეტესად, კომენტარს რეჟისორებსა და მთავარი როლების შემსრულებლებს სთხოვენ. ამიტომ, მეც კოსტიუმი ნელ-ნელა გამოვიცვალე და თეატრის შენობა მშვიდად დავტოვე... იმ ინტერვიუს შემდეგ უნდა გენახა, რა გაჭიმული დავდიოდი! სულ რაღაც 22 წლის ბიჭი ვიყავი...

ნინო:

— კარგა ხანი არ გამინელდა მასზე შექმნილი შთაბეჭდილება. მეორე დღეს დუტას დავურეკე და გავუზიარე ჩემი შეხედულება ახალგაზრდა, ნიჭიერი თელაველი მსახიობის შესახებ. რა თქმა უნდა, დუტა პაატას იცნობდა...

— დღეს კი ორივე ერთ კომპანიაში, ერთ გადაცემაზე მუშაობთ. როგორ მოხდა ეს?

პაატა:

— როგორც ჩანს, დიდმა სიყვარულმა და პატივისცემამ, რომელსაც იმ დღიდან მოყოლებული, ნინოს მხრიდან მუდმივად ვგრძნობდი, საბოლოოდ, ჩვენი თანამშრომლობაც განაპირობა... ერთხელაც, საქმიანი წინადადებით დამირეკა და თანამშრომლობა შემომთავაზა. ძალიან გამიხარდა, რადგანაც როდესაც ტელეკომპანიებიდან („მზე“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“) წამოვედი, გარკვეული პერიოდის მანძილზე, ტელევიზიაში აღარ ვმუშაობდი. ჰოდა, ნინოს წყალობით, „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემაში მოვხვდი. შეიძლება ითქვას, ოცნება ამიხდა, რადგანაც ამ ტელეკომპანიაში მუშაობის სურვილი ყოველთვის მქონდა.

ნინო:

— გასულ ზამთარს გადაცემაში სიახლის შეტანა გადავწყვიტე და სეზონის დასრულებას აღარ დაველოდე. შევედი გენერალურ დირექტორთან — გოგი გეგეშიძესთან და ვუთხარი, — დილის ეთერში „ფარული კამერის“ შემოღება მინდა და ამისთვის პაატა გულიაშვილს უნდა დავურეკო-მეთქი. ჩემი იდეა დირექტორს მოეწონა და დამთანხმდა... მიხარია, რომ დღეს პაატა ჩვენთან მუშაობს.

— თქვენს ახალ რუბრიკას — „გამატელევიზორეს“ სახელი როგორ შეურჩიეთ?

ნინო:

— სახელწოდებაზე ბევრი ვიმსჯელეთ. დაფაზე დაახლოებით 56 სიტყვა მაინც ჩამოვწერეთ... მუშაობის პროცესში ვიყავით, ოთახში ოპერატორი — ბაქარ შარაშენიძე რომ შემოვიდა, უეცრად წამოიძახა — „გამატელევიზორეს“! მაშინვე მივხვდით, რომ ეს ის სიტყვა იყო, რომელსაც ვეძებდით... საბოლოოდ, ძალიან მხიარული რუბრიკა გამოგვივიდა... თუ ადრე პაატას მთავარი სამიზნე — ცნობილი ადამიანები იყვნენ, ახლა ის ქუჩაში გამვლელებს, სრულიად უცხო ადამიანებს უგებს „მახეს“.

პაატა:

— ხალხი ხომ უმეტესად, ისეთ ადგილებში იყრის თავს, სადაც კვების ობიექტებია. ჰოდა, ვცდილობ, მეც იქ გადავიღო სიუჟეტის მასალა. ახალი სამუშაო სახალისო აღმოჩნდა... თუმცა ცოტა საჩოთიროა ის, რომ არ იცი, გამვლელი როგორი ფსიქოტიპისა თუ ხასიათის ადამიანი აღმოჩნდება... ამის გამო ქუჩაში სულ გაღიმებული სახით სიარული მიწევს...

— ცნობილი ადამიანების „გატელევიზორებას“ აღარ აპირებ?

— კი, გეგმაში ესეც არის და პოპულარული ადამიანები მაინცდამაინც მშვიდად ნუ იქნებიან, რადგანაც ცუდი აზრები მომდის თავში...

— რითი ემუქრები?

— დიდი-დიდი, გვერდით ვიღაც „მოვუკლა“. ოღონდ, იმ ვიღაცას ეს წინასწარ ეცოდინება...

— შენ მიერ დაგებული ყველაზე სახალისო ან იქნებ უცნაური „მახე“ შეგიძლია, გაიხსენო?

— ასეთი სცენარი იყო: ქუჩაში გამვლელისთვის მობილური ტელეფონი უნდა გვეთხოვა და მასზე საუბარი გაგვება... როდესაც საქმეს შევუდექით, ერთ-ერთი

ქალბატონი ძალიან აღშფოთდა (როგორც ჩანს, მას ანგარიშზე საკმარისი თანხა არ ჰქონდა). მოკლედ, ფიცხი ქალბატონი აღმოჩნდა. ჩვენს მსახიობს დაებღაუჭა და ტელეფონი გამოჰგლიჯა ხელიდან... ეს რომ დავინახე, უცებ მანქანიდან გადმოვხტი და გაღიმებული სახით მივუახლოვდი. მან ჩანთა კბილებში ისე მითავაზა, რომ გული შემიწუხდა. ვუთხარი, — ქალბატონო, გეხუმრეთ, რას მიშვრებით-მეთქი?!. მაინც ვერაფერი შევასმინე; ქვეყანა შეძრა და ბოლოს გვიჩივლა კიდეც, მაგრამ ვერაფერს გახდა... არადა, მისთვის შეურაცხყოფა ხომ არ მიგვიყენებია?! ტელეფონი საკუთარი ნებით მოგვცა...

— პაატა, რუსთაველის თეატრის მსახიობი ხარ. შენი შოუმენობა ბატონ რობერტ სტურუას თუ მოსწონს? ხომ არ გსაყვედურობს ხოლმე?

— ცოტა ხნის წინ ბატონმა რობიკომ მოსკოვიდან დამირეკა (იქ სპექტაკლს დგამს) და მითხრა, — შენს ახალ პროექტს ვუყურე და ბევრი ვიცინე, მაგრამ სანამ ვინმე არ მოგკლავს, მაგ საქმეს არ მოეშვებიო?! მის ასეთ ზარს ნამდვილად არ ველოდი...

ნინო:

— პაატას თანაავტორად, თავისი მეგობარი — დევი დევიძე ჰყავს. ორივე, „მზის დარტყმაზე“ მუშაობდა. აქაც ერთად წერენ სცენარებს...

პაატა:

— საკმაოდ შეკრულ გუნდთან ერთად მიწევს მუშაობა, რითაც ბედნიერი ვარ.

— ცნობილია, რომ მსახიობების უმრავლესობას, ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, დილით ძილი უყვარს. დილის გადაცემაში რომ მუშაობ, ადრე ადგომა არ გიჭირს?

— როცა საქმე მომწონს და სიამოვნებას მანიჭებს, ის ჩემთვის სირთულეს არ წარმოადგენს. ამასთან, როდესაც ადამიანების თანადგომასაც გრძნობ, ესეც ძალზე მნიშვნელოვანია.

— ნინო არაზაშვილი მკაცრი შეფია?

— გაბრაზებულიც მინახავს, მაგრამ ისეთი — არა, რომ საოცარი სიმკაცრე გამოევლინოს. უპირველესად, მეგობრები ვართ... მე საყვედურებს საერთოდ არ მაძლევს...

ნინო:

— არ მახასიათებს თანამშრომლებისთვის საკუთარი აზრების თავს მოხვევა, ჩემს მოსაზრებას მათ ყოველთვის რჩევის სახით ვთავაზობ... სხვათა შორის, პაატა საოცრად პუნქტუალური ადამიანია. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დატვირთულია (სპექტაკლები, რეპეტიციები), მის მიერ ჩაგდებული დღე არ მახსოვს. მივესალმები იმასაც, რომ თეატრში მუშაობს — მსახიობობა ხომ მისი მთავარი პროფესიაა! ამიტომ, მასთან დათმობაზე ყოველთვის მივდივართ, მაგრამ ამით ცუდად არასდროს უსარგებლია.

პაატა:

— ამ გუნდში სამუშაოდ რომ მოვედი, მაშინვე გავუკეთე ორგანიზება იმას, რომ ყველას ერთად, სუფრასთან თითო ჭიქა აგვწია, რადგანაც ადამიანი ყველაზე მეტად, მგზავრობისას ან სუფრასთან იცნობა.

— მერე სად მოხდა თქვენი შეხვედრა?

— ახალი თანამშრომლები დედოფლისწყაროში, მეგობართან (ერთ კარგ კახელ კაცთან, რომელსაც მეტსახელად, შხუილას ეძახიან) წავიყვანე.

ნინო:

— საოცარი სუფრა დაგვახვედრეს. სიღნაღიდან ფოლკლორული ანსამბლი ჰყავდათ ჩამოყვანილი, რომელიც სუფრას მუსიკალურად „აფორმებდა“. მშვენიერი დრო გავატარეთ. იყო სიცილი, ხუმრობა და ანეკდოტები უზღვავი რაოდენობით.

— მოდი, ჩვენც გაგვახალისეთ და ანეკდოტები მოგვიყევით...

პაატა:

— კახელი ინტიმურ ტელეფონზე რეკავს: ალო! — გისმენთ! — პასუხობს ქალბატონი. — როგორ დავდგე? ბიუსტჰალტერი გავიხსნა? — ქალო, ბიუსტჰალტერი კი არა, საქმე მალე დაამთავრე, სახლში პური წამაიღე, სტუმრები მოგვივიდნენო (თურმე ქმარი ცოლს „სამსახურში“ შეეხმიანა).

ნინო:

— ანეკდოტს კი არა, ნამდვილ ამბავს მოგიყვებით, რაც იმ სუფრასთან მოხდა: თამადას სუფრის ერთ-ერთი წევრის ტელეფონის ზარი ლაპარაკში ხელს უშლიდა. ბოლოს ველარ მოითმინა და უთხრა: მაიტა, გააჩერე ტელეფონი! — როგორ გავაჩერო? ზარს ველოდებიო! — კაცო, ადექი და „ჩუმზე“ დააყენეო!..

ცნობილი ამბავია, რომ გურჯაანელები თელაველებს იმთავითვე ექიშპებიან. ჰოდა, გურჯაანელებმა ყოყლოჩინობა იმით გამომაჟღავნეს, რომ თქვეს: ერეკლე მეფე გურჯაანელი იყო, „პროსტა“ თელავში ჰქონდა „სამსახურიო“...

— მოდი, მოკლედ დაახასიათეთ ერთმანეთი — მოხაზეთ შტრიხები ერთმანეთის პორტრეტებისთვის...

— პაატა ნიჭიერი, მაგრამ არაზარმაცი ადამიანია, რაც ჩვენში ცოტა იშვიათობაა. საქმის კეთების პროცესში იმაზე მეტად ნერვიულობს, ვიდრე ეს დასაშვებია. საოცრად გალანტური, ალალი და კეთილია. სადაც უნდა მუშაობდეს, იმაზე ფიქრობს, თანამშრომლები გაახალისოს. მაგრამ ყოველთვის ანეკდოტების მოყოლის ხასიათზე როდია. სხვა თუ არაფერი, კაცს სახლი არა აქვს და ამის გამო, უამრავი საფიქრალ-საზრუნავი აწუხებს, მაგრამ ამას არასდროს იმჩნევს. ყველა სიტუაციაში ობიექტური და სამართლიანია. მოკლედ, გემრიელი, კახური „ფუნთუშაა“!..

— ეგ როგორ? კახური „ფუნთუშაც“ არსებობს?!

— კი, და ეს არის პაატა გულიაშვილი...

პაატა:

— ნინომ ისე დამახასიათა, მომავალ არჩევნებზე თამამად შემიძლია, კენჭი ვიყარო... ახლა მე ვიტყვი: ჩვენ შორის მსგავსება იმაშიც არის, რომ სახლი არც ნინოს აქვს...

— მოკლედ, ორი უბინაო ადამიანისთვის მომიგნია...

— კი... ნინოს აქვს უნარი, თავი შეგაყვაროს. იცის ერთი მაგარი ფრაზის — „მე შენ ძალიან მიყვარხარ!“ — თქმა, რაც საოცარ სტიმულს გაძლევს. შეუძლებელია, ასეთ ადამიანს ოდესმე ვუღალატო...

— პაატა, ვიცი, რომ პრემიერისთვის ემზადები...

— დიახ, რუსთაველის თეატრში ვმუშაობთ სპექტაკლზე — „დაბოლილი მთვარე“. ირაკლი სამსონაძის პიესა გახლავთ და მას გოგა თავაძე დგამს. სახალისო კომედიაა და სამუშაოდ, მსახიობების (ნინო კასრაძე, ზალიკო ჩიქობავა, დათო დარჩია, ნანუკა ხუსკივაძე) მაგარი ჯგუფია შეკრებილი. მათთან არასდროს მითამაშია...

— ნინო, უახლოეს მომავალში დილის გადაცემაში რა სიახლეებია მოსალოდნელი?

— ერთი თვის წინ პროექტ „ნიჭიერის“ ილუზიონისტები — დათო რობაქიძე და ავთო გოგეშვილი შემოგვემატნენ და ოთხშაბათობით, რამდენიმე წუთის განმავლობაში, თავიანთი ხელოვნებით მაყურებელს აოცებენ. კარგი ბიჭები არიან... მომდევნო სეზონისთვის ჩვენი არხი ახალ შენობაში გადადის. შესაბამისად, ახალი სტუდიაც გვექნება. დეკორაციაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. ახალ სეზონში მაყურებელს ბევრ ახალ რუბრიკას შევთავაზებთ, ოღონდ ყველაფრის წინასწარ თქმა არ მინდა...

— კარგი, წარმატებებს გისურვებთ!

დავით გიორგობიანი „მონანიებიდან“ — „ქრისტეს მიმდევრებამდე“

„კინემატოგრაფი კათარზისს, ადამიანების განწმენდას უნდა ემსახურებოდეს“

მსახიობმა დავით გიორგობიანმა სხვადასხვა საინტერესო პერსონაჟით დაამახსოვრა თავი მაყურებელს. „ქართლოსიანთა საკურთხეველი“, „დიმიტრი II“, „წიგნი ფიცისა“, „მონანიება“ და „ვამეხი მოდის“ — ის ქართული ფილმებია, რომლებშიც მსახიობი გასული საუკუნის 80-იან წლებში მონაწილეობდა. ბოლო პერიოდში კი ის მოსკოვში ცხოვრობს და მართლმადიდებლური სასწაულების შესახებ დოკუმენტური ფილმების გადაღებითაა დაკავებული.

თამთა დადეშელი

— ბატონო დავით, სანამ თქვენს კარიერასა და დღევანდელ საქმიანობაზე ვისაუბრებთ, თქვენს ბავშვობაზე გვიამბეთ.

— 5 წლის ვიყავი, როცა დედამ გიტარაზე დაკვრა მასწავლა და ისე კარგად გამომდიოდა, მგონი, ბავშვობაში ესტრადაზე რომ მეფიქრა, კიდეც მივაღწევდი რამეს (*იცინის*). პირველ კლასში მუსიკალურ სკოლაში წამიყვანეს, გამოცდა ფორტეპიანოზე უნდა ჩამებარებინა, მაგრამ იქ ცნობილმა ვიოლონჩელისტმა — ილარიონ ჭეიშვილმა რომ მნახა, ჩემი სმენა, თითები მოეწონა და, — მოწაფედ უნდა ავიყვანო და ჩემებურად აღვზარდოო, — თქვა. წარმოდგენა არ მქონდა, რა იყო ვიოლონჩელო და დავთანხმდი. 3 წელი „მახერხინეს“ ვიოლონჩელო და ვერ „გადავხერხე“ — არ იყო ეს ჩემი მოწოდება. მძიმე ინსტრუმენტს ძლივს დავათრევდი „ნიჭიერთა ათწლეულიდან“ მთაწმინდამდე, ჩემს სახლამდე, თან — 300 წლის, ანტიკვარული საკრავი იყო და მაფრთხილებდნენ, არ უნდა გაგიტყდესო. ბოლოს ჩემს ბიძაშვილს შემთხვევით შემოატყდა, როცა ვჭიდაობდით და მეც მეშველა (*იცინის*)... შემდეგ, უკვე თვითონ ვისწავლე ფორტეპიანოზე დაკვრა და დღემდე, რაც გამიხარდება, სმენით ვუკრავ.

— საინტერესოა, როდის გაგიჩნდათ სურვილი, მსახიობი გამხდარიყავით და რამ განაპირობა ეს?

— VI კლასში რომ ვსწავლობდი, მეზობელმა გოგონამ მთხოვა, მაშინდელ პიონერთა სასახლეში მოქმედ დრამატულ წრეში ჩასაწერად წავყოლოდი. როცა გაგვსინჯეს, ის დაიწუნეს, მე კი მიმიღეს. ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, გზაში სულ ბოდიშს ვუხდიდი... პირველივე სპექტაკლში — „დაბადება“ — მთავარი როლი მომცეს. მასში აკაკი ხიდაშელიც მონაწილეობდა. მოკლედ, ძალიან „გამიტკბა“ ეს მთავარი როლები და მსახიობობა მომეწონა. შემდეგ, არტოს ბაღში გადავედით, სადაც დავდგით — „ძვირფასი ბიჭუნა“, „ფიფქია და 7 ჯუჯა“ და ბევრი სხვა საბავშვო სპექტაკლი. თეატრალურ ინსტიტუტში პირველ წელს არ მიმიღეს, ამიტომ, მარჯანიშვილის თეატრში სცენის მუშად დავიწყე მუშაობა, რომ სტაჟი დამეგროვებინა. მასობრივ სცენებშიც ვმონაწილეობდი. მერე ვასო გოძიაშვილს დავუმეგობრდი და მან მომამზადა მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად, თავისი სიმღერაც შემასწავლა — „წმინდა სამრეკლო“ და თვითონაც ძალიან სიამოვნებდა, კარგად რომ ვმღეროდი. არ დამავიწყდება, როგორ გალანძღა ტელეფონით ის ადამიანი, ვინც თეატრალურში არ მიმიღო... მეორე წელს, უკვე სტაჟიც მქონდა, კარგადაც გამოვედი და მიმიღეს.

— მარჯანიშვილის თეატრში მუშაობის პერიოდი როგორ გაგონდებათ?

— სცენის მუშად მუშაობა და მძიმე დეკორაციების თრევა ძალზე მტანჯველი იყო, მაგრამ ის პერიოდი მაინც იმდენად კარგად მახსენდება, რომ ახლა სახლიც კი ვიყიდე თეატრთან ახლოს და იქ მინდა ვიცხოვრო — ძალიან მიყვარს ეს ადგილი.

— თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას რომელ სპექტაკლებში მონაწილეობდით?

— პირველ კურსზე, „რომეო და ჯულიეტაში“ მასობრივ სცენაში ვიყავი, გიტარაზე ვუკრავდი და ვმღეროდი. ერთ დღეს კი პარისის როლის შემსრულებელი არ მოვიდა და მის მაგივრად მე „შემაგდეს“ სცენაზე. თან გრიმს მიკეთებდნენ, თან ტექსტს ვიმახსოვრებდი. მარინა ჯანაშიასთან ერთად ვითამაშე. მთავარი როლი მქონდა სპექტაკლში — „ორფეოსი ჯოჯოხეთში ეშვება“; სადიპლომო სპექტაკლში — „მთვარის მოტაცება“ — თარაშ ემხვარი განვასახიერე და ამ სპექტაკლით მთელი კურსი რუსთავის დრამატულ თეატრში მიგვიღეს. ჩვენი პედაგოგი გიზო ჟორდანია იყო, ზოგჯერ მას ლევან მირცხულავა ცვლიდა, რაღაც პერიოდი კი ლილი იოსელიანიც გვასწავლიდა.

— რუსთავის თეატრში რამდენ ხანს იმუშავეთ?

— 8 წელი. მერე კი საერთოდ მივატოვე თეატრი. ამ დროის განმავლობაში ბევრი მთავარი როლი მქონდა, ერთ-ერთი — ყივჩაღის როლი, ოთარ მეღვინეთუხუცესმა ძალიან დადებითად შემიფასა და ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო. რუსთავის თეატრის შემდეგ ძირითადად, კინოში ვმუშაობდი.

— გავიხსენოთ თქვენი კინოროლები: რამდენად საინტერესო იყო მათზე მუშაობა?

— პირველი ფილმი იყო „სახლი ლესნაიაზე“, რომელსაც მოსკოვში 1980 წლის ოლიმპიადის დროს ვიღებდით. მთელი წელიწადი ნახევრად დაცარიელებულ ქალაქში ვცხოვრობდით. კარგი პერიოდი იყო, თუმცა ახლა, როცა ნათლისმცემლის ტაძართან გავივლი ხოლმე, სულ ვინანიებ, რომ იქ რევოლუციური სცენების გადაღება გვიწევდა...

— ძირითადად, ძველი დროის მოვლენების ამსახველ ფილმებში ხართ გადაღებული; როგორ ფიქრობთ — ამას თქვენი გარეგნობა განაპირობებდა?

— რა გითხრათ?.. მაინც ვფიქრობ, რომ ფილმებში ჩემი უნარის ადეკვატურად არა ვარ გამოყენებული... საერთოდ, კინოში სერიოზული მუშაობა და აქტიორული გარდასახვა არასდროს მხიბლავდა, ძალიან ბუნებრივი ვიყავი. ტექსტის პირველივე კითხვისას ისე ვთამაშობდი, როგორც პრემიერაზე. ეს ნიჭი მქონდა; ამას ქართული სიზარმაცე ემატებოდა და დიდად არ ვიწუხებდი თავს (*იცინის*)... სამწუხაროდ, ახლა საქართველოში კინოინდუსტრია სათანადო დონეზე არ დგას. ახალი სიტყვა უნდა ითქ-

ვას და ცოტა მეტი სულიერება უნდა შეიტანონ მხატვრულ ფილმებში. თუკი ერები, რომლებსაც ჩვენ „მწვალებლებად“ მივიჩნევთ, რელიგიურ ფილმებს იღებენ, ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა?! რად გვინდა ქართულ ფილმში ის ძალმომრეობა და მრუშობა, რომელსაც დღეს სხვა ქვეყნები ისედაც გვაწვდიან ტელევიზისთვის?! იმიტომაც ვერ ვიღებთ კარგ კინოს.

— საბოლოოდ, მაინც როდის გადაწყვიტეთ, თეატრსა და კინოს ჩამოშორებოდით? როგორც ვიცი, „მონანიებამ“ დიდწილად განსაზღვრა თქვენი შემდგომი ყოფა...

— როცა ნელ-ნელა თეატრსა და კინოსთან დაკავშირებით ფაქტების გადაფასებას მივყავი ხელი, მივხვდი, რომ ხელოვნება მიზნად ისახავს ადამიანებისთვის სიკეთის მოტანას, მათი სულის ამაღლებას, მაგრამ ხშირად, პირიქით ხდებოდა და ამან დამაფიქრა. ამის გამო წამოვედი და გადავწყვიტე, რწმენაში განვმტკიცებულიყავი და უფრო ღრმად ჩავწვდომოდი რაღაც-რაღაცებს. საზოგადოებაში ბევრი სიცრუე და სიმართლის „მტრობაა“, რამაც ჩემში პროტესტი გამოიწვია... რამდენიმე წელი ეკლესია-მონასტრებში ვიარე და მართლმადიდებლური ცოდნა დავაგროვე. როგორც ჩანს, მაინცდამაინც კინომსახიობად არ ვყავდი გაჩენილი უფალს. იმ „ნიჭებს“, რომელიც მომადლებული მაქვს და იმას, რაც ვისწავლე, დღეს უფრო მეტად, უფლის სადიდებელი საქმისთვის ვიყენებ. სანამ ნამდვილი ქრისტიანი, მართლმადიდებლები არ გავხდებით საქმით, მანამდე არაფერი გვეშველება. ერთმანეთის შურით, მტრობითა და გაუტანლობით კი არ უნდა ვიყოთ მაგრები, არამედ სიკეთის კეთებითა და რწმენით. ყველა, პრეზიდენტი, მეფე, პატრიარქი ხომ ვერ იქნება?! რასაც აკეთებ, იმ საქმეში იყავი კარგი.

— „რუსული კიდობანი“ — როგორ მოხვდით ამ ფილმში? ვინ მიგიწვიათ?

— სოკუროვმა. ალბათ მიცნობდა, ვინ ვიყავი და შემომთავაზა. ამ ფილმში ერთადერთი უცხოელი მსახიობი ვარ. ერმიტაჟის დირექტორის როლი მაქვს, სულ 2 უმნიშვნელო სცენაა... სიუჟეტი ერმიტაჟის დარბაზებში ვითარდება, მასში ასახულია ის, თუ რა ხდებოდა 2-3 საუკუნის განმავლობაში. კამერა მიდის და არ ჩერდება — იღება ერმიტაჟის რომელიღაც ახალი ოთახის კარი და სცენა იქ თამაშდება... მსოფლიოში არ ყოფილა პრეცედენტი იმისა, რომ ფილმი რამდენიმე საათში მონტაჟის გარეშე გადაეღოთ.

— კიდევ რომელ რუსულ ფილმში მონაწილეობთ?

— „ეტიუდები ვრუბელზე“. კიევის რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლისთავთან დაკავშირებით იღებდნენ. მიხაილ ვრუბელის როლზე მიმიწვიეს და უფრო იმიტომ დავთანხმდი, რომ ამ სურათში სარწმუნოებრივი თვალთახედვა იგრძნობოდა. მთელი მსოფლიოს პატრიარქები კიევში იყვნენ შეკრებილნი და ფილმის ფინალური სცენა სწორედ წირვაზე გადაიღეს. წირვის შემდეგ ყველა რომ წავიდა, დამიძახეს მღვდლებმა, გადახსნეს წმინდა ბარბარეს უხრწნელი სხეული და, შიშველ ფეხებზე რომ ვეამბორე, ენით აუწერელი რწმენა შემოვიდა ჩემში. ალბათ ამიტომ გამგზავნა უფალმა იქ... 2 წლის წინ სტალინის როლი ვითამაშე 40-სერიიან ფილმში. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მაკურთხა; ეპისკოპოსებს უნდოდათ, მე მეთამაშა ეს როლი. შევისწავლე სტალინის ცხოვრება, ისტორია და მივხვდი, რომ საჭირო იყო, მონაწილეობა მიმეღო. სარწმუნოებრივიც ბევრი რამ შევიტანე ფილმში, რადგან კინემატოგრაფი მაინც, კათარზისს, ადამიანების განწმენდას, ისტორიაზე დაფიქრებას, ანალიზის გაკეთებას უნდა ემსახურებოდეს.

— თქვენ მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებზე რას გვეტყვით?

— წელს ახალი დოკუმენტური ფილმი გავაკეთე — „ქრისტეს მიმდევარნი“. სირია და ლიბანი მოვიარე და ანტიოქიის პატრიარქს შევხვდი. იქ იმიტომ გავემგზავრე, რომ 13 ასურელი მამა ღვთისმშობელმა ანტიოქიის ეკლესიიდან გამოგვიგზავნა, რათა საქართველო ისევ მოექცია, ვინაიდან სომხეთი მონოფიზიტობაზე გადადიოდა და ამის საშიშროება ჩვენც გვემუქრებოდა. საოცარი ადგილები მოვიარე: სადაც წმინდა გიორგიმ გველეშაპი განგმირა; წმინდა ბარბარეს ქალაქი, სადაც მამამისმა მოკლა იგი... ბევრი საინტერესო რამ მაქვს ასახული: მალულა — ერთადერთი ქალაქი, სადაც 7000 მცხოვრები არამეულად, ქრისტეს ენაზე ლაპარაკობს; წმინდა თეკლას მონასტერი, სადაც ირანელი მუსლიმანებიც კი ჩადიან, რომ იმ სიწმინდეს ეამბორონ და მისი ლოცვით ამოსული წყალი დალიონ; ადგილი, სადაც უფალმა გამოცხადებით მოაქცია სავლე და მოციქულ პავლედ აქცია. მოკლედ, ყველაფერი ამ ფილმშია შესული.



— როდის შეეძლება მაყურებელს, ეს ფილმი ნახოს? ხომ არ აპირებთ, პრემიერა მოაწყოთ თბილისში?

— რამდენადაც რუსეთში ვცხოვრობ, საქართველოში ჯერჯერობით, მაინცდამაინც არ აინტერესებთ ჩემი შემოქმედება. იქ კი დიდი ინტერესია იმ სარწმუნოებრივი ფილმების მიმართ, რომლებსაც მე ვაკეთებ. შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, — ასეა ჩემს შემთხვევაშიც. ზოგჯერ, სიმართლეს რომ ვიტყვი, აღარც კი ბეჭდავენ. ჩემს ფილმებში მე თვითონ ვარ ცენზორი, ვახერხებ, ჩავდო ინფორმაცია საქართველოზე, მართლმადიდებლობაზე... სამარაში დოკუმენტური ფილმების კინოფესტივალზე იქაურ მთავრობას კარგად „შემოვუძახე“, ჩვენ წინააღმდეგ გაჩაღებული ომის გამო: როგორ შეიძლება, ღვთისმშობლის პირველ წილხვედრ ქვეყანას ებრძოდეს „დომ პრესვიატოი ბოგოროდიცი“?!

— სულ რამდენი დოკუმენტური ფილმი გაქვთ გადაღებული რელიგიურ თემაზე?

— ფილმი სულ ოთხია, მაგრამ იმდენი მასალა მაქვს გადაღებული, რომ იმით ათეულობით ფილმი დამონტაჟდება, — უბრალოდ, ამის საშუალება არ მაქვს: ყველაფერს ფინანსები სჭირდება, ჩემი შრომით და სახსრებით კი ამას წლები დასჭირდება. უამრავი დრო მეკარგება

— არადა, სტუდია რომ მქონდეს ან ვინმე მეხმარებოდეს, წელიწადში არაერთ ფილმს გამოვუშვებდი, ღმერთის წყალობით! რა მიკვირს, იცით?.. ადრე ყველა, კომუნისტებს ლანძღავდა, — რელიგიას გვართმევენო, — ახლა აღარ არიან ეს კომუნისტები და სიტუაცია იგივეა. თითქოს ახლა დემოკრატიაა, ყველაფერი დასაშვებია, მაგრამ რწმენას მაინც „უჭერენ“. მაშ, რაშია საქმე?.. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ თავისუფლება ის კი არ არის, თუნდაც ტერიტორიულად იყო დაცული სხვა სახელმწიფოებისაგან, არამედ თავისუფლება ეშმაკის მონობისგან ადამიანის სულის გათავისუფლება ყოფილა. როცა შიში ქრება და ადამიანებისა და უფლის სიყვარული ისადგურებს (და არა სიძულვილი და ყოველ წამს მათი მხილება), მაშინ არის შესაძლებელი უფლის დიდება. ჩემი ფილმებით ვცდილობ, ხალხს ისეთი რამ მივაწოდო, რაც მას რწმენაში განამტკიცებს, თორემ ამის გარეშე ვერ გადავრჩებით. ოსეთსა და აფხაზეთს ვერავითარი პოლიტიკა და სხვა ქვეყნების დახმარება ვერ დაგვაბრუნებინებს, სანამ უფლის „გულს არ მოვიგებთ“. წარმოუდგენლად ბევრი რამ გვაქვს მოსანანიებელი და გამოსასწორებელი.

— თუ შეიძლება, იმ სასწაულებზეც გვიამბეთ, რომლებიც თავად გინახავთ...

— უფალი ამბობს, — ამ ბოროტ და მრუშ მოდგმას სასწაული არ მიეცემა, გარდა იონა წინასწარმეტყველის სასწაულისაო (როცა ის ვეშაპის მუცელში იყო 3 დღე, შემდეგ ამოანთხია და ნინევიას უქადაგა, დაიქცევით, თუ არ მოინანიებთო); ქრისტეს აღდგომა ვინც იწამა, სული იცხონა და დღეს ვისაც კიდევ არ სწამს, ის როგორღა გადარჩება?!. ამიტომ, სასწაული ბევრია. მაგალითად, ივერონის მონასტერში ათონის მთაზე არის ძალიან მძიმე და დიდი კანდელი, რომელიც მაშინ, როცა საქართველოში ომი, მიწისძვრა ან ეპიდემიაა, 1 მეტრის რადიუსში ქანაობას იწყებს; თუ დიდი დღესასწაულებია, მაშინ წრეზე ტრიალებს. აფხაზეთის ომის დროს, იქ ვიდექი წირვაზე და ეს კანდელი არ გაჩერებულა...

— რომელმა სასწაულმა მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

— ერთი უკვე აღვნიშნე — წმინდა ბარბარესთან დაკავშირებით. სასწაულია, რომ მისი ვარდისფერი კაბაც კი იმავე სურნელებასა და მადლს გამოსცემს, რასაც წლების წინ. ამას სიტყვებით ვერ გადმოსცემ — უნდა იგრძნო: მადლს რომ იღებ, ამის მოყოლა შეუძლებელია... ასევე ძალიან დიდი სასწაულები მინახავს, როცა, ვთქვათ, სისხლი მოედინებოდა იესო ქრისტეს ხატიდან, ხოლო რკინის ჯვრებიდან — მირონი... ერთ ქალაქში ოთახია, სადაც ცოცხალთა და მიცვალებულთა მოსახსენებელში ადამიანებს რომ ჩაწერენ, მირონით წრე შემოეხაზება იმის სახელს, ვინც დაკარგულია და არ იციან, მკვდარია თუ ცოცხალი; ეს საოცრებაა!.. ერთი ტაძრის ოთახში ათასამდე ხატია, თითოეულ მათგანს კი ისეთი თავისებური სურნელება აქვს, თავი სამოთხეში გეგონება. ერთხელ 2 ებრაელი წავიყვანე იქ, უბრალოდ, დავაყენე, თვითონ კი გამოვედი; ვიცოდი, რაც მოხდებოდა, თუ უფალი ინებებდა. კარგი ადამიანები არიან, მაგრამ ბიჭს შვილი არ ეძლეოდა. როცა უფალს უნდა, სწორ გზაზე დაგაყენოს, დაბრკოლებას შეგიქმნის, რომ ეძიებდე მას... იქიდან რომ გამოვიდნენ, იმხელა რწმენა ჩაენერგათ, ორივე გაქრისტიანდა და დღეს ბევრზე მეტად მაზიარებლები არიან!.. საერთოდ, დიდი სურვილი მაქვს, საქართველოში ოდესმე, რომელიმე ტელევიზიამ შექმნას რუბრიკა სასწაულებზე, ძალიან კარგი იქნება: სწორად პირჯვრის წერას მაინც ვასწავლიდი ხალხს! ზოგი ისე იქნევს ხელს, თითქოს ბუზებს იგერიებდეს... ასეთი გადაცემები „ოსტანკინოზე“ მქონდა, 26-წუთიანი და ძალიან რეიტინგულიც იყო, მთელი რუსეთი უყურებდა, მაგრამ როცა პარალელურად, მუსლიმანური გადაცემების კეთება დაიწყეს, მივატოვე. მას შემდეგ, ისევ დამოუკიდებლად ვმუშაობ დღემდე; მხოლოდ მეგობრულად თუ დამეხმარება ვინმე.

— რითი ცხოვრობთ მოსკოვში? კიდევ რამეს ხომ არ საქმიანობთ?

— არაფერს. ხანდახან, როცა კურთხევა მაქვს, მხატვრულ ფილმებში მიღებენ. ამას წინათ, თეიმურაზ მეფის როლი ვითამაშე. ერთდღიანი გადაღება იყო. ფილმს „რასკოლ“ ჰქვია; ალბათ, შემოდგომაზე ან ზამთარში გამოვა ეკრანზე.

— დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე, როგორი დამოკიდებულება აქვს რუს საზოგადოებას თქვენ და საერთოდ, იქ მყოფი ქართველების მიმართ?

— ჩემი ერთადერთი მიზანია, რუსი ერის ის ნაწილი, რომელიც ჩემს ფილმებს ნახავს, კეთილად განეწყოს სარწმუნოებისა და ქართველების მიმართ. ამიტომ, პირადად მე მათთვის ძალიანაც მისაღები ვარ, რადგან ადამიანების ლანძღვის პოლიტიკას არ მივყვები. საბოლოოდ კი ორივე ერმა კარგად უნდა იცოდეს — ვინაიდან რუსეთს ჰქვია „სახლი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელისა“, საქართველოს კი — „მისი პირველი წილხვედრი ქვეყანა“, — სხვა რა პოლიტიკა უნდა გატარდეს ჩვენ შორის, თუ არა სარწმუნოებრივი; თუ არა ის, რომ ეს ორი, ღვთისმშობლის არჩეული ერი დავამეგობროთ ერთმანეთთან?!. ვფიქრობ, შედეგი არის. რუსეთში თითქმის ნახევარი მილიონი ქართველი ცხოვრობს და რუსებს რომ არ უყვარდეთ ისინი, აქამდე ხომ დაჭამდნენ ერთმანეთს?! ჩვენ სიკეთე ვთესოთ და დღეს ან ხვალ აუცილებლად მოვიმკით!..

■

დემი მური მკითხველთა წინაშე „შიშვლდება“

ჰოლივუდის ვარსკვლავმა რამდენიმე წლის წინ სახელი იმითაც გაითქვა, რომ მაყურებელს „ყველაფერი უჩვენა“, ახლა კი გადაწყვიტა, მკითხველის წინაშე „გაშიშვლდეს“ და მემუარებში „ყველაფერი თქვას“. 1991 წელს „აჩრდილისა“ და „უხამსი წინადადების“ ვარსკვლავმა სენსაცია მოახდინა, როდესაც ჟურნალ Vanity Fair-ის გარეკანზე სრულიად შიშველი გამოჩნდა. ახლა მსახიობს მის ბიოგრაფიაში მკითხველის წინაშე „გაშიშვლება“ მოუწევს.

დემი მური მემუარების გაყიდვის თაობაზე სხვადასხვა გამომცემელთან მოლაპარაკებებს ადრეც წარმართავდა, მაგრამ ახლა ცნობილი გახდა, რომ მის წიგნს გამომცემლობა HarperCollins გამოუშვებს, რომელმაც ვარსკვლავის ავტობიოგრაფიაზე ყველა უფლება უკვე შეისყიდა.

წიგნში, რომელსაც ჯერ სამუშაო სათაურიც კი არა აქვს, დემის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ დაწვრილებითი და სრული ინფორმაცია იქნება გადმოცემული. ბიოგრაფიის გამოცემა 2012 წლისთვის არის დაგეგმილი.

47 წლის კინოვარსკვლავი მემუარებში მკითხველს დედასთან, ვირჯინია კინგთან ძალზე დაძაბული და რთული ურთიერთობის შესახებ მოუთხრობს; შესაძლოა, ეშტონ კატჩერთან „უთანასწორო“ ქორწინებაზეც მოგვითხროს და რამდენიმე წლის წინ კატჩერის მიერ გამჟღავნებული საიდუმლოს — ექსპრეზიდენტ ბილ კლინტონის მიერ დემის „შეცდენის“ უშედეგო მცდელობის შესახებაც...

■

რობი უილიამსი მამობისთვის ემზადება

რობი უილიამსმა საჯაროდ განაცხადა, რომ მალე მამა გახდება. ჯგუფის — Take That ყოფილი სოლისტი მრავალრიცხოვან ოჯახზე დიდი ხანია, ოცნებობს და აი, ბოლოს და ბოლოს, ნატვრა აუსრულდება. საქმე ის არის, რომ მომღერალმა ჰაიტელი ბავშვის შვილად აყვანა გადაწყვიტა. ცოტა ხნის წინ უილიამსი მონაწილეობდა იუნისეფის მისიაში, რომელიც ამ რეგიონში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად ჩატარდა. რობი უილიამსი ამ მოგზაურობიდან, დაობლებული ბავშვის შვილად აყვანის მტკიცე გადაწყვეტილებით დაბრუნდა. „დანაშაულის საოცარი გრძნობა დამეუფლა: ეს ყველაზე საშინელი ადგილია, სადაც კი ოდესმე ყოფილვარ. დაობლებული ბავშვის შვილად აყვანის აზრმა მაშინვე გამიელვა. მზად ვიყავი, რომელიმე მათგანი მაშინვე სახლში წამომეყვანა!“

რობის განზრახვას მისი საცოლე — აიდა ფილდიც მხარს უჭერს. „ერთ-ორ ბავშვს გავაჩენთ, ერთ-ორს კი ვიშვილებთ. ზუსტ თარიღს ვერ გეტყვით, მაგრამ ეს აუცილებლად მოხდება. ჰაიტიზე მოგზაურობამ მართლა მნიშვნელოვან საკითხებზე დამაფიქრა“, — ამბობს რობი უილიამსი. ■

ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი წყვილი გაიყარა

ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ლამაზი წყვილი გაიყარა. მისი თაყვანისმცემლებისთვის ეს ამბავი იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ზოგიერთმა ვერც კი დაიჯერა...

ჰაიდი მონტაგი და სპენსერ პრატი ერთმანეთს დაშორდნენ. რეალითი-შოუს 23 წლის ვარსკვლავმა განქორწინების მოთხოვნით, სანტა-მონიკას სასამართლოს მიმართა და გაყრის მიზეზის გრაფაში ტრადიციული, „შეუთავსებელი წინააღმდეგობა“ ჩაწერა, მაგრამ გოგონას ჯერ ყველა საბუთი არ შეუვსია. როგორც პრესა იუწყება, საბუთების შევსების მომენტიდან ვარსკვლავის შემოსავალი მისი პირადი საკუთრება გახდება.

ჟურნალისტებმა ჰაიდი მონტაგი და სპენსერ პრატი „ყველაზე მომაბეზრებელი ვარსკვლავური წყვილის“ ტიტულით შეამკეს და არცთუ უმიზეზოდ, რადგან მეუღლეებს ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარდათ და ჟურნალების პირველ გვერდებზე შესაშური სიხშირით ჩნდებოდნენ. 2008 წლის 20 ნოემბერს წყვილმა მექსიკაში საიდუმლოდ იქორწინა, 5 თვის შემდეგ კი ქორწილი მეორედ იზეიმეს. ■

რიკი მარტინი აღარ იმალება

მას შემდეგ, რაც ცნობილმა მომღერალმა რიკი მარტინმა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ ოფიციალურად განაცხადა, მისი პირადი ცხოვრების შესახებ პრაქტიკულად, ყველა გამოცემა წერს. მომღერალმა დაცინვას თავი აარიდა და რამდენიმე ხნით ხალხის წინაშე გამოჩენაზე უარის თქმა გადაწყვიტა, მაგრამ ახლა კვლავ გამოჩნდა და თავისი ძველი მეგობრის, კაილი მინოუგის მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო საღამოს დაესწრო. კაილიმ მარტინი დაარწმუნა იმაში, რომ მისი დახმარება უამრავ ადამიანს ესაჭიროება და მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორი სექსუალური ორიენტაციის არის იგი... საქველმოქმედო საღამოს დასაწყისში შეიმჩნეოდა, რომ მუსიკოსი დაძაბული იყო, მაგრამ შემდეგ თანდათან მოეშვა... ■

მადონას ქალიშვილი პოპულარობას იხვეჭს

მადონას 13 წლის ქალიშვილის, ლურდეს ჩიკონე ლეონის ფოტოსურათი გერმანული ჟურნალის — Quality — ივნისის ნომერში დაიბეჭდა, თუმცა ზოგიერთ ბლოგს ეჭვი ეპარება, რომ გოგონა ნამდვილად პოზირებდა. გამორიცხული არ არის, გამოცემამ ვარსკვლავის ქალიშვილის ფოტოები უბრალოდ, იყიდა...

უკვე საკმაოდ ცნობილი მოზარდის ფოტოსურათების პრესაში გამოჩენა შესაძლოა, მორიგი პიარკამპანიის დასაწყისად მივიჩნიოთ. მადონამ რამდენიმე თვის წინ განაცხადა, რომ აგვისტოში თაყვანისმცემელთა არმიას გაახარებს ახალი მოდური კოლექციით, რომელსაც Material Girl ეწოდება და დასძინა, რომ ძირითადი სამუშაო სწორედ ლურდესმა შეასრულა.

„H&M-ისთვის ტანსაცმლის საკუთარი ხაზი ერთხელ უკვე შევქმენი, ეს საქმიანობა მომეწონა, მაგრამ ძალზე ბევრ შრომას მოითხოვს, მე კი არ მსურს, ჩემი კარიერის დარჩენილი ნაწილი ამას მივუძღვნა, ამიტომ საკუთარი ხაზის შექმნას არ ვაპირებ. მაგრამ მყავს ამ საქმიანობით დაინტერესებული, 13 წლის კოლეგა, რომელსაც უშრეტი ენერგია აქვს. საქმიან შეხვედრებს ვესწრებოდი, მაგრამ კუთხეში ვიჯექი და BlackBerry-ში ფოსტას ვეცნობოდი, ჩემს საქმეს კი ლოლა აკეთებდა“, — აღნიშნა მაშინ მადონამ, რომელმაც ერთხელ დასძინა: „მისთვის არასდროს მიმითითებია, თუ როგორ უნდა ჩაეცვა. ლურდესი ჩემს ფოტო და ვიდეოგადაღებებს ესწრება და სხვადასხვა კოსტიუმის დეტალებს ერთმანეთს ისე უხამებს, რომ ჩემი მეგობარი მოდელიერების შთაგონების წყაროდ გადაიქცა. მარკ ჯეიკობსი თუ სტელა მაკარტნი მის აზრს ყოველთვის ითვალისწინებენ“. ■

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძემ

VOYAGE DANS LA LUNE

ანუ სიცილიაში წარმატებული ქართველი გოგონა

რატომ მფარველობს ქართველ გოგონას პალერმოს ყოფილი მერი

მარი ჯაფარიძე

გამიგონია, — ჭკვიანი და ლამაზი ქალი არ არსებობსო, მაგრამ ჩვენი რესპონდენტის გაცნობისას საპირისპიროში დარწმუნდებით. რუსუდან ჟორჟოლიანი რამდენიმე წელია, იტალიაში ცხოვრობს, სადაც „ახალი“ დედა და მამაც კი შეიძინა. ვინ არიან მისი შეძენილი მშობლები, რატომაა მამობილის გვარი „სამარცხვინო“ და რატომ მფარველობს ქართველ გოგონას პალერმოს ყოფილი მერი — ლეოლუკა ორლანდო, რომელიც მაფიის შურისძიებას საქართველოში ემალებოდა? — ამ და სხვა საინტერესო ამბებს რუსუდანის ნაამბობიდან შეიტყობთ.

— ჩვენ აფხაზეთში ვცხოვრობდით და ცხადია, ომის შემდეგ დევნილის სტატუსი მივიღეთ. მე იტალიურ სკოლაში ვსწავლობდი. ერთ ზაფხულს ვახტანგ ესვანჯიამ დევნილი ბავშვებისთვის აქცია მოაწყო — 300 ლტოლვილი ბავშვი 3 თვით იტალიაში, დასასვენებლად წაგვიყვანეს (მაშინ 10 წლის ვიყავი). მე ერთ იტალიურ ოჯახში მოვხვდი, სადაც კარგი მასპინძლობა გამიწიეს, მაგრამ მეორე წელს ვერ მიმიწვიეს, რადგან მესამე შვილი შეეძინათ და ჩემთვის არ ეცალათ. მათთან ცხოვრების პერიოდში მასპინძლებმა ცოტა ხნით თავიანთ ახლობლებთან დამტოვეს, მათ კი, როგორც ლტოლვილ ბავშვს უამრავი სათამაშო და ტბილეული მიყიდეს. ამ ადამიანებს შინ ძალიან კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდათ და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ჩემი ყურადღება წიგნებმა მიიქცია, საჩუქრებისთვის კი ზედაც არ შემიხედავს. მერე ერთ-ერთი წიგნი გადმოვიღე, სავარძელში მოვკალათდი და კითხვაში გავერთე. იტალიელები გადაირივნენ, — 10 წლის ბავშვი, სათამაშოების ნაცვლად, წიგნებს „ჩაუჯდაო“. ჰოდა, მომდევნო ზაფხულს ჩემს სკოლაში წერილი გამოგზავნეს: — რუსუდან ჟორჟოლიანი იტალიაში წელსაც ჩამოჰყავთო? სკოლიდან უპასუხეს, რომ ვერ წავიდოდი, რადგან მიწვევა არ მქონდა, ამ ადამიანებმა კი ჩემი გამგზავრებაცა და დასვენებაც საკუთარ თავზე აიღეს. ასე გავემგზავრე უცხო ქვეყანაში უკვე მეორედ და შემდეგ, თითქმის ყოველწელს ვსტუმრობდი ამ ოჯახს... როცა სკოლა დავამთავრე, იტალიელებმა მირჩიეს, — თუ სწავლასთან დაკავშირებით სერიოზული გეგმები გაქვს, ჩვენ დაგეხმარებით, მაგრამ ჯერ თბილისის უნივერსიტეტის კურსი გაიარე და შემდეგ პალერმოში გააგრძელე სწავლაო. ყველაფერი თავადვე დამიგეგმეს, მეც დავუჯერე და ახლა ამით კმაყოფილი ვარ. თბილისის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ჩავირიცხე, პარალელურად პალერმოში, კოლეჯში ჩავაბარე, სადაც ექსტერნად ვსწავლობდი. კოლეჯი წარმატებით დავამთავრე და გამოსაშვებ გამოცდებზე მაღალი შეფასება მივიღე; შემდეგ საბუთები უნივერსიტეტში შევიტანე და ჩავაბარე კიდეც. თბილისის უნივერსიტეტი უკვე დამთავრებული მქონდა. საბუთები საელჩოში შევიტანე, სადაც მივუთითე, რომ სტუდენტი ვიყავი და პალერმოში სასწავლებლად მივდიოდი, მაგრამ წასვლაზე უარი მითხრეს, ვიზა არ მომცეს. როდესაც ჩემს იტალიელ მასპინძლებს, რომლებსაც უკვე შეძენილ მშობლებს ვეძახდი, ვუთხარი, — არ მიშვებენ-მეთქი, მამობილმა თავის მეგობარს, პალერმოს ყოფილ მერს, ლეოლუკა ორლანდოს დახმარება სთხოვა. მან თბილისში, ელჩთან დარეკა და უთხრა: სწავლის დაწყებამდე ცოტა დრო რჩება. ის გოგონა აუცილებლად უნდა გამოუშვათ, რადგან ძალიან ნიჭიერია და არ გვინდა, ერთი წელი გაუცდესო. ელჩს უთქვამს, — საქართველოში ყველა ნიჭიერია, ბატონო და რა ვქნათ, ყველა გამოვუშვათო? — მხოლოდ ეს გოგონა გამოუშვით, რადგან განსაკუთრებულად ნიჭიერიაო (*იცინის*), — უთქვამს ორლანდოს. მოკლედ, ვიზა მომცეს, პალერმოში ჩავედი და სწავლას შევუდექი. ახლე უკვე III კურსზე ვარ.

— შეძენილ მშობლებზეც გვითხარი რამე.

— ძალიან კარგი ხალხია. მე მათ „დედას“ და „მამას“ ვეძახი. ჩემი სწავლისა და იტალიაში ცხოვრების ხარჯს ისინი ანაზღაურებენ. შემიძლია, ნებისმიერი საჭიროებისთვის ფული თავისუფლად ვთხოვო. „დედა“ — მარია-ლუიზა მუსიკოსია, „მამა“ — ვინჩენცო კი ხელოვნებათმცოდნე გახლავთ. როდე-

საც უნივერსიტეტში სასწავლებლად ჩამოვედი ანუ მთელი წლით დასარჩენად, მხოლოდ რამდენიმე ხელი ტანისამოსი წამოვიღე, რადგან ჩემოდნები წიგნებით მქონდა სავსე. გაოცდნენ, — იშვიათია, რომ ახალგაზრდა გოგონა სწავლისთვის ასე მოწადინებული იყოსო. ორივეს უზომოდ დიდ პატივს ვცემ, ისინი ძალიან მიყვარს...

ახლა იცით, საიდან მოვდივარ? სიცილიაზე ძველი, ბერძნული ქალაქია — სირაკუზა, სადაც ყოველ წელიწადს ძველი ბერძნული თეატრის კვირეული ტარდება და მასზე დასასწრები ბილეთები ძალიან ძვირი ღირს, მაგრამ მამობილმა მითხრა, — ეს აუცილებლად უნდა ნახოო. მთელი 3 დღით ვიყავით წასული და უზომოდ ვისიამოვნე. თეატრი ღია ცისქვეშაა მოწყობილი და ძველბერძნული გარემოა შექმნილი. სპექტაკლებიც, შესაბამისად — მაღალი დონისაა... ამას წინათ დედობილმა გაზეთში წაიკითხა განცხადება, რომ პალერმოში ტარდებოდა ლექციების კურსი: „გამომცემლობა და შემოქმედებითობა“, სადაც პერიოდული გამოცემების პრინციპებსა და თავისებურებებზე ლექციებს კითხულობენ. მან მითხრა: ეს კურსი აუცილებლად უნდა გაიაროო და სწავლაც დამიფინანსა. ცუდი ისაა, რომ ჩემს შეძენილ მშობლებს შვილი არ ჰყავთ. ამას წინათ შემომთავაზეს: გიშვილებთო. ჯერ იტალიის მოქალაქე არა ვარ და შესაბამისად, ვერ მიშვილებენ, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ალბათ, მათი შვილი ოფიციალურად გავხდები. ახლავე მითანხმდებიან: როცა მოვხუცდებით, ხომ მოგვივლიო?! უნდათ, რომ მათი გვარიც მივიღო, მაგრამ ვიუარე: თქვენი გვარი ქართულად ძალიან ცუდად ჟღერს და ამიტომაც, ვერ დაგთანხმდებით-მეთქი. მამობილმა გულიანად იცინა: — მეც შენი გვარი უფრო მომწონს და მე გადმოვალ შენს გვარზე, თანაც, იტალიურს ჰგავსო — ბევრი იტალიური გვარი მთავრდება „ან“-ზე

ლეოლუკა ორლანდო

და ჟორჟოლიანიც იტალიურად ჟღერს, მაგრამ სახელით ხვდებიან, რომ აქაური არა ვარ.

— **შენი მამობილი რა გვარია?**

— ტრანსირიკო (*იცინის*).

— **ჰოო, მართლაც ვერ ჟღერს კარგად. ალბათ, იტალიაში მეგობრებიც შეიძინე...**

— თავიდან ძალიან გამიჭირდა აქ ცხოვრება. დეპრესიაში ვიყავი იმის გამო, რომ ახლობლებს დიდი ხნით მოვცილდი. 22 წლის ასაკში, ფაქტობრივად, ცხოვრების თავიდან დაწყება მომიხდა, რაც დამერწმუნებით, ძალიან რთულია. არც ახალ ოჯახში ცხოვრებაა იოლი — სხვა გარემო, კულტურა, ტრადიციები... თუმცა, ჩემი შეძენილი მშობლები ცდილობდნენ, ნოსტალგია არ მეგრძნო, მერე ახალი მეგობრებიც შევიძინე — ყველა უცხოელია.

— **წელან პალერმოს ყოფილი მერი ახსენე. მის შესახებ მოგვიყევი რამე.**

— ლეოლუკა ორლანდო ახლა ევროკავშირის პარლამენტის წევრია. ის პირველი მერია, რომელმაც სიცილიური მაფიის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა, მაფიამ კი მასზე შურისძიება გადაწყვიტა და მოკვლით დაემუქრნენ. მაშინ ლეოლუკამ თავი საქართველოს შეაფარა. ის ჩვენი პრეზიდენტის მეგობარია და როგორც ვიცი, მთელი წელი მცხეთაში გაატარა. ქართველები ძალიან უყვარს. უწმინდესის, ილია II-ის ნაჩუქარ ჯვარს ატარებს. 2008 წლის ომის დროსაც ერთ-ერთმა პირველმა დაგვიჭირა მხარი. ვახტანგ ესვანჯიასაც, ლტოლვილი ბავშვების იტალიაში წაყვანის საქმეში, ლეოლუკა ეხმარებოდა — ის თვითმფრინავს ქირაობდა და თბილისში გზავნიდა, ბავშვების ჩამოსაყვანად... როდესაც მისი წყალობით იტალიაში ჩამოვფრინდი, ღია ბარათი გამომიგზავნა: სწავლის დაწყება მომილოცა და წარმატებები მისურვა. შეიძლება ითქვას, რომ ქართველებზე „აფანატებს“ და ცდილობს, ყველას დაეხმაროს.

— **მე ვიცი, რომ შენ რამდენიმე კონკურსში გაიმარჯვე და იტალიურ გაზეთებში შენზე სტატიებიც იბეჭდება...**

— იტალიაში „კაპრის მოკლემეტრაჟიანი ფილმების“ კინოფესტივალი ტარდებოდა, რომელიც „განსხვავებულობას“ (ქართულად ასე ჟღერს) ეძღვნებოდა. კაპრი იტალიის ერთ-ერთი კუნძულია, რომელიც რილკეს, ალბერტო მორავიასა და სხვა ცნობილი ინტელექტუალების საყვარელი ადგილი გახლდათ. ფესტივალი 4 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. პარალელურად — უძველესი მხატვრული სკოლის პროფესორებმა შექმნეს ე.წ. ლაბორატორია და გამოაცხადეს

მამობილმა გულიანად იცინა: — მეც შენი გვარი უფრო მომწონს და მე გადმოვალ შენს გვარზე, თანაც, იტალიურს ჰგავსო

ლიტერატურული კონკურსი — მთელი იტალიის მასშტაბით, 30 წლამდე ახალგაზრდებს მხატვრული ნაწარმოები უნდა გაეგზავნათ. არ ჰქონდა მნიშვნელობა, რა იქნებოდა — ლექსი, მოთხრობა, ჩანახატი, ნოველა თუ სხვა რამ. ამ კონკურსის შესახებ ინტერნეტით შევიტყე და გადავწყვიტე, ლექსი დამეწერა. მანამდე ლექსის იტალიურად წერის მცდელობაც არ მქონია, ქართულად კი ვწერდი. იმ დღეს 10 ლექსი დავწერე და დედობილს წავუკითხე. მას ეგონა, მოწონებული ლექსები ინტერნეტიდან ამოვწერე და მკითხა: — ნერუდას შემოქმედებაო? გამეცინა, — ნერუდასი კი არა, ჩემია-მეთქი. რადგან იმ დღეს პირველი აპრილი იყო, არაფრით მიჯერებდა... ამ 10 ლექსიდან ერთი ამოვარჩიე და კონკურსზე გავგზავნე. სიმართლე გითხრათ, გამარჯვების იმედი არ მქონდა, მაგრამ 1 კვირის შემდეგ დამირეკეს და მკითხეს: თქვენ რუსუდან ჟორჟოლიანი ხართ? კაპრიში, კონკურსში გაიმარჯვეთ. ყველა ხარჯს ჩვენ ვკისრულობთ, მხოლოდ გზის ფული უნდა გადაიხადოთ და გთხოვთ, ფესტივალზე მობრძანდეთო. ყურებს არ დავუჯერე... 4 დღე მიმდინარეობდა საკონკურსო შერჩევა — ჩვენს შემოქმედებას ხმამაღლა გვაკითხებდნენ. რადგანაც მხატვრულ კითხვაში გაწაფული ვარ, იქაც კარგად წავიკითხე და ჟიურის გამომეტყველებით ვხვდებოდი, რომ მათი მოწონება დავიმსახურე. ფინალში 10 ადამიანი შეგვარჩიეს. პირობა ასეთი იყო: ორ-ორად დაგვაწყვილეს და გვითხრეს, რომ ნახევარი საათის განმავლობაში ერთად ანუ „4-ხელში“ უნდა დაგვწერა ნაწარმოები. მე იტალიელ პიეროსთან ერთად მოვხვდი. ჟიურის ეს ბიჭიც ძალიან მოსწონდა. იმ დღეს პირველ ადგილზე გავედით.

— **პრიზი რა იყო?**

ამ კონკურსის გამარჯვებული მესიჯებით უნდა გამოევლინათ

— უძველესი მხატვრული სკოლის უფასო კურსი, რომელიც შეგეძლო, „ონლაინშიც“ დაგემთავრებინა. რადგან მე პალერმოში ვსწავლობდი, მთელი წლის განმავლობაში დავალებებს ინტერნეტით ვიღებდი და შესრულებულ სამუშაოსაც ასევე ვგზავნიდი. წარმატებით დავხურე კურსი და დიპლომიც ავიღე. ეს ძალიან კარგი და ძლიერი სკოლაა, დიდ გამოცდილებას, ცოდნას გძენს... ამის შემდეგ ქალაქ ბერგამოში, უფროსი ასაკის მწერლებთან ერთად ვმონაწილეობდი კონკურსში, რომელში მონაწილეობის მისაღებად ინგლისიდან 60 წლის პოეტი ქალბატონიც კი ჩამოვიდა. აქაც ჩემი ლექსი გავგზავნე. შედეგებს ძალზე კომპეტენტური ჟიური იხილავდა. რამდენიმე დღის შემდეგ დამირეკეს, — პოეზიის საღამო ტარდება და 10 ფინალისტთან ერთად ლექსი თქვენც უნდა წაიკითხოთო. ამ კონკურსის გამარჯვებული მესიჯებით უნდა გამოევლინათ. ვინაიდან სიაში მეათე ვიყავი, მესიჯების მისაღებად ცოტა დრო მქონდა. პირველი კონკურსანტი გაცილებით უკეთეს სიტუაციაში იყო. პუბლიკას ჩემი ლექსი ისე მოეწონა, რომ ორჯერ წამაკითხეს და შესაბამისად, პირველ ადგილზე გავედი, ფულადი ჯილდოც მივიღე. გასული წლის ოქტომბერში კი ერთ-ერთი პრესტიჟული პრემიის — „მონდელო ჯოვანის“ მოსაპოვებლად გადავწყვიტე ბრძოლა. მართალია, ეს კონკურსი უკვე გამოცემული წიგნების ავტორებისთვის ტარდება, მაგრამ ამის პარალელურად, 28 წლამდე ახალგაზრდებს შორის ტალანტებსაც ავლენს. პირობის თანახმად, ლექსი სპეციალურ ნომერზე მესიჯით უნდა გამეგზავნა. არსებობს ასეთი იტალიელი პოეტი — დინო კამპანა, რომელმაც სიცოცხლე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაასრულა. იმ პერიოდში სწორედ მის შემოქმედებას ვეცნობოდი და კონკურსზე გასაგზავნი ლექსი — Voyage dans la lune — სწორედ მას მივუძღვენი. შინაარსი დაახლოებით, ასეთი იყო: აბები, რომლებსაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პაციენტებს აძლევენ, მთვარეს შევადარე და დინოს ვათქმევინე: ექიმი აბს მიდებს ენაზე, მაგრამ ის კი არ იცის, რომ აბი კი არა, მთვარე გადამაყლაპაო. ყველაზე მეტად, ჟიურის წევრები ამ ფრაზამ გააოცა. კონკურსის ორგანიზატორმა ქალბატონმა დამირეკა და მკითხა, — დაჯილდოების ცერემონიაზე ხომ მოხვალო? ამ დროს უნივერსიტეტში ოქსფორდის ლექტორი იყო ჩამოსული და ძალიან სერიოზული ლექცია მქონდა. ვუთხარი, — თუ გამარჯვებული არა ვარ, ნუ მომიყვანთ, რადგან მნიშვნელოვან ლექციას უნდა დავესწრო-მეთქი. ის ქალი გამიბრაზდა, — უფლება არა მაქვს, გითხრა, ფინალში ხარ თუ არაო — და ტელეფონი გამითიშა. შემდეგ სხვამ დამირეკა: გამარჯვებულთა ათეულში ხართ და თუ შეიძლება, მობრძანდითო. ლექციას დავესწარი და შემდეგ წავედი ფინალზე დასასწრებად, სადაც დედობილიც გამომყვა. დახეული ჯინსი მეცვა და კარისკაცმა არ შემიშვა — სერიოზული ლიტერატურული კონკურსია და ასეთ ფორმაში ვერ შეგიშვებო. ორგანიზატორებთან დავრეკე და დახმარება ვითხოვე. შემიყვანეს დარბაზში. გამარჯვებულების გამოცხადება მეათე ადგილიდან დაიწყეს. ჩემი დედობილი ძალიან ღელავდა და მითხრა: ალბათ მეშვიდე იქნებიო... შემდეგ — მეექვსეო... მეორე ადგილიც რომ გამოაცხადეს და არ დამასახელეს, ჩაილაპარაკა: ალბათ მოგატყუეს, თორემ პირველზე როგორ გახვიდოდიო?! გამარჯვებულად რომ გამომაცხადეს, სიხარულისგან ტირილი დაიწყო. პრიზის გადმოცემის დროს გამარჯვება დედობილს მივუძღვენი და ყვავილებიც მასვე ვაჩუქე, — ეს შენი დამსახურებაა-მეთქი. ამან გული აუჩუყა და კიდევ ერთხელ ატირდა. ლეპტოპი მაჩუქეს და წიგნის მაღაზიის 100 ევროს ღირებულების ბონუსი.

ქალაქ ბერგამოში, უფროსი ასაკის მწერლებთან ერთად ვმონაწილეობდი კონკურსში

— იტალიელები ქართველებს მართლა გვანან?

— კი, ჩვენსავით უწესრიგოები და აფექტურები არიან. პოლიტიკური არამდგრადობაც ახასიათებთ. ისე, იტალიელ მამაკაცზე ვერ გავთხოვდები. მე სვანი ვარ და სვანი მეუღლე მინდა.

— პრინციპში, სვანური და სიცილიური ტრადიციები მე მგონი, დიდად არ განსხვავდება.

— (*იცინის*) მართალია, თითქმის მსგავსი ტრადიციები გვაქვს. მეც მაგას ვამბობ ხოლმე, — „ქართული სიცილიიდან“ იტალიურ სიცილიაში მოვხვდი-მეთქი.

— იტალიელები ემიგრანტებს ხომ არ ჩაგრავენ?

— არა, არ ჩაგრავენ. თუმცა, გამოცდაზე უმაღლესი ქულა 30-ია და მე 29 იმიტომ დამიწერეს, რომ იტალიელი არა ვარ. მოკლედ, აქაურები მიკერძოებულები არიან. რაც სწავლასთანაა დაკავშირებული, ყველაფერი სახალხოა — ლექციებზე დასწრების უფლება ყველას აქვს, ბიბლიოთეკით სარგებლობაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია, თბილისში კი, უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მოსახვედრად რამდენიმე საშვი მჭირდებოდა.

— იტალიაში განათლების მიღება ძვირი ჯდება?

— აქ სწავლაში იმდენს იხდი, რამდენი საშუალებაც აქვს შენს ოჯახს. მაგალითად, წარადგენ დეკლარაციას ოჯახის წლიური შემოსავლის შესახებ და გადასახადს ამის მიხედვით გიწესებენ. ასე რომ, სწავლის საშუალებას ნებისმიერ ადამიანს აძლევენ. ლექციებს ერთად ისმენენ მდიდრებიც და ღარიბებიც. ვისაც სხვებზე მეტად უჭირს, ის მეტ სტიპენდიას იღებს.

— შენს დედობილსა და მამობილს საქართველოს ნახვის სურვილი არა აქვთ?

— კი, მაგრამ მამობილს თვითმფრინავის შიში აქვს და ამიტომაც ვერ ჩამოდის. ის მამაჩემს ძმას ეძახის. ჩემი ნამდვილი და შეძენილი მშობლები ერთმანეთს „სკაიპით“ ეკონტაქტებიან. „დედას“ და „მამას“ ქართული სიტყვებიც ვასწავლე და ისინი ჩემს მშობლებს ასე ესალმებიან ხოლმე: „გამარჯობა, ეთერ. გამარჯობა, გურამ...“ ■

ერთად გადავარჩინოთ „სიცილის დედოფალი“

„მკურნალობს და ღმერთის წყალობით, ყველაფერი კარგად იქნება“

მოგეხსენებათ, ჩვენი „სიცილის დედოფალი“, მზია კვირიკაშვილი ავად არის და მას დახმარება, მხარში დგომა ესაჭიროება. არადა, იყო დრო, როცა თავად ქალბატონი მზია ამხნევებდა ადამიანებს და თავისი იუმორის წყალობით, მათი გუნება-განწყობილების გაუმჯობესებაზე ფიქრობდა. მახსოვს, როცა მასთან ინტერვიუს ჩასაწერად მივდიოდი, წინასწარვე ვტკბებოდი ამ საინტერესო ადამიანთან ურთიერთობით. ვიცოდი, ბევრს მახალისებდა, უამრავ საინტერესო და სასაცილო ამბავს მომიყვებოდა, უგემრიელესი ყავით გამომასპინძლდებოდა და შინ კმაყოფილს, ბედნიერს გამომიშვებდა...

ნათია ჟვანია

ქალბატონ მზიასთან დაკავშირება ახლაც ვცადე, მაგრამ შეუძლოდ იყო და ჩემთან საუბარი ვერ შეძლო... „სიცილის დედოფალს“ გვერდით ერთგული მეგობრები და ოჯახის წევრები უდგანან, შეძლებისდაგვარად ეხმარებიან, მაგრამ მისი მკურნალობისთვის დიდი თანხაა საჭირო. ამ საკითხზე სასაუბროდ ქალბატონი მზიას მეგობარს, მსახიობსა და პაროდისტ ***მამუკა ლომაშვილს*** *დავუკავშირდი:*

— მზია დიდი ადამიანი და პიროვნებაა, ის თითოეულ ჩვენგანში მხოლოდ დადებით თვისებებს ეძებს და პოულობს კიდეც — მისი ეს თვისება ყოველთვის მაოცებდა. მზიას ყოველთვის აწუხებდა სხვისი პრობლემა. მას შეუძლია, სხვების გაჭირვებაზე რამდენიმე კვირის განმავლობაში ინერვიულოს და ამ დროს შესაძლოა, თავად უარეს მდგომარეობაში იყოს. მის ნიჭიერებაზე აღარაფერს ვამბობ — მზიასნაირები არც გვყოლია და არც არასოდეს გვეყოლება. ალბათ ხალხიც ხედავს, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს მას თავისი მაყურებლის მიმართ. ვინ იცის, რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა სცენაზე გასვლის წინ ძალიან ცუდად იყო, მაგრამ საკუთარ ტკივილსა და ცრემლს კულისებში ტოვებდა, ხალხის განწყობილების ამაღლებაზე ზრუნავდა. მზიაზე ლაპარაკი დაუსრულებლად შემიძლია. სამწუხაროდ, მას კარგად ვერ ვაფასებთ. ის ცდილობდა, საქართველოდან არ წასულიყო, მაგრამ ბოლო პერიოდში გამგზავრება მაინც მოუხდა.

— როგორც ვიცი, ბოლოს ქალბატონი მზია ამერიკაში გახლდათ. იქ რას საქმიანობდა?

— თავდაპირველად მოსკოვში იყო, სადაც არის ასეთი პოპულარული გადაცემა — „ანშლაგი“. მზია ამ გადაცემაში მონაწილეობდა და ეს ჩანაწერი ეთერში უამრავჯერ გაუშვეს. მზიას იქ დარჩენასაც სთავაზობდნენ, მაგრამ კონტრაქტის პირობები მისთვის მიუღებელი იყო და ამიტომაც, სამშობლოში დაბრუნდა; თუმცაღა, მალევე მოუხდა ამერიკაში გამგზავრება. კონცერტებს მართავდა ნიუიორკში, ნიუ-ჯერსიში, მაიამიში და სხვა შტატებში. ვერ წარმოიდგენ, იქაურ მაყურებელს როგორ უყვარდა... ამერიკაში ყოფნისას მზია ცუდად გახდა და ბოლო პერიოდში საავადმყოფოშიც იწვა. მას როგორც ამერიკელები, ასევე იქ მცხოვრები ქართველებიც ამოუდგნენ მხარში — ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, არ ვიცი, რა მოხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, მზია მკურნალობის ხარჯებს ვერ დაფარავდა. აეროპორტამდეც ხალხმა მიაცილა. მზია საქართველოში 7 ივნისს, საღამოს ჩამოფრინდა.

— და ახლა შინ იმყოფება, არა?

— კი, შინ არის და წევს.

— რატომ გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება?

— მზია სამშობლოზე შეყვარებული ადამიანია. ამბობდა: ისეთი რა უნდა გამიჭირდეს, რომ საქართველოდან წავიდეო. მაქსიმუმ, ერთი კვირა რჩებოდა საზღვარგარეთ. მგონი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ნოსტალგიამაც უარყოფითად იმოქმედა. მართალია, ამერიკაში საავადმყოფოში იწვა და მას მკურნალობდნენ, მაგრამ მოინდომა საქართველოში, თავის სახლში, ოჯახის წევრებთან ერთად ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ მზიასთვის ამხელა მანძილზე ფრენა სახიფათო იყო, მან მაინც, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და ვფიქრობ, სწორადაც მოიქცა.

— იუმორის გრძნობა თუ აქვს შენარჩუნებული?

— რა თქმა უნდა! აბა, მზიას რა შეცვლის?! მას აეროპორტში დავხვდით, იქიდან კი „სასწრაფოთი“ გადავიყვანეთ სახლში. მანქანაში მასთან ერთად ვიჯექი. მიუხედავად იმისა, რომ დაღლილი იყო და არაფრის თავი არ ჰქონდა, ისეთ რაღაცეებს მიყვებოდა, ლამის სიცილით მომკლა; ავტომობილში მყოფმა ექიმებმაც კარგად იხალისეს.

— ახლა როგორაა?

— მკურნალობს და ღმერთის წყალობით, ყველაფერი კარგად იქნება.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამერიკელ ექიმებს უთქვამთ, რომ გარკვეული თანხის საფასურად მას უმკურნალებენ და ფეხზე დააყენებენ. ეს სიმართლეა?

— სიმართლეა!

— რა თანხაა საჭირო იმისთვის, რომ ქალბატონმა მზიამ მკურნალობის კურსი გაიაროს?

— ამის თქმა ძალზე რთულია, რადგან მას მკურნალობის გარდა, ძვირად ღირებული მედიკამენტები და კარგი კვებაც ესაჭიროება. ახლა მზიას სცენაზე გასვლა ნამდვილად არ შეუძლია და არსებობა ხომ უნდა? სწორედ ამიტომ, „საქართველოს ბანკში“ გაიხსნა ანგარიში, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია თანხის გადარიცხვა...

P.S. ვისაც ქალბატონი მზიას დახმარების სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ, ფული გადარიცხოთ „საქართველოს ბანკში“ მის სახელზე გახსნილ ანგარიშზე: 872574700 (ლარი), 160415201 (დოლარი).

■

„ვიმეგობროთ უსინათლოებთან“

— უსინათლოების პრობლემები და ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი თანამედროვე ლიტერატურა

დღეს ბევრი უსინათლო აქტიურად ცხოვრობს, სწავლობს, ერთიან ეროვნული გამოცდებს აბარებს და უმაღლეს სასწავლებელში ხვდება, მაგრამ სამწუხაროდ, უნივერსიტეტებში განათლების დამოუკიდებლად მიღება არ შეუძლიათ, რადგან საჭირო ლიტერატურა მათთვის ხელმიუწვდომელია.

ეთო ყორლანაშვილი

თვე-ნახევრია, რაც პროექტი — „ვიმეგობროთ უსინათლოებთან“ ხორციელდება, რომლის ფარგლებშიც, თანამედროვე ქართველი მწერლების ლექსები და მოთხრობები ბრაილის შრიფტით იბეჭდება, შესაბამისად — თანამედროვე ლიტერატურის წაკითხვის საშუალება უკვე უსინათლოებსაც აქვთ...

გია ჯვარშეიშვილი, *პროექტის ავტორი, კრეატიული სტუდია iGeo-ს დირექტორი:*

— ჩვენი პროექტის — „ვიმეგობროთ უსინათლოებთან“ — ფარგლებში, სპეციალურად უსინათლოებისთვის თანამედროვე ქართველი მწერლების მოთხრობებისა და ლექსების კრებულები („თანამედროვე ქართული პროზის (პოეზიის) ანთოლოგია“) ბრაილის შრიფტით იბეჭდება. ეს შრიფტი 200 წლის წინ, ფრანგმა ჰუმანისტმა და ტიფლოპედაგოგმა — ლუი ბრაილმა გამოიგონა. გამოფენა, რომელსაც 19 ივნისს ეროვნულ ბიბლიოთეკაში (16 საათზე) მოვაწყობთ, სწორედ ლუი ბრაილის ხსოვნას მიეძღვნება.

— რა სახის გამოფენას გეგმავთ?

— უპირველეს ყოვლისა, ახალდაბეჭდილი წიგნების პრეზენტაცია შედგება. წარმოდგენილი იქნება როგორც ბიბლიოთეკების საცავებში არსებული, რამდენიმე ათეული წლის წინ ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნები, ასევე უსინათლოების თემაზე მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციის პროდუქცია, რომელიც უსინათლოების ცხოვრების გაიოლებას ისახავს მიზნად, საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. გამოფენას მუსიკალურად უსინათლოთა ცნობილი ანსამბლი გააფორმებს.

— საქართველოში უსინათლოების თემაზე მომუშავე ბევრი ორგანიზაციაა?

— სულ ხუთი ან ექვსია. ყველაზე მთავარი უსინათლოთა კავშირია, რომელიც საქართველოში 90 წელზე მეტია, არსებობს. თუმცა უსინათლოებზე ზრუნვა გაცილებით ადრე, XIX საუკუნის ბოლოს დაიწყეს: 1900 წელს საქართველოში (ავლაბარში) მათთვის პირველი სკოლა გაიხსნა, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს. ეს გახლავთ სკოლა-პანსიონი, სადაც უსინათლოები (ქვეყნის ყველა რეგიონიდან) განათლებას იღებენ, ცხოვრობენ.

— ბრაილის შრიფტით დასაბეჭდი ლიტერატურის შერჩევაში თავად უსინათლოები თუ მონაწილეობდნენ?

— მათთან ხანგრძლივი მოლაპარაკება გვქონდა და ლიტერატურის 90% ამ ადამიანებთან შეთანხმებით შევარჩიეთ. ავტორებს უსინათლოები ირჩევდნენ, ხოლო ბრაილის შრიფტით დასაბეჭდ ნაწარმოებებს — თავად მწერლები.

— მხოლოდ თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებს ბეჭდავთ?

— მხოლოდ ცოცხალი ავტორებისას, რადგან გვსურდა, უსინათლოებსა და მწერლებს შორის უშუალო კონტაქტი დამყარებულიყო. გამოფენა ერთგვარი ფორუმის სახეს მიიღებს: უსინათლოებს საზოგადოებისთვის თავიანთი პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საშუალება ექნებათ. სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში, ამ ადამიანებისთვის ლიტერატურაც (რაც მათთვის აუცილებელია) კი არ იბეჭდებოდა. მართალია, ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის საშუალება აქვთ, მაგრამ უნივერსიტეტს მათთვის წიგნები არ აქვს... ეს იმის ბრალია, რომ ბრაილის შრიფტით ბეჭდვა ძვირი სიამოვნებაა. სახელმწიფო ორგანიზაციები, კერძო პირები უსინათლოთა პრობლემებს მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ. საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილ ნებისმიერ ექსპონატზე წარწერა ბრაილის შრიფტით იქნება წარმოდგენილი, რათა უსინათლომ თავად შეძლოს გაგება — რა არის ექსპონირებული.

— პირადად თქვენ, უსინათლოების პრობლემებით რატომ დაინტერესდით?

— რამდენიმე წლის წინ საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდულ ორგანიზაციში — „ძლევაი“ — ვმუშაობდი, რომლის ეგიდითაც ბრაილის შრიფტით „ლოცვანი“ დაიბეჭდა. სწორედ იმ პერიოდში გამიჩნდა კითხვა: რამდენად ხელმისაწვდომი იყო უსინათლოებისთვის მხატვრული ლიტერატურა? აღმოჩნდა, რომ „ნიშა“ ცარიელი გახლდათ. სამწუხაროდ, მაშინ ამ პრობლემაზე ზრუნვა ვერ მოვახერხეთ, პროექტი

ვერ განვახორციელეთ. რამდენიმე წლის შემდეგ კრეატიული სტუდია iGeo-ს წარმომადგენლები ამ საკითხით კვლავ დავინტერესდით და სპონსორებიც მოვიძიეთ: შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო კავკასიაში, VTB ბანკი, „ბილაინი“, საინფორმაციო მხარდამჭერები კი გახლავთ — „პირველი არხი“, „არ დაიდარდო“, „მედიაპალიტრა“.

— უსინათლოებისთვის ყველაზე საყვარელი მწერალი ვინ არის?

— უპირველეს ყოვლისა, გურამ დოჩანაშვილი. ასევე, ძალიან უყვართ თამრი ფხაკაძე, რომელიც მათ ხშირად სტუმრობს, დათო ტურაშვილი, ოტია იოსელიანი... სამწუხაროდ, საზოგადოებამ უსინათლოების შესახებ ბევრი რამ არ იცის. მაგალითად, არ იციან, რომ ჭადრაკის თამაში უსინათლოებსაც შეუძლიათ, ოღონდ — ეს სპეციფიკური ჭადრაკი გახლავთ: თეთრი და შავი (პირობითად) ფიგურები ოდნავ განსხვავებულია. უსინათლოები შეხებით გრძნობენ, თამაშისას თეთრ ფიგურას კიდებენ ხელს თუ შავს. სპეციალური ჯოხების საშუალებით, ფიგურები ჭადრაკის დაფაში მოზაიკის მსგავსად ერჭობა. უსინათლოები საკმაოდ აქტიურად ცხოვრობენ. უნივერსიტეტის რამდენიმე კურსდამთავრებულს ვკითხეთ: სწავლას როგორ ახერხებდით-თქო? გვიპასუხეს, რომ სასწავლო მასალებს მეგობრები უკითხავდნენ, აუდიოჩანაწერებს უსმენდნენ და ა.შ. სამწუხაროდ, მათთვის არ არსებობს ლიტერატურა, რომლითაც განათლების მიღებას შეძლებენ. ამ ადამიანებს დამოუკიდებლად სწავლა კი არა, გადაადგილებაც უჭირთ, რადგან მაგალითად, საქართველოში არ არის დანერგილი ე.წ. გამცილებელი ძაღლის ინსტიტუტი, რომელიც ფაქტობრივად, უსინათლოს „თვალებია“. თბილისში უკვე დაიწყეს ხმოვანი შუქნიშნების დამონტაჟება, რაც ამ ადამიანებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, უსინათლოების ყოფა-ცხოვრების შესახებ საზოგადოება ინფორმაციას არ ფლობს. თვე-ნახევარია, რაც ჩვენი პროექტი მიმდინარეობს და უსინათლოებთან, მწერლებთან ყოველდღიური ურთიერთობა გვაქვს. „ფეისბუქზე“ „გვერდიც“ კი შევქმენით, სახელწოდებით — „ვიმეგობროთ უსინათლოებთან“ და უკვე 4 ათასზე მეტი ადამიანი „დაგვიმეგობრდა“. იქ განთავსებული ფოტო თუ ვიდეომასალით და ზოგადად, ინფორმაციით ვცდილობთ, საზოგადოებამ მათ შესახებ თითქმის ყველაფერი შეიტყოს. ამ „გვერდზე“ რამდენიმე უსინათლოც წერს, საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს...

— თქვენ მიერ ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნები უსინათლოებისთვის რამდენად ხელმისაწვდომი იქნება?

— ეს წიგნები უფასო იქნება. არსებობს რამდენიმე ბიბლიოთეკა, რომელსაც უსინათლოებისთვის სპეციალური განყოფილება აქვს. ასევე, სხვადასხვა ქალაქში საგანმანათლებლო რესურსცენტრებია, სადაც წიგნებს უფასოდ გავგზავნით. ბიბლიოთეკიდან წიგნის გამოტანისა და წაკითხვის საშუალება ნებისმიერ მსურველს ექნება.

— წიგნები გაყიდვაშიც ხომ არ იქნება?

— არა, პროექტი საქველმოქმედო ხასიათისაა. სხვათა შორის, მასში მონაწილეობაზე მწერლები ყოველგვარი ჰონორარის გარეშე დაგვთანხმდნენ.

მაკა ჯოხაძე, *მწერალი:*

— ეს ქრისტიანული, მადლიანი საქმეა. ამ პრობლემებით სავსე სამყაროში არა მხოლოდ თვალისჩინდაკარგული, არამედ ჩვეულებრივი ადამიანებიც ვერ ახერხებენ იმ ღირებულებებს გაუწიონ ანგარიში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. უსინათლოებთან პირადი კონტაქტი არ მქონია, მაგრამ ჩვენთან ახლოს ყრუ-მუნჯები ცხოვრობენ და მერწმუნეთ, ისინი მოვლენებს გაცილებით „ღრმად“ ხედავენ, ვიდრე — ჩვეულებრივი ადამიანები. სხვათა შორის, ეს მხოლოდ ნიჭიერების გამო არ ხდება. მაგალითად, შეიძლება, ადამიანმა ის მადლი ვერ დააფასოს, რასაც მხედველობა ჰქვია, მაგრამ როცა თვალისჩინი დაკარგული აქვს, ყველაფერს გამძაფრებულად „ხედავს“.

— როგორი განცდა დაგეუფლათ, როცა შეიტყვეთ, რომ თქვენი ნაწარმოების წაკითხვის საშუალება უსინათლოებსაც ექნებათ?

— არ დაგიმალავთ და მგონია, რომ ისინი უკეთესი მკითხველები იქნებიან. შეიძლება, ღვთის წინაშე მართალი არა ვარ, მაგრამ ვფიქრობ — უსინათლოები უკეთ „დაინახავენ“ იმ სიღრმეს, რაც ჩემს მოთხრობებს გააჩნია. ღმერთმა მხედველობა იმიტომ მოგვცა, რომ ჩვენ გვერდით მყოფები უფრო კარგად დავინახოთ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ უსინათლოები სრულფასოვანი ადამიანები არიან. ერთხელ სტივ უანდერს ჰკითხეს: უფალმა არჩევანის წინაშე რომ დაგაყენოს და გითხრას, — შენს ხმას წავიღებ, რომლითაც მთელი მსოფლიო მოხიბლულია, სამაგიეროდ კი თვალის ჩინს დაგიბრუნებ, — რომელს აირჩევო? მომღერალმა თქვა: რა თქმა უნდა, თვალის ჩინი მირჩევნიაო! მისი ნათქვამი აბსოლუტურად გასაგები და ბუნებრივი იყო.

ტარიელ ჟანტურია, *პოეტი:*

— უსინათლოებთან დაკავშირებით, სიტყვა „სიბრალულის“ გამოყენება არ მინდა. ისინი თანაგრძნობას, თანადგომას იმსახურებენ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ იგრძნონ — მათთან ახლოს ვართ, მათზე ვფიქრობთ, ვწუხვართ, ვეხმარებით და მათი ტკივილი სულ გვახსოვს. პროექტის შესახებ რომ მითხრეს, გამიხარდა — ე.ი. ადამიანებმა უსინათლოების პრობლემაზე იფიქრეს. თანაგრძნობის გამოხატვის უამრავი ფორმა არსებობს. „ვიმეგობროთ უსინათლოებთან“ კარგი პროექტია და რაც უფრო მეტი მსგავსი ტიპის პროექტი განხორციელდება, მით უკეთესია.

■

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra
Swiss Agency for Development and Cooperation SDC
VTB
ბილაინი
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
არხი
ღია ცა

სინანული

მარი ჯაფარიძე

მეტროპოლიტენის სადგურები: ვარკეთილი, სამგორი და ისანი ჩემი და მეგობარი რიჟის სათარეშო ტერიტორია, უფრო სწორად, „სამსახურებრივი ობიექტები“ იყო. საქმიანობა ცოტაოდენ ეშმაკისეული კი გახლდათ, მაგრამ ისეთი შემოსავალი მოჰქონდა, რომ ეშმაკთან წილისყრა უყოყმანოდ ღირდა. წესრიგის დამცველებთანაც სანიმუშო ურთიერთობა გვქონდა. ისინი ბევრს არაფერს გვახდევინებდნენ, ძველი ნაცნობობის გამო: სულ რაღაც, 100 ლარად შეგვეძლო ნებისმიერის ჯიბე თუ ჩანთა „გაგვეჩითა“. ათასში ერთხელ, მაგრამ მაინც, ვინმე თავის ჯიბეში რომელიმე ჩვენგანის ხელს თუ წააწყდებოდა და დებოშს ატეხდა, იქვე, ბაქანზე მყოფი პოლიციელი ჩაგვავლებდა ხელს და სიმართლის გასარკვევად ადგილობრივ განყოფილებაში მივყავდით. ცხადია, დაზარალებულიც ჩვენთან ერთად მოდიოდა. პოლიციის სამორიგეოში, კანონის დამცველთა ჩუმი თანადგომით გულმოცემულები, მათ „ცილისწამების“ გამო ვედავებოდით და თან, ცხვირ-პირის დანაყვას ვპირდებოდით, თუ რა თქმა უნდა, მანდილოსანი არ ბრძანდებოდა. ერთი სიტყვით, ჩვენ და პოლიციელები შეთანხმებულად ვმუშაობდით.

სულ რაღაც, 2-საათიანი სამუშო გრაფიკი გვქონდა — დილასა და საღამოს, პიკის საათის დროს. ყოფილა შემთხვევა, როცა ვერაფერი მოგვიპარავს, დათარსული დღეები გვქონია. ეს სულაც არ ანაღვლებდათ მეგობარ თანამშრომლებს — მათ თავიანთი „სტავკა“ გარანტირებულად ჰქონდათ.

ერთ მშვენიერ დილას მზე ჩვეულებისამებრ, ლოგინში ჩამიგორდა და ზეზე წამომაგდო: არიქა, დროზე, სამსახურში გაგვიანდებაო! მიდი და თუ ბიჭი ხარ, არ დაუჯერო, როდესაც უამრავი ფულია საშოვნელი: ცოტა სახლისთვის, ცოტა — ლუდისთვის, ცოტა — ტოტალიზატორისთვის, ცოტა — ვალებისთვის, ცოტა — მეგობრებისთვის, ბევრი — ცოლისთვის და ცოტაც — საკუთარი ჯიბისთვის. დაგვიანების შემთხვევაში, ძალაუნებურად, სხვაგან გიწევს „მუშაობა“ — მაგალითად, ვაგზლის სავაჭრო ტერიტორიაზე, იქ კი ყველა წესრიგის დამცველს ვერ დაიამხანაგებ.

* * *

ზარი შემოვიდა. „პადდელნიკი“ მირეკავდა, — ვარკეთილის მეტროს ბაქანზე გელოდები. დროზე, ბევრი ხალხიაო! ეჰ, ჩემს გაუნათლებლობას რა ვუთხარი, თორემ მუნს ხომ არ ავიკიდებდი, სხვისი ჯიბეების გადამკიდე? არა, მუნის კი არ მეშინია, უბრალოდ, ცოლთან ჩხუბია გაუსაძლისი; რომ დაიწყებს: — ვაგზლის „პუტანკებთან“ ეგდე ისევ თუ ცოტა ჩამოიჩოჩე და ცირკის ქალებთან გაინავარდე, შე ქვეყნის ტაკიმასხარავ და ქალაქის შემარცხვენელოო...

ჩემი სახლიდან ვარკეთილის მეტრომდე ორასი ნაბიჯი იქნება. ადრეული დილის მზე ბავშვობას მახსენებს.

აი, გავრეკე ნახირი... მზე თანდათანობით ზევით მიიწევს და ჩემი თუ საქონლის წაგრძელებულ ჩრდილებს აპატარავებს. ფოსტის გზაზე თანატოლი მეზობლების ნახირს შეერია ჩემი სამწყემსურიც. მივდივართ ჟრიამულით, თან ყველსა და პურს ვიციცქნებით; ავდივართ გორაზე, საიდანაც პატარა სოფელი და დიდი სამყარო მოჩანს. ამ ხასხასა, ბალახოვანი მთის სამხრეთ ფერდზე ბუჩქნარია, რომელიც ჩემი ილუზიების თავშესაფარი გახლავთ. ვინ იცის, რამდენჯერ მიოცნებია „ქალაქურ“ მომავალზე, განათლებაზე, სამშობლოსათვის თავდადებაზე. მინდოდა, მეცნიერი გამოვსულიყავი, მაგრამ საბოლოოდ, ყველას „ჯიბის მცოდნე“ ნაძირალად ჩამოვყალიბდი.

ჰოდა, ეს ჯიბგირი ახლა სხვათა დასამწუხრებლად და ჩემდა გასახარად მივდივარ.

იმ დილით კარგი მუშაობა გვქონდა — ოთხას ლარამდე მოვაგროვეთ და ისინდან სამგორის მიმართულებით წავედით. სამუშაო საათი დამთავრებული იყო. გასასვლელ კართან სამოციოდე წლის მამაკაცი ჩაფიქრებული იდგა, მე კი რა თქმა უნდა, მის საფიქრალს არად დაგიდევდით, მისი ჯიბის ავლადიდება უფრო მაინტერესებდა. ჰოდა, ვერ მოვითმინე და კარის გაღებისთანვე პიჯაკის ჯიბიდან ფული ამოვაცალე. ვაგზალზე ავტოსადგურის მხრიდან ამოვედით და ახალი ნადავლიც გადავთვალეთ — 82 ლარი აღმოჩნდა ანუ სულ 476 ლარი დაგვიგროვდა. ასი ლარი „კრიშის“ გასამაგრებლად გადავდეთ, დანარჩენი თანხა კი გავიყავით. ამასობაში, სათამაშო აპარატების გვერდით მდებარე პატარა აფთიაქის წინ სწორედ ის კაცი დავინახე, რომელიც ბოლოს გავქურდე. საცოდავი, იდგა და ხმადაბლა ქვითინებდა. სხვა დროს არ დავინტერესდებოდი, მაგრამ ახლა გულმა არ მომითმინა, რადგან ვხვდებოდი, მე ვიყავი მიზეზი მისი მწუხარებისა.

— ძია კაცო, რატომ ტირი, ცუდად ხომ არა ხარ?

— არა, შვილო, არაფერი მჭირს. ცოტას კიდევ ვიტირებ და დავწყნარდები.

— რა პრობლემა გაქვს? იქნებ შენი დახმარება შევძლო?

— არა, შვილო, ჩემი უყურადღებობა რა შენი გადასახდელია?!

— ვერ გავიგე, ძია კაცო, უყურადღებობაში რას გულისხმობ? გამოგვყევი, თითო ჭიქა არაყი დავლიოთ და ცოტას გიშველის, — მივხვდი, არ იყო მსმელი, მაგრამ ცხელ გულზე არაყი მართლაც, წამალი იქნებოდა მისთვის. დასაკლავი ხარივით, თვალცრემლიანი გამომყვა.

ლუდი, არაყი და სოსისი შევუკვეთე. არაყი და ლუდი მაშინვე მოგვიტანეს.

— ყველა გასაჭირი დაგვეძლიოს, — მივუჭახუნე ჭიქა ჯერ კიდევ თვალცრემლიანს.

რიჟიმ ერთი კი გადაკრა, მაგრამ მერე, გიჟებთან არაფერი მესაქმებაო, — მითხრა და წავიდა.

— აბა, ბიძაჩემო, მითხარი, რა გაგჭირვებია?

— ფული მქონდა, შვილო, 80 ლარი... ავლაბარში ტელევიზორი ჩავაბარე და იმაში მოცემული ფული ამომაცალეს, — მითხრა სინანულით.

— ცოდვა არა თქვა, იქნებ დაკარგე?

— არა, რას ამბობ, გულის ჯიბიდან როგორ დავკარგავდი?

— მით უმეტეს, გულის ჯიბიდან როგორ ამოგაცლიდნენ?

— ეტყობა, ახალი ჩამოსული ხარ, შვილო... შვილიშვილზე ვფიქრობდი და უნებურად, მასვე ვუღალატე, — ისევ ცრემლი წასკდა. — ის ავადაა. სახლში ტელევიზორიღა მქონდა და ისიც ცხვირწინ ავაცალე, რადგან წამლისა და ხილის საყიდლად ფული მჭირდებოდა. არა, ტელევიზორს კი არ ვდარდობ, უბრალოდ, ფულს ვეღარ ვიშოვი და იმას ვტირი.

— ნაძირლები, შენს ჯიბეში როგორ ჩაყვეს ხელი? — ჩავილაპარაკე.

— მათაც ვერ გაამტყუნებ, ძმისშვილო, დრომ მოიტანა ასე, თუ არა, უწინ თითზე დასათვლელი იყო ქურდები და ისინიც მხოლოდ მდიდართა ქონებაში აფათურებდნენ ხელს, ჩემნაირებს კი ეხმარებოდნენ, — ერთი გინება, ერთი ცუდი სიტყვაც არ დასცდენია ქურდის მიმართ.

ნელ-ნელა პატივისცემით განვიმსჭვალე ამ გაძვალტყავებული, მაგრამ სამყაროსოდენა სულის მქონე კაცის მიმართ.

— რა ხნისაა შენი შვილიშვილი? ბიჭია თუ გოგო?

— ცხრა წლისაა, გოგონა, ბაბუასერთა... სხვა არავინ დამრჩა ამქვეყნად.

— მშობლები არა ჰყავს?

— მამა დაბადებამდე მოუკლეს, ქუჩაში, დედის თვალწინ. დედამ ნაადრევად შობა ჩემი თვალხატულა, თავად კი ნერვიულობის ნიადაგზე რაღაც ავადმყოფობა დაემართა და 2 წელია, რაც დავასაფლავეთ. სიკვდილის წინ მარიამი ჩამაბარა... მასაც ვუღალატე, ვერ გამოვდექი ხეირიანი პატრონი.

ცრემლებს ძლივს ვიკავებდი. ფული ამოვიღე და მივაწოდე, მაგრამ იუარა, მეტიც — იუკადრისა... მარიამის ნახვის სურვილი გამიჩნდა. თანაც, ათიოდე წლის წინანდელი ამბავი გამახსენდა: პლეხანოვზე, გორკის ბაღთან ერთი თბილისელი, კარგი ბიჭი ფეხმძიმე ცოლის წინ, ქურქის გამო მძიმედ დაჭრეს. მან იქვე, მეუღლის ხელში დალია სული. ამ ბიჭის სახელი და გვარი ზუსტად ვიცოდი, რადგან ერთ-ერთი მკვლელი საკანში მოიყვანეს, მომხდარიდან ორიოდე თვეში.

მაშინ იზოლატორის „ბალნიჩკაზე“, 124-ე საკანში ვიჯექი თუ ვიწექი. არაფერი მაწუხებდა, უბრალოდ, იქ გაცილებით

კომფორტული სიტუაცია იყო, ვიდრე ციხის ნებისმიერ საკანში. „გამაზული“ მყავდა ექიმი და გართულებული C ჰეპატიტის დიაგნოზით ვიწექი. გვერდით საკან-პალატაში ქურდები ცხოვრობდნენ: გია დოლიძე და პაატა გორგიშელი. გია ძალზე ზრდილობიანი და მეტად სიმპათიური ახალგაზრდა ბიჭი იყო; ქურდის პირობაზე მორიდებულიც კი ეთქმოდა. ყურადღებიანი, თბილი და ზედმეტად სამართლიანი ყმაწვილი გახლდათ. რაც შეეხება პაატა გორგიშელს, თავისუფლად მიგიშვებდა სიახლოვეს, დაგიმეგობრდებოდა, მტყუანსა და მართალს ქურდული სამართლით ზომავდა. მათი „ხატა“ დღის განმავლობაში მუდამ ღია იყო და ხშირად, ამ ბიჭებს „ვსტუმრობდით“ — ვსვამდით მაგარ ჩაის, ვიხსენებდით საკუთარ თავგადასავლებს და თქვენ წარმოიდგინეთ, ხელოვნებაზეც კი ვლაპარაკობდით.

ერთ დღეს რამდენიმე პატიმარს გვიხმეს. იქ ასე, 25-26 წლის პატიმარი იჯდა და შეშინებული, თვალებს კარისკენ აპარებდა. აშკარად, გასაქცევს ეძებდა მიუხედავად იმისა, რომ გაქცევის შანსი არ იყო.

— იცით, ეს ვინ არის? — იკითხა პაატამ, ზიზღით. — ეს ის ნაგავია, პლეხანოვზე ბიჭი რომ მოკლა, მეუღლის თვალწინ, „დუბლიონკის“ გამო. ბოლო დროს ძიებაში იყო და ხმას არ ვცემდით. ჰოდა, იფიქრა, პატიოსანი კაცის სიკვდილი ნაპოვნი დანასავით შემრჩაო და იმდენად „განაგლდა“, რომ „ბალნიჩკაზე“ მოინდომა ბაირამობა. ახლა ამას თავის ადგილს მივუჩენთ, მაგრამ რადგან ყველაფერს თავისი წესი აქვს, მოდი, მოვაყოლოთ, რა როგორ იყო და რით შეუძლია თავი იმართლოს...

მზერა მკვლელზე გადავიტანე. შიშის გარდა, მის თვალებში ბოროტება იკითხებოდა.

— მე და ჩემს „პადდელნიკს“ თავანი გვქონდა ჩასაბარებელი. „დუბლიონკის“ კლიენტი გვყავდა, რომელმაც ფული წინასწარ გადაგვიხადა — მისი ზომა უნდა დაგვეთრია, უეჭველად. კარგა ხანს ვიარეთ, ვიდრე სავარაუდო ზომას შევარჩევდით. გორკის ბაღთან გადავაწყდით ჩვენს თანატოლ ბიჭს, რომელსაც ქალი ახლდა. ერთი პირობა კი ვიფიქრეთ, — ქალთანაა და თავი დავანებოთო, მაგრამ მივიხედ-მოვიხედეთ და რადგანაც ქუჩაში არავინ ჩანდა, დანები დავადეთ, ქურქის გახდა მოვთხოვეთ.

— ქალის გამო რატომ ანებებდით თავს? — იკითხა პაატამ.

— ასეთ დროს ქალებმა კივილი იციან და თუ საქმე უნდა ჩავარდეს, მის წამოწყებას რა აზრი აქვს?

— ხედავთ? — მოგვიტრიალდა პაატა. — ამ ვირთხებმა ის კი არ იფიქრეს, რომ ფეხმძიმე მანდილოსნის გვერდით მოსისხლე მტრის დამცირებაც არაკაცური საქციელია; უბრალოდ, დებოშის გამო აპირებდნენ მორიდებას ანუ საკუთარ თავზე ფიქრობდნენ და არა — კაცურ ღირსებებზე.

— მისი ორსულობა არ შეგვინიშნავს. როცა ქურქს ვხდიდით, იმ ბიჭმა თავად გვითხრა, — ფეხმძიმე მეუღლე მყავს სასეირნოდ წამოყვანილი და ნუ შემიშინებთ. მეც კარგი ბიჭი ვარ და ცოლის თვალწინ არ შემარცხვინოთო.

— მერე, ეს არ იყო საკმარისი? — ახლა გიამ ჰკითხა, ბრაზმორევით.

— ასეთ დროს შეიძლება, „ძველბიჭობა“ ნებისმიერმა დაიბრალოს. ჰოდა, გახდა ამიტომაც მოვთხოვეთ. მან ჩემს „პადდელნიკს“ გაარტყა და ჩემკენ გამოიწია. სხვა გზა არ მქონდა — დანა მუცელში დავარტყი. ამ მომენტში „პადდელნიკიც“ წამოდგა და იმან ზურგში ჩაარტყა. გავიქეცით. გვეგონა, რომ უბრალოდ, დავჭერით. მისი მოკვლა ნამდვილად არ გვინდოდა.

— რამდენი წლის ხარ? — ჰკითხა პაატამ.

— ოცდახუთის, — პასუხი დაუბრუნა მკვლელმა.

— კარგი, დავიწყოთ იქიდან, რომ შენს ასაკში „ჰოპსტოპზე“ აღარ დადიან. ეგ პატარა ბიჭების საქმეა, მაგრამ მათაც კარგად იციან, რომ მანდილოსანთან ერთად მყოფს არ უნდა დახვდნენ. შენ ელემენტარული, კაცური წესი „დაიკიდე“; უბრალო წინააღმდეგობას წააწყდი თუ არა, კაცი მოკალი, ორსული მეუღლის თვალწინ... არა, ხალხთან ერთად შენი ცხოვრება არ შეიძლება! დალეწეთ და „ქათმებთან“ შეაგდეთ, ეს ვირთხა!

— იქნებ „კაზიოლობა“ ვაკმაროთ? — შეუმსუბუქა განაჩენი გიამ.

— ვაკმარებდით, მოკლულის „კაიბიჭობა“ საეჭვო რომ ყოფილიყო. ვიცნობ გარდაცვლილის ოჯახს. ისინი პატიოსანი, კეთილშობილი თბილისელები არიან. ეს ოჯახი ამ არაკაცმა კარტის თამაშის გამო გაამწარა.

აი, ამ ამბავს შევესწარი წლების წინ და ამიტომაც მახსოვდა მოკლულის გვარსახელი. მოხუცმა თავისი შვილის გარდაცვალების ამბავი ზუსტად ისე მიამბო, როგორც მე ვიცოდი.

ცუდად გავხდი... თავი მძულდა, რადგან გარკვეული წვლილი მეც მიმიძღოდა ამ გასაცოდავებული კაცის ტრაგედიაში. უფლის მადლობელი ვიყავი, რადგან ცოდვის გამოსყიდვის საშუალება მომცა.

თუმცა, ვინ იცის, რამდენი ასეთი ან ამაზე მეტად გაჭირვებული ჩამიგდია უფრო სავალალო მდგომარეობაში?.. ამ კეთილი კაცის შემყურე, დარწმუნებული ვიყავი, რომ ამიერიდან აღარავის ჯიბეში არ ჩავყოფდი ხელს.

ხილი და ტკბილეული ვიყიდე, ყველა საჭირო წამლებიც შევიძინე და მოსკოვის გამზირისკენ ტაქსით წავედით.

* * *

მარიამი თაფლისფერთვალება, ულამაზესი, სევდიანი ბავშვი აღმოჩნდა. მას მამის მეგობრად გავეცანი და ზრდილობიანად დავტოვე სახლი, სადაც თავს უსუსურ, ნაძირალა ადამიანად ვგრძნობდი.

მარიამის ბაბუა გამომედევნა.

— კეთილო ახალგაზრდავ, სახელიც კი არ ვიცი შენი. როგორ გადაგიხადო მადლობა? ეს რა უხერხულში ჩამაგდე?

— არაა საჭირო, ძია კაცო, — რატომღაც, ამ ადამიანმა ბებიაჩემი გამახსენა, მაგრამ ვერ გეტყვით, რატომ...

ფაქტი იყო, რაღაც გულწრფელი, მშობლიური გრძნობით მიყვარდა ეს ცხოვრებისაგან დაწიხლული, მაგრამ სულშეულახავი ადამიანი.

* * *

სახლში მისულმა სამალავიდან ჩემი „ავლა-დიდება“ ამოვიღე და შავი დღისთვის გადადებულ ფულს ათასი ლარი მოვაკელი.

— ისევ რაღაც დააშავე, ჩემო ძვირფასო? — ისე მკითხა მეუღლემ, თითქოს არ იცოდა, რას ვსაქმიანობდი.

ეზოში ჩემი ორი გოგონა ბავშვებთან ერთად თამაშობდა. უნებურად, თვალებზე ცრემლი მომადგა...

შინიდან გამოსული ჯერ ეკლესიაში წავედი და უფლის წინაშე პირობა დავდე, რომ აღარ ვიქურდებდი, შემდეგ კი ფერადი ტელევიზორი ვიყიდე — დიდი, ძალიან დიდი ეკრანით...

P.S. ეს შთამბეჭდავი ამბავი ციხიდან მოგვწერეს და ცხადია, მას მცირეოდენი შესწორებებით ვბეჭდავთ. ის 46 წლის პატიმარს, მან გოგელს (სახელი და გვარი შეცვლილია) ეკუთვნის, რომელსაც პატიმრობაში 25 წელზე მეტი აქვს გატარებული. „ჩემი წარსული ერთი დიდი, ტკივილიანი სისულელე იყო და მინდა, ყოველივე ეს ისე გამოვთქვა, რომ მოზარდი თაობისთვის გაკვეთილი იყოს“ — დასძინა მან წერილის ბოლოს.

■

სამყარო

ახალი ხიდი და გზა, რომელიც „თავის სათქმელს იტყვის“

გმირთა მოედანზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. ამ ადგილზე ქალაქის მერიის მიერ ჩატარებული ყველა ექსპერიმენტი საზოგადოების ნაწილმა კრიტიკის ქარცეცხლში არაერთხელ გაატარა. ბევრი ახალ მშენებლობასაც ეჭვის თვალით უყურებს.

შეგახსენებთ, რომ გმირთა მოედნის რეკონსტრუქცია გასული საუკუნის 70-იან წლებშიც განხორციელდა — მაშინ მოედანი გაფართოვდა და გვირაბის გათხრით, ორიარუსიანი გზა გაკეთდა, III იარუსისა და თამარაშვილის ქუჩასთან ვარაზისხევის დამაკავშირებელი მაგისტრალის პროექტიც მზად იყო, მაგრამ ტრანსპორტის ინტენსივობიდან გამომდინარე, ქვეყნის იმდროინდელმა თავკაცებმა საჭიროდ არ მიიჩნიეს და ეს საქმე სამომავლოდ გადადეს. ეს „მომავალიც“ დადგა, მაგრამ გმირთა მოედანზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები ისე დაიწყო, მაშინდელი პროექტის ავტორი არავის გახსენებია. არადა, ეს ადამიანი, ხანდაზმულობის მიუხედავად, დღესაც საყვარელ საქმეს ემსახურება და მომხდარით ცოტა გულდაწყვეტილიც მომეჩვენა... დამსახურებულ არქიტექტორს, აკადემიკოს კიაზო ნახუცრიშვილს გმირთა მოედნის ისტორიასა და აწმყოზე სასაუბროდ ვეწვიეთ.

თამუნა კვინიკაძე

— ბატონო კიაზო, როგორი იყო გმირთა მოედანი, სანამ თქვენი პროექტის მიხედვით შეიცვლებოდა?

— გმირთა მოედნის დაპროექტება და მშენებლობა 1965-78 წლებში მიმდინარეობდა. მაშინ მოედნის რადიუსი მხოლოდ 20 მეტრი იყო, ისიც თეთრი ხაზით იყო შემოსაზღვრული, მძღოლები მას ხშირად კვეთდნენ, რის გამოც მოძრაობა ფერხდებოდა. მართალია, მაშინ ქალაქში ამდენი მანქანა არ დადიოდა, მაგრამ ეს ადგილი 5 გზის ნაკადის მიღება-გაშვებას მაინც ვერ აუდიოდა. ამ პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, მაშინდელმა ხელმძღვანელობამ არქიტექტორთა შორის კონკურსი გამოაცხადა. 30-ამდე პროექტი შეიქმნა და ჩემმა გაიმარჯვა.

— თქვენი პროექტის უპირატესობა რაში მდგომარეობდა?

— პროექტების უმეტესობაში ყურადღება არ იყო გამახვილებული მოედანზე შემოსული ტრანსპორტის რაოდენობასა და მისი მიმართულების განსაზღვრაზე. მე კი ეს ყველაფერი დეტალებში შევისწავლე, მოძრაობის მიმართულება, ტრანსპორტის რაოდენობაც კარტოგრამებით გამოვითვალე. ამ ყველაფრის გამო ჩემს პროექტს უპირატესობა მიანიჭეს. დაიწყო მშენებლობა, მოედნის ქვეშ გვირაბი გაითხარა, რადიუსი 5-ჯერ ანუ 100 მეტრამდე გავზარდე. მანქანებს ხაზი რომ არ გადაეკვეთათ, ბორდიურის გაკეთებაც მოვითხოვე.



ასე გამოიყურებოდა ძველი პროექტი

— III იარუსის გაკეთება რატომ არ მოხდა? ამბობენ, თქვენი პროექტი მოსკოვმა დაბლოკა, რადგან მაშინდელი საბჭოთა კავშირის არც ერთ დიდ ქალაქში მსგავსი ნაგებობა არ იყო და პირველად თბილისში აგება არ ისურვესო. მართალია?

— ეს სიმართლე არ არის. მაშინ იმასაც ლაპარაკობდნენ, ქართველმა არქიტექტორებმა გზის დაპროექტება ვერ შეძლეს და იაპონელებს დააპროექტებინესო.

— როგორც ვიცი, ამავე პროექტში შედიოდა ვარაზისხევის თამარაშვილის ქუჩასთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობაც. პროექტის ეს ნაწილი იმ წლებში რატომ არ განხორციელდა?

— მაშინ ჭავჭავაძის ქუჩა ასეთი გადატვირთული, როგორიც დღეს არის, არ იყო. ქალაქის ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ ამ გზის მშენებლობა სამომავლოდ გახდებოდა საჭირო; თანხის უქონლობაც მოიმიზეზეს, თორემ ესტაკადის ყველა დეტალი გათვლილი მქონდა.

— ისეთი იყო, როგორიც დღეს არის?

— რა თქმა უნდა, ზუსტად ისეთი არ იყო. ვერეს მარჯვენა ნაპირზე ფეხით უამრავჯერ გამივლია. ეს ტერიტორია განაშენიანებისგან თითქმის თავისუფალი იყო. ჩემი პროექტით გზა ხიდებისა და გვირაბების გარეშე გადიოდა. ზედმეტი ხარჯი საჭირო არ იყო. თამარაშვილის ქუჩაზე პანდუსით ავდიოდი. ჩემი პროექტით, ესტაკადა ე.წ. თერთმეტსართულიანი სახლიდან უფრო მეტად დაშორებული იყო, ვიდრე დღეს გააკეთეს. ახლა სახლს 10 მეტრით დაუახლოეს.

— სანამ გმირთა მოედანზე სარეკონსტრუქციო სამუშაოებს დაიწყებდნენ, არავინ დაგიკავშირდათ?

— არა, ჩემთან არავინ მოსულა. რომ დამკავშირებოდნენ, რჩევას მივცემდი, აზრს გავუზიარებდი, შეცდომებიც ნაკლები იქნებოდა. წესით, როცა ობიექტის რეკონსტრუქციის ავტორი ცოცხალია და ახალი სამუშაოსთვის ემზადები, პირველ რიგში, მას უნდა დაუკავშირდე. არ ვიცი, ეს ვინმემ გამიზნულად გააკეთა თუ არ იცოდნენ.

— თქვენ როგორ ფიქრობთ?

— არ ვიცი, რა გიპასუხოთ.

— გულდაწყვეტილი ჩანხართ...

— მიუხედავად ამისა, ობიექტზე რამ-

დენჯერმე მაინც მივედი, ინჟინრებს მცირე მითითებები მივეცი და გაითვალისწინეს.

— მაგალითად?

— სვეტები, რომლებზეც ხიდი დგას, ერთმანეთისგან ცოტა განზე გავაწევინე; თვით ხიდის ასასვლელი ვიწრო იყო და გავაფართოებინე. თავის დროზე, როცა კოსტავას, ვარაზისხევისა და მელიქიშვილის ქუჩებით ცნობილი სამკუთხედი გააკეთეს, არასწორი იყო. და საერთოდ, ამ ქალაქში ბევრი რამ არასწორად შენდება.

— ბატონო კიაზო, გმირთა მოედანზე მიმდინარე სამუშაოების საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი თამაზ შილაკაძე გახლავთ. იცნობთ?

— როგორ არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ ის ვარაზისხევის თამარაშვილთან დამაკავშირებელი მაგისტრალის მშენებლობას ხელმძღვანელობს. ის არქიტექტორთა კავშირშიც იყო მოსული, მაგრამ პროექტი დაუწუნეს. შეხვედრის ბოლოს მინდოდა, ცალკე დავლაპარაკებოდი, მაგრამ ისე სწრაფად წავიდა, გასაუბრება ვერ მოვახერხე.

— რისი თქმა გსურდათ?

— ამ პროექტზე დაველაპარაკებოდი. ხიდის სვეტებიც არ მომწონს. უფრო წვრილი და ნაზი რომ გაეკეთებინათ, მეტი სივრცე გამოჩნდებოდა. თვით მოედანი კომპოზიციურად, შეკრული იყო, ახლა ეს ერთიანობა დაარღვიეს. ის მემორიალიც არ მომწონს; იმ ადგილს საერთოდ არ უხდება. სანამ დადგამდნენ, მკითხეს, გვირაბს ხომ არ ჩაანგრევსო? თუ გადახურვას თანამედროვე ტექნიკით გააძლიერებთ, არ ჩაანგრევს-მეთქი, ვუპასუხე.

— ეს გაძლიერება მოხდა?

— დიახ, როგორც ვიცი, გვირაბის გადახურვა გააძლიერეს.

— ჩანგრევის საშიშროებაზე მაშინაც ლაპარაკობდნენ, როცა შადრევანი დაამონტაჟეს.

— თუ ყველაფერს სწორად გათვლიდნენ და წყალიც არ გაუონავდა, საშიშროება არ იქნებოდა. დღეს იმასაც ლაპარაკობენ, ვერეს ხეობაში გზის გაყვანით ეკოლოგიას ზიანი მიადგაო. ეს გაზვიადებული შეფასებაა. ხეობაში ბევრი ნახევრად გამხმარი ხე იყო. ასეთები უნდა მოიჭრას და ახალი დაირგოს. თვით მოედანზე ნიავი კარგად უბერავს და გამონაბოლქვის განიავებაც ბუნებრივად ხდება.

„დღეს თბილისში ძალიან ბევრი რამ კეთდება; რომ ვთქვა — არ კეთდება-მეთქი, არასწორი იქნება და ბოლომით ნათქვამი გამოვა, მაგრამ საკითხავი ის არის, სწორად კეთდება?..“ — ამბობს არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი და გმირთა მოედანზე და ვერეს ხეობაში მიმდინარე სამუშაოებს უთავბოლოს უწოდებს.


კიაზო ნახუცრიშვილი

— არ შეიძლება, ქალაქში სამშენებლო სამუშაოები ცალკეული სუბიექტების სურვილით ხორციელდებოდეს ისე, რომ ქალაქის პერსპექტიული განვითარების გეგმა არ არსებობდეს, რომელსაც ჩვენ გენგეგმას ვუწოდებთ. გეკითხებით, ეს გეგმა რომ ყოფილიყო, გმირთა მოედანზე შადრევანს ხომ აღარავინ გააკეთებდა?! ჩაიყარა ფული და ცოტა ხნის შემდეგ მისი დემონტაჟი გახდა საჭირო.

— გმირთა მოედნის რეკონსტრუქცია საჭირო იყო თუ არა?

— ეს ის ადგილია, სადაც სატრანსპორტო კვანძი აუცილებლად უნდა შექმნილიყო. ეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში, არქიტექტორ კიაზო ნახუცრიშვილის მიერ იყო დაგეგმილი, მაშინვე იყო განსაზღვრული სამმავლო გზა, რომელიც მდინარე ვერეს ხეობაში გავიდოდა. დღეს გმირთა მოედანი უთავბოლოდ კეთდება.

— ახსენით, უთავბოლობას რაში ხედავთ?

— ეს ადგილი არის უნივერსიტეტის, სანაპიროდან ამომავალი გზისა და „აჭარის“ მიმდებარე ტერიტორიის კვანძის ერთ-ერთი მთავარი „ჭანჭიკი“. ჯერ ამ ადგილებზე უნდა მოეწესრიგებინათ მოძრაობის სისტემა, სატვესთან ხიდი აეშენებინათ და გმირთა მოედნის რეკონსტრუქცია შემდეგ დაეწყოთ. როგორ?.. ეს სხვა საქმეა. პროფესიონალი დაჯდებოდა და მოიფიქრებდა.

— ეს 70-იანი წლების გენგეგმით თუ იყო გათვალისწინებული?

— მაშინდელი გენგეგმა საბჭოთა იდეოლოგიის ილუსტრირება იყო. მაშინ 2 ძირითადი პროგრამა მუშაობდა. სოციალურმა პროგრამამ ახალი რაიონების (გლდანი, დიღომი, ზღვისუბანი და ა.შ.) მშენებლობა განაპირობა. ახალი ქუჩებიც დაპროექტდა, მაგრამ იმ წლებში ნორმით, 1000 სულ მოსახლეზე 10 მანქანა იყო გათვლილი. მიაჩნდათ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყო ძირითადი და შეუცვლელი რამ. მოძრაობის ინტენსივობაც ნაკლები იყო. ახლა კი გმირთა მოედანზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები ისე დაიწყო, პროექტი არავის უნახავს. გზის დამპროექტებელი, ბატონი თამაზ შილაკაძე გახლავთ. ეს პიროვნება გზების დაპროექტების შესანიშნავი სპეციალისტია, მაგრამ ის არ არის გზის დამგეგმავი. ეს ორი სხვადასხვა რამ არის. გზის დაგეგმვა ქალაქდაგეგმარების სპეციალისტმა უნდა განსაზღვროს. დაპროექტების დროს უნდა დადგინდეს, სად უნდა აიგოს ხიდი, სად მოიჭრას მიწა და ა.შ. იმის გამო, რომ გზა სათანადოდ დაგეგმილი არ იყო, უსარგებლო სამუშაო ჩაატარეს. ეს თაღოვანი გადახურვები საჭირო არ იყო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გზას თავიდანვე ჩქაროსნული მაგისტრალი დაარქვეს. ესეც არასწორი იყო. მანძილი დაახლოებით 3 კილომეტრამდეა, სიჩქარეს აკრებ და უკვე ბოლოში ხარ. თან, როცა ჩქაროსნულ მაგისტრალს აკეთებ, მისი პარამეტრებიც უნდა დაიცვა. მოსახვევების რადიუსი დიდი უნდა იყოს, ქანობები — მინიმალური და ა.შ. ამ ყველაფერმა მთების ჭრა გამოიწვია, მაგრამ ამაში დამნაშავე თამაზ შილაკაძე არ არის.

— აბა, ვინ არის?

— ვინც გადაწყვეტილებებს იღებს. ამ ქვეყანაში ხომ ყველაფერი ვიღაცის „ხოშზე“ კეთდება. გზაზე სამშენებლო სამუშაოს დაწყების ამბავი როგორც კი გავიგე, თამაზ შილაკაძესთან მივედი. ვილაპარაკეთ. მაშინ კონტურები ბოლომდე გამოკვეთილი არ იყო... მიმაჩნია, რომ ვარაზისხევისა და თამარაშვილის ქუჩების დამაკავშირებელ გზას ალტერნატივა არა აქვს, მაგრამ გააჩნია, რა დატვირთვას მივცემთ: თუ მას მხოლოდ სატრანზიტო ფუნქცია ექნება, ეს ბევრი არაფერია, მაგრამ ჭავჭავაძის გამზირთან 3 ადგილზე მაინც თუ დავაკავშირებთ, დიდი ეფექტი ექნება. ჭავჭავაძის პროსპექტის განტვირთვა ბარნოვისა და ფალიაშვილის ქუჩების განტვირთვასაც ნიშნავს. ამისთვის კი ეს გზა მდინარე ვერეს დონეზე კი არა, არამედ მაღალ ნიშნულზე უნდა გასულიყო და ჭავჭავაძის პროსპექტს მოკლე ქუჩებით დაჰკავშირებოდა.

— ეს ახლა რომ განხორციელდეს, არ შეიძლება?

— ახლა უფრო გრძელი ქუჩების გაყვანა იქნება საჭირო, რაც მეტი მწვანე ნარგავის გაჩეხას მოითხოვს. სადაც გზა შენდება, იქ ინფრასტრუქტურაც ჩნდება. ამ ადგილებზე განაშენიანება მოხდება და ეს შესანიშნავი ხეობა, რომელიც ქალაქის „ფილტვების“ ფუნქციას ასრულებდა, გაქრება. ამას ზოოპარკიც ეწირება. იქ მყოფი ცხოველები ხმაურისგან მალე დაავადდებიან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვაკის ფერდობი ეროზიულია. მთა 20 მეტრამდე მოჭრეს; მცოცავ მიწას რაღა გააჩერებს?! მისი გამაგრება იმაზე გაცილებით მეტი დაჯდება, ვიდრე ეს მაგისტრალი დაჯდა.

— როგორ ფიქრობთ — ამას არ გაითვალისწინებდნენ?

— გზის გაყვანისა და საერთოდ, სამშენებლო სფეროში მიწის თითოეულ სანტიმეტრს მნიშვნელობა აქვს. ამისთვის შეიქმნა მთელი დარგი — გეოდეზია. ამის გარეშე მშენებლობა არ არსებობს. თბილისში კი პროექტები ექსპერტიზას არ გადის, განხილვა არ ხდება. ან, თუ ხდება, ამას ფორმალური ხასიათი აქვს.

— თამაზ შილაკაძე ამბობს, რომ

პროექტი არქიტექტორთა კავშირსაც წარუდგინა.

— მართალია. ამ შეხვედრას მეც ვესწრებოდი, მაგრამ რაც იქ მოიტანა, იმას პროექტი არ ჰქვია. მწვავედ გავაკრიტიკეთ. მას მერიის წარმომადგენელიც ახლდა; მისი გვარი არ მახსოვს, მაგრამ კარგად მახსოვს ის, რაც წამოსცდა: რამდენიც გინდათ, ილაპარაკეთ, ჩვენ ამ გზას მაინც გავაკეთებთო.

— ბატონო გიგა, გმირთა მოედანზე მემორიალიც დადგეს. როგორია არქიტექტორის თვალით დანახული ეს ნაგებობა?

— მკრეხელობაა იმის თქმა, რომ გმირთა მემორიალი არ უნდა აშენდეს. ეს იმ ადამიანებისადმი უღრმესი მადლიერების გამოხატვაა, რომლებმაც ჩვენთვის თავი გაწირეს. ზოგს საფლავიც არ ეღირსა... მაგრამ მემორიალი სადღესასწაულო ნაძვის ხეს არ უნდა დაამსგავსო, ზიზილ-პიპილოებით არ უნდა ააჭრელო.

— განათებას გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა. მე ჯერ არ ვიცი, მსოფლიოში არც ერთი მემორიალი, რომელიც ასე აჭრელებულია. თანამედროვე ეპოქაში მემორიალებს ანათებენ, მაგრამ განათება ერთი ფერით უნდა მოხდეს. მემორიალთან ადამიანი უნდა მივიდეს და მუხლი მოიდრიკოს. ახლა თქვენ მითხარით — იმ „ხორცის საკეპ მანქანაში“ როგორ უნდა გაიარო, რომ ყვავილი მიიტანო?!. ეს უსახური ნაგებობა არც ქალაქს მოერგო და არც ჭირისუფალს და ამ შემთხვევაში, ჭირისუფალი — ქვეყანაა. იმსიმაღლეზე რომ სახელები და გვარები წერია, როგორ წავიკითხოთ?! იმ ესპანელმა არქიტექტორმა, რომელიც ავტორად ითვლება, ერთ-ერთ სატელევიზიო სიუჟეტში თქვა: ეს ჩემი მემორიალი არ არის, ასეთი უნდოდათ და დავუხაზეო. ანუ მისი იდეა არ იყო, არქიტექტურა კი პირველ რიგში, იდეაა. იმ ხიდს, რომელიც ცოტა ხნის წინ მტკვარზე გადეს, იუმორით, „სალაღობო ხიდს“ ვუწოდებ. იქ საერთოდ, ხიდის აგების აუცილებლობა არ იყო. ფერდობზე შეფენილი არქიტექტურული ნაგებობები და ისტორიული შენობები ერთიანობაში, ქართული სიმღერასავით იყო ურთიერთშერწყმული. ამ ხიდმა მოსპო ისტორიული ქალაქი, პროპორცია, სინატიფე. არადა, ისიც უცხოელს დააპროექტებინეს, თანაც — სანათების არქიტექტორს. არაქართველი არქიტექტორები საქართველოში წინა საუკუნეებშიც მუშაობდნენ, მაგრამ ისინი ქართულ კულტურასთან შესისხლხორცებულნი იყვნენ, მათთვის თბილისი უცხო არ იყო და ვისთვისაც უცხო იყო, მათ ღირებული არაფერი შეუქმნიათ.

— საგზაო მაგისტრალზე ხმაური ახსენეთ. ეს პრობლემა ახლომდებარე, მაგალითად, ე.წ. თერთმეტსართულიანი სახლის მცხოვრებლებს არ შეაწუხებთ?

— გმირთა მოედანს და მიმდებარე ტერიტორიას ძაბრისებრი ფორმა აქვს. ასეთ შემთხვევაში ხმა ზევით ვრცელდება. ქვედა სართულებზე მცხოვრებნი გაცილებით ნაკლებად იგრძნობენ. თავად, ხილიანის ქუჩაზე ვცხოვრობ. ხმაურია, როცა ტრასაზე სპორტული მანქანებით დაქრიან. თან, ეს გვიან ღამით ხდება. მაღალ სართულებზე მცხოვრები მეზობლები კი დღისითაც შეწუხებულები არიან... საერთოდ, ქალაქში ცხოვრება გარკვეულ ხარკს მოითხოვს. ერთი მხრივ, კომფორტულია, მეორე მხრივ, დისკომფორტიც ახლავს. ზოგჯერ ეს ხმაურიც უნდა ავიტანოთ.

გმირთა მოედანზე და ვერეს ხეობაში მიმდინარე სამუშაოებს აკადემიკოსი თამაზ შილაკაძე ხელმძღვანელობს. ამბობს, რომ მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებზე პასუხის გაცემისგან თავი არასდროს აურიდებია. შეხვედრაზე ჩვენც სიამოვნებით დაგვთანხმდა.

— ბატონო თამაზ, გმირთა მოედნის რეკონსტრუქციას საზოგადოების ნაწილი კრიტიკულად შეხვდა, იმასაც კი ამბობდნენ, — მშენებლობა ისე დაიწყო, პროექტიც კი არ არსებობდაო.

— ტყუილია. მერიამ დაპროექტების ტენდერი გამოაცხადა. მონაწილეობა მივიღე, ჩემი მოსაზრება განიხილეს და მოეწონათ. ამის შემდეგ დავიწყე პროექტზე მუშაობა. რა თქმა უნდა, თავდაპირველად, ყველა ნიუანსი გათვალისწინებული არ იყო. კორექტივები დღესაც შემაქვს, ეს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია.

— 70-იან წლებში გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის ავტორი — არქიტექტორი კიაზო ნახუცრიშვილი გახლავთ. მას რატომ არ დაუკავშირდით?

— თქვენი შენიშვნა სამართლიანია. უნდა ვაღიარო — ნახუცრიშვილს რომ შევხვედროდი, კარგი იქნებოდა. მას წლებია, ვიცნობ და დიდ პატივს ვცემ.

— აბა, რატომ არ შეხვდით?

— დროში ძალიან შეზღუდული ვიყავი. თან, მოედანზე მეტად, აქცენტი მაგისტრალზე იყო გადატანილი. ამით თავს არ ვიმართლებ. კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ ბატონ კიაზოსთან ჩემი შეხვედრა საჭირო და აუცილებელიც იყო. მორალური თვალსაზრისითაც, უფრო გამართლებული იქნებოდა.

— როგორც ვიცი, პროექტი კოლეგებს არქიტექტორთა კავშირშიც წარუდგინეთ. მათგან კი მწვავე კრიტიკა მოისმინეთ...

— (*მაწყვეტინებს*) კარგად არ გცოდნიათ. იქ გმირთა მოედანზე ლაპარაკი არ ყოფილა, ვარაზისხევისა და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელი ესტაკატის შესახებ ვიმსჯელეთ. ზოგიერთებმა მითხრეს, რომ „მომავლის სკოლასთან“ ახლოს უნდა გამევლო, „მზიურო“ გამეჭრა და ა.შ. ამის აუცილებლობა ვერ დავინახე. თამარაშვილამდე ისე გავედი, არც „მზიურს“ შევხებივარ და არც ზოოპარკს. იმავე შეხვედრაზე პროექტის განხილვაზე დიდი ყურადღება ამ ესტაკატის აშენება-არაშენების საკითხის განხილვას დაეთმო. რაში გვჭირდება ეს გზაო? — ასეთი კითხვა არაერთხელ დაისვა.

— თქვენი კოლეგები ამბობენ, რომ ვაკის მხარეს მცოცავი მიწაა... არც თაღოვანი გადახურვების აუცილებლობა იყო, ამით ზედმეტ ხარჯს ავიცილებდითო.

— მცოცავი მიწა მართლაც არის, მაგრამ ესტაკადას იმ მიწასთან არანაირი კავშირი არა აქვს. მცოცავ მიწაზე არ გაგვივლია. ამ გზის დადებითი მხარე ესეც არის. რაც შეეხება თაღოვან გადახურვებს, — ზედმეტ ხარჯს ვერ ვხედავ. საჭირო რომ არ ყოფილიყო, არც გავაკეთებდით. ახლა საჭიროა, ერთი სატრანსპორტო კვანძი უნივერსიტეტთან გაკეთდეს. საერთოდ, შეცდომა იყო, როცა გმირთა მოედანზე ე.წ. სამკუთხედი გაკეთდა. თავის დროზე კიაზო ნახუცრიშვილს ამ საკითხზე ყურადღება უნდა გაემახვილებინა. დღესაც ვფიქრობ, ისეთი რა მოვიფიქრო, რომ ეს სამკუთხედი გაუქმდეს? ქალაქის სატრანსპორტო გენგეგმაზე მუშაობა სასწრაფოდ უნდა დაიწყოს. არქიტექტორთა კავშირში ვერავინ დამარწმუნა იმაში, თუ რატომ არ უნდა აშენებულიყო ეს გზა. ამის აუცილებლობას ცხოვრება დაამტკიცებს. მალე გზის მეორე ხაზი გაიხსნება, ყველა ნახავს, იქ რა მოძრაობა იქნება.

— გზის ხარისხზე რას გვეტყვით?

— უმაღლესი ხარისხის ბეტონი დაიგო. ეს გერმანული მხარის ზედამხედველობით კეთდებოდა. მინიმუმ 50 წელი ამ გზას არაფერი დასჭირდება.

— ჭავჭავაძის გამზირთან ესტაკადის შეერთება მოხდება?

— რა თქმა უნდა. ძირითადი 2-დონიანი (გზები ერთმანეთს არ გადაკვეთს) შეერთება ხილიანის ქუჩიდან მოხდება. გარდა ამისა, შეერთება 3 ადგილზე მოხდება. ხეობაში 680 ხე მოიჭრა, აქედან ნახევარზე მეტი ცუდ მდგომარეობაში იყო. შეიძლება, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ხეობაში 120 ღია საკანალიზაციო წერტილი იყო! ყველაფერი გადაღებული მაქვს. სპეციალისტებს ისიც კი გაუკვირდათ, აქამდე ქოლერა როგორ არ გაჩნდაო?! ამაში დამნაშავე, ქალაქის ხელმძღვანელობაა: წლების მანძილზე ქალაქში ასეთი სიბინძურე იყო და შესაბამისმა სამსახურმა ზომა არ მიიღო.

— დაბოლოს, როგორია თქვენი აზრი მემორიალზე?

— მემორიალი ყველა ქვეყანაში, დაღუპული გმირების პატივისცემის ნიშნად იგება. ზოგი ლამაზი გამოდის, ზოგი — არა. ახლა კრიტიკას არ დავიწყებ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ როცა პროექტზე მუშაობა დავიწყე, არც ვიცოდი, მოედანზე მემორიალის დადგმას თუ აპირებდნენ.

— სამშენებლო სამუშაოების ხარჯი რამდენ მილიონს შეადგენს?

— 83 მილიონი ჯდება. ამ თანხაში შედის ყველაფერი — წყლის, გაზის, განათების გაყვანა, სახლების აღება და ა.შ. სულ 15 ოჯახი გამოვასახლეთ. მერიამ ყველა დააკმაყოფილა; ისეთ ცუდ პირობებში ცხოვრობდნენ, უარი არავის უთქვამს. გზის პირას 10000-ზე მეტი ხის დარგვაა გათვალისწინებული. იქ მხოლოდ პარკი უნდა იყოს. პროექტით, სხვა არაფერია გათვალისწინებული. ეს გზა „თავის სათქმელს იტყვის“ და არავის ადვოკატობა არ სჭირდება. ■

თამაზ შილაკაძე

Legacy-ს ტიუნინგირებული სპეცვერსიები

კომპანია „სუბარუმ“ Legacy-ს სედანისა და უნივერსალის ტიუნინგირებული სპეცვერსიების შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. ტიუნინგს კომპანიის ქვეგანყოფილება — STi განახორციელებს. ეს სიახლეები მიიღებენ ინდექსს tS და ჯერჯერობით მხოლოდ იაპონიაში გაიყიდება. გარეგნულად ამ ავტომობილების სხვებისაგან განსხვავება შესაძლებელი იქნება წინა სპოილერის, 18-დუიმიანი დისკებისა და 225/45 ზომის ბორბლების, აგრეთვე სედანზე საბარგულის სახურავზე ან უნივერსალის მეხუთე კარზე არსებული დამატებითი სპოილერის საშუალებით. გარდა ამისა, ორივე სიახლეს ახალი გამომშვები სისტემა ექნება. თუმცა, 2,5-ლიტრიანი ტურბომოტორი შეუცვლელი დარჩება. სალონში თვალში საცემი იქნება ტყავგადაკრული სპორტული საკერძლები, მოდერნიზებული წინა პანელი, STi-ის საჭე, აგრეთვე მექანიკური სიჩქარის გადაცემათა კოლოფის ახალი სახელური. იაპონიაში სედანის ფასი 44 ათასი დოლარიდან, ხოლო უნივერსალისა — 45,9 ათასი დოლარიდან დაიწყება. ■

რეკორდსმენი „ლამბორჯინი“

ამერიკელმა რიჩარდ ჯორდანმა აშშ-ში მოგზაურობისას საკუთარი lamborghini alliardo-თი 4 წელიწადში თითქმის 92 ათასი მილი (148 ათასი კილომეტრი) გაიარა. იმისთვის, რომ სუპერავტო კრედიტით შეეძინა და ხანგრძლივი მოგზაურობა წამოეწყო, ჯორდანმა 2006 წელს მთელი თავისი ქონება — ჩრდილო ტეხასში სახლი, აგრეთვე ავტომობილი და სხვა მატერიალური ფასეულობებიც გაყიდა (ოცნების ავტომობილის შეძენა ამერიკელმა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საცოლე დაშორდა). რიჩარდს 90 ათასი დოლარი დაუგროვდა, რაც ავტომობილის შეძენისას თავდაპირველი შესატანისთვის საკმარისი თანხა იყო. დანარჩენი 90 ათასი კი ჯორდანმა კრედიტით გამოიტანა. ამასთან, 4 წლის განმავლობაში მოგზაურობისას, მას 25 ათასი დოლარი დაეხარჯა (ამ თანხაში შევიდა სიჩქარის დაშვებული ნორმის გადაჭარბებისთვის გადახდილი 53 საჯარიმოს საერთო საფასურიც). რიჩარდი ირწმუნება, რომ ამ ავტომობილის ექსპლუატაციისას პრობლემები არასოდეს შეჰქმნია. აღნიშნულ alliardo-ს, გავლილი მანძილის მიხედვით, შეიძლება რეკორდსმენიც ვუწოდოთ. მანამდე „ლამბორჯინის“ მიერ გავლილი მანძილის რეკორდული მაჩვენებელი 39 ათასი მილი (63 ათასი კმ) იყო და ეს მიღწევა ჯორდანის მანქანაზე უფრო ადრე გამოშვებულ ავტომობილს ეკუთვნოდა. საშუალოდ კი იტალიური სუპერავტოები იშვიათად გადიან 10 ათას მილზე (16 ათასი კმ) მეტ მანძილს. ■

Swift-ის მომავალი თაობა

ორიოდე დღის წინ კომპანია „სუბარუმ“ ჰეჩბეკის — „სვიფტი“ — მომავალი თაობის შესახებ პირველი ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. სიახლის გარეგნობა წინამორბედთან შედარებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა: მანქანას რადიატორის ახალი ცხაური, წინა ბამპერის ცენტრალურ ნაწილში განთავსებული ჰაერშემაკავებელი და ნისლის საწინააღმდეგო შუქ-

ფარების სექცია აქვს. გარდა ამისა, შეიცვალა უკანა შუქფარებიც. ინტერიერის მოდერნიზების შესახებ დეტალური ინფორმაცია ამ ეტაპზე უცნობია. „სუზუკიში“ ამტკიცებენ, რომ სიახლე უფრო დახვეწილია. ჰეჩბეკი Suzuki Swift ახალ პლატფორმაზეა აგებული. ავტომობილის ბორბლების ბაზა 50 მმ-ით, ხოლო წინამორბედთან შედარებით შემსუბუქებული და გამყარებული ძარას სიგრძე 90 მმ-ით გაიზარდა. ამჯერად მანქანის სიგრძე 3850 მმ, სიგანე — 1695 მმ, სიმაღლე — 1510 მმ, ხოლო ბორბლების ბაზა 2430 მმ-ია. სიახლისთვის გათვალ-

ისწინებულია 94 ცხ. ძალის სიმძლავრის მქონე, 1,2-ლიტრიანი მოტორი, რომელიც 1,3-ლიტრიან აგრეგატს ჩაენაცვლება. ასეთი ძრავა იმუშავებს სიჩქარის გადაცემათა როგორც მექანიკური, ასევე ავტომატური კოლოფით. გარდა ამისა, 2011 წლიდან ახალი Swift-ისთვის შესაძლებელი იქნება 1,3-ლიტრიანი დიზელის შეკვეთა. ევროპული დილერების სალონებში ახალი Suzuki Swift მიმდინარე წლის შემოდგომიდან გამოჩნდება. ■

როდის ასრულდება იმედი

სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატი ქართველი ფეხბურთელების გარეშე მეშვიდედ ჩაივლის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გასული საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა რამდენჯერმე სცადა ფინალური ტურნირის საგზურის მოპოვება, მაგრამ სამწუხაროდ, მიზანს დღემდე ვერ მიაღწია. თავისთავად, ჩვენი გულშემატკივრების ინტერესი ქართული ფეხბურთისადმი თანდათან მინელდა, ხოლო ახალი თაობის ქომაგები უცხოურ კლუბებსა და სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ გუნდებზე გადაერთვნენ. არადა, თავის დროზე, ჩვენი ფეხბურთელები შესარჩევ შეხვედრებშიც წარმატებით თამაშობდნენ, ფინალურ ტურნირებშიც და, ასე განსაჯეთ — მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალსაც ფლობენ.

გოგი ფრანგიშვილი

1962 წელს ჩილეში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში პირველებმა, მიხეილ მესხმა, სლავა მეტრეველმა და გივი ჩოხელმა ითამაშეს. მანამდე ისინი შესარჩევი ციკლის ყველა მატჩში მონაწილეობდნენ და თურქეთისა და ნორვეგიის გუნდებს ოთხივე შეხვედრა მოუგეს. ამასთან, მესხმა და მეტრეველმა ორ-ორი გოლიც გაიტანეს. თბილისის „დინამოელთა“ ამ შესანიშნავმა ტრიომ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გამარჯვება „ევროპის თასის“ (ახლა ამ ტურნირს ევროპის ჩემპიონატი ეწოდება) პირველ გათამაშებაში მოიპოვეს, როდესაც 1960 წლის პარიზულ ფინალში 2:1 იუგოსლავიის ნაკრები დაამარცხეს.

კონტინენტის საუკეთესო გუნდის ტიტულის მფლობელ საბჭოთა ნაკრებს სპეციალისტები მსოფლიოს VII ჩემპიონატის ფავორიტებს შორისაც ასახელებდნენ, ხოლო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს — იტალიელებს მეორე ადგილზე აყენებდნენ.

წარმატების იმედი ჰქონდა ნაკრების უფროს მწვრთნელს, გავრილ კაჩალინსაც და ძალების მოსასინჯად, გუნდი 1961 წლის შემოდგომაზე სამხრეთამერიკულ ტურნირში წაიყვანა, მეტოქეებად კი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეები — არგენტინის, ჩილესა და ურუგვაის ეროვნული ნაკრებები შეარჩია. ტურნირმ გაამართლა — საბჭოთა გუნდმა სამივე მატჩი მოიგო; გამორჩეულად საინტერესო, არგენტინელებთან შეხვედრა აღმოჩნდა. იმ პერიოდის პრესა წერდა: „ეს თამაში საუკეთესო იყო იმ შეხვედრათა შორის, რომლებიც საბჭოთა ნაკრებმა სამხრეთ ამერიკის სტადიონებზე გამართა. მატჩის ნამდვილი გმირები — ლევ იაშინი, სლავა მეტრეველი და მიხეილ მესხი იყვნენ. მათმა ბრწყინვალე ოსტატობამ და მაღალმა ტექნიკამ მაყურებელთა გულები დაიპყრო. რაც მომცრო ტანის მესხმა არგენტინის უძლიერეს მცველს, სიმეონის დღე აყარა, ვერც ერთი

ლევ იაშინი

გარინჩა ვერ გააკეთებდა“.

ქართველმა ფეხბურთელებმა კარგად ითამაშეს მსოფლიოს ჩემპიონატშიც და ქვეჯგუფიდანაც გავიდნენ.

პირველი მატჩი ძველ მეტოქეებთან, იუგოსლავიელებთან ჰქონდათ. ორივე გუნდი ჯგუფის ფავორიტად მიიჩნეოდა და მათ შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა ჩვენი გარემარბების — მესხისა და მეტრეველის აქტიურობით, ბალკანელებს შანსი არ დაუტოვეს და საბჭოთა ნაკრებმა 2:0 გაიმარჯვა.

სერგო კოტრიკაძე, *სპორტის დამსახურებული ოსტატი:*

— იუგოსლავიელებს ძველი ანგარიში ჰქონდათ საბჭოელებთან: 1956 წელს მათ ჯერ მელბურნის ოლიმპიური თამაშების ფინალი წააგეს საბჭოთა ნაკრებთან, ხოლო შემდეგ — „ევროპის თასის“ ფინალიც. ამიტომ ახლა რევანშისთვის იყვნენ განწყობილნი, გულშემატკივარიც ბევრი ჰყავდათ და მატჩიც დაძაბული გამოვიდა. ჩვენი მეტოქე უხეშობდა; მეტრეველს წარბი გაუხეთქეს; ედუარდ დუბინსკის კი ფეხი მოსტეხეს და ათნი დავრჩით მოედანზე. ამის მიუხედავად, აშკარად ვჯობდით. ფლანგებზე გამორჩეულად კარგად ითამაშეს მესხმა და მეტრეველმა. სწორედ სლავას წამოწყებული კომბინაციის შემდეგ გაიტანა ვიქტორ პონედელნიკმა მეორე გოლი და 2:0 გავიმარჯვეთ.

მეორე ტურში სრულიად მოულოდნელი შედეგით დასრულდა შეხვედრა ქვეჯგუფის აუტსაიდერებთან — კოლუმბიელებთან. თამაშის დაწყებიდან 13 წუთი იყო გასული, საბჭოელები 3:0-ს რომ იგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ მატჩი ფრედ — 4:4 დასრულდა.

სერგო კოტრიკაძე:

— ერთი ბურთი კოლუმბიელებმა პირველ ტაიმშივე გაქვითეს, მაგრამ ვიქტორ პონედელნიკმა შესვენების შემდეგ მეოთხე გოლი გაიტანა. აი, ამის შემდეგ დაიწყო კურიოზები: სამხრეთამერიკელებმა ჯერ პირდაპირ კუთხურიდან გაგვიტანეს, შემდეგ მესამეც შეაგდეს, ბოლოს კი წინ გამოსული იაშინი შეცდა და კოლუმბიელებმა სულ რაღაც 8 წუთში, ანგარიში გაათანაბრეს. ქვეჯგუფში ბოლო შეხვედრა ურუგვაის ნაკრებს 2:1 მოვუგეთ და მეოთხედფინალში მასპინძლებს, ჩილეს ფეხბურთელებს შევხვდით. ამ მატჩში იაშინმა კვლავ დაუშვა შეცდომები, თანაც — საბედისწერო. მაშინდელი წესებით, თამაშის წინ, მოთელვაზე, 18 ფეხბურთელი გავდიოდით. შემდეგ მწვრთნელები გუნდის შემადგენლობას მსაჯებს გადასცემდნენ. 11 მოთამაშე გასახდელში რჩებოდა, დანარჩენები კი ტრიბუნაზე სხდებოდნენ და არა — სათადარიგოთა სკამზე. გავრილ კაჩალინს უკვე ნათქვამი ჰქონდა, რომ კარში მე დამაყენებდა, მაგრამ ჩავარდნების

რამაზ შენგელია და თენგიზ სულაქველიძე

მიუხედავად, მაინც იაშინი გამოიყვანა მოედანზე. მოგვიანებით, კაჩალინმა ამის გამო მომიბოდიშა, — რა ვქნა, სერგო, შემადგენლობას მარტო მე არ ვადგენო. ტრიბუნიდან კარგად ჩანდა იაშინის შეცდომები. პირველი გოლი დაახლოებით 25 მეტრიდან, საჯარიმო დარტყმით შეაგდო რაულ სანჩესმა. ანგარიში მესხის გარღვევით გავათანაბრეთ, მარცხენა ფრთაზე ორი მცველი ჩამოიტოვა და მის ჩაწოდებულს იგორ ჩისლენკომ მიუსწრო. ორიოდე წუთში, ელადიო როხასმა თითქმის 35 მეტრიდან დაურტყა იაშინს და გადამწყვეტი ბურთიც გაიტანა. ამით დამთავრდა ჩვენთვის ის მსოფლიოს ჩემპიონატი. ლევ იაშინი კარგი მეკარე იყო, მომდევნო სეზონში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზიც მიანიჭეს, მაგრამ ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატი აშკარად ჩააგდო. მესმის, რომ გავრილ კაჩალინი თავის კარიერაზეც ფიქრობდა. მე რომ გამეფუჭებინა თამაში, მას ტყავს გააძრობდნენ, საბჭოთა ფეხბურთის ლეგენდას — იაშინს კი ბევრი რამ ეპატიებოდა.

სერგო კოტრიკაძეს ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატში არც ერთი მატჩი რომ არ უთამაშია, ეს ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის განსაკუთრებით გულდასაწყვეტია, ვინაიდან სწორედ იმ წელს საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეკარედ აღიარეს და ჟურნალ „ოგონიოკის“ პრიზითაც დააჯილდოეს.

ამ ჩემპიონატის შემდეგ, ქართველ ფეხბურთელებს საბჭოთა ნაკრებში კარგა ხანს აღარ იძახებდნენ, მაგრამ მორიგი ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყების წინ, ახალმა მწვრთნელმა ნიკოლაი მოროზოვმა, სლავა მეტრეველთან და მიხეილ მესხთან ერთად მურთაზ ხურცილავასა და გიორგი სიჭინავასაც უხმო. საკავშირო ნაკრებმა ეს ციკლიც წარმატებით დასძლია — ექვსიდან ხუთი მატჩი მოიგო და ჯგუფში პირველი ადგილიც დაიკავა. თბილისის „დინამოელებთან“ ერთად, მოროზოვმა მოსკოვის „ტორპედოელი“ ქართველი, ანზორ კავაზაშვილიც გამოცადა და ისიც ძირითად გუნდში მიიწვია. სამწუხაროდ, უსამართლობა ამჯერადაც გამეორდა — დანიელებთან შესარჩევ მატჩში ჩინებულად ითამაშა ნაკრების დებიუტანტმა, ვლადიმერ ბარქაიამ, 2 გოლიც გაიტანა, მაგრამ ინგლისის საგზური არც მას ერგო, ისევე, როგორც მიხეილ მესხს. მესხის შესახებ მოსკოვის „სპარტაკის“ ვეტერანმა ფეხბურთელმა, ნიკოლაი სტაროსტინმაც თქვა: „რა სისულელე ჩაიდინა მოროზოვმა, მესხი რომ არ წამოიყვანა“. მკითხველს შევახსენებ, რომ სტაროსტინს ქართველები არასდროს ეხატებოდა გულზე, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელები ნაკრებს სჭირდებოდა. საბოლოოდ, 1966 წლის ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ქართველთაგან, სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა და ანზორ კავაზაშვილი მონაწილეობდნენ. ქვეჯგუფის პირველი მატჩი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან ჰქონდა. კორეელები ყველასათვის გამოცანას წარმოადგენდნენ და, როგორც შემდგომ გაირკვა, — საკმაოდ ძლიერებიც იყვნენ. საკმარისია ითქვას, რომ მათ იტალიელებიც დაამარცხეს, აი, საბჭოთა ნაკრებთან კი წააგეს — 0:3. მეორე ტურში ხურცილავამ თანაგუნდელებთან ერთად, კარგად ითამაშა იტალიელებთან. ქართველმა მცველმა საიმედოდ ჩაკეტა აპენინელთა ლიდერი — სანდრო მაცოლა და ნაკრებმა 1:0 გაიმარჯვა კიდეც. რთული აღმოჩნდა მომდევნო შეხვედრა ჩილეს ნაკრებთანაც. გადამწყვეტი ბურთი საბჭოელებმა მატჩის მიწურულს გაიტანეს და თამაში 2:1 მოიგეს.

ჩემპიონატის მეოთხედფინალში ნიკოლაი მოროზოვის გუნდის მეტოქე უნგრეთის ნაკრები იყო. „მადიარებმა“ ქვეჯგუფში ბრაზილიელები 3:1 დაამარცხეს და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვეს, მაგრამ დაიწყო თუ არა თამაში, საბჭოთა ნაკრების უპირატესობა სწრაფად გამოიკვეთა. მეხუთე წუთისთვის ანგარიში უკვე 1:0 იყო. საბოლოოდ კი „მადიარებმა“ 1:2 წააგეს, ხოლო საბჭოთა ნაკრები პირველად გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში. ამ ეტაპზე მისი მეტოქე გფრ-ის გუნდი იყო, რომელსაც ძლიერი შემადგენლობა ჰყავდა: ფრანც ბეკენბაუერი, ვოლფგანგ ოვერატი, კარლ-ჰაინც შნელანგერი, უვე ზეელერი... ნახევარფინალამდე მათ ოთხივე მატჩი მოიგეს, 11 გოლი გაიტანეს, თავად კი მხოლოდ ერთი მიიღეს. ასეთ ძლიერ გუნდთან სათამაშოდ მოროზოვმა არც ერთი ქართველი ფეხბურთელი არ გამოიყვანა. ახლა ძნელია თქმა, რა იყო ამის მიზეზი, თუმცა ამას მნიშვნელობა აღარც აქვს. დასავლეთ გერმანიის ნაკრების უპირატესობა აშკარა იყო. პირველი ტაიმის ბოლოს ჰელმუტ ჰალერმა პირველი გოლი გაიტანა. ამას დაემატა ისიც, რომ იგორ ჩისლენკო უხეშობისთვის, მოედნიდან გააძევეს. მეორე ტაიმში ბეკენბაუერმა მეორედ აიღო იაშინის კარი და საბჭოელებმა მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს პრესტიჟის ბურთის შედგება.

ამ ჩემპიონატში ბოლო — მესამე ადგილისათვის მატჩი საბჭოთა ნაკრებს პორტუგალიის გუნდთან ჰქონდა. როგორც იქნა, მოროზოვი ქართველ ფეხბურთელებსაც ენდო და სასტარტო შემადგენლობაში ხურცილავა, სიჭინავა და მეტრეველი დააყენა.

მურთაზ ხუცილავა, *სპორტის დამსახურებული ოსტატი:*

— საბჭოთა ნაკრებს ამ ჩემპიონატში მეოთხე ადგილი უკვე განაღდებული ჰქონდა. ადრე მსოფლიოს საუკეთესო გუნდების ოთხეულში არასოდეს დაუკავებია ადგილი და ამან, მე მგონი, მწვრთნელებზე იმოქმედა. მოროზოვისთვის ეს დიდი მიღწევა იყო. მწვრთნელების განწყობილება ფეხბურთელებმაც შევამჩნიეთ და ჩვენზეც იმოქმედა. ჩემი აზრით, მეტის მიღწევა შეგვეძლო — იმ თამაშის მოგება შეიძლებოდა. შემადგენლობაც ოპტიმალური ვერ შეარჩიეს — ალბერტ შესტერნიოვი არ დააყენეს, რომელმაც მანამდე ყველა შეხვედრაში კარგად ითამაშა. ყველაფერ ამას დაემატა ის, რაც ადრე არასოდეს გამიკეთებია: ჩვენს საჯარიმოში ხელით ვითამაშე. მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე დამესიზმრა, რომ ხელით ვითამაშე და დილის ვარჯიშზე გიორგი სიჭინავას მოვუყევი ჩემი სიზმრის შესახებ. მეგრულად მიპასუხა: „სი ჭყვადიი“ („შე ამოსაწყვეტო“), ეს არ გააკეთოო. მაინც გავაკეთე...

მატჩის მე-13 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც პორტუგალიელებმა საბჭოთა ნაკრების საჯარიმო მოედანზე ბურთი ჩააწოდეს და სრულიად უწყინარ სიტუაციაში, მურთაზ ხურცილავამ მართლაც, ხელით ითამაშა. ლეგენდარულმა ეუსებიომ ლევ იაშინს მარჯვენა მაღალ „ცხრიანში“ აუღებელი, 11-მეტრიანი დაურტყა. ტაიმის ბოლოს სლავა მეტრეველმა ორი მცველი ჩამოიტოვა და ანგარი-

სლავა მეგრეველი

მურთაზ ხურცილავა

შიც გაათანაბრა. მაგრამ მატჩის მიწურულს ტორესმა გამარჯვების გოლის გატანა შეძლო. 2:1 პორტუგალიელებმა მოიგეს, მაგრამ ბრინჯაოს მედლებით ორივე გუნდი დაჯილდოეს. საბჭოთა ნაკრებში მედლები უფროსმა მწვრთნელმა, ნიკოლაი მოროზოვმა გაანაწილა და ქართველთაგან ჯილდო მხოლოდ მურთაზ ხურცილავას ერგო.

ინგლისში მიღწეული წარმატების მიუხედავად, როგორც ყოველთვის, ნაკრების ხელმძღვანელობა შეცვალეს. მექსიკის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად, გუნდს ჯერ მიხეილ იაკუშინი ჩაუდგა სათავეში, ხოლო შემდეგ — გავრილ კაჩალინი, სწორედ ის კაჩალინი, რომლის ხელმძღვანელობითაც თბილისის „დინამომ“ 1964 წლის ტაშკენტის „ოქროს მატჩში“ მოსკოვის „ტორპედო“ დაამარცხა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები პირველად მოიპოვა. კაჩალინმა, სლავა მეტრეველთან, მურთაზ ხურცილავასთან და ანზორ კავაზაშვილთან ერთად, ქვეყნის მთავარ გუნდში ახალგაზრდა „დინამოელები“: კახი ასათიანი, რევაზ ძოძუაშვილი და გივი ნოდიაც მიიწვია. ერთდროულად 6 ქართველი ფეხბურთელი საბჭოთა ნაკრებში არც მანამდე და არც შემდეგ, არასდროს ყოფილა.

შესარჩევ ციკლში საბჭოთა გუნდმა ჩრდილოეთ ირლანდიის, თურქეთის ნაკრებ გუნდებთან პაექრობისას, ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

ჩემპიონატის ფინალური ტურნირი მასპინძლებისა და საბჭოთა კავშირის გუნდების შეხვედრით დაიწყო. „აცტეკას“ 100-ათასიანი სტადიონი პირთამდე აივსო, მაგრამ გულშემატკივართა იმედი არ გამართლდა. აუტანელ სიცხეში მიმდინარე მატჩი უღიმღამო აღმოჩნდა და ფრედ — 0:0 დამთავრდა. მეორე მატჩი საბჭოთა ნაკრებმა გაცილებით უკეთ ჩაატარა და 4:1 სძლია ბელგიის გუნდს. ერთი ბურთი კახი ასათიანმა გაიტანა. ბოლო შეხვედრაში სალვადორის ნაკრებთან 2:0 გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა ფეხბურთელებმა ჯგუფში კვლავ პირველობა მოიპოვეს და მეოთხედფინალში ურუგვაის ნაკრებს „დაუწყვილდნენ“. აქამდე საბჭოთა და ურუგვაელი ფეხბურთელები ეროვნული ნაკრებების დონეზე ხუთჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და ხუთივეჯერ საბჭოელებმა იმარჯვეს. ბუნებრივია, მათ ამჯერადაც წარმატების იმედი ჰქონდათ, მაგრამ თამაში კარგად არ გამოუვიდათ. შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ — 0:0 დასრულდა. დამატებითი დროც წესით, ასევე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მატჩის მიწურულს მსაჯმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა — ურუგვაელების შეტევის დროს, ლუის ალბერტო კუბილას ბურთი პირით ხაზს იქით გაექცა, საბჭოთა ფეხბურთელები გაჩერდნენ და ხელებაწეულები მსაჯის სასტვენს ელოდნენ, მაგრამ ის დუმდა; კუბილამ თამაში გააგრძელა, ბურთი მოედანზე დააბრუნა, მისი გადაცემით კი ადვილად ისარგებლა ესპარაგომ და სამხრეთამერიკელებმა ამ კურიოზული გოლის წყალობით გაიმარჯვეს.

კიდევ უფრო კურიოზული იყო საბჭოთა ნაკრებისთვის 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. უფრო სწორად — შესარჩევი ტურნირის ფინალი. ევროპის IX ქვეჯგუფში საბჭოელებმა საფრანგეთისა და ირლანდიის გუნდებს აჯობეს და პირველი ადგილიც დაიკავეს. დებულების თანახმად, ფინალური ტურნირის საგზურის მოსაპოვებლად ახლა ისინი სამხრეთ ამერიკის ჯგუფის გამარჯვებულს უნდა შეხვედროდნენ. იქ კი ჩილეს ნაკრებმა დაიკავა პირველი ადგილი. პირველი მატჩი 1973 წლის 26 სექტემბრისთვის, მოსკოვში იყო დანიშნული, მაგრამ მანამდე, 11 სექტემბერს ჩილეში სამხედრო გადატრიალება მოხდა და ქვეყნის სათავეში გენერალი აუგუსტო პინოჩეტი მოვიდა. მიუხედავად ამისა, სამხრეთამერიკელები მოსკოვში სათამაშოდ მაინც ჩავიდნენ და შეხვედრა ფრედ — 0:0 დასრულდა. საპასუხო მატჩისთვის კი საბჭოთა ნაკრები სანტიაგოში აღარ გაემგზავრა; მიზეზი — პინოჩეტი „ესტადიო ნასიონალ დე ჩილეს“ სტადიონზე პოლიტპატიმრებს ხვრეტდაო, ასეთი იყო ოფიციალური კრემლის განცხადება. ფიფამ კიდევ ერთი დამატებითი მატჩი დანიშნა, მაგრამ საბჭოთა ნაკრები არც ამჯერად გამოცხადდა და ტექნიკური წაგება 0:3 ჩაეთვალა.

1982 წლის ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატის მზადების პერიოდისთვის, მოვიდა ახალი თაობა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული ფეხბურთის აღორძინებაში. 1981 წელს სწორედ მათ მოიპოვეს ევროპული თასი. მიუხედავად ამისა, ესპანეთის სტადიონებზე წარმატებას ვერ მიაღწიეს. ფინალური ტურნირი საბჭოთა ნაკრებისთვის ბრაზილიელებთან მარცხით (1:2) დაიწყო; შემდეგ ჯგუფის აუტსაიდერი, ახალი ზელანდიის გუნდი გაანადგურეს (3:0), ბოლოს კი შოტლანდიელებს შეხვდნენ. ბრიტანელები ამ ჩემპიონატში დიდად არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ პირველ ტაიმში სწორედ მათ გაიტანეს გოლი. იმ ეპიზოდში გუნდის კაპიტანი, ალექსანდრე ჩივაძე შეცდა. მაგრამ შესვენების შემდეგ, მანვე შეაგდო საპასუხო ბურთი. მოგვიანებით, რამაზ შენგელიამაც გამოიჩინა თავი, მაგრამ მატჩის მიწურულს შოტლანდიელებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს — 2:2. ორივე გუნდმა ჯგუფში 3-3 ქულა მოაგროვა, მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდებით, მომდევნო ეტაპზე საბჭოთა ნაკრები გავიდა. ესპანეთში ტრადიციული, 16-ის ნაცვლად, ფინალურ ტურნირში ამჯერად 24 გუნდი მონაწილეობდა, ამიტომ მეოთხედფინალში კვლავ ჯგუფური ტურნირი გაგრძელდა. საბჭოთა ნაკრებმა ბელგიის გუნდს 1:0 სძლია, მაგრამ პოლონელებთან ფრედ — 0:0 დაასრულა მატჩი. პოლონელებმაც და საბჭოელებმაც 3-3 ქულა მოაგროვეს, მაგრამ ბურთების მცირე რაოდენობის გამო, საბჭოთა ნაკრები ტურნირს გამოეთიშა.

ესპანეთში, ჩივაძისა და შენგელიას გარდა, ვიტალი დარასელია და თენგიზ სულაქველიძეც ასპარეზობდნენ. ამ ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ბოლო იყო, რომელშიც ქართველმა ფეხბურთელებმა ითამაშეს.

4 წლის შემდეგ, მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის, საბჭოთა ნაკრებს ალექსანდრე ჩივაძე და თენგიზ სულაქველიძე შემორჩნენ. ქართველმა ფეხბურთელებმა, თანაგუნდელებთან ერთად, ქვეჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს, მაგრამ ფინალური

ალექსანდრე ჩივაძე

ტურნირის სასტარტო განაცხადში მხოლოდ ჩივაძე მოხვდა, თუმცა მექსიკაში არც მას უთამაშია.

ქართული ფეხბურთის უახლესმა პლეადამ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ოთხჯერ სცადა ფინალისაკენ გზის გაკვლევა, მაგრამ ბოლო ოცწლეულის რთულ ლაბირინთებში დახლართული ჩვენი ფეხბურთი, როგორც ჩანს, მსოფლიოს სტანდარტებს გვარიანად ჩამორჩა. თუმცა გულშემატკივარი მუდამ იმედით ცოცხლობს. იმედი ახლაც ყველას გვაქვს, ერთი ეგაა — როდის ავისრულებთ ამ ოცნებას, არავინ იცის... ■

ᲐᲠᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲜᲔ�გᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲐᲜᲢᲘᲝᲥᲘᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲖᲔ

ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

ანტიოქიის ეკლესია არის — დედა, საქართველოს ეკლესიისა. მეხუთე საუკუნემდე, ვიდრე საქართველოს ეკლესია ავტოკეფალიას მოიპოვებდა და დამოუკიდებელი გახდებოდა, ანტიოქიის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა... **ᲐᲠᲥᲘᲛᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘ ᲛᲐᲙᲐᲠᲘ** *(აბესაძე):*

ანტიოქიის ეკლესია ამჟამად დიპტიქში მესამე ადგილზე იხსენიება. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, ვიდრე კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ჩამოყალიბდებოდა, იერარქიულ წყობაში ანტიოქიის ეკლესია მესამე ადგილზე იყო, შემდეგ მეოთხე ადგილი დაიკავა. XI საუკუნეში რომის ეკლესიის მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღიდან გამოყოფისა და დიპტიხიდან ამოვარდნის შემდეგ, კვლავ მესამე ადგილზე გადავიდა.

თავად ანტიოქია უძველესი ანტიკური ქალაქია. ის რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების დედაქალაქი გახლდათ და იმ პერიოდში, როდესაც მაცხოვარი შვა და ხორციელად არსებობდა დედამიწაზე, რომის იმპერიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ქალაქი იყო. როგორც „საქმე მოციქულთა“-დან ვიცით, უფლის მოწაფეებს პირველად ანტიოქიაში ეწოდათ ქრისტიანები.

თავად ანტიოქიის ეკლესია პეტრე მოციქულის მიერაა დაარსებული, რომელიც ანტიოქიაში ქადაგებდა, მის პირველ მღვდელმთავრადაც პეტრე მოციქული მოიაზრება. ანტიოქიაში ქრისტიანობის გავრცელებაში უდიდესი ღვაწლი გასწია პავლე მოციქულმაც.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, ქრისტიანულ სამყაროში ანტიოქია ერთ-ერთი წამყვანი კათედრა იყო, სადაც თავიდანვე ჩამოყალიბდა საღვთისმეტყველო სკოლები. სკოლის მიმდინარეობები ალექსანდრიული საღვთისმეტყველო სკოლისგან განსხვავებული გახლდათ. თუ ალექსანდრიის სკოლა ნებისმიერ სწავლებაში მისტიკას ეძებდა, ანტიოქიური სკოლა ამა თუ იმ ფაქტს ისტორიული მოვლენების ფონზე განიხილავდა. მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებას სწორედ ამ ორი სკოლის წარმომადგენლებმა ჩაუყარეს საფუძველი.

მსოფლიო საეკლესიო IV კრებაზე ანტიოქიის ეკლესიას საპატრიარქოს სტატუსი მიენიჭა და მთელი აღმოსავლეთ პროვინციების საეპისკოპოსოები დაემორჩილა. მის დაქვემდებარებაში იყო საქართველოს ეკლესიაც V საუკუნემდე, ვიდრე მეფე ვახტანგ გორგასლის დროს ავტოკეფალიას მოიპოვებდა. ანტიოქიის ტიტულატურა შემდეგნაირად ჟღერს: „უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქი სრულიად ანტიოქიისა, სირიისა, არაბეთისა, ივერიისა, კილიკიისა, მესოპოტომიისა და სრულიად აღმოსავლეთისა, მამა მამათა და მღვდელი მღვდელთა“. აღნიშნული ტიტულატურა იმ დროს განეკუთვნება, როდესაც ანტიოქიის ეკლესიას საპატრიარქო სტატუსი მიენიჭა. 451 წელს ივერიის ეკლესია ჯერ კიდევ ანტიოქიის ეკლესიის დაქვემდებარებაში იყო და მხოლოდ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ — V საუკუნის ბოლოსთვის მიენიჭა ავტოკეფალია. თუმცა, ივერიის ეკლესია ანტიოქიის ეკლესიის პატრიარქის ტიტულატურაში დღესაც იხსენიება.

ანტიოქიის ეკლესიაში აღიზარდნენ უდიდესი მოღვაწეები, როგორიც იყო წმინდა იოანე ოქროპირი. ის კონსტანტინოპოლის ეკლესიის პატრიარქად არჩევამდე სწორედ ანტიოქიის ეკლესიაში მოღვაწეობდა; ასევე წმინდა იოანე დამასკელი და სხვა უდიდესი მამები... საღვთისმეტყველო სკოლებიდან მტკიცე მართლმადიდებლების გარდა, ერესიერარქები — მწვალებლურ მიმდინარეობათა ფუძემდებლებიც გამოდიოდნენ. ხშირად ყოფილა, რომ საპატრიარქოს საყდარი ერესის მიმდევრებსაც დაუკავებიათ. V-VII საუკუნეებში ეკლესიას ნესტორიანელები და იაკობიტები ჩამოშორდნენ. VII საუკუნეში ანტიოქიას და მთლიანად აღმოსავლეთს დიდი უბედურება დაატყდა თავს, არაბთა შემოსევების სახით. დაპყრობის შემდეგ თითქმის ორი საუკუნე არაბთა ბატონობის ქვეშ იყო მთელი ანტიოქია. ამ პერიოდში იდევნებოდნენ და ავიწროებდნენ ქრისტიანებს. შემდეგ დედაქალაქი ჯვაროსნებმა დაიკავეს. ჯვაროსნები თითქოსდა ქრისტიანები იყვნენ და ქრისტეს სახელის დასაცავად მიდიოდნენ, მაგრამ მართლმადიდებლები მათი მხრიდანაც ძალზედ შევიწროებული იყვნენ. ჯვაროსნებისა და ჯვაროსნების შემდგომ ხანაში ანტიოქიის ეკლესია იმდენად დაკნინდა, რომ საპატრიარქო კათედრაც კი დამასკოში გადაიტანეს და საპატრიარქო ცენტრი დღესაც ლიბანში — დამასკოში მდებარეობს.

ქრისტიანობა თურქთა ბატონობის პერიოდშიც იდევნებოდა. მათ ქრისტიანთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა დაიწყეს. 1760 წელს მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში, თურქმა ფანატიკოსებმა 17 ათასი კაცი მოკლეს; 10 ათასი ბავშვი დაწვეს და 7 ათასი ნაწამები ქალის სხეული ნაკუწებად აქციეს. სწორედ იმ დროს განადგურდა დამასკოს უმდიდრესი ბიბლიოთეკა, თითქმის ყველა ეკლესია და მონასტერი გაძარცვეს, მაგრამ მსოფლიო საზოგადოების ზეწოლით ქრისტიანთა დევნა შეწყდა. ერთი წლის განმავლობაში, სანამ ქვეყანა ფრანგების მიერ იყო ოკუპირებული, ანტიოქიის საპატრიარქოში სიმშვიდემ დაისადგურა.

XVII საუკუნის ბოლოდან ანტიოქიის საპატრიარქო ტახტს, იმ დროს ჩამოყალიბებული წესის თანახმად, მხოლოდ ბერძნები იკავებდნენ და მაღალი იერარქებიც ბერძნები ხდებოდნენ. მსახურებაც ძველბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა. ამ ყველაფერმა არაბების უკმაყოფილება გამოიწვია და მათი ძალისხმევით, 1799 წელს, ანტიოქიის პატრიარქად მათი თანამემამული იქნა არჩეული. ამის შემდეგ ანტიოქიის პატრიარქები ტრადიციულად არაბები არიან; მსახურება კი ძველბერძნულ და არაბულ ენებზე მიმდინარეობს.

XIX საუკუნის ბოლოდან, ანტიოქიის საპატრიარქოს მუსლიმანთა ბატონობის პერიოდთან შედარებით უკეთესი ხანა

მსოფლიო საეკლესიო IV კრებაზე ანტიოქიის ეკლესიას საპატრიარქოს სტატუსი მიენიჭა და მთელი აღმოსავლეთ პროვინციების საეპისკოპოსოები დაემორჩილა.

დაუდგა — ქრისტიანებს აღარ სდევნიდნენ და ავიწროებდნენ. თუმცა, არაბთა ბატონობამდე არსებულ პერიოდთან შედარებაც კი არ შეიძლება ამჟამინდელი ვითარებისა; ანტიოქიის საპატრიარქოში 200 ეპარქია შედიოდა; ამჟამად კი 22 ეპარქიაა გაერთიანებული. მათგან 6 — ლიბანშია, 1 — ერაყში, 3 — თურქეთში, 6 — ჩრდილოეთ და 6 — სამხრეთ ამერიკაში.

ანტიოქიის ეკლესიას სემინარია და არაბული სასულიერო აკადემია აქვს; მის დაქვემდებარებაში 400-მდე ეკლესია შედის; თავისი წარმომადგენლობები აქვს სხვადასხვა ქვეყანაში.

ანტიოქიის ეკლესიის მრევლის უდიდეს ნაწილს არაბები წარმოადგენენ და დღესდღეობით მისი საპატრიარქო მილიონამდე მართლმადიდებელს ითვლის. მუსლიმანთაგან დაპყრობის შემდეგ ქრისტიანთა რიცხვმა ნელ-ნელა იკლო. III საუკუნეში მარტო ანტიოქიის საპატრიარქო ტაძრის მრევლის რაოდენობა 100 ათასამდე იყო. ვიდრე ამ რეგიონის გამუსლიმანება მოხდებოდა, იქ ცხოვრობდნენ ეთნიკურად არარომაელები, რომლებიც ყოველთვის რომის იმპერიის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ მიილტვოდნენ, რამაც მონოფიზიტური ერესის წრამოშობის დროს, ანტიოქიის საპატრიარქოს მრევლის გარკვეული ნაწილი მონოფიზიტური ერესის მიმდევარი გახადა. შემდეგ, როდესაც ტერიტორიები არაბებმა დაიპყრეს, მოსახლეობის უმრავლესობამ მუსლიმანობა მიიღო; ვინც ქრისტიანად დარჩა, ნაწილმა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შეაფარა თავი, ზოგი ქრისტიანთა დევნას ემსხვერპლა, ნაწილი კი განდევნეს...

IV საუკუნემდე, ვიდრე კონსტანტინოპოლის კათედრა შეიქმნებოდა და ახალი უფლებები მიენიჭებოდა, მთელი კაბადოკიის ტერიტორიები ანტიოქიის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში შედიოდა. ერთი პერიოდი ანტიოქიის ეკლესიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა იერუსალიმის ეკლესიაც. იმის გამო, რომ იერუსალიმის ეკლესია იყო დედა ყველა ეკლესიისა, არ მიენიჭა საპატრიარქო სტატუსი და დამოუკიდებელი ეკლესია ვერ გახდა.

როგორც ვთქვით, ანტიოქიის ეკლესიას უძველესი დროიდან ჰქონდა ურთიერთობა საქართველოს ეკლესიასთან. სწორედ ისაა დედა საქართველოს ეკლესიისა. წმინდა ნინოს პერიოდში დაარსებული ქართული ეკლესიის პირველი მეთაური — იოანე, ანტიოქიაში ეკურთხა. აქვე დაასხეს ხელი საქართველოს პირველ კათალიკოსს — პეტრე I-ს. VI საუკუნეში ანტიოქიიდან საქართველოში ასურელი მამები ჩამოვიდნენ. ამ დრომდე, საქართველოს ეკლესიის პირველი იერარქები ანტიოქიიდან იყვნენ ხოლმე მოვლინებულნი, რადგან საქართველოს ტერიტორიები ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში მყოფ რომის იმპერიის ტერიტორიებს ესაზღვრებოდა. ■

ეთერ კაკულიას „ლარები“, ულამაზესი მანიკა ასათიანი და

შავ-თეთრი საქორწილო კაბა — მოდის ბოლო „კივილი“

თამარ ნადირაძე, იგივე მარი გოლდი საკუთარ თავს დიზაინერს არ უწოდებს, მაგრამ ფაქტია, რომ ულამაზეს საქორწილო და საღამოს კაბებს ქმნის, რომლითაც საზოგადოებისთვის ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ბევრი ქალბატონი იმოსება. ახლახან „მარი გოლდმა“ პირველი დამოუკიდებელი ჩვენება მოაწყო...

ეთო ყორღანაშვილი

— მართალია, სხვადასხვა ღონისძიებასთან დაკავშირებით, ჩვენება ხშირად გაგვიმართავს, მაგრამ „მარი გოლდის“ დამოუკიდებელი ჩვენება პირველად ახლახან მოვაწყვეთ. სულ 32 მოდელი წარვადგინეთ. მათგან 13 — საღამოს კაბა იყო, დანარჩენი — საქორწილო.

— ძირითადად, საქორწილო კაბებზე მუშაობთ?

— დიახ, ეს ჩემი თემაა — აქაა ჩემი სული და გული! პროფესიით დიზაინერი არ ვარ — ეს საქმე ჩემი მოწოდებაა! ჩემს გატაცებას კაბის მოდელებს თავად ვხატავდი, დედიკოს კი სისრულეში მოჰყავდა. როცა ქალიშვილი შემეძინა, განსხვავებულ სამოსს უკვე მისთვის ვქმნიდი — ეს საქმე ძალიან მსიამოვნებდა! ახლა შვილიშვილიც მყავს: პატარა ნიაკო ყოველ ჩვენებაზე გადის, თავის მეგობართან — დიმასთან ერთად. ისინი „მარი გოლდის“ პატარა სახეები არიან.

— ე.ი. საბავშვო სამოსსაც ქმნით?

— კი. პირველად „მარი გოლდის“ საბავშვო სამოსი 29 დეკემბერს, ოპერის სცენაზე, ნიაკომ და მისმა მეგობრებმა წარადგინეს. მაშინ ნიაკო



ალბათ, საფუძველი იმან ჩაუყარა, რომ ფაქტობრივად, თეატრში გავიზარდე — მამა მხატვარ-გრიმიორი იყო. იმ პერიოდში, დიდი კლასიკოსების სპექტაკლები იქმნებოდა, რომლებშიც დიდი მსახიობები თამაშობდნენ. სასცენო სამოსის გარდერობიც განსხვავებული იყო: ამ ტანსაცმლის სპეციფიკური სუნი დღესაც მახსოვს. ხშირად დედიკოს გარდერობში ვემალებოდი, შინ რომ არ წავეყვანე (*იღიმის*). მაშინ უცხოეთისკენ გზა გახსნილი არ იყო. ჩემი ანსამბლ „გვირილაში“ ახალი მისული იყო და სცენაზე სიმღერისთვის მზად არ გახლდათ. გული რომ არ დასწყვეტოდა, ის და მისი მეგობრები მაყურებლების წინაშე პატარა მოდელებად წარდგნენ. შემდეგ რუსთაველის თეატრშიც გამოვიდნენ... ყოველი ჩვენების წინ, ნიაკოსთვის რაღაც ახალს ვაკეთებ.

— პატარებს როგორი სამოსი მოსწონთ?

— „ბარბის“ გარდერობი იტაცებს: გაშლილი, ფერადი კაბებით

ყველა პატარა იხიბლება, თუმცა როცა „ქართულ ბრენდზე“ დაგვაჯილდოეს, მაშინ შავ-თეთრი კაბების კოლექცია წარვადგინეთ და ბავშვსაც ამ ფერებში გადაწყვეტილი კაბა ეცვა. კანარის კუნძულებზე, ესპანეთში გამართულ მუსიკალურ ფესტივალზე „მარი გოლდის“ სამოსში გამოწყობილი პატარები განსაკუთრებულად მოეწონათ.

— **რამდენი ხანია, რაც ტანსაცმლის დიზაინის სფეროში მუშაობთ?**

— თითქმის 12 წელია. წინათ სხვა კომპანიასთან ერთად ვმუშაობდი, შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა. 2 წელზე მეტია, რაც „მარი გოლდი“ დავაარსე. ვნანობ, რომ ბევრი წელი დავკარგე... დღეს ვერ ვიტყვი, რომ უკმაყოფილო ვარ — საკმაოდ ბევრი რამის გაკეთება შევძელი: 1 წელი „წყნარად“ ვიყავით, მერე კი „ქართული ბრენდის“ დღეზე პატარა ჩვენება მოვაწყვეთ, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა. მას შემდეგ, ბევრ პროექტში ვმონაწილეობთ. ახლახან „ყვავილების ფესტივალში“ (რომელშიც 19 უნივერსიტეტი მონაწილეობდა) ჟიურის წევრად მიმიწვიეს. ამის გამო ძალიან ბედნიერი ვარ! ამიტომ, პედაგოგიურზე ჩავაბარე. სტუდენტობისას გავთხოვდი. მეუღლემ მთხოვა, ჯერ შვილები გავზარდოთ და შენი სულის სიამოვნებისთვის საქმე მერე გააკეთეო. ასეც მოვიქეცი. დღეს ჩემი ვაჟი ამერიკაშია, ქალიშვილი კი გათხოვდა და დღესდღეობით, მე მეხმარება — სამენეჯერო საქმეს ითავსებს. დიზაინერობა ნიაკოს უფრო აინტერესებს — ფერებს კარგად „კითხულობს“.

— **თუ არ ვცდები, მომღერალ ეთერ კაკულიას თავის სოლო კონცერტზე თქვენ მიერ შექმნილი კაბა ეცვა. სამოსის შერჩევისას, ქალბატონი ეთერი პრეტენზიულია?**

— პრეტენზიული ადამიანი არაა. მასთან მუშაობისას ვისვენებ. საკუთარ ტკივილს არასოდეს გამოხატავს, არ წუწუნებს. როცა ეკითხებიან, როგორ ხარო? პასუხობს, ოპტიმისტურადო! ეთოს წითელი ფერი ძალიან უყვარს. წინათ წითელი, ზემოდან გაშლილი კაბა მოითხოვა. ახლაც კაბისთვის ქსოვილი უცხოეთიდან სპეციალურად ჩამოვუტანე. მინდოდა, გრძელი, ვიწრო კაბა შემეთავაზებინა — ტანზე მომდგარი სამოსი ძალიან უხდება, მაგრამ განაცხადა, მოკლე კაბა შემიკერეთ, წინ — „პრარეზითო“. მისი „ლარები“ (როგორც თავის ფეხებს უწოდებს) უნდა ჩანდეს (*იღიმის*)... არ მსურდა, რომ მისთვის მეწყენინებინა და დავთანხმდი. არადა, ტანზე მომდგარი სამოსი მართლა ძალიან უხდება!

— **კლიენტებს სამოსთან დაკავშირებული, უცნაური მოთხოვნები არა აქვთ?**

— რა თქმა უნდა, ასეთებიც არიან. მაგალითად, ეკა გაბიტაშვილს (რომელმაც ესპანეთსა და იტალიაში კონკურსში გაიმარჯვა და იქ მოღვაწეობდა) ერთი კაბა შევუკერეთ, რომლითაც სცენაზე ოთხჯერ, სხვადასხვანაირად გასვლა შეეძლო. დაგვირეკა და გვითხრა, რაიმე უბრალო გამომიგზავნეთ, თორემ აქ ასე კარგად მხოლოდ პრიმა-მომღერლებს აცვიათ და უხერხულიაო (*იღიმის*). ამჟამად ეკა მოსკოვში მოღვაწეობს. მიხარია, რომ ჩვენი „დედოფალი“ იყო. კაბისთვის ისეთი ფაქტურა ითხოვა, რომელსაც ბოლო მომენტამდე ვერ ვშოულობდი. ვფიქრობდი, ამ გოგონას კაპრიზი რომ ვერ შევუსრულო, თავს მოვიკლავ-მეთქი! საბოლოოდ, ის გავაკეთეთ, რაც ეკას სურდა.

— **მოკლედ, თავდადებული დიზაინერი ხართ...**

— „დიზაინერი“ ხმამაღალი ნათქვამია. თითქოს ეს სიტყვა გაუფასურდა: დღეს ყველა მკერავი საკუთარ თავს დიზაინერს უწოდებს. ამის უფლება მხოლოდ გარკვეული გზის გავლის შემდეგ გვაქვს... ბედნიერი ვარ, რომ მანიკა ასათიანის, ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონის, —



დიზაინერობა ჩემთვის ხელოვნებაა. ბიზნესად როდის იქცევა, არ ვიცი, რადგან ქართული მენტალიტეტი ძალიან მოქმედებს: ის მეგობარია, ის — ახლობელი, ის — სახელოვანი ადამიანი (*იღიმის*)...

— **აღნიშნეთ, — პროფესიით დიზაინერი არ ვარ...**

— დიახ, მინდოდა, სარეჟისორო-სამსახიობო ფაკულტეტზე ჩამებარებინა — მონაცემები ნამდვილად მქონდა, მაგრამ მამიკო შემეწინააღმდეგა. მის აზრს პატივს ვცემდი. მაიკოს საქორწილო კაბებზე (რომლებიც „მარი გოლდმა“ შექმნა) მთელი თბილისი ლაპარაკობს, ყველას ძალიან მოეწონა!.. ამ პერიოდში ბანკეტებია აქტუალური. ახლანდელი გოგონები ძალიან პრაქტიკულები არიან. ბანკეტისთვის ისეთ კაბებს ირჩევენ, რომლებიც შემდეგ გამოსასვლელადაც გამოადგებათ. არადა, ქალს ცხოვრებაში ორჯერ ეძლევა შანსი, რომ „დედოფალი“ იყოს: სკოლის ბანკეტზე და ქორწილში. ეს 2 დღე განსაკუთრებული

გაგრძელება იხ. გვ. 49

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ძემდეგილი ოქაკ ივანიძე

1. კოპანო ერთგვარი ნავია.

2. „კოჟანდარი“ და „ნაბოლარა“ სინონიმებია.

3. „რაბოტა დურაკოვ ლიუბიტ“, — ამბობენ რუსები.

4. ავსტრალიური გეკონის უკლებლივ ყველა ინდივიდი მდედრობითი სქესისაა.

5. ჯონ ლენონის Imagine ყველა დროის საუკეთესო სიმღერათა სამეულშია შესული.

6. 130 სანტიმეტრზე დაბალი მამაკაცი და 120 სანტიმეტრზე დაბალი ქალი ჯუჯად ითვლება.

7. რუსეთში მეთევზეები ხშირად, ნემსკავზე სატყუარად წითელი ხიზილალის მოხარშულ მარცვლებს აგებენ.

8. ნახევარი საათის განმავლობაში ადამიანის ორგანიზმი ისეთი რაოდენობის სითბოს გამოყოფს, რაც 2 ლიტრი წყლის ასადუღებლად არის საკმარისი.

9. შიმპანზე დაახლოებით 50.000 დოლარი ღირს. მისი შენახვის ყოველწლიური ხარჯი კი — 15 ათასი დოლარია.

10. ჩიტიჭამია ობობას არ შეუძლია, მოკლული თაგვი ან ხვლიკი ნაწილ-ნაწილ შეჭამოს. ამიტომ იგი მსხვერპლის სხეულზე კუჭის წვენს ამოანთხევს და გარკვეული ხნის შემდეგ ხრწნამორეული სხეულიდან წვენის გამოწოვას იწყებს.

11. ჰუნების ლეგენდარული მეფე — ატილა საქორწინო ღამეს ცხვირიდან სისხლის დენის გამო გარდაიცვალა.

12. ბელგიის ქალაქ ლიუმენში ლუდის ხარშვის ტრადიცია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ეს საქმიანობა უნივერსიტეტშიც კი ისწავლება.

13. „ისკუსტვო ნამ დანო დლია ტავო, შტობი ნე უმერეტ ატ ისტინი“, — უყვარს თქმა არმენ ჯიგარხანიანს.

14. ავტომატ „ტომპსონს“ სანგრების ცოცხს ეძახდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკელები ამ იარაღით მტრის სანგრებს „ასუფთავებდნენ“.

15. „თუ იძულებული გავხდი, მარტოდმარტო გამოვიდე 48 პარლამენტარი მამაკაცის წინააღმდეგ, მე წინასწარ მებრალება ეს 48 მამაკაცი“, — ამბობდა მარგარეტ ტეთჩერი.

16. რიჩარდ ლომგულმა ინგლისური არ იცოდა. ნორმანთა შთამომავალ მეფეს, ზეობის ათი წლიდან, ერთი წელიც არ მოუთევია საკუთარ ქვეყანაში.

ინკების საიდუმლო ქვები

1973 წელს, ცნობილი ფრანგი მწერალი და გამომგონებელი, რობერტ შარუ პერუში გაემგზავრა, რათა ნასკას ტერიტორიაზე არსებული, ამოუცნობი ხაზები ენახა, რასაც ზოგიერთი მკვლევარი უცხოპლანეტელთა ხომალდების დასაჯდომ სპეციალურ ნიშნებად მიიჩნევდა.

პერუში ჩასულმა შარუმ, ადგილობრივი ექიმი-ქირურგი, ხავიერ კაბრერი გაიცნო, რომელმაც უჩვეულოდ მოხატული „შავი ქვების“ შესახებ მოუთხრო. დროდადრო, ადგილობრივი მოსახლეობა მიწიდან შავი ფერის ოვალურ ქვებს თხრიდა, რომლებზეც გარეცხვის შემდეგ სხვადასხვა ნახატი იკვეთებოდა. ქვებს ტურისტები სუვენირებად ყიდულობდნენ. ფრანგს ადგილობრივის ნაამბობი არადამაჯერებლად ეჩვენა, მაგრამ უჩვეულო აღმოჩენის სანახავად მაინც გაჰყვა. „ის, რაც საკუთარი თვალით ვიხილე, გამაოგნებელი იყო, — იხსენებდა შარუ. — მრავალ ექსპედიციასა და არქეოლოგიურ გათხრაში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ ასეთი რამ არსად მინახავს. ხის სტელაჟებზე სხვადასხვა ზომის, ათასზე მეტი ქვა იდო. ორ ერთნაირ ქვას ვერ მივაკვლიე. მათზე ნადირობის (ზოგიერთ ქვაზე მილიონობით წლის წინ გადაშენებული დინოზავრისა და ბრონტოზავრის გამოსახულებები იყო ამოკაწრული), ქირურგიული ოპერაციების მიმდინარეობის ამსახველი გამოსახულებები (ერთზე ანესთეზიის მეთოდია აღბეჭდილი) და გამქრალი კონტინენტების რუკები იყო აღბეჭდილი“.

კაბრერამ უჩვეულო ქვების შეგროვება 1960 წლიდან დაიწყო (სხვათა შორის, მექსიკის ქალაქ აკამბეროში აღმოაჩინეს ნახატებიანი თიხის ფირფიტები. მათზე დინოზავრები იყო გამოსახული). მის კოლექციაში 12 ათასი, მისივე თქმით, „უძველესი ხელოვნების შეუფასებელი ნიმუში“ ინახებოდა. იკის ქალაქის მუზეუმშიც ინახება რამდენიმე ათასი „შავი ქვა“. ყველაზე საინტერესოები შარუმ გამოსაკვლევად პარიზში წაიღო. მისი თქმით, ქვებზე ნახატები 50 ათასი წლის წინ, მაღალგანვითარებული ცივილიზაციის წარმომადგენლების მიერაა შესრულებული. 100 კგ-იან (ყველაზე დიდი ქვა 500 კგ-ზე მეტს იწონის, ყველაზე პატარა — 15-20 გრამს) ქვაზე მთებით გარშემორტყმული ოკეანეა დახატული; კონტინენტებზე, რომელთა საზღვრები მკვეთრად განსხვავდება დღევანდელისგან — ცხოველები და ადამიანები; ერთ ქვაზე კოსმოსია დახატული და ადამიანი, რომელიც ტელესკოპით ვარსკვლავებს აკვირდება; დიდ ქვაზე ოპერაციის მთელი მიმდინარეობაა აღწერილი, რომლის მიხედვითაც, ხანდაზმულ მამაკაცს ახალგაზრდა ბიჭის გული გადაუნერგეს. მთელი ოპერაცია, სარეაბილიტაციო პერიოდის ჩათვლით, ნახატებითაა ახსნილი; არის კალენდრიანი და ზოდიაქოსნიშნებიანი ქვებიც. კაბრერას აზრით, ეს ცივილიზაცია ნეანდერტალელებს უნდა შეექმნათ, მაგრამ ამერიკაში მათ კვალს ვერ მიაკვლიეს და ექიმის ოპონენტებმა აღმოჩენა ფალსიფიკაციად მიიჩნიეს. სხვა მკვლევრების აზრით, „შავ ქვებზე“ ნახატები ბორმანქანის მაგვარი აპარატითაა შესრულებული.

სხვათა შორის, ქვების შესახებ პირველად XVI საუკუნეში, პედრო სიმონმა დაწერა თავის წიგნში — „ისტორიული ჩანახატები“. მისი აზრით, მეცნიერებმა დიდი ხანია იციან „შავი ქვების“ არსებობის შესახებ, მაგრამ ყურადღებას არ აქცევენ.

იკის „შავი ქვების“ წარმომავლობას დღემდე იკვლევენ. ■

ადამიანები არსაიდან

1995 წელს, ჩინეთის ქალაქ სიუან-ხეს ქუჩაში უცნაურად ჩაცმული ბიჭუნა გამოჩნდა, რომელიც უცნობ, ჩინურ დიალექტზე საუბრობდა. გამვლელებმა ბავშვი პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს. ბიჭს ხონ-ხენი ერქვა, 11 წლის იყო და მისი თქმით, ჩენ-ჯოში, მონასტრის მახლობლად ცხოვრობდა. ბიჭი შეშინებული იყო, არ იცოდა, რომელ ქალაქში იმყოფებოდა და უკვირდა, თუ როგორ დადიოდნენ „ეტლები“ (მანქანები) ცხენების გარეშე. პოლიციამ იგი შეშლილად მიიჩნია და საავადმყოფოში მიიყვანა. ბიჭი ჯანმრთელი იყო. ექიმი ლი უჩვეულო პაციენტით დაინტერესდა და აღმოჩნდა, რომ იგი წარსულიდან, 1695 წლიდან იყო „მოსული“. ახალ სამყაროში ხონ-ხენმა ერთი წელი გაატარა და 1996 წელს, ყველასათვის მოულოდნელად, გაქრა. ექიმი ლი ხონ-ხენის ამბის გამოსარკვევად გაემგზავრა. აღმოჩნდა, რომ XVII საუკუნეში მონასტერი ჩენ-ჯოში მართლა არსებობდა. მან მონასტრის ისტორიული ჩანაწერებიც მოიძია და მეტად საინტერესო ინფორმაციას მიაგნო. დოკუმენტებში აღწერილი იყო 1695 წელი, როცა 11 წლის ბიჭი, ხონ-ხენი ერთი წლით დაიკარგა. შინ დაბრუნებული უცნაურ ამბებს ჰყვებოდა: „ქუჩებში უცხენო ეტლები დადიან, ადამიანები დაფრინავენ (თვითმფრინავები), სარკეებიდან გველაპარაკებიან (ტელევიზორი)“. ბერებმა მიიჩნიეს, რომ ბავშვის გაქრობა-დაბრუნებაში ეშმაკის ხელი ერია.

1954 წელს იაპონიაში უცნაურად ჩაცმული მამაკაცი დააკავეს. დოკუმენტების მიხედვით იგი ტუარედის სახელმწიფოს მოქალაქე აღმოჩნდა. უცნაურ მოქალაქეს პრესკონფერენციაც მოუწყვეს. ტუარედელმა განაცხადა, რომ მისი სამშობლო აფრიკაში, მავრიტანიასა და ფრანგულ სუდანს შორის მდებარეობდა. მამაკაცი შოკში ჩავარდა, როცა რუკაზე აჩვენეს, რომ ტუარედის ტერიტორიაზე დღეს ალჟირი მდებარეობს. აღმოჩნდა, რომ ტუარეგები (განსხვავება ერთ ასოშია) უცნობის მიერ ნაჩვენებ ადგილზე მართლა ცხოვრობენ, მაგრამ მათ დამოუკიდებელი სახელმწიფო არა აქვთ. შესაძლოა, მამაკაცი მომავლიდან იყო ან სულაც, სტუმარი — პარალელული სამყაროდან. ■

აფრიკული ვენეცია

თურმე, ევროპის გარდა, ვენეცია აფრიკაშიც არსებობს. სოფელი განვი („გან“ უსაფრთხოებას, ხოლო „ვი“ — ადამიანებს ნიშნავს) ბენინში (აფრიკა), ტბა ნოკოზეა გაშენებული. სოფელში სულ 12 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ბამბუკის ქოხებს ხიმინჯებზე (ტბის, მდინარის ფსკერზე ჩასმული ძელი ნაგებობის ასაშენებლად, საყრდნობად) „აშენებენ“. მოსახლეობა კანოეთი (ერთგვარი ნავი) გადაადგილდება, რომელსაც იროკოს ხისგან თლიან. მდიდარ ოჯახებს რამდენიმე კანოე აქვთ — მამის, დედისა და ბავშვებისთვის. ნავის მართვას განვიელებს ბავშვობიდანვე ასწავლიან.

ქალები ტბაზე მოცურავე მაღაზიებში სუნელებით, მედიკამენტებით, ხილითა და თევზეულით ვაჭრობენ. მამაკაცები თევზაობენ. ტბაზე ხმელეთის მხოლოდ ორი ნაკვეთი არსებობს. ერთზე სასაფლაოა, მეორეზე — სკოლა.

აფრიკული ვენეციის მოსახლეობა საკუთარ თავს „წყლის ხალხს“ ეძახის. ტბაზე პირველი ქოხი XVIII (18) საუკუნეში გაჩნდა. ადამიანებმა ამით საკუთარი თავი მონობისგან დაიცვეს. საქმე ის გახლავთ, რომ გარშემო მცხოვრები, წვრილი, თავადი მონათმფლობელები აფრიკელებს პორტუგალიელებზე მონებად ყიდდნენ. ადგილობრივი კანონით კი წყალზე ნებისმიერი აგრესია იკრძალება. ამიტომაც დასახლდნენ მონებად გამზადებული ადამიანები ტბაზე, სადაც დღემდე ცხოვრობენ და მრავლდებიან. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქემდგენელი ოქმარ ივანიძე

17. ინგილოური ფოთოლა ხინკალი ქათმის ხორცით მზადდება. ცომს ცალკე ნაჭრებად, ეგრეთ წოდებულ ფოთლებად ჭრიან, ხარშავენ და თუშფალანგში წურავენ. გაწურულ ფოთლებს ლანგარზე ათავსებენ, ზემოდან მოხარშული ქათმის წვენს ასხამენ და ხორცის ნაჭრებს აწყობენ.

18. რუსეთის იმპერატორი, ნიკოლოზ II, ჯარის ავტომატური იარაღით მომარაგებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა. იგი შიშობდა, რომ ტყვიამფრქვევების გამო მისი არმია მალე ტყვია-წამლის გარეშე დარჩებოდა.

19. აკაკი წერეთელი ხელმოკლეობის გამო არაერთგზის გამხდარა იძულებული, სხვიტორში მდებარე სახლი დაეგირავებინა. პოეტი ხშირად ვერ იხდიდა თანხას, მაგრამ სახლს მაინც არ უყიდდნენ.

20. ნებრასკის შტატში 25 დოლარად შეიძლება ადმირალის დიპლომის აღება. ეს დიპლომი ნამდვილია და შტატის ტერიტორიაზე მყოფი ყველა სამხედრო გემის მართვის უფლებას იძლევა, მაგრამ იგი მხოლოდ ნებრასკის ტერიტორიაზე მოქმედებს, რომელიც შეერთებული შტატების შუაგულში მდებარეობს და მის ირგვლივ 2000 კილომეტრის რადიუსით ზღვა არსად მოიძებნება.

21. ჯეკ ჩერჩილი მეორე მსოფლიო ომში, ფაშისტების წინააღმდეგ ხმლითა და მშვილდ-ისრით იბრძოდა. ბრიტანეთის არმიის ოფიცერი, რომელსაც თანამებრძოლები შეშლილ ჯეკს ეძახდნენ, იერიშზე — ხელში შოტლანდიური გუდასტვირით გადადიოდა.

22. ჩინეთის კედლის მშენებლობისას მისი გარკვეული მონაკვეთების სიმტკიცის შესამოწმებლად მეომართა რაზმი ისრების სეტყვას უშენდა ნაგებობას. კედელს ერთი ისარიც არ უნდა შერჩენოდა. P.S. „კედელი იმდენად მტკიცეა, რამდენადაც მტკიცეა მისი დამცველი ჯარი“, — ამბობდა ჩინეთზე სალაშქროდ მზადებისას ჩინგიზ ყაენი.

23. რამდენიმე დღის წინ თემურ იაკობაშვილის მიერ გამართული ბრიფინგის ყურებისას ფრთიანი ფრაზის დაბადების მოწმე გავხდი. ჟურნალისტებმა ინტერვიუერს სული არ მოათქმევინეს — რუსულმა წყარომ ეს გადმოსცა, რუსულმა წყარომ ის გადმოსცაო. „კი, მაგრამ თქვენ რუსული წყაროების გარდა არაფერს უსმენთ?! უცხოური წყაროები აღარ არსებობს?!.“ განაწყენდა სახელმწიფო მინისტრი, მაგრამ კითხვას მაინც არ აარიდა თავი და ღიმილით იკითხა: „რაო, რუსულმა წყარომ, ანკარამ?!.“

გვერდით ნამდვილი მამაკაცი გყავთ, თუკი...

ქალი და მამაკაცი შინაგანი ბუნებით და გონებრივი მონაცემებით საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამჯერად მხოლოდ რამდენიმე განმასხვავებელ ნიშანზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

• დაუკვირდით, როგორ სუნთქავს მამაკაცი. ქალები, როგორც წესი, ჰაერს გულმკერდით ჩაისუნთქავენ, ხოლო მამაკაცები — მუცლით. ეს „ფუფუნება“ ძლიერ სქესს წილად იმიტომ ხვდა, რომ ღმერთმა მას მუცლით ბავშვის ტარების ბედნიერება არ არგუნა. გარდა ამისა, მამაკაცები უმეტესად ცხოვრების მჯდომარე წესს ეწევიან, რაც თავის მხრივ, აძნელებს დიაფრაგმის სუნთქვით მოძრაობებს.

• სთხოვეთ, კარნახით დაწეროს რაიმე. მამაკაცები კარნახისას და საერთოდ, წერისას გაცილებით ბევრ შეცდომას უშვებენ, ვიდრე ქალები. ეს მამაკაცური ტესტოსტერონის ბრალია. ის ჩასახვიდან 6 კვირაში უკვე აფერხებს ტვინის იმ ნახევარსფეროს განვითარებას, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანის მეტყველებაზე, კითხვაზე, წერასა და აზროვნებაზე. სწორედ ამით აიხსნება ისიც, რომ ბიჭები გოგონებთან შედარებით საშუალოდ ერთი წლით გვიან იწყებენ გამართულად ლაპარაკს, უფრო ცუდად კითხულობენ და ვერც ლამაზი კალიგრაფიით გამოირჩევიან; ასევე, ძნელად ეგუებიან ახალ კოლექტივს. ამიტომ, პროცენტულად მამაკაცებში უფრო მაღალია ნევროზისა და დეპრესიის განვითარების რისკიც.

• სთხოვეთ, მოგიტანოთ რაიმე ნივთი. მაშინ, როცა ქალს რამდენიმე წამში შეუძლია იპოვოს ნებისმიერი ნივთი საკუთარ სახლში, კაცმა შეიძლება მის ძებნას მთელი დღე მოანდომოს. მამაკაცის ტვინს ამდენი ინფორმაციის დამახსოვრება არ შეუძლია. სწორედ ამიტომაა, რომ ისინი დილით ველარ იხსენებენ, წინაღამეს ოთახის რომელ კუთხეში მიყარეს წინდები.

• დასვით ტელევიზორთან და აყურებინეთ რომელიმე მელოდრამას. დარწმუნებული იყავით, რომ ის ცრემლებს ყველაზე სულის შემძვრელი სიუჟეტის ნახვისასაც კი არ გადმოყრის. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები ქალებთან შედარებით მძიმედ იტანენ როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ ტკივილს, ძალზე იშვიათად ტირიან. ემოციების დაფარვა მათ ქვეცნობიერზე ზემოქმედებას ახდენს და იწვევს აგრესიულობას, გაღიზიანებადობას; ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს. ამიტომაც, ქალებისთვის პრობლემებთან გამკლავება უფრო ადვილია.

• დააკვირდით, როგორ იქცევა გამოღვიძებისას. თუკი, ქალისგან განსხვავებით, პირზე მუშტს იფარებს და არა ხელისგულს; გაზმორებისას იჭიმება, ხელს იდაყვში მოუხრელად მაღლა სწევს — მშვიდად იყავით: გვერდით ნამდვილი მამაკაცი გყავთ.

• სთხოვეთ, დაათვალიეროს საკუთარი ფეხის ქუსლები. ძლიერი სქესის წარმომადგენლები ფეხს წინ გასწევენ და ტერფს ისე დახედავენ. ქალები კი ფეხს უკან სწევენ და ტერფს ზურგიდან აკვირებიან. თუ დაკვირვებებს პლაჟზე „აწარმოებთ“, იმასაც მიაქციეთ ყურადღება, როგორ დადის თქვენი პარტნიორი ქვიშაზე: თუკი ის ცხელ ქვიშას ქუსლებს მყარად აბიჯებს, თქვენ წინაშე სწორედაც რომ ნამდვილი მამაკაცია. ■

ბებიების რეცეპტები

ჯერ კიდევ ძველი დროიდან ცნობილია სახის კანის დამუშავება პროცედურა მჭადის ფქვილითა თუ ქატოთი. სწორედ ეს მეთოდი გახლავთ ახლანდელი პილინგის „წინაპარი“ („პილინგი“ ინგლისურად ხეხვას ნიშნავს). შემოგთავაზებთ სახის კანის ხეხვის ანუ პილინგის რამდენიმე ნატურალურ მეთოდს, რომელიც ერთიორად გაგიახალგაზრდავებთ სახის კანს და მას ჯანსაღ იერს მიანიჭებს.

√ 1 ჭ ქერის მარცვალი (შესაძლებელია „ჰერკულესის“ ფაფაც) გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, დაუმატეთ 1 ჩ/კ საჭმელი სოდა და მცირეოდენი ბორის მჟავა. ნარევი შეინახეთ მინის ქოლაში, კოვზთან ერთად — ის ცხიმიანი და ფერიმჭამელებიანი კანის დასამუშავებლად გამოიყენება. პროცედურა შემდეგნაირად უნდა ჩაიტაროთ: 1 ჩ/ჭ ნარევი ჩაყარეთ თბილწყლიან ჭიქაში ფაფისებური მასის მიღებამდე და შეიზილეთ სახის კანში მსუბუქი მასაჟით (ნიკაპი, ყელი, ლოყები, ცხვირი, შუბლი). როგორც კი იგრძნობთ, რომ მთელი მასა კანზე თავისუფლად „მოძრაობს“, მაშინვე გულდასმით ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

√ ანალოგიურად შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი პურის გული. ამგვარი პროცედურების შემდეგ ჩნდება სისუფთავის შეგრძნება, კანი რბილდება და სასიამოვნოდ გამოიყურება. გაითვალისწინეთ, რომ პროცედურის წინ, სასურველია, სახის კანი ნოტიო ან სველი იყოს.

√ კარგ შედეგს იძლევა ცხიმიანი კანის დამუშავება-ხეხვა ქატოთი და შემდეგ მისი ჩამობანა თბილი წყლით. პროცედურის შემდეგ სასურველია, სახეზე ოთახის ტემპერატურის მარილწყალი შეიშხაპუნოთ — მას კანისთვის მატონიზებელი მოქმედება აქვს.

პილინგის პროცედურები ორი კვირის მანძილზე, ყოველ საღამოს ჩაიტარეთ. კურსის ბოლოს კვერცხის გულის 20-წუთიანი ნიღაბი გაიკეთეთ. ■

სამარხვო სალათა ბრინჯით

მასალად საჭიროა:

60 გ ბრინჯი;
30 გ ვაშლი;
ნახევარი კილო პომიდორი;
ნახევარი კილო კიტრი;
ოხრახუში, კამა, მარილი, შავი პილპილი — გემოვნებით.

მოამზადების წესი:

მოხარშეთ ბრინჯი და გადაიტანეთ თუშფალანგზე (წყლისგან ბოლომდე უნდა დაიწრიტოს). შემდეგ შეურიეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, კამა, მარილი და შავი პილპილი. ვაშლი და პომიდორი დაჭერით წვრილად, კიტრი კი — მოგრძო ნაჭერებად. ბრინჯი გადაიტანეთ სასალათე თასზე, გვერდებიდან მოუწყვეთ პომიდორი, ვაშლი და კიტრი. სუფრაზე მიტანის წინ მაიონეზი მოასხით. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

ეთერ კაკულიას „ლარები“, ულამაზესი მანიკა ასათიანი და შავ-თეთრი საქორწილო კაბა — მოდის ბოლო „კივილი“

დასაწყისი იხ. გვ 44

უნდა იყოს, მით უმეტეს — მომსახურების ისეთი ფორმაც არსებობს, რომელსაც სამოსის გაქირავება ჰქვია.

— გოგონების „პრაქტიკულობა“ საქორწილო კაბების შერჩევისასაც შეინიშნება?

— ერთი პერიოდი, მოკლე საქორწილო კაბებზე მოთხოვნა იყო. „რედისონში“ ჩვენებისთვის ერთი ასეთი ექსკლუზიური მოდელიც შევქმენი, მაგრამ წინააღმდეგი ვარ, რომ პატარძალს მოკლე კაბა ეცვას! მესმის, რომ ლამაზი ტანი აქვს, მაგრამ შეუძლია, ეს სილამაზე მეორე დღეს გამოაჩინოს. როცა ყმაწვილები საცოლის საქორწილო კაბის შერჩევაში ზედმეტად ერევიან, ვთხოვ: პატარძალს უფლება მიეცით, კაბა საკუთარი სურვილით აირჩიოს-მეთქი.

— გოგონების არჩევანში ყმაწვილები ხშირად ერევიან?

— კიდევ კარგი, რომ — არა! მადლობა ღმერთს!..

— საინტერესოა, საქორწილო კაბებთან დაკავშირებით, ყმაწვილებს რა პრეტენზიები უჩნდებათ?

— ზოგი მამაკაცი „აზიატია“. ამიტომ კაბა გულამოღებული არ უნდა იყოს! ზოგჯერ ბიჭებს თავად ვიწვევთ, რომ კაბის შერჩევაში დაგვეხმარონ, რადგან გოგონა გადაწყვეტილებას ვერ იღებს. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ არჩევანი მაინც საპატარძლომ უნდა გააკეთოს. ჩვენ პროფესიონალურ მომსახურებას ვთავაზობთ. როცა ფირმას გამოვეყავი და მუშაობა დამოუკიდებლად დავიწყე, მკითხეს, არ გეშინიაო? არ მეშინოდა, რადგან ჩემი საქმე ძალიან მიყვარს! ეს ჩემი სულის საზრდოა... მირჩევნია, გოგონას დაბალფასიანი, მაგრამ ზუსტად „მიგნებული“ კაბა შევთავაზო, რადგან ქორწილში პატარძალი ჩემი სარეკლამო სახეა. ხშირ შემთხვევაში, პატარძლის მაკიაჟსა და ვარცხნილობაზეც ვზრუნავთ, რადგან მე ჩემებურად ვხედავ, ამა თუ იმ კაბას როგორი ვარცხნილობა, მაკიაჟი მოუხდება.

— თეთრი ფერის საქორწილო კაბები აქტუალურია?

— არა, ვერ ვიტყვი, რომ თეთრი აქტუალურია. ჩემ მიერ შექმნილი 300 კაბიდან 50 თეთრია, დანარჩენი — „შამპანი“, „კრემი“, „კაპუჩინო“. მომხმარებელს ყოველთვის ვეუბნები — უპირველეს ყოვლისა, კაბის ფერი უნდა შევარჩიოთ, მერე კი ფორმა-მეთქი.

— შავი ფერის საქორწილო კაბას თუ ითხოვენ?

— საერთოდ, მსოფლიოში შავ-თეთრ ფერებში გაწყობილი საქორწილო კაბა მოდის ბოლო „კივილად“ მიიჩნევა, მაგრამ საქართველოში შავს მაინც სხვა დატვირთვა აქვს...

— როცა საქორწილო კაბებზე ვსაუბრობთ, ალბათ, რთულია თქმა — რა არის მოდაში?

— 12 წელია, ამ სფეროში ვმუშაობ და შემიძლია, ვთქვა: ყველაფერი მოდაშია! მოგეხსენებათ, — „ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია“. ბოლო დროს,

სიტყვა „სადა“ ძალიან აქტუალურია. მისი მნიშვნელობა ცუდად ესმით: თუ კაბა გაშლილი არაა, მიაჩნიათ, რომ სადაა. ალბათ, ეკონომიკური კრიზისის ბრალია, რომ მსოფლიოში კარგი ქსოვილის დეფიციტია. ბოლო დროს, ატლასს, შიფონს იყენებენ და სიტყვა „სისადავემ“ ადგილი დაიმკვიდრა. როცა მანიკას კაბაზე ვმუშაობდი, ქსოვილისთვის უცხოეთში გამგზავრება მომიხდა. მანიკას ბუნებრივად უცხო ფერის თმა აქვს. მას თმის ფერის მოსასხამი გავუკეთეთ... ძალიან ლამაზი იყო — ამას ყველა აღნიშნავდა, მათ შორის — დიზაინერებიც.

— რადგან დიზაინერები ახსენეთ, გკითხავთ: საქართველოში დიზაინერებს შორის ე.წ. ჯანსაღი კონკურენცია თუ არსებობს?

— „ფეშენ ვიკმა“ (რომელშიც „მარი გოლდი“ არ მონაწილეობდა, რადგან, ყოველდღიურ სამოსზე არ მუშაობს) გვიჩვენა, რომ ქართველებს ნიჭიერი დიზაინერები გვყავს. ძალიან მომწონს ბაკურ ბაკურაძის დამოკიდებულება სხვების მიმართ: შეაქებს, დაეხმარება... ზოგი ძალიან ამაყია! შეიძლება, ვიღაც — „დიდი“ და ყველა დანარჩენი — „პატარები“ ვართ, მაგრამ ურთიერთდამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს...

— სხვების საქორწილო კაბებზე რომ ზრუნავთ, საინტერესოა, თქვენს ქორწილში როგორი კაბა გეცვათ?

— იმ პერიოდში, საქორწილო კაბების მაღაზიები საერთოდ არ არსებობდა. მოდელი თავად დავხატე. შემდეგ დედიკომ შიფონის კაბა შემიკერა. საჭირო მასალები არ მქონდა. ამიტომ კაბა რომ „დამდგარიყო“, 250 მ მარლისგან „პადიუბკა“ შეკერა. „გავაკრახმალეთ“, გავაუთოეთ... საბოლოო ჯამში, კაბა ისეთი მძიმე იყო, რომ ვერ აღვწერ (*იცინის*)!..

— დაბოლოს, საზოგადოება „მარი გოლდის“ სახელით გიცნობთ. რატომ — მარი და არა — თამარი?

— ჩემს ოჯახში მარიამი არავის ჰქვია... კომუნისტების „წყობის“ ვარ. ეკლესიაში სიარული თითქმის აკრძალული გვქონდა. არ დამავიწყდება ის დილა, როცა უნივერსიტეტში, გამოცდაზე მივდიოდი და ქაშუეთის ეკლესიაში შევირბინე. იქ მხოლოდ მამაო იყო. ვილოცე — წმინდა მარიამს ვთხოვე, დამხმარებოდა. როცა ეკლესიიდან გამოვდიოდი, მამამ დამიძახა და წმინდა მარიამის ხატი მაჩუქა. ეს პირველი ხატი იყო, რომელიც ჩემს ცხოვრებაში შემოვიდა. როცა მიჭირდა, დახმარებას ყოველთვის მას ვთხოვდი. ქართველებს წმინდა მარიამთან განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს — საქართველო ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა... დღეს თამარს აღარ მეძახიან, მარით ან მარი გოლდით მომმართავენ, რაც ძალიან მახარებს.

■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

ჯანმრთელობისთვის ყველაზე საზიფათო 10 პროდუქტი

გამოქვეყნდა ჯანმრთელობისთვის ყველაზე საშიში პროდუქტების სია. იქ მოხვედრილი ბევრი პროდუქტი ხშირად მოწამვლის ან მძიმე ალერგიული რეაქციების განვითარების მიზეზი ხდება, მაგრამ ჯანმრთელი ადამიანებისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს. ექიმების აზრით, ყველაფერი ამ პროდუქტების დოზირებაზეა დამოკიდებული და ასეთი საკვების მცირე რაოდენობით მიღება სავსებით უსაფრთხოა.

1. ჩიფსები და გაზიანი სასმელები.

ჩიფსები საღებავისა და გემოს მიმცემ ნივთიერებებში შეფუთული, ნახშირწყლებისა და ცხიმების ნარევი გახლავთ. მომზადების თავისებურების გამო მათში დიდი ოდენობით კანცეროგენები, ანუ კიბოს მაპროვოცირებელი ნივთიერებები გროვდება. ცხიმები კი სისხლში ქოლესტერინის დონის მომატებას იწვევს, რაც ინფარქტებისა და ინსულტების რისკს ზრდის.

ტკბილი გაზიანი სასმელები შაქრის, ქიმიისა და გაზის ნარევს წარმოადგენს და როგორც წესი, შაქრის სინთეზურ შემცვლელ ასპარტამს (E951) შეიცავს. ამ უკანასკნელში შემავალი ფენილალანინის დიდი რაოდენობით მიღება, მანიაკური დეპრესიისა და პანიკური შეტევების განვთარებას, მრისხანებისა და ძალადობისკენ მიდრეკილებას უწყობს ხელს. რაც მთავარია, ასეთი სასმელი სულაც არ კლავს წყურვილს. ასპარტამის შემცველი სასმელები წყურვილის მოკვლას კი არა, წყურვილის გამძაფრებას იწვევს.

გარდა ამისა, ნატრიუმის ბენზონატი (E211), რომელიც კონსერვანტის სახით გამოიყენება, ფერმენტების დათრგუნვას იწვევს, რაც ნივთიერებათა ცვლის დარღვევას და სიმსუქნეს უწყობს ხელს.

2. ფასტ-ფუდი.

ყველაზე სწრაფი კვება — ჩებურეკი, ღვეზელი, კარტოფილი-ფრი, შაურმა და ყველაფერი სხვა, რაც იწვება, ძალიან მავნეა, ვინაიდან ხშირად, დღის განმავლობაში ერთი და იმავე ზეთში იწვება. შედეგად, დიდი რაოდენობით კანცეროგენების დაგროვება ხდება. წლების მანძილზე ასეთი კვება კოლიტს, გასტრიტს, გულძმარვას, შეკრულობას იწვევს.

ფასტ-ფუდის სახესხვაობაა ჩიფსები, შემწვარი თხილი, ბატონები შოკოლადითა და თხილით და ბავშვებისათვის მეტად საყვარელი სხვა პროდუქტები. მთელი მსოფლიოს დიეტოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ კვება განსაზღვრავს ბავშვის ჯანმრთელობას. ასეთი მავნე, მაგრამ გემრიელი სასუსნავებისგან ბავშვის გადაჩვევა კი ძალიან ძნელია. ამიტომ უმჯობესია, საერთოდ ამოვიღოთ ისინი ბავშვების კვების რაციონიდან და არც ჩვენ მივირთვათ.

3. ძეხვეული და სხვა შებოლილი პროდუქტები.

სოსისი, ძეხვი, შაშხი, პელმენი შეიცავს გაცილებით მეტი რაოდენობით არომატიზატორებს და საღებავებს, ვიდრე ხორცი. შებოლილი ხორცი და თევზიც დიდი რაოდენობით კანცეროგენის (დამუშავებს პროცესში წარმოქმნება) შემცველია.

სულ უფრო მეტი მწარმოებელი გადადის გენმოდიფიცირებული ნედლეულის გამოყენებაზე. მაგ. სოსისის და ძეხვეულის 80% შეიცავს ტრანსგენურ სოიას. ერთი ნაჭერი შებოლილი ძეხვი შეიცავს იმაზე მეტ ფენოლს, ვიდრე ადამიანი შეისუნთქავს ქალაქში ერთი წლის განმავლობაში. ფენოლი კი მეტად ტოქსიკურია.

4. ხილი და ბოსტნეული — კონსერვანტებით მდიდარი პროდუქტები.

ყველაზე სასარგებლო პროდუქტებიც კი შეიძლება ტოქსიკური გახდეს, თუკი მათ საავტომობილო ტრასის ან ქარხნის მახლობლად მოიყვანენ. ისინი შეიცავს დიდი რაოდენობით ბენზოპირენს და სხვა კანცეროგენებს. რაც შეეხება კონსერვანტებს, ისინი შეიძლება შეიცავდეს ნატრიუმის გლუტამატს. ამ ნივთიერებებით მოწამვლა იწვევს თავის ტკივილს, სისხლძარღვების სპაზმს და ნივთიერებათა ცვლის დარღვევასაც კი.

5. მარგარინი, ნამცხვრები, მარცვლეული.

მარგარინი აბსოლუტურად ტრანსგენური, — ყველაზე მავნე ცხიმია. მავნეა ყველა ის პროდუქტი, რომელიც მისგან მზადდება: ნამცხვრები, ტორტები, ფენოვანი ცომის ნაწარმი. ამ პროდუქტებით გატა-

ცებისას გარანტირებული გაქვთ ნივთიერებათა ცვლის დარღვევა და ჭარბი წონა.

მარცვლეულიდან ამ ჩამონათვალში თეთრი პური მოხვდა, ვინაიდან ხშირად იწვევს აუტანლობას და ამ დაავადებას ცელიაკია ჰქვა. მან შეიძლება გამოიწვიოს ნაწლავური პრობლემები, შაქრიანი დიაბეტი და უნაყოფობაც კი.

6. ყავა, ენერგეტიკული სასმელები, რძე.

დასაშვებია დღეში მხოლოდ 2-3 ფინჯანი ყავის დალევა. ენერგეტიკული სასმელები კი, რაც შეიძლება ნაკლებად უნდა მიიღოთ. აღსანიშნავია, რომ რძე, პურის მსგავსად, ხშირად იწვევს აუტანლობას. რძით მძიმე მოწამვლა შეიძლება ლეტალური გამოსავლით დასრულდეს.

7. სახლში დამზადებული კონსერვანტები და ნაყინი.

რასაკვირველია, დოზირების, სტერილიზაციისა და დამარილების ყველა წესის ზედმიწევნით დაცვის შემთხვევაში მწნილები ჯანმრთელობას ვერ ავნებს.

ნაყინი შეიცავს არომატიზატორებს და შემასქელებლებს, რომლებსაც შეუძლიათ შეანელონ ნივთიერებათა ცვლა, რაც ჭარბი წონის განვითარების შანსს ზრდის.

8. სალეჭი კანფეტები, ფერადი საწუწნი ტკბილეული, ჩუბა-ჩუბსი.

შეიცავს დიდი რაოდენობით შაქარს, ქიმიურ დანამატებს, საღებავებს და ა.შ. ერთ სიტყვით, მათგან არანაირი სარგებელი არ არის.

9. შოკოლადის ბატონები.

ეს არის კალორიების გიგანტური რაოდენობა და ქიმიური დანამატები, გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტები, საღებავი და არომატიზატორები.

10. მაიონეზი.

მდიდარია ტრანსცხიმებით, რომლებიც კანცეროგენულია და ამავდროულად, ქოლესტერინის რაოდენობის მომატებას იწვევს. განსაკუთრებით მოერიდეთ პლასტიკური შეფუთვის მქონე მაიონეზს. პლასტიკი თვითონ არის კანცეროგენი! მაიონეზი შეიცავს დიდი რაოდენობით კონსერვანტებსა და სტაბილიზატორებს. კეტჩუპსა და სხვადასხვა სოუსს, იმავე მიზეზით, მავნე პროდუქტებს მიაკუთვნებენ.

■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.



ადამიანი

რამ აიძულა „რეროს“ ბოლო თაობის წარმომადგენელი, რომ შინაგან ჯარებში ემუშავა

მომღერალი ოლიკო კიკვილაშვილი სცენაზე 4 წლის ასაკში ავიდა, წარმატებას მალე მიაღწია და კონცერტებში, კონკურსებში მონაწილეობდა, გასტროლებზე დადიოდა... დღეს ოლიკო თბილისის ერთ-ერთ რესტორანში, სხვა პროფესიონალ მუსიკოსებთან ერთად მღერის და მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ საქმეს არაჩვეულებრივად ასრულებს, „რესტორნის მომღერალი“ ზოგიერთი კლიენტისგან აგდებულ დამოკიდებულებასაც გრძნობს. თუმცა ოლიკო ყოველთვის მთელი სულითა და გულით მღერის — თუნდაც მაშინ, როცა რესტორნის კლიენტებს შორის მხოლოდ ერთი „წესიერი“ მსმენელი ეგულება.

„მე სიმღერისთვის ვცოცხლობ!“

ეთო ყორღანაშვილი

— სიმღერა ჩემი ცხოვრების აზრია! მართალია, რესტორანში ვმღერი, მაგრამ მერე რა? — მთავარია, მსმენელს სიამოვნება მივანიჭო. როცა რესტორნის კლიენტი კომპლიმენტს მეუბნება, ეს მავალდებულებს, უფრო კარგად ვიმღერო, თუმცა ჩემს საქმეს ისედაც მთელი გულით ვაკეთებ... ბავშვობიდან ვმღერი. სცენაზე პირველად საბავშვო ზეიმზე, 4 წლის ასაკში ავედი. ძალიან გამხდარი, „წერტილი“ ბავშვი ვიყავი და არავის ეგონა, ოდესმე ქალს თუ დავემსგავსებოდი (*იცინის*). წარმოიდგინეთ, „წერტილი“ წელამდე თმით სცენაზე დგას და ფილმიდან — „მანანა“ — სიმღერას ასრულებს: „მიყვარს ხტუნვა-თამაში, თამაში“... ხალხმა მაშინვე, სიცილი დაიწყო. მეგონა, დამცინეს და მიუხედავად იმისა, რომ სიმღერის დასრულების შემდეგ მხურვალე აპლოდისმენტები დავიმსახურე, სცენიდან გავიქეცი (კულისებში დედა მელოდა) და ტირილი დავიწყე: რატომ დამცინეს? სცენაზე აღარასდროს გავალ-მეთქი (*იღიმის*)...

— თქვენი ოჯახის წევრებიდან ვინმე მღეროდა?

— ბაბუა მედუდუკეთა ანსამბლ „კავკასიონში“ უკრავდა, მისი შვილიშვილებიდან კი მუსიკალური ნიჭი მხოლოდ მე გამომყვა. სხვათა შორის, ბაბუის დედის სახელი — ოლღა მქვია. რაც შეეხება ჩემს მუსიკალურ განათლებას, მხოლოდ ვიოლინოზე დაკვრას მასწავლიდნენ, შვიდწლედი დავამთავრე; პიონერთა სასახლეშიც დავდიოდი და საბავშვო ანსამბლ „ფერიებში“ ვმღეროდი. მაშინ ასეთი წესი იყო: ვისი სიმღერაც რადიოში ან ტელეეთერში გავიდოდა, მას ფულს უხდიდნენ — თანხას ფოსტით ვიღებდით, სახლში (*იღიმის*).

— პირველი ჰონორარი გახსოვთ?

— კი, მახსოვს, მაშინ 8-9 წლის ვიყავი და ფოსტით რამდენიმე მანეთი მივიღე, რამაც ძალიან გამაკვირვა. თამაზ ცირეკიძის სიმღერებს ვასრულებდით...

— ვიოლინოზე დაკვრის შესწავლა რატომ გადაწყვიტეთ?

— 6 წლის ვიყავი, როცა დედამ მე-20 მუსიკალურ სკოლაში მიმიყვანა, სადაც სიმებიან ინსტრუმენტებზე დაკვრას ასწავლიდნენ. შემამოწმეს და რადგანაც კარგი სმენა მქონდა, ვიოლინოს წრეზე მიმიღეს. სკოლაში ორკესტრი გვყავდა და იქ ვუკრავდი, კონსერვატორიაშიც ბევრი კარგი კონცერტი გაგვიმართავს. ჩვენი დირიჟორი სტასიკ ხრჟანოვსკი გახლდათ... ოფიცერთა სახლთან არსებულ გოგონათა ანსამბლ „მაისს“ (მისი ხელმძღვანელები კომპოზიტორი რაფაელ კაზარიანი და პიანისტი ალექსანდრე რაქვიაშვილი იყვნენ) მევიოლინეები არ ჰყავდა. ჰოდა, რამდენიმე გოგო შეგვარჩიეს და ანსამბლში მიგვიყვანეს. სხვათა შორის, „მაისში“ არ მიმღერია, მხოლოდ ვიოლინოზე ვუკრავდი: ბევრი სოლისტი ჰყავდათ და მომღერალი არ სჭირდებოდათ. ისე, არც იცოდნენ, თუ ვმღეროდი. გასტროლები მოსკოვში, ოდესაში გვქონდა და ჰონორარსაც გვაძლევდნენ. მოკლედ, ბავშვობიდან კონცერტები არ მაკლდა და კონკურსებშიც ვმონაწილეობდი: მაშინ სკოლებში ე.წ. „დათვალიერებები“ ტარდებოდა. ჩემი სიმღერის პედაგოგის — ლეილა ღამბაშიძის (სამწუხაროდ, ეს ძალიან კარგი ადამიანი დღეს ცოცხალი არაა) წყალობით, მე სოლოსაც ვმღეროდი, გუნდშიც და ბევრჯერ, „რაიონული დათვალიერებების“ ლაურეატიც გავმხდარვარ. „დათვალიერებების“ გამარჯვებული ბავშვები დასკვნით კონცერტში ვმონაწილეობდით... შემდეგ არტოს ბაღში, ხელოვნების სკოლაში მოვხვდი, სადაც ანამბლ „რუსთავს“, „მართვეს“ ჰქონდა რეპეტიციები. 2 წელი გოგონათა კაპელაში ვმღეროდი. ჩვენი ხელმძღვანელი ავთანდილ ჩხენკელი გახლდათ — იგი ამჟამად ოპერის თეატრში მუშაობს, დირიჟორია. ფესტივალებზე, კონკურსებში ვმონაწილეობდით, გასტროლები გვქონდა... სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა, როცა ფილარმონიაში ღია კარის დღე — „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ გამოცხადდა. შესარჩევ ტურში კარგი გოგო-ბიჭები გავედით, შემდეგ რეპეტიციები გვქონდა; კონცერტზე აკომპანემენტს „ივერია“ გვიკეთებდა.

— რა სიმღერები შეასრულეთ?

— „საქართველო“ და „დედა“. კონცერტები 3 დღის განმავლობაში იმართებოდა.

— თქვენ გარდა, კონცერტებში კიდევ ვინ მონაწილეობდა?

— ეკა კვალიაშვილი, თემურ თათ-

არაშვილი, ლელა სიხარულიძე (ლელას მერეც შევხვდი, როცა სიმღერა „რეროში“ დავიწყე), გია სურამელაშვილი...

— „რეროში“ როგორ მოხვდით?

— არ მახსოვს, „რეროში“ სიმღერა ვინ შემომთავაზა, მაგრამ ძალიან გამიმართლა, იქ რომ მოვხვდი. ეს გახლდათ ფილარმონიასთან არსებული სახელმწიფო-საესტრადო ორკესტრი, რომელიც კონსტანტინე პევზნერმა დააარსა — ეს კაცი არაჩვეულებრივ სიმღერებს წერდა. მოკლედ, „რეროს“ ბოლო თაობის წარმომადგენელი ვარ. საესტრადო სიმღერებს, ქორალებს 3 ბიჭი და 3 გოგონა ვმღეროდით — სექსტეტი ვიყავით. „რეროში“ რომ მივედი, მისი სამხატვრო ხელმძღვანელი უკვე ბუბა კიკაბიძე იყო. ჩვენ გასტროლებზე სხვადასხვა ანსამბლთან ერთად დავდიოდით. იმ პერიოდში „რეროს“ თბილისში კონცერტი არ ჰქონია... მახსოვს, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის დროს რუსეთში კონცერტები შევწყვიტეთ და თბილისში დავბრუნდით — ჩვენი ხალხის გვერდით უნდა დავმდგარიყავით. ჩვენს დაბრუნებას კომენდანტის საათი დაემთხვა და ზოგმა ღამე ავტობუსში გაათენა, მე კი სახლში მისვლა მოვასწარი... შემდეგ „რეროში“ მუშაობას თავი დავანებე და ანსამბლიც მალე დაიშალა.

— „რეროდან“ რატომ წამოხვედით?

— სკოლაში საკმაოდ კარგად ვსწავლობდი და მინდოდა, უმაღლესი განათლებაც მიმეღო... საბოლოოდ, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე. მეორე კურსზე ვიყავი, როცა გავთხოვდი და ვინაიდან ჩემი მეუღლე ბათუმელი იყო, საბუთებიც ამ ქალაქში გადავიტანე — პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე. ბათუმში სტუდენტებისგან ტრიო ჩამოვაყალიბე. იმ პერიოდში გავიცანი ხვიჩა მაღლაკელიძე — გიტარაზე უკრავდა ხოლმე. მახსოვს, უნივერსიტეტის დეკანმა — ქალბატონმა გულიკო შერვაშიძემ „უნივერსიტეტის თანამშრომლების შვილების სტუდიის“ შექმნა და ბავშვებისთვის სიმღერის სწავლება შემომთავაზა. ბავშვებთან 2 თვე ვიმუშავე და ერთი კონცერტის გამართვაც მოვასწარი (*იღიმის*), შემდეგ კი ბათუმის ქალთა კაპელაში მიმიწვიეს. ჩვენ კონცერტებში, კონკურსებში ვმონაწილეობდით, საზღვარგარეთაც მივემგზავრებოდით — თურქეთსა (ანკარაში) და ბულგარეთში (ვარნაში) ვიყავით. სხვათა შორის, ანკარაში, კონცერტის მერე, პრეზიდენტის რეზიდენციაში მიგვიწვიეს... ბათუმში 8 წელი ვიცხოვრე, შემდეგ კი მეუღლე გულის შეტევით გარდამეცვალა და თბილისში, დედასთან დავბრუნდი. 2 შვილი — ბიჭები — მყავს. მახსოვს, აქ სამსახური კარგა ხანს ვერ ვიშოვე, მერე კი ერთ-ერთი მეგობრის ოჯახში მუსიკოსი გავიცანი, რომელმაც ბარში, ჯგუფთან ერთად სიმღერა შემომთავაზა. მის წინადადებას დავთანხმდი. თავდაპირველად, ბარში სიმღერის ძალიან მრცხვენოდა, მერე კი თანდათანობით, ეს კომპლექსი დავძლიე; რამდენიმე ხნის შემდეგ ბიჭები სუხიშვილებმა წაიყვანეს — „ასა-ფართის“ აკომპანემენტს სწორედ ჩემი მეგობრები უწევდნენ. ასე რომ, ჯგუფის გარეშე და შესაბამისად — უსამსახუროდაც დავრჩი... ერთმა მეგობარმა შინაგან ჯარებში სამსახური შემომთავაზა. წარმოიდგინეთ, სად სიმღერა და სად — შინაგანი ჯარები (*იცინის*)?! — მაგრამ ჯერ საქმის მწარმოებლად ვმუშაობდი, მერე ფსიქოლოგად (ჩემი დიპლომი გამომადგა). სწორედ მაშინ გავიცანი მომღერლები — ლია ხუნწარია და ანა ბაჯიაშვილი. ლიამ რესტორანში სიმღერა შემომთავაზა — ჩემი ქმარი მუსიკოსია და მომღერალი გოგო სჭირდებაო. მისი წინადადებაც მივიღე და საღამოობით რესტორანში ვმღეროდი. მერე მივხვდი, რომ სიმღერა მეტ შემოსავალს მომიტანდა და შინაგან ჯარებში სამსახურს თავი დავანებე. უკვე 9 წელია, რესტორანში ვმუშაობ.

— ბევრ რესტორანში გიმღერიათ?

— 5-6 რესტორანი გამოვიცვალე... ახლა ჩემთან ერთად არაჩვეულებრივი მუსიკოსები მუშაობენ: არტურ კარანიანი, ნუკრი ჯავახიშვილი, ავთო ქიმაძე. მათ კონსერვატორია აქვთ დამთავრებული, პროფესიონალები არიან. „ცოცხლად“ ვმღერით, „პლუსებზე“ პირს არ ვაღებთ.

— რესტორანში სიმღერა რთულია?

— რა თქმა უნდა, რთულია, რადგან რესტორანში ფსიქოლოგიურადაც იღლები! მაგალითად, მოდის ადამიანი და გეუბნება, — რაღაც სიმღერა მინდა და არ ვიცი — რაო. მას უნდა დაელაპარაკო, სიმღერა შეურჩიო, შემდეგ გახვიდე და იმღერო. ამას ხომ ენერგია სჭირდება?.. ხშირად უთქვამთ, — შენ რა გიჭირს, რა კარგი სამსახური გაქვსო! ბევრს ჰგონია, რესტორანში სიმღერა ძალიან ადვილია. გარდა იმისა, რომ ემოციურად ვიხარჯებით, ჩვენთვის დღესასწაულებიც არ არსებობს — მეგობრებს, ნაცნობებს ვეღარ ვნახულობთ, მათ მხოლოდ დღის საათებში, ისიც სულ ცოტა ხნით ვხვდები (*იცინის*).

— როდის იწყება და მთავრდება თქვენი სამუშაო დღე?

— საღამოს 7-8 საათზე იწყება და 12-მდე ვმუშაობთ. თუ რესტორანში ბევრი ხალხია და „მოთხოვნადები“ ვართ, უფრო გვიანობამდეც ვრჩებით.

— თქვენი ბიჭები თქვენს სამუშაო გრაფიკს როგორ ეგუებიან?

— სხვა რა გზა აქვთ (*იღიმის*)?!

— მათ თუ გამოჰყვათ თქვენი ნიჭი?

— უფროსმა შვიდწლედი დაამთავრა, ვიოლინოს განხრით, მაგრამ ახლა პროგრამისტობა უნდა და მუსიკა „მივატოვეთ“. რაც შეეხება უმცროსს, ის დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავს.

— ყოველ საღამოს მაყურებლის წინაშე გამოსვლა გიწევთ. გარეგნობაზე ზრუნვას ბევრ დროს უთმობთ?

— პრანჭია არა ვარ, მაგრამ სცენაზე ბოტასებით ვერ გავალ. უპირველეს ყოვლისა, სცენას უნდა სცე პატივი. რესტორნის მეპატრონეს — მურად მელაშვილს ძალიან ვუყვარვართ და გვაფასებს. მისი დამსახურებაა, დღეს სამსახურში თავს კარგად რომ ვგრძნობთ.

— ალბათ, რესტორანში ბევრი ცნობილი მომღერალიც შემოდის. მათ საქმიანი წინადადებით არასოდეს მოუმართავთ?

— სხვათა შორის, ბევრს უთქვამს: — შენთან დუეტს ჩავწერო, — მაგრამ მერე არავინ შემხმიანებია, მე კი ის ტიპი არა ვარ, რომ ვინმე შევაწუხო. ერთხელ „ჯეოსტარში“ მონაწილეობა შემომთავაზეს და გამეცინა, — იცით, რამდენი წლის ვარმეთქი (*იღიმის*)?!.

— რამდენი წლის ხართ?

— 41-ის.

— ისეთი პროექტიც ხომ არსებობს, რომელშიც ასაკობრივი ზღვარი არ არსებობს?

— ეს რა საჭიროა? ხალხი ისედაც მიცნობს (*იღიმის*)...

— რომელიმე დიდ კონცერტში მონაწილეობის სურვილი არ გაქვთ?

— წინათ ამის სურვილი შეიძლება, მქონდა, მაგრამ ახლა — მართლა არა მაქვს... ვიდრე რესტორანში მუშაობას დავიწყებდი, ფილარმონიაში „ქსოვრელების“ კონცერტი ჩატარდა. გია კობერიძემ (ოთარ კობერიძის შვილმა) „ქსოვრელების“ რეპეტიციაზე მიმიყვანა — ეს გოგო კარგად მღერისო. მკითხეს, — რას შეასრულებო? — „დუდუკო, ჩემო ტკბილო თილისმავ“-მეთქი, — ვუპასუხე. ეს სიმღერა ბაბუაჩემს უყვარდა და ბავშვობაში ვმღეროდი ხოლმე (*იღიმის*). მოკლედ, ფილარმონიის სცენაზეც გავედი. სხვათა შორის, ვიდეოჩანაწერიც მაქვს. ამ კონცერტში თამრიკო ჭოხონელიძე, თემურ წიკლაური, ირმა სოხაძე, მამუკა ონაშვილი მონაწილეობდნენ... მოკლედ, მე სიმღერისთვის ვცოცხლობ და სხვა სფეროში თავი ვერც წარმომიდგენია...

■

ბათუმში 8 წელი ვიცხოვრე, შემდეგ კი მეუღლე გულის შეტევით გარდამეცვალა

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ

ᲛᲭᲐᲕᲐᲜᲐᲫᲘᲡ „ᲜᲐᲗᲚᲣᲚᲘ“ ᲔᲚᲘᲢᲣᲠ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ ᲐᲠᲗᲝᲑᲡ

მუსიკოსი ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲝᲛᲘᲐᲫᲔ პატარა ბიჭი იყო, როცა აკორდეონი აიღო ხელში და გართობის მიზნით დაკვრა დაიწყო, მერე კი ეს ინსტრუმენტი მისი ცხოვრების ნაწილი გახდა. ნოტები ახლაც არ იცის, სმენით კი 500-ზე მეტ მელოდიას უკრავს. ელიტურ წვეულებაზეც ხშირად ეპატიჟებიან. ამბობს, რომ მუსიკის გარეშე ერთი დღეც ვერ წარმოუდგენია — მუსიკამ ხომ განსაცდელისაგანაც იხსნა და პატიმარიც გახადა.

ᲐᲜᲣ ᲛᲔᲐᲠᲚᲜᲔᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲘᲧᲘᲓᲐ

ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲙᲕᲘᲜᲘᲙᲐᲫᲔ

— რკინიგზელთა ოჯახში დავიბადე. მამა ყოველ ზაფხულს საგზურს იღებდა, რომლითაც და-ძმასთან ერთად პიონერთა ბანაკში ვისვენებდი. ძალიან ცელქი და მოუსვენარი ბავშვი ვიყავი. 8 წლის გახლდით, როცა მცხეთის პიონერთა ბანაკიდან გავიპარე — თბილისში წამოსვლა მინდოდა, მაგრამ ორიენტაცია ამერია და დასავლეთისკენ მიმავალ მატარებელზე ავედი. მახსოვს, გამცილებელი არ მიშვებდა, ჰოდა, მოვატყუე, — ვაგონში დედაჩემია-მეთქი. ხაშურამდე ვიმგზავრე, მერე კი გამცილებელი მიხვდა, მარტო რომ ვიყავი და ხაშურის მილიციაში ჩამაბარა, სადაც ბანაკის დირექტორი მოვიდა და ისევ მცხეთაში დამაბრუნეს. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ ვაგონის სახურავზეც არაერთხელ ავსულვარ.

— აკორდეონზე დაკვრა რა ასაკში ისწავლეთ?

— აკორდეონზე დაკვრაც ბანაკში ვისწავლე. 13 წლის რომ ვიყავი, უკვე კარგად ვუკრავდი. სხვათა შორის, მუსიკალური განათლება არ მიმიღია, ყველაფერს ჩემი სმენით მივაღწიე. პირველად მუშაობა თბილისის ზღვაზე მდებარე რესტორანში დავიწყე, მაგრამ მანამდე შემოწმება გავიარე ისეთ ცნობილ პიროვნებებთან, როგორებიც იყვნენ: რეზო ლაღიძე, გოგი ცაბაძე და ოთარ თევდორაძე. ახლა აკორდეონზე 500-ზე მეტ მელოდის ვუკრავ... 5-6 წელია, რაც არღანზე დაკვრაც ვისწავლე. ბიძაჩემი — გოგი ნინიაშვილი ცნობილი მეარღნე იყო. მან მოსკოვში გამართულ რესტორნების მუსიკოსების საკავშირო შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა. ბიძამ საკუთარი არღანი მე დამიტოვა, რის შემდეგაც მასზე დაკვრაც ვისწავლე და ყარაჩოხელების ფორმაც ჩავიცვი. ახლა ქალაქში გამართულ ღონისძიებებზე, წვეულებებზე მეპატიჟებიან.

— არღანი ეგზოტიკური ინსტრუმენტია...

— (*მაწყვეტინებს*) მაგრამ ბევრმა არ იცის: ზოგს ჰგონია, რომ სიგარეტს ვყიდი, ზოგიც მოდის და ნაყინი მინდაო, — მეუბნება (*იცინის*). თბილისში ეს ინსტრუმენტი 7-8 საუკუნის წინ შემოვიდა. ევროპული საკრავია, მაგრამ თბილისს ძალიან მოუხდა და ხალხმაც შეიყვარა. ადრე ყველა უბანში არღანი უკრავდა, ახლა კი ეს ინსტრუმენტი თანდათანობით, დავიწყებას ეძლევა.

— თქვენი არღანი რამდენი წლისაა?

— 135 წლის არის, ბიძაჩემს ოდესიდან აქვს ჩამოტანილი... თბილისში ერთადერთი ოჯახი შემორჩა, რომლის წევრებიც არღანს აკეთებენ — აკოფა ქიტესოვი უკვე 90 წლის არის და ასაკის მიუხედავად, ინსტრუმენტზე მაინც მუშაობს.

— კარგი არღანი რა ღირს?

— 5-6 ათასი ლარი ღირს. მის დასამზადებლად ფიჭვის, წაბლის და კაკლის ხის მასალას იყენებენ. საკმაოდ მძიმეა — 28 კილოგრამს იწონის. არღნის ხელით ტარება ძალიან დამღლელია, ამიტომ ბორბლებიან მაგიდაზე დავდგი (*იღიმის*).

— როგორც ვიცი, რესტორნებშიც უკრავთ.

— მე სხვა შემოსავალი არ მაქვს, ოჯახს ამ საქმით ვარჩენ! რესტორანში კლიენტი რომ შედის, მუსიკით უნდა შეაცილო და როცა გამოსვლას დააპირებს, ისევ უნდა დაუკრა. ხშირ შემთხვევაში, საღამოს 6-დან დილის 6 საათამდე მიწევს მუშაობა.

— ეს საქმე შემოსავლიანია?

— ხან როგორ, ხან — როგორ. ზოგი მოდის და მთხოვს, არღანზე დავაკვრევინო, განსაკუთრებით დიდ ინტერესს კი ტურისტები იჩენენ და ჩემთან ფოტოებს იღებენ. ძალიან იშვიათად, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როცა 100 და 200 დოლარიც უჩუქებიათ.

— ყველაზე ხშირად, რომელი მელოდიის შესრულებას გთხოვენ?

— ძალიან მოსწონთ „თბილისო“, „სულიკო“... არღანს 8 ჭრილი აქვს და თითო ჭრილზე თითო მელოდიაა ჩაწერილი. ჰოდა, რომელზეც დააყენებ, იმას დაუკრავს.

— მელოდიის ჩაწერა არღნის დამზადების დროს ხდება?

— რა თქმა უნდა, მაგრამ თუ არ მოგეწონება, შეგიძლია იმ ჭრილში სხვა მელოდია ჩაწერო — თბილისში ამას მხოლოდ ქიტესოვები აკეთებენ.

— თქვენ მეტსახელად „ჟანგიანოს“ გეძახიან. რატომ?

— ერთ დღეს თბილისის ზღვაზე მდებარე რესტორნიდან დამირეკეს, — სასწრაფოდ ამოდი, ჩვენთან მჟავანაძე ქეიფობსო. მაშინ მოტოციკლეტი მყავდა. სასწრაფოდ, ჩემი აკორდეონი ავიღე და წავედი. შუა გზაში მოტოციკლეტი გამიფუჭდა. მისი შეკეთება შევძელი, მაგრამ ხელები მაზუთით დამესვარა. მართალია, რესტორანში შესვლამდე, როგორც შემეძლო, გავიწმინდე, თუმცა ცხადია, მაზუთი კარგად ვერ მოვიშორე. ერთი მელოდია რომ დავასრულე, მჟავანაძე მომიახლოვდა და მითხრა: ბიჭო, რა ჟანგიანი ხელებით უკრავო?! ეს სიტყვები ერთმა მიმტანმაც გაიგონა და იმ დღის შემდეგ ყველა „ჟანგიანოს“ მეძახდა.

— რესტორანში მთვრალ კლიენტებთან ურთიერთობა რთული არ არის?

— რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ სერიოზული კონფლიქტი არავისთან მომსვლია. ერთხელ კლიენტმა მთხოვა, სასაფლაოზე გავყოლოდი და მისი გარდაცვლილი მეგობრის საფლავთან დამეკრა. თავადაც და მისი თანმხლები პირებიც მთვრალები იყვნენ. სიბნელეში მეგობრის საფლავი ვერ იპოვეს, სხვის საფლავთან გამაჩერეს და დამაკვრევინეს, თან საფლავის ქვაზე გამოსახულ მიცვალებულს ეხვეწებოდნენ, ჩვენს მეგობარს გადაეცით, რომ ამოსულები ვიყავითო.

— რა დატვირთვა აქვს თქვენთვის მუსიკას?

— ჩემი ცხოვრებაა... მუსიკამ განსაცდელისგანაც მიხსნა და შეიძლება ითქვას, რომ განსაცდელიც მომივლინა.

— რას გულისხმობთ?

— ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა აფხაზეთში მდგომარეობა უკვე დაძაბული იყო და გზებზე სამხედროფორმიანები იდგნენ. აფხაზეთში „რაფი“ მყავდა ნაყიდი და საბარგო მანქანით მის ჩამოსაყვანად წავედი, თან აკორდეონიც წავიღე. გუმისთამდე მშვიდობით ჩავედი, მაგრამ უკან რომ ვბრუნდებოდი, სოხუმის გამოსასვლელთან გამაჩერეს, საბუთები მომთხოვეს და გამომკითხეს, სად მივდიოდი, მერე კი მითხრეს, — ეს მანქანები ჩვენ უნდა დაგვიტოვო, ვერსად

წაიყვან და თავად ცოცხალს თუ გაგიშვებთ, იმაზეც მადლობა გვითხარიო. ვთხოვე: ასე არ მომექცეთ. მე მუსიკოსი ვარ, მანქანაში აკორდეონიც მაქვს და თუ გნებავთ, აფხაზურ და მეგრულ სიმღერებს დავუკრავ-მეთქი. ერთ-ერთმა ნაბიჯი გადმოდგა და მითხრა, — აფხაზურ სიმღერას თუ დაუკრავ, გაგიშვებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მანქანები ჩვენთან დარჩებაო. გადმოვიღე აკორდეონი და „ოი, ოი, შილა შარა“ დავუკარი, მერე ქართული და რუსული სიმღერებიც ვუმღერე. ესიამოვნათ, ამის შემდეგ კი პირობა შეასრულეს — გამომიშვეს და თან წერილი გამომატანეს: სადაც გაგაჩერებენ, ეს უჩვენე, ჩვენი სახელი ახსენე და გზა ხსნილი გაქვსო. სენაკამდე მართლაც, შეუფერხებლად ვიმგზავრე, მაგრამ სენაკში გამაჩერეს. ერთმა სამხედრომ მთელი ხმით მიყვირა: — მანქანიდან ჩამოეთრიეო... მათ წინაშეც იგივე ტექსტი გავიმეორე. მეგრული სიმღერა მოითხოვეს და ერთის ნაცვლად, რამდენიმე ვუმღერე. მითხრეს: — ახლა პირველი საათია, 6-მდე ჩვენთან უნდა დარჩე და გაგვართოო. ჩემი მუსიკა მოეწონათ, სხვანაირები გახდნენ, მრისხანებაც გაუქრათ. მერე ერთ ეზოში შემიყვანეს, სადაც თონე გაახურეს და გოჭი შეწვეს. ეზოში 30-მდე კაცმა მოიყარა თავი, ზღაპრული პურმარილი გაიშალა. საღამომდე მეც იქ ვიყავი, მერე კი გამომაცილეს და დამშვიდობებისას წერილი მომცეს, რათა აღარავის გავეჩერებინე... ასე რომ, განსაცდელისგან მუსიკამ მიხსნა.

— მითხარით, განსაცდელიც მოგივლინაო. რას გულისხმობდით?

— შემთხვევით ციხეშიც მოვხვდი, 3 წელი მომისაჯეს.

— რა დააშავეთ?

— არაფერი დამიშავებია. მაშინ თბილისის ზღვაზე მდებარე რესტორანში ვუკრავდი. ერთ საღამოს, როცა შინ ვბრუნდებოდი, მანქანაში ბიჭები ჩამისხდნენ — ქალაქამდე ჩაგვიყვანეო და უარი ვეღარ ვუთხარი. გზაში ერთმანეთთან ჩხუბი მოუვიდათ, გზიდან გადამახვევინეს, ერთ-ერთი სცემეს, მანქანიდან ჩააგდეს, თავად კი შამპანურები იყიდეს და ერთის ოჯახში ქეიფი გააგრძელეს; მეც დაპატიმრებულივით დამატარებდნენ და მამღერებდნენ, აღარ გამომიშვეს. ამასობაში, ის ნაცემი კაცი პოლიციაში მისულა, საქმეზე გამოძიება დაიწყეს და რატომღაც, მოსამართლემ მეც მათ თანამზრახველად მიმიჩნია. ჰოდა, ყველანი და მათთან ერთად მეც დამიჭირეს — მაშინ 23 წლის ბიჭი ვიყავი და 6 თვის შვილი მყავდა. თავდაპირველად რუსთავის კოლონიაში ვიჯექი, იქაც აკორდეონს ვუკრავდი და პატიმრებთან კარგი ურთიერთობა მქონდა.

— ციხეში აკორდეონს რა უნდოდა?

— ერთ დღეს კოლონიის უფროსმა ბადრაგის თანხლებით, აკორდეონის საყიდლად გამომიშვა. ინსტრუმენტი მე ავარჩიე, თანხა ადმინისტრაციამ გადარიცხა და ისევ ციხეში დავბრუნდი, სადაც 3 თვე გავატარე, შემდეგ კი ზესტაფონში, მშენებლობაზე მიმამაგრეს. ვმუშაობდი, აღრიცხვაზე ვიყავი, მაგრამ ნება დამრთეს, საღამოობით რესტორანში დამეკრა. მოკლედ, პატიმარმა 2 მანქანა ვიყიდე. იქ ყველა „პატიმარ ელგუჯას“ მეძახდა, ამ მეტსახელით მიცნობდნენ. რა ვიცი, კიდევ რა გიამბო... თავს ბევრი საინტერესო ამბავი გადამხდენია, მაგრამ მუსიკის გარეშე ერთი დღეც არ მიცხოვრია. ერთხელ რესტორანში ჩემი დისშვილი მოვიდა და მითხრა: ელგუჯა ძია, ბებია (ანუ დედაჩემი) გარდაიცვალაო. ცუდ დღეში ჩავვარდი — მთელი საღამო ჩემს პროგრამაზე იყო აწყობილი და რესტორანი ვერ დავტოვე. მგლოვიარე ვმღეროდი, ვცდილობდი სტუმრებისთვის კარგი განწყობილება შემექმნა.

ამ ფოტოზე ჩვენთან ერთად პატარა სოსო ჯუღაშვილია

— ეს თქვენს პროფესიონალიზმზე მეტყველებს. ბატონო ელგუჯა, უამრავ ცნობილ პიროვნებასთან გაქვთ ფოტო გადაღებული. შოუბიზნესის წარმომადგენლებთან მეგობრობთ?

— ნინო ქათამაძესთან, „ფორტეს“ წევრებთან, თემურ წიკლაურთან, თემურ თათარაშვილთან და კიდევ უამრავ ცნობილ ადამიანთან კარგი ურთიერთობა მაქვს. სხვათა შორის, ბადრი პატარკაციშვილის ქალიშვილის ქორწილშიც ვუკრავდი. ბადრის არღანი უყვარდა და წვეულებებზე მეპატიჟებოდა ხოლმე. მართალია, მისი სტუმრების გართობაზე ვზრუნავდი, მაგრამ თავად ბადრისთან ახლო ურთიერთობა ნამდვილად არ მქონდა.

— ფოტო ევგენი ჯუღაშვილთანაც გაქვთ გადაღებული. სტალინის შვილიშვილი როგორ გაიცანით?

— ევგენი ჯუღაშვილი ახლობელმა გამაცნო. მაშინ მოსკოვში ცხოვრობდა, ახლა თბილისშია, მაგრამ ვერ გეტყვით, რას საქმიანობს. ის კი ვიცი, რომ სამხედრო პირია. მისი შვილის ქორწილშიც ვუკრავდი.

— სტალინზე რას გიამბობდათ? ბაბუით ამაყობს?

— რა თქმა უნდა, ამაყობს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ შვილიშვილს მისი სახელი — სოსო დაარქვა. აი, ამ ფოტოზე ჩვენთან ერთად პატარა სოსო ჯუღაშვილია. ევგენს ბევრი ლაპარაკი არ უყვარს.

— ბატონო ელგუჯა, არღანსა და აკორდეონზე დაკვრის შესწავლის სურვილი ბევრს აქვს. საინტერესოა, მოსწავლეები თუ გყავთ?

— ერთ წყნეთელ ბიჭს ვასწავლი, ღონისძიებებზე დამყვება და მეხმარება. მსურველი მართლაც, ბევრია, მაგრამ არღანი ძვირი ღირს და ყველას არ აქვს შესაძლებლობა, შეიძინოს. თანაც, მე ნოტები არ ვიცი და ისეთი მოსწავლე არ შემხვედრია, ჩემსავით მხოლოდ სმენის წყალობით რომ დაუკრას. ■

მუსიკამ განსაცდელისგანაც მიხსნა და შეიძლება ითქვას, რომ განსაცდელიც მომივლინა

„პატარა მწერალი“ და გაბედული მხატვარი — 14 წლის ბიჭუნას პირველი პერსონალური გამოფენა

„პატარა დიდი“ მხატვარი — ქართლოს ბიკაშვილი ახლახან 14 წლის გახდა და საკუთარი ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენაც მოაწყო. ბიჭუნას დაბადების დღეზე მისი პორტფოლიოს პრეზენტაციაც შედგა: გარდა იმისა, რომ ქართლოსი უკვე გაბედულად ხატავს, არაჩვეულებრივ ჩანახატებსაც წერს.

ეთო ყორღანაშვილი

— საერთოდ, დაბადების დღეს მეგობრების, ნათესავების წრეში აღვნიშნავ ხოლმე, ამ საღამოს კი სულ დამავიწყდა, რომ დაბადების დღე მაქვს (*იღიმის*). გამოფენის მოწყობაში პედაგოგები — კოტე სულაბერიძე და მისი მეუღლე — ნინო დამეხმარნენ.

— გამოფენის მოწყობა შენი სურვილი იყო?

— როცა მუშაობ, რაღაც შედეგიც უნდა გქონდეს — გარკვეული ეტაპის დასრულების შემდეგ საზოგადოებას შენი ნამუშევრები უნდა უჩვენო...

— რამდენი ნამუშევარი წარმოადგინე?

— დაახლოებით — 20.

— გამოფენაზე წარმოდგენილი სურათების გარდა, კიდევ ბევრი ნამუშევარი გაქვს?

— ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ბევრია...

— ხატვით როდის დაინტერესდი?

— ყოველთვის მაინტერესებდა. საერთოდ, არ არსებობს ბავშვი, რომელიც არ ხატავს.

— თუ გახსოვს ან ვინმეს თუ უთქვამს შენთვის — პირველად რა დახატე?

— არა, ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, სხვებმა კი შესაძლოა, ის სურათი დაგისახელონ, რომელიც ყველაზე მეტად დაამახსოვრდათ.

— ალბათ, ხატვას ბევრ დროს ანდომებ. გაკვეთილების მომზადებასაც ასწრებ?

— პრინციპში, ნამუშევრების შექმნას ბევრ დროს არ ვანდომებ. სწავლასთან დაკავშირებით, პრობლემა ჯერ არ მქონია.

— ერთი ნამუშევრის შესაქმნელად დაახლოებით, რა დრო გჭირდება?

— მაქსიმუმ — 2-3 დღე. ბევრი ნამუშევარი 15 წუთში შემისრულებია. გააჩნია სამუშაო მასალას: წყლის საღებავი მალე შრება, ზეთისას — ბევრი დრო მიაქვს.

— ძირითადად, რა მასალით მუშაობ?

— აკვარელით დავიწყე, ახლა კი ზეთსა და მუყაოს ვიყენებ. მინდა, ტილოზეც ვხატო.

— სამუშაოდ განსაკუთრებული გარემო გჭირდება?

— არა. უბრალოდ, არ მიყვარს, როცა მუშაობისას მიყურებენ. ვიდრე არ დავასრულებ, სურათს არავის ვუჩვენებ; იმ შემთხვევაში, თუ ჩემი დაუსრულებელი ნამუშევრის ნახვას მაინც შეეცდებიან, ვბრაზდები.

— თანატოლები შენს ნამუშევრებს როგორ აფასებენ?

— დღეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩემი სურათების ნახვის შესაძლებლობა მიეცათ...

ანა დაშნიანი, *ქართლოსის თანაკლასელი:*

— ქართლოსის მხოლოდ რამდენიმე ნამუშევარი მქონდა ნანახი. მაშინ მისმა სურათებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, დღევანდელმა გამოფენამ კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — ახლა მივხვდი, რომ მართლა კარგად ხატავს! მან ჩვენი მეგობრის — ნინო ზედელაშვილის პორტრეტიც დახატა, რომელიც ძალიან მომეწონა!

ნინო ზედელაშვილი, *ქართლოსის თანაკლასელი:*

— მე და ქართლოსი ქართულის გაკვეთილზე ერთ მერხთან ვისხედით. საქმე აღარ გვქონდა და ქართლოსმა თქვა: ხატვა მინდაო. ვუთხარი: გვერდით გიზიზავრ და მე დამხატე-მეთქი. ასეც მოიქცა. ხატვა მათემატიკის გაკვეთილზეც განაგრძო და მასწავლებელმა კინაღამ „ორიანი“ დამიწერა, რადგან მისგან ზურგით ვიჯექი (*იცინის*)... ქართლოსი არაჩვეულებრივ თემებსაც წერს და მასწავლებლები „პატარა მწერალს“ ეძახიან...

ქართლოს ბიკაშვილი:

— რასაც გარშემო ვხედავ, იმას ვწერ — არაფერს ვიგონებ. ზოგი რამ სურათზე გადამაქვს, ზოგი — ჩანახატში.

— ქართლოს, შენს პორტფოლიოში ნოველები ილუსტრაციებითაა გაფორმებული. რამდენიმე მათგანი ნადირობის თემაზეცაა. გიყვარს ნადირობა?

— დიახ, მიყვარს. მშობლებმა უფლება მომცეს, ნადირობისას იარაღი ვატარო. მინდა, კარგი მონადირე გავხდე. მეძებრის პატარა ლეკვები მყავს... ჩანახატები გავაფორმე, მაგრამ ნადირობის თემაზე დიდი ნამუშევარი არ შემიქმნია.

— შენი ოჯახის რომელიმე წევრი თუ ხატავს?

— არა, მხატვარი სანათესავოშიც კი არავინ მყავს.

— ამ საქმეს სერიოზულად უყურებ?

— დიახ და მომავალში პროფესიული განათლების მიღებასაც ვაპირებ — ეს აუცილებელია. მხოლოდ საკუთარი ფანტაზიით ხატვა საკმარისი არაა. დღეს თუ რაიმეს ვაკეთებ, ჩემი მასწავლებლების დამსახურებაა.

— ქართველ თანამედროვე მხატვრებთან თუ გაქვს ურთიერთობა?

— მასწავლებლები ამაშიც მეხმარებიან: მათი საშუალებით რამდენიმე მხატვარი გავიცანი, გამოფენებზეც დავდივარ... საინტერესოა, ჩემს ნამუშევრებს როგორ შეაფასებენ...

მურთაზ შველიძე, *მხატვარი:*

— ქართლოსის ნამუშევრებში ბავშვურ გამოუცდელობას ველოდი, მაგრამ გამოფენაზე წარმოდგენილი სურათები ზედმეტად სრულყოფილი, გაბედული და ორიგინალური მომეჩვენა. ქართლოსი „გარდამავალ ასაკს“ გადაიტანს და სერიოზულ, დიდ შემოქმედად ჩამოყალიბდება. ამის თქმის საფუძველს დღევანდელი გამოფენა იძლევა!

კოტე სულაბერიძე, *ქართლოსის მასწავლებელი:*

— თავდაპირველად, ჩვენთან კვირაში ერთხელ მოდიოდა. აინტერესებდა — ხატვისას რა მასალები და როგორ უნდა გამოეყენებინა. ძირითადად, შინ მუშაობდა, მერე სურათებს გვიჩვენებდა ხოლმე, ჩვენ კი ტექნიკურ რჩევებს ვაძლევდით. ცოტა მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ არაჩვეულებრივ ჩანახატებსაც წერს და გადავწყვიტეთ, ქართლოსის პორტფოლიო შეგვექმნა, რომელშიც მისი ჩანახატები და ფერწერული, გრაფიკული ნამუშევრები შევიდოდა. ვიფიქრეთ, რომ პორტფოლიოს პრეზენტაციასთან ერთად, გამოფენაც მოგვეწყო და ასეც მოვიქეცით. ქართლოსი ძალიან კარგი ბიჭია — დიდი მომავალი აქვს!..

■

სკოლის დირექტორის მიერ მოწყობილი ოინი და ილბლიანი „იურისტი“

ანუ სკოლის დროინდელი კურიოზები

„ვნახოთ, რამდენ ადამიანს შევუნარჩუნებ სიცოცხლეს...“

ზოგიერთი მოსწავლისთვის, უკვე აბიტურიენტებისთვის „ბოლო ზარი“ რამდენიმე კვირის წინ ჩამოირეკა. წიგნებში თავჩარგული მოზარდები ცდილობენ, უქმად წამიც არ დაკარგონ, რათა უნივერსიტეტს მიღმა არ დარჩნენ. მიუხედავად ამისა, ზოგ-ზოგიერთმა დრო „სკაიპისა“ ან „ოდნოკლასნიკებისთვისაც“ გამონახა და რამდენიმე მათგანის ჩაწერა სწორედ ამ საიტების მეშვეობით შევძელი. მაშ ასე, რა პროფესიაზე ოცნებობს აბიტურიენტების უმრავლესობა, რატომ გახდა საბანკო საქმე ესოდენ მნიშვნელოვანი და რით იზიდავს სტუდენტობა მოზარდებს, ამას ჩვენი რესპონდენტებისგან შეიტყობთ. სხვათა შორის, ბევრმა მათგანმა სკოლაში სწავლის დროს თავს გადახდენილი კურიოზებიც გაიხსენა.

ლიკა ქაჯაია

ნათია:

— დრო საერთოდ არა მაქვს. მას მერე, რაც „ბოლო ზარი“ დაირეკა, მეგობრებისთვისაც ვერ ვიცლი. მეგონა, სკოლას რომ დავამთავრებდი, მერე ჩიტივით თავისუფალი ვიქნებოდი და ჩემს გემოზე „ვიფრენდი“, მაგრამ ნურას უკაცრავად — აბიტურიენტობა რთული ყოფილა. მართალია, საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ და მჯერა, რომ უნივერსიტეტშიც წარმატებით ჩავაბარებ, უფასოზე მოვხვდები, მაგრამ მეცადინეობა მაინც მჭირდება... ისე, რაც უფრო ახლოვდება გამოცდები, მით მეტად მიპყრობს შიში იმისა, რომ შესაძლოა, ჩავიჭრა.

— შენ მითხარი, საკუთარ თავსა და ცოდნაში დარწმუნებული ვარო. ეი. გამოცდებისთვის დიდი ხანია, ემზადები, არა?

— კი, 3 წელია, ვემზადები. ბავშვობიდან მინდოდა, სამედიცინოზე ჩამებარებინა და იმ საგნებს უფრო კარგად ვსაწავლობდი, რომლებიც ვიცოდი, რომ დამჭირდებოდა. ჰოდა, გარკვეული ცოდნა სკოლაშიც დამიგროვდა, მაგრამ კერძო პედაგოგებთან სიარულმა მართლაც, ბევრი რამ შემძინა და საკუთარ თავში დარწმუნებულიც ამიტომ ვარ. ღმერთმა არ ქნას, რომ ვერ ჩავაბარო, თორემ თავი მომეჭრება.

— წელს თუ ვერ ჩააბარებ, მომავალ წელს ცდი ბედს...

— ვითომ, რატომ ვერ უნდა ჩავაბარო? ისეთი კლასელები მყავს, რომლებიც არავისთან ემზადებოდნენ, რომლებსაც გაკვეთილი არც ერთხელ არ მოუყოლიათ, მაგრამ რაღაცის იმედი მაინც აქვთ. ჰო, ასეთები აპირებენ გამოცდების ჩაბარებას და მათთან შედარებით ხომ მაინც მაქვს რაღაც ცოდნა?.. ზოგს მართალია, ჩაწყობის, ახლობლების იმედი აქვს, მაგრამ არა მგონია, ახლა ვინმემ კორუფციაში გარევა იკისროს.

— ეი. სამედიცინოზე აბარებ. ამ პროფესიის არჩევა მაინც, რამ განაპირობა?

— პატარა ვიყავი, როცა ბებია გამიხდა ცუდად. რომ დავინახე, დედა ტიროდა, ბებოსთან მივედი და ვუთხარი: არ მოკვდე, თორემ დედაც მომიკვდება-მეთქი. მიპასუხა: ეჰ, შვილო, სიკვდილი არც მე მინდა, მაგრამ ჩემი სიცოცხლე ექიმებისა და ღმერთის ხელშიაო. ბებია მალე გარდაიცვალა... წლების განმავლობაში მესმოდა დედის წუწუნი იმაზე, რომ ბებოს გადარჩენა შესაძლებელი იყო, ოღონდ ექიმი არ ვარგოდა, მან მოხუცს კარგად ვერ უმკურნალა. ჰოდა, ერთხელაც გადავწყვიტე: რადგანაც საკუთარ ბებოს ვერ ვუშველე, სხვების ბებოებს მაინც დავიხსნი სიკვდილისგან-მეთქი. ვნახოთ, რამდენ ადამიანს შევუნარჩუნებ სიცოცხლეს... სხვათა შორის, დედაჩემს ძალიან უყვარს ბალახეული ნაყენებით მკურნალობა და რაღაცები მეც მასწავლა. ჰოდა, როცა კლასელებს, მეგობრებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მსუბუქი პრობლემა აქვთ, მათ რჩევას ვაძლევ ხოლმე. ამიტომაც, კლასში ყველა ნათია ექიმს მეძახდა (*იცინის*). ეს სასიამოვნო იყო.

— სკოლაში რომ აღარ ივლი, შესაბამისად, კლასელებსაც იშვიათად შეხვდები. ამის გამო გული არ გწყდება?

— რა თქმა უნდა, მწყდება! კლასელებს ძალიან შევეჩვიე და ასე მგონია, რომ ისინი ჩემი და-ძმები არიან. ზოგიერთთან ძალიან ახლო მეგობრობა მაკავშირებს, სხვებთან კი უბრალოდ, თბილი ურთიერთობა. მხოლოდ ერთხელ ვიჩხუბე კლასელთან და ისიც იმიტომ, რომ მან ჩემს მეგობარ გოგონას შეურაცხყოფა მიაყენა. იმ ამბის გახსენებაც არ მინდა... მერე ეს გოგო იმ ბიჭს შეურიგდა, მე კი ყველა არამკითხეს მეძახდა და მაშაყირებდა. სხვათა შორის, მას მერე არავის საქმეში არ ჩავრეულვარ... გული მწყდება, რომ კლასელებს, მასწავლებლებს ისე ხშირად ვეღარ ვნახავ, მაგრამ რაღაც ახლის მოლოდინში გული სიხარულით მევსება.

კლასელებს ძალიან შევეჩვიე და ასე მგონია, რომ ისინი ჩემი და-ძმები არიან

— და რას ელი სტუდენტობის წლებისგან?

— ახალ ნაცნობებს, საინტერესო თავგადასავლებს და ვინ იცის, იქნებ, ჩემი მომავალი მეუღლეც სწორედ სტუდენტობის პერიოდში გავიცნო...

— ეი. შეყვარებული არ გყავს...

— მყავდა და ჯანდაბაში გავუშვი... ახლა ბევრი ოცნება მაქვს, მომავალს იმედის თვალით შევყურებ და ვნახოთ, რა იქნება. თუმცა, რაღაცები მაშინებს კიდეც — მე ხომ არ ვიცი, „ახალი ცხოვრება“ რას მიმზადებს, ახალი ნაცნობები როგორ მიმიღებენ.

— ბევრ აბიტურიენტს მშობელი ჰპირდება: თუ უნივერსიტეტში მოეწყობი, სურვილს აგისრულებ და ვთქვათ, მანქანას გიყიდიო. შენ თუ დაგპირდნენ მშობლები რაიმეს?

— მანქანა უკვე მიყიდეს — 20 აპრილს დაბადების დღე მქონდა და მამამ სიურპრიზი მომიწყო. მართალია, ჯერ მისი მართვა არ ვიცი და ცხადია, არც მართვის მოწმობა მაქვს, მაგრამ გამოცდებს რომ ჩავაბარებ, მერე ამ საქმისთვისაც მოვიცლი. რაც შეეხება დაპირებას, დასასვენებლად თურქეთში გაგიშვებთო, — მეუბნებიან და ვნახოთ, პირობას შეასრულებენ თუ არა. თუ არ შეასრულებენ, მაშინ შეგეხმიანები და მათ სურათებს „გზაში“ გამოვჭიმავ, წარწერით — „მატყუარები“ (*იცინის*). არა, ვხუმრობ, ისინი პირობას ყოველთვის მისრულებენ.

— ეტყობა, ფული აქვთ, თორემ სხვანაირად ყველა შენი კაპრიზის დაკმაყოფილებას ვერ შეძლებდნენ.

— კი, მამა კარგ ადგილას მუშაობს, კერძო დაწესებულებაში და მშვენიერი ანაზღაურებაც აქვს. ჩემს ოჯახს მატერიალური პრობლემა არ აწუხებს, ყოველ შემთხვევაში, ელემენტარული რაღაცები არ გვაკლია. ისე, ჩემს კლასში ასეთი პრობლემა არც არავის ჰქონდა.

— კარგია, თუ ასე იყო...

— ყოველ შემთხვევაში, ჩემ გარშემო ფულის გამო არავის უწუწუნია და რა ვიცი.

— საინტერესოა, როგორ ერთობიან ის მოზარდები, რომლებსაც ფულის პრობლემა არა აქვთ?

— რა ვიცი, ვიკრიბებოდით, ვმღეროდით, ვთამაშობდით... აბა, სხვა რა უნდა გვეკეთებინა?!

— კლუბებში, კაფე-ბარებში არ დადიოდით?

— კლუბებში თორემ, ჩვენც გვაქვს, რა, გასაგიჟებელი დაწესებულებები. სიგარეტს მე არ ვეწევი, არ ვსვამ და იქ რა მინდა? სამეგობრო წრეშიც მშვენივრად ვერთობი. სხვათა შორის, კლასელები ხშირად მივდიოდით ექსკურსიაზე, ვაწყობდით პიკნიკებს, „მასკარადებს“, დაბადების დღეებს საბავშვო ცენტრში ვიხდიდით...

— ალბათ, ახლა იმასაც მეტყვი, რომ მშობლებთან პრობლემებიც არ გექმნებოდა...

— როგორ არა! მაგალითად, როცა კლასელის სახლში დარჩენა მინდოდა ან „შატალოზე“ მივდიოდით, დედ-მამა მსაყვედურობდა ხოლმე... მყავს პატარა დაიკო, რომლის გამოც არაერთხელ „მომხვედრია“ — ის მატრაკვეცაა, ცრუპენტელა და რაიმე რომ გაეტეხა, ამასაც მე მაბრალებდა; თან ისე დამაჯერებლად იტყუება, რომ მის ნათქვამში ეჭვიც არავის ეპარება, ჩემს სიმართლეს კი არავინ იჯერებს.

— ეტყობა, შენც ხშირად იტყუები...

— ერთხელ მოვიტყუე და სახელიც მას მერე გამიტყდა: მერვე კლასში ვიყავი, როცა პაემანზე წავედი. მე და „ლოვე“ ერთ-ერთ პარკში ჩავედით და ლაპარაკში დრო თვალსა და ხელს შუა შემოგვეცალა, ისე დაღამდა, ვერც გავიგეთ. ამასობაში, ჩემს მშობლებს ქვეყანა შეუძრავთ, — შვილი მოგვტაცესო და ეტყობა, მომტაცებლის ზარსაც ელოდნენ, მე კი ამ დროს პარკში ვიჯექი და „ვნებივრობდი“. თურმე, მეზობელმა ქალმა მომკრა თვალი და როცა გაიგო, რომ მშობლები მეძებდნენ, დედაჩემს უთხრა: რას ამბობთ, ვინ გაიტაცა, 1 საათის წინ ბიჭთან ერთად, ამა და ამ პარკში ვნახეო. ჰოდა, სწორედ მაშინ დამადგნენ მშობლები თავს, როცა „ლოვეს“ პირველად ვაკოცე. დედამ რომ დამიძახა, ელდა მეცა და იმ ბიჭს ვუთხარი: ახლავე გაიქეცი, თორემ მოგკლავენ-მეთქი. მას მერე მშობლებს კარგა ხანს ვატყუებდი: იმ ბიჭმა ძალით წამიყვანა, მომიტაცა, მერე კი გამოვეპარე და ბაღში დამეწია-მეთქი... ცხადია, ეს აბდაუბდა არ დაიჯერეს და მატყუარას იარლიყიც ავირტყი (*იცინის*).

ირაკლი:

— მოიცა, რა, რა დროს ინტერვიუა, მაშაყირებ?

— არა, არ გაშაყირებ. შენი სურათი ვნახე, სადაც თეთრი, სამასსოფროწარწერებიანი პერანგი გაცვია და ამიტომაც დაგიკავშირდი.

— „ბოლო ზარზე“ უნდა მკითხო რამე?

— ჰო და იმაზეც, რას აპირებ მომავალში...

— სკოლის დამთავრება მაგრად „გამისწორდა“ და იცი, რატომ? — ჩემს წიკვინა მასწავლებლებს ვეღარ ვნახავ. სხვათა შორის, „ბოლო ზარამდე“ ერთ-ერთი მათგანი დამემუქრა: შენ ისეთი არამზადა ხარ, რომ ნიშანს არაფრით დაგიწერ, სკოლას ვერ დაამთავრებ, კლასში ჩაგტოვებო. — ჰოდა, თუ ასე მოხდა, მომავალ წელს ინფარქტი გარანტირებული გექნებათ-მეთქი, — დავემუქრე. ეტყობა, ამან გაჭრა და სამიანის ნაცვლად, იმ საცოდავმა ოთხიანი დამიწერა.

— მასწავლებლებს ხშირად ემუქრებოდი?

— როცა საჭირო იყო, მათ ვემუქრებოდი, მაგრამ როცა ვქეიფობდით, ყველას ვესიყვარულებოდი, ვეფერებოდი (*იცინის*).

— შენი მასწავლებლების ადგილას ყოფნას ნამდვილად არ ვისურვებდი. საინტერესოა, ახლა რას აპირებ?

— უნივერსიტეტში ჩაბარებას, რასაკვირველია!

— და შესაბამისი ცოდნა გაქვს?

— ტესტირებას ცოდნა კი არა, ინტუიცია და იღბალი სჭირდება, მე კი ნამდვილად, იღბლიანი ვარ! გითხრა, რატომ? — მეცხრე კლასში გამოცდები რომ ჩაგვიტარეს, ერთი ბილეთი ვისწავლე და სწორედ ის ბილეთი შემხვდა — ნუ, დანიშნული იყო, მაგრამ ჩემზე წინ იქ ბევრი ბავშვი შევიდა, თუმცა მისთვის ხელიც არავის უხლია; სკოლა ისე დავამთავრე, მასწავლებლისთვის დავალება ერთხელაც არ ჩამიბარებია, მაგრამ ატესტატში ოთხიანები მაქვს ჩაწიკწიკებული. დარწმუნებული ვარ, რომ უნივერსიტეტშიც უპრობლემოდ მოვხვდები.

— უნივერსიტეტში რომ ჩაბარონ, შენი თანატოლები წიგნების კითხვაში ათენ-აღამებენ, წიგნებს თავს ურტყამენ, შენ კი გინდა, უცოდინარობით მიაღწიო მიზანს?! რომ გაგიმართლოს, ჩაჭრილი, მაგრამ შენზე განათლებული თანატოლებისთვის თვალებში ჩახედვის არ შეგრცხვება?

— რატომ უნდა შემრცხვეს? ყველას თავისი გზა და ბედი აქვს. მე ხომ მათ არაფერს ვართმევ? წიგნებს რატომ უნდა შევაკლა თავი, როცა ეს ლიტერატურა არაფერში გამომადგება — მთავარი პრაქტიკაა.

— უკვე გადაწყვეტილი გაქვს, რა პროფესიას უნდა დაეუფლო?

— რასაკვირველია — იურიდიულზე უნდა ვისწავლო. მართალია, საბანკო-საფინანსო საქმიანობის შესწავლა მინდოდა, რადგანაც ვიცი, რომ იქ კარგი ფულის „გაკეთება“ შეიძლება, მაგრამ ვიცი, ამ საქმეში წარმატებას ვერ მივაღწევ — იქ მართლაც, ცოდნაა (ცოტაოდენი მაინც) საჭირო.

— და შენი აზრით, იურისტს განათლება, ცოდნა არაფერში სჭირდება?

— გამომძიებელს ინტუიცია თუ აქვს, საქმეს ნაკითხ, ერუდირებულ ადამიანზე უკეთ გამოიძიებს. იურისტს ნოდარ დუმბაძისა და ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების კითხვა არაფერში გამოადგება. მისთვის მთავარია, „შერლოკ ჰოლმსი“ ჰქონდეს წაკითხული

და ქურდული სამყაროს აზრზე იყოს.

— შენ ხარ ქურდული სამყაროს აზრზე?

— რა თქმა უნდა! შევარცხვინე ის ბიჭი, ვისაც ქუჩაში დგომა და „ძველ ბიჭებთან“ ურთიერთობა ეთაკილება. ამ ცხოვრებაში ცოტ-ცოტა ყველაფერი უნდა იცოდე. მე ქუჩაც ვიცი და სახლიც. ასე რომ, ქურდებისა და პატიოსანი ბიჭების ერთმანეთისგან გარჩევა ნამდვილად არ მიჭირს. სხვათა შორის, თუ გინდათ, აქვე გეტყვით, რომ თავის დროზე ბიძაჩემი კანონიერი ქურდი იყო, მერე საზღვარგარეთ წავიდა და სამწუხაროდ, დღეს მისი ასავალ-დასავალი არ ვიცით. ჰოდა, იმედი მაქვს, როცა კარგ იურისტად ჩამოვყალიბდები, მის კვალსაც მივაგნებ.

— წარმატებებს გისურვებ!

— გმადლობ.

მარიამი:

— ვიცი, კლასელები ძალიან მომენატრება. არ მახსოვს ისეთი დღე, სკოლაში წასვლა რომ დამზარებოდა. მართალია, ზოგჯერ გაკვეთილის მომზადებას ვერ ვასწრებდი, მაგრამ მაინც, სკოლაში მიმეჩქარებოდა — იქ საყვარელი ადამიანები მელოდნენ, ახლა კი არ ვიცი, რა მეშველება.

— ახალ ნაცნობებს შეიძენ, თანაც — კლასელებსაც ხშირად შეხვდები...

— არა, სკოლის დამთავრების შემდეგ, ზუსტად ვიცი, რომ კლასელები ერთმანეთისთვის ვეღარ იცლიან. შეიძლება, თავიდან ხშირ-ხშირად შევიკრიბოთ, მაგრამ დროთა განმავლობაში „დავიშლებით“ და ამის გამო გული წინასწარ მწყდება... თანაც არ ვიცი, ახალ ნაცნობებს როგორ შევეგუები. ადამიანებთან კონტაქტში შესვლა მიჭირს და ამიტომაც მგონია, რომ ვერ გამიგებენ. თანაც, კიდევ ერთი პრობლემა მაქვს: სკოლაში შეყვარებულს ვტოვებ. ის ჩემზე ერთი წლით უმცროსია. მას ყოველდღე ვხედავდი, ახლა კი „ლოვეს-თვისაც“ ვეღარ ვიცლი — გამოცდებისთვის ვემზადები. ჰოდა, როცა მირეკავს, სამართლიანად მებუზღუნება ხოლმე. მეუბნება: იცოდე, სამუდამოდ დაგკარგავო! ჩემს მომავალზე ეჭვიანობს და არ ვიცი, რა გვეშველება.

— სულ ასეთი წუწუნა ხარ?

— (*იცინის*) მეგობრები მართლაც, წუწუნას მეძახიან. როგორ მიხვდი? რომელიმე ჩემი კლასელის ახლობელი ხომ არა ხარ? მითხარი, ვინ მოგცა ჩემი ნომერი?

— იცი, ერთ-ერთ საიტზე თავად გაქვს სურათზე გაკეთებული წარწერა — „ჩემთვის ბოლო ზარი დაირეკა, რა მეშველება?..“

— ჰოო, ეგ სულ დამავიწყდა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ვიღაცამ გითხრა: მარიამი წუწუნაა (*იცინის*).

— რომელ ფაკულტეტზე აპირებ ჩაბარებას?

— თეატრალურ უნივერსიტეტში ვცდი ბედს, თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე. ჩემი კლასელების უმეტესობა კი ეკონომიურზე აპირებს ჩაბარებას. მერე საბანკო საქმეს შეისწავლიან. არ ვიცი, ამდენი ბიზნესმენი ჩვენს სამშობლოს სჭირდება?

— შენი აზრით, თეატრმცოდნეების ნაკლებობას განიცდით?

— რა თქმა უნდა!

— და ამიტომაც აბარებ ამ ფაკულტეტზე.

— ამიტომაც... იცი, მსახიობის პროფესია ყოველთვის მომწონდა, მაგრამ ვინაიდან ჩემგან მსახიობი ვერ დადგება, მინდა, ამ პროფესიის ადამიანებთან ახლო ურთიერთობა მქონდეს და თეატრმცოდნეობაც ამიტომ შევარჩიე. ვიცი, ურთულესი, მაგრამ დაუფასებელი პროფესიაა, მაგრამ იმედია, როცა მე სწავლას მოვრჩები, თეატრმცოდნეებიც უფრო „მოთხოვნადები“ გავხდებით.

— შენს შეყვარებულს შენი არჩევანი მოსწონს?

— არა, მაგრამ ჩემი სიჯიუტის ამბავიც იცის. თურმე, დედამისს უნდა, რომ ექიმი რძალი შეუვიდეს ოჯახში. კაცო, რძალს არაფერს ეკითხებიან? იქნებ, სულაც არ შემიძლია სისხლის დანახვა?!

— მისი მშობლები გიცნობენ?

— კი, მიცნობენ. ლაშას კარგი მამა ჰყავს, მაგრამ დედა, ცოტა არ იყოს, „სტერვა“ ქალია. ასე ამბობს, — ეს გოგო რად მინდა? ისეთი გალეულია, რომ ჩემს მოჭიდავე შვილს ხელში ჩაატყდებაო. მიწუნებს, ერთი წლით უფროსი რომ ვარ, არადა, თვითონ ქმარზე 3 წლით უფროსი ყოფილა და როცა ლადო ძიამ ცოლად მოიყვანა, უკვე განათხოვარიც ბრძანებულა...

— მოკლედ, დედამთილზე წინასწარვე იბოლმები, არა?

— ჰო, მაგრამ ეგ მისივე ბრალია — ჯერ მათ ოჯახში არ შევსულვარ და უკვე გადმომკრა მათრახი, ჰოდა, როცა შევალ, მერე რაღას მიზამს? ლაშას უკვე განვუცხადე: თუ ცალკე არ ვიცხოვრებთ, ცოლად არ გამოგყვები-მეთქი.

— მერე, რა გითხრა?

— წუწუნაო, — დამიძახა და მორჩა!

— მოდი, სკოლაში თავს გადახდენილი რაიმე სახალისო ამბავი მომიყევი.

— ერთხელ „შატალოზე“ ზოოპარკში წავედით. სულ 20 წუთის მისულები ვიყავით, როცა სკოლის დირექტორმა ერთ-ერთი ჩემი კლასელის მობილურზე დარეკა. გიამ ცხადია, უპასუხა. მათ დიალოგს „ჯგუფურად“ ვუსმენდით. დირექტორმა უთხრა: იცი, ნიკა — ჩემი შვილი ზოოპარკში აპირებდა წასვლას, მას ვერ ვუკავშირდები და ძალიან გთხოვ, დამეხმარე. თუ გაკვეთილზე ხარ, მასწავლებელს ჩემი სახელით დაეთხოვე, ნიკასთან მიდი და უთხარი, რომ აღარ წავიდესო... ჩვენ ლამის, სიცილით გავიგუდეთ, რადგან დირექტორმა „ზოოპარკი“ და „გაკვეთილი“ ახსენა. გია დაინტერესდა: რატომ, მასწ, რატომ არ უნდა წავიდესო? დირექტორმა უპასუხა, — თურმე გალიიდან მგელი გაიპარა, მაგრამ ზოოპარკის დირექცია ამას არ ამხელს. მგელი ზოოპარკის ტერიტორიაზე დაძრწის, თანაც, ცოფიანი ყოფილაო... სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ წივილ-კივილით ზოოპარკის გასასვლელისკენ გავიქეცით და თან, ხალხს ვუყვიროდით, — მგელი გალიიდან გაიქცა, თავს უშველეთ-თქო. იმ დღეს პოლიციის განყოფილებაში ამოვყავით თავი — ხალხის უსაფუძვლოდ დაშინებისათვის, სადაც მშობლებმა მოგვაკითხეს და სახლამდე სულ ლანძღვა-გინებით მიგვიყვანეს. მერე გაირკვა, რომ იმ დღეს ჩვენი სკოლის დირექტორი ზოოპარკის დირექციაში რაღაც საკითხზე მოსალაპარაკებლად მისულა, იქ კი ჩვენ დავუნახავვართ და ასეთი სეირი მოგვიწყო.



ზოგჯერ გაკვეთილის მომზადებას ვერ ვასწრებდი, მაგრამ მაინც, სკოლაში მიმეჩქარებოდა

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

მახარობელი !

წუხელის ბიჭი დაბადებულა,
გადაჭარბებად თუ არ ჩამითვლით,
ისეთი ბიჭი დაბადებულა,
დაურქმევიათ თურმე დავითი.
წუხელის ბიჭი დაბადებულა,
დაურქმევიათ იმისთვის – ცოტნე,
შენ – ორგულობავ, აბა გაბედე
და გული ჩვენი ისევე ჯორტნე.
წუხელის შოთაც დაბადებულა,
დაბადებულა თურმე დემეტრე,
განგებავ, ჩვენი საქართველოსთვის
რა სიხარული გამოიმეტე.

წუხელ ცის ჯარი ცხრავე გააღო
ყველა გმირმა და თავდადებულმა,
დაბადებულა თურმე ვახტანგი,
წუხელ დემეტრე დაბადებულა.
საქართველოს ცა, ისეც მაღალი,
უფრორე მეტად ამაღლებულა,
დაბადებულა მთვარე-გიორგი,
თურმე ილია დაბადებულა

წუხელის მტერი – ერთპირად ჩვენი
მოსპობის მდომი – დადარდებულა;
დაბადებულა თურმე სულხანი,
გრიგოლ ხანძთელი დაბადებულა.
დაბადებულა ბიჭი პაატა.
გათენებულა წუხელის თეთრად;
დაბადებულა სამასი გმირი,
ვით დაიხოცნენ, ისევე ერთად.

წუხელის გოგოც დაბადებულა,
ცის ნამი, ცისფრად ნაკამკამარი,
ისეთი გოგო დაბადებულა,
დაურქმევიათ თურმე თამარი.
დაბადებულა წუხელის ნინო
და ქეთევანი დაბადებულა.
ის ბნელი ღამე თურმე უეცრად
ღვთიურის ნათლით განათლებულა.

ყველა ზღაპარი – ნაოცნებარი
ახდენილა და გამართლებულა;
დაბადებულა თურმე ნესტანი
და თინათინი დაბადებულა.
და გიხაროდენ! ქართველთა შორის
ღვიძლ ძმათა ხიდი ჯვლავ გადებულა
და ერთიანი, ნანატრი დროის,
ქართული ხელახლა დაბადებულა.

ანზორ აბულაშვილი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ბ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-23

ბუწი — იგივეა, რაც თოხლი (ცხვარი 6 თვის ასაკიდან ერთ წლამდე.)
ბუწუნი — 1. ცუდი, თხელი თმა; 2. საერთოდ თმა.
ბუჭულა — 1. კოდის წისქვილი; პატარა წისქვილი; 2. პატარა სახლი ქოხივით.
ბუჭყა — 1. მაგარმხრიანი მწერების საერთო სახელწოდება; 2. იგივეა, რაც ხოჭო.
ბუხულა (საუბ.) — ბუნჩულა, ფუნჩულა.
ბლუნძელა — ერთგვარი მატლი.
ბწკალი — ბრჭყალი, კლანჭი.
ბვა — ჩალის ზვინი.
ბვლლა — დაბარდული ტოტები, — გრვლა.

გ

გაზა — წვივის ძვალი, წვივი.
გავაზი — ერთგვარი მტაცებელი ფრინველი.
გაზი — 1. ლითონის ორტუჩა ხელსაწყო, რომელიც იხმარება რისამე, (მაგ. ლურსმნის) ამოსაძრობად; 2. ბრჭყალი (ცხოველისა და ფრინველისა).
გაზულუქებული — გამდიდრებული და კეთილი ცხოვრებით მეტისმეტად კმაყოფილი.
გაივგარ! (სამხ. სპორტ.) — ბრძანება მწყობრში მდგომთა ერთიმეორისაგან დასაშორებლად, მათ შორის მანძილის გასადიდებლად.
გალეტი ფრ. — ტკბილი ნამცხვარი ერთგვარი.
გალიფუ — მუხლებს ქვემოთ ვიწროდ და ზემოთა ნაწილში ფართოდ გამოყვანილი შარვალი ჩექმებში ჩასატანებელი (ფრანგი გენერლის გვარის მიხედვით).
გალო — 1. (კუთხ.) ძვალი კიდურისა ან ნეკნისა; 2. (სპეც.) ფრინველის ფეხის ნაწილი თითებიდან წვივამდე.
გარაბადი — კაკბიანი დგამი ტანსაცმლის ჩამოსაკიდად.
გარიბალდი — ერთგვარი კრაველის ქუდი (მე-19 საუკ. იტალიელი მოღვაწის სახელის მიხედვით)
გარიელი — გარეული ფრინველი ბატების ოჯახისა.
გარო — წვნიანი საჭმლის თავზე მომდგარი ცხიმი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ილია წაფაცავა
ეკატერინა
ბოლ
ბ
ბ
ბ

ბოლნისის სამხედრო აეროდრომი დაბომბეს.

20:22. დაიბომბა სოფელი ერედვი.

21:23. დაიბომბა ცხინვალი. თავდაპირველად, ქართველებმა შემოტევას ცეცხლით არ უპასუხეს. საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე სოფელი ავნევი ცეცხლში გაეხვია და თითქმის მთლიანად განადგურდა. სეპარატისტებმა ასევე შეუტიეს საქართველოს მთავრობის კონტროლირებად სოფელ ფრისს, სადაც რამდენიმე კაცი დაიჭრა.

ლიკა ყაზბეგის პროექტი „წარმატებული ქალები“

დილის 8 საათზე საქართველოში ორი დამატებითი რუსული შენაერთი შემოვიდა როკის გვირაბის გავლით.

პირველი რუსული შენაერთი, რომელიც საქართველოში გვირაბის გავლით შემოვიდა, გუფთის ხიდზე გადმოსვლისას საქართველოს ხელისუფლების ჩატარებული საჰაერო ოპერაციის დროს განადგურდა.

რუსული საჰაერო ძალები სამხედრო ოპერაციებს ატარებდნენ საქართველოში, თვითმფრინავებმა ოთხ ქალაქში ჩამოყარეს ბომბები. რუსეთმა სოფელი ვარიანიც დაბომბა, რომლის დროსაც დაშავდა შვიდი მშვიდობიანი მოსახლე. სამი ბომბი ჩამოაგდეს ქალაქ გორში.

საქართველოში ცოდვის ტირილი იდგა. ქვეყანა სისხლისგან იცლებოდა. ნუთუ ჩვენს შვილებსაც უნდა ენახათ ომი?

ჩემი მდგომარეობა ორმაგად არასახარბიელო იყო. ომის პირველივე დღეს ვითხოვე ეთერი დავით აქუბარდიასთან და მოვუწოდე უკლებლივ ყველას, განსაკუთრებით, რუსებს, რუსეთის საელჩოსთან შეკრებილიყავით და პროტესტი გამოგვეხატა.

ვერ აგიწერთ იმ გრძნობას, რაც ხალხის რამდენიმეათასიანი ნაკადის დანახვაზე დამეუფლა. „კავკასიის“ ეთერში გაკეთებული მოწოდების შემდეგ რუსეთის საელჩოსკენ პროტესტის გამოსათქმელად ათასობით საქართველოს მოქალაქე დაიძრა.

რუსი ქალები ერთიმეორის მიყოლებით მიახლოვდებოდნენ და ქართველების მუქარის ფაქტებს მიყვებოდნენ.

— ჩვენ ხომ ქართველების მეუღლეები და დედები ვართ, გვიყვარს ეს მიწა, ოკუპანტები ჩვენც გვესვრიან, — მოთქვამდნენ შეშინებული ქალები.

დაძაბულობის დროს ტაქტი და ზრდილობა იკარგება.

— წადი, რუსო! — ისმოდა მშვიდობიანი რუსი მოსახლეობის მისამართითაც. საჭირო იყო ამ ადამიანების დაცვა.

ვთხოვე სახალხო დამცველს, ბატონ სოზარ სუბარს, დაეთმო დარბაზი და კვლავ „კავკასიის“ ეთერის მეშვეობით მოვუწოდე საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ რუსებს შეკრება.

სხვათა შორის, ამ შეხვედრის ვიდეოკადრები რეჟისორ ნეკრასოვის ფილმში აისახა. ნეკრასოვმა პუტინსა და ლიტვინენკოზე გადაღებული სკანდალური ფილმებით გაითქვა სახელი.

შევადგინეთ საქართველოს მოქალაქე ეთნიკური რუსების საპროტესტო ტექსტი:

„საქართველო მრავალეთნიკური ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოა და აქ მცხოვრები რუსები მისი შემადგენელი ნაწილი არიან. მოვითხოვთ საქართველოს მიწა-წყლიდან როგორც რუსეთის ჯარის, ასევე ტექნიკის, რამაც ასე დააზიანა ქვეყნის ინფრასტრუქტურა, დაუყოვნებლივ გაყვანას. გადამწვარი ქალაქები და სოფლები, ასობით დაღუპული, დაჭრილი და უსახლკარო; დაზიანებული ეკოლოგია, შეურაცხყოფილი ეკლესიები ისედაც რუსი ოკუპანტების სინდისზეა. ჩვენ მოვუწოდებთ სრულიად რუსეთის საზოგადოებას, მხარი დაგვიჭიროს სამშვიდობო ინიციატივაში! რუსეთი მხოლოდ პუტინი და მედვედევი როდია? რუსეთია: გუმილიოვი, სოლჟენიცინი, ჩეხოვი, დოსტოევსკი, ნაბოკოვი, ბულგაკოვი.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი წარსულით, მაგრამ გვრცხვენია — აწმყოსი!

ჩვენ, საქართველოს ეთნიკურად რუსი მოსახლეობა, გამოვდივართ და ხმას ვიმაღლებთ საქართველოს ოკუპაციასა და რუსეთის ფედერაციის აგრესიაზე.

დემოკრატიული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელყოფა ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის დარღვევაა. იმისათვის, რომ ჩვენ არ გავხდეთ რუსეთის მანიპულირების საგანი, როგორც ეს მოხდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, ვაცხადებთ, რომ სამშობლო მხოლოდ ერთია! და ეს სამშობლო საქართველოა! ჩვენ მრავალი საუკუნის განმავლობაში ვცხოვრობდით ქართველებთან ერთად, აქტიურად ვმონაწილეობდით ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და საქართველოს სრულუფლებიანი და სრულფასოვანი ნაწილი ვართ. რუსეთის ვერანაირი მცდელობა ვერ გააფუჭებს ჩვენს კეთილ ურთიერთობას ქართველებთან.

ჩვენ გამოვდივართ ახალი ემიგრაციული ტალღის წინააღმდეგ, რომელიც, როგორც წესი, თან ახლავს ამგვარ პროცესებს!“

მიმართვა უამრავი რუსის ხელმოწერით რუსეთის საელჩოს ჩავაბარე.

რუსეთის საელჩოსთან გამართული მრავალათასიანი საპროტესტო აქციის მეორე დღეს დათო ბაქრაძემ დამირეკა და ინიციატივა მომიწონა.

— დათო, მე ამას არც შენთვის და არც მიშასთვის არ ვაკეთებ! ეს სახალხო პროტესტია.

— კარგი, რატომ ბრაზობ? ისე მოგიკითხე, — მითხრა დათომ.

დღის ბოლოს პარლამენტარი პაღიკო კუბლაშვილი გამოჩნდა. მან შორიდან დამინახა და პირდაპირ ჩემკენ გამოემართა.

— ლალი, ალბათ, ძალიან დაიღალე? — მკითხა მეგობრულად, — რით შემიძლია, დაგეხმარო?

— არაფერი არ არის საჭირო. ახლა მთავარია საინფორმაციო ომის მოგება. ბევრი ტელევიზიაა, ჩვენიც და უცხოურიც, ასე რომ, ნუ შეწუხდებით, დიდი მადლობა.

საომარი მოქმედებები სულ უფრო მძაფრდებოდა.

— რუსთაველის თეატრში გადავიდეთ, — შემომთავაზა მესამე დღეს პალიკომ. სიმართლე გითხრათ, მეც ძალიან დაღლილი ვიყავი და სიამოვნებით დავთანხმდი.

რუსთაველის თეატრი ნაციონალების საარჩევნო შტაბს უფრო ჰგავდა, წვრილფეხა „ნაცები“ დირექტივებს იძლეოდნენ. ჩემს დანახვაზე ერთ-ერთი უსახო დეპუტატი „რუსთავი 2“-ის კამერასთან მიიჭრა, — „მოროშკინას ნულარ იღებთ, ისედაც სულ ეგ არის ეთერში“, — გასცა განკარგულება.

თვალები შუბლზე ამივიდა. გუშინ საკაშვილმა რუსეთის საელჩოსთან გამართული აქცია მოიწონა და ეტყობა, ეს გიენები ინიციატივის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ.

— ვაი თქვენს პატრონს, მათხოვრებო, რა დროს ეგ არის! — ვთქვი და გასასვლელს მივაშურე, სადაც ახალმოსულ პალიკოს შევეჩეხე.

— სად მიდიხარ? — გაიკვირვა პალიკომ.

— აი, მაგ ნაძირლებს ჰკითხეთ, — ვუთხარი მე და გავედი.

ცოტა ხანში პალიკომ დამირეკა. შტაბში ის ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც ადეკვატურად აზროვნებდა.

— ლალი, მე გიხდი ბოდიშს, გთხოვ, დაბრუნდი, შენ აქ უნდა იყო!

ბუტიაობის დრო არ იყო და მივბრუნდი.

ამასობაში „რუსთაველში“ მედდები შევკრიბე და გორის „მშვიდობის დერეფნისთვის“ დავიწყეთ მომზადება. ნებისმიერ დროს შეიძლებოდა ქართლი ჩაკეტილიყო.

— შენ ახლა პანიკას თესავ, — არ იშლიდა ნაციონალების კარის მეხოტბე და აჟიტირებულად იმის ახსნას შეუდგა, რომ არანაირი საშიშროება არ იყო და საღამოს ჩვენი დროშა ცხინვალში აფრიალდებოდა.

რუსეთის მიერ უკრაინის ოკუპაცია — XV საუკუნის 50-იან წლებში

რუსეთი-ყირიმი — 1783 წ.

რუსეთი-პოლონეთი — 1795 წ.

რუსეთი-აღმოსავლეთი საქართველო — 1801 წლის 12 სექტემბერი, 1802 წლის აპრილი

რუსეთი-იმერეთი — 1810 წ.

რუსეთი-გურია — 1828 წ.

რუსეთი-სამეგრელო — 1856-57 წწ.

რუსეთი-სვანეთი — 1857 წ.

რუსეთი-აფხაზეთი — 1864 წ.

რუსეთისაგან 1 მილიონი კავკასიელის ამოწყვეტა — 1859-1880 წწ. (მუჰაჯირობა)

რუსეთი-იაპონია — 1904-1905წწ.

რუსეთი-პოლონეთი — 1920 წ.

რუსეთი-აზერბაიჯანი — 1920 წ.

რუსეთი-სომხეთი — 1920 წ.

რუსეთი-პოლონეთი — 1939 წ.

რუსეთი-ლიტვა, ლატვია, ესტონეთი — 1940 წ.

რუსეთი (სსრკ)-ფინეთი — 1940 წ.

რუსეთი (სსრკ)-უნგრეთი — 1956 წ.

რუსეთი (სსრკ)-ჩეხოსლოვაკია — 1968 წ.

რუსეთი (სსრკ)-ავღანეთი — 1979-1989 წწ.

რუსეთი-საქართველო — 1919 წ., 1920წ. (აპრილი-მაისი), 1921 წ., 1924 წ., 1991-93 წწ.

და მე ვთესავ პანიკას? როდის იყო, რუსი უკან იხევდა? ბავშვისთვისაც გასაგები იყო, რომ ჩვენ ახალ-ახალ ტერიტორიებს ვკარგავდით! მე ერთი-ორი ტკბილი სიტყვის მერე დავტოვე ლაქიათა შტაბი.

სულ მალე ვითარება დაიძაბა, გორთან კონტაქტი აღარ იყო...

— სიტუაცია გართულდა, ვისაც რითი შეგიძლიათ, ისე დაიცავით თავი, — პარლამენტის თავმჯდომარის ამ სიტყვებმა ხალხი პანიკაში ჩააგდო.

წამში დაცარიელდა მაღაზიის დახლები, დაიკეტა ობიექტები. ქალაქი შიშისაგან ფართოდ გახელილი თვალებით დაბომბვის მოლოდინში იყო.

— ეს რა ქენი, დათო? — დავურეკე მე ბაქრაძეს.

დათო დაბნეული ჩანდა.

— შემხვდი, ვილაპარაკოთ, — მითხრა მან.

ჩვენ სოლოლაკში შევხვდით ერთმანეთს, ის ჩემს მანქანაში გადმოჯდა.

— აზრზე ხარ, როგორ ვარღვევ უსაფრთხოების ნორმებს? — თქვა დათომ.

— ჰო, მეც ახლა კოკოითისთან არ გადაგიყვანო. შენ სხვა ნორმებს უფრო არღვევ.

მე და დათო ჩემთან, სახლში ავედით. დათო ნერვიულობდა.

— საშინელი რეზონანსი ჰქონდა არა, ხალხში? — მკითხა მან.

— აბა, რა იქნებოდა? ახლა გამაგრებაა საჭირო!

საკვირველია, ოდესღაც ერთ-ერთი საუკეთესო მომლაპარაკებელი, საკმაოდ ჭკვიანი ადამიანი, ახლა რატომ უშვებდა საბედისწერო შეცდომას? იქნებ ეს სისტემა აფუჭებს ხალხს, იქნებ სავარძელი რყვნის გონებას? ჩემი მეგობრები თვალსა და ხელს შუა იცვლებოდნენ.

ნგრევა

„ნაგავშია საქართველო,
მაგრამ არ ჩანს მენაგვე,
ბიჭო, მითხარ, საქართველოს
შენ ანგრევ თუ მე ვანგრევ?!
რას ამაყობ, რას ღრიალებ,
ეგ ქვეყანა მთვრალია,
კაცი არ ხარ, აღიარე,
რაიც შენი ბრალია.
ეს ორმხრივი თამაშია
კაცის, არაჯანმრთელის,
აბა, ოსი რა შუაშია,
რა შუაშია ქართველი?!
კვლავ ყმადა ვართ,
ყმად ყოფილნი,
არც ლხინი გვაქვს, არც რთველი,
ასეთ დღეში არ ყოფილა
არასოდეს ქართველი.
გუშინდელი დამპყრობელი
შენ გგონია უტვინო,
მაგრამ კვლავაც ხარობს ბნელი,
ბნელი კვლავაც პუტინობს.
დღეს თბილისის მომავალი
რაღაც არ ჰგავს თბილისსა,
დღეს თამაშის დრო არ არის,
დროა თავგანწირვისა!“

ეს ლექსი ჯანსუღ ჩარკვიანს ქვეყანაში შექნილმა უმძიმესმა მდგომარეობამ დააწერინა.

პოეზია ექსტრემალურ სიტუაციაში იღვიძებს, მასთან ერთად იღვიძებს საუკუნეობით მიძინებული ტკივილი და ბოღმა.

„აღარავის უნდა აწუხებდეს იდიოტური აზრები, რომ საქართველოს კონფლიქტის ზონებში ცეცხლი კიდევ გაიხსნება“ (რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი)

რაო, ბატონო მედვედევო?

ოკუპაცია 2008 წლის აგვისტო

იდიოტურიო? რა სამწუხაროა, რომ რუსეთის იმპერიალისტური ტონი საუკუნეებია არ იცვლება. ჩემთვის პირადად სულერთია, ხრუშჩოვი მირტყამს „ბაშმაკს“ თუ მედვედევი იდიოტს დამიძახებს... რუსეთის პრეზი-

დენტი გერმანიის კანცლერთან, თანაც ქალბატონთან, ესოდენ მაღალი ტრიბუნიდან საუბრისას თუ ასეთ ლექსიკას მიმართავს, მაშინ რატომ უნდა გაგვიკვირდეს, რაც დღეს საქართველოში ტრიალებს? თანაც იფიქრეს, ქართველები ოდითგანვე ასე ადვილად არ ტყდებიანო და კაზაკები დაიხმარეს! ბრავო! აბა რა, ასე უნდა! როცა რუსი სამხედროები ქართულ სამხედრო ბაზებში შედიოდნენ, განცვიფრებას ვერ მალავდნენ, ასეთი ინფრასტრუქტურა და პირობები საიდანო? ჩვენ ჩვენი მთავრობა ბომჟებივით გვაცხოვრებსო... დიახაც! იმიტომ, რომ თქვენს მთავრობას ბომჟური ფსიქოლოგია აქვს!

რომელია ნეტავ იდიოტიზმი, როდესაც ასობით მოქალაქეს ცხინვალისკენ იტაცებენ? ვინ აგებს ამაზე პასუხს? ვინ აგებს პასუხს განადგურებულ ეკოლოგიაზე, აწიოკებულ ოჯახებზე, შეურაცხყოფილ ეკლესიებზე, ასობით დაღუპულ საქართველოს მოქალაქეზე, გახრწნილ გვამებზე? ან სად გაგონილა ჟურნალისტების ხოცვა? ამას თვით ჰიტლერიც არ კადრულობდა! თუ ომი ყველაფერს ჩამოწერს? ვერ მოგართვით, თქვენი პირველივე სისხლიანი 100 დღე ისტორიაში შავი ასოებით შევა და მერწმუნეთ, თქვენი შეფასება მხოლოდ სიტყვა „იდიოტით“ როდი შემოიფარგლება! მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს.

ესეც უნდა გვენახა? ნეტავ რისთვის სჯის ღმერთი ქართველებს? იქნებ იმისთვის, რომ ზედმეტად ამპარტავანნი არიან? იქნებ ასე, დროდადრო სისხლის გამოშვება მიზანშეწონილია? რა, ნუთუ ასე ძლიერ დუღს ქართული სისხლი? მივხვდი! ჩვენ ჩვენივე გაუტანლობისთვის ვისჯებით! რა გვინდოდა ამდენ ხანს ამ დაწყევლილ დსთ-ში, მაშინ როცა რუსეთის ვიზებიც კი სამათხოვროდ გახდომიათ ქართველებს? რატომ ვერ გადაწყვიტა პარლამენტმა ეს ელემენტარული პრობლემაც კი? რატომ გადავარქვით დალის ხეობას ზემო აფხაზეთი, სამაჩაბლოს კი სამხრეთი ოსეთი? როგორც ლაო-ძი ამბობდა, „სახელწოდება განსაზღვრავს საგნის საზღვარს“. ამით ჩვენ ჩვენივე ტერიტორიები სათუო გავხადეთ, ნუთუ ამის დანახვას დიდი ჭკუა უნდა? სად იყო ყბადაღებული ძვირად ღირებული „უძლეველი სამხედრო ტექნიკა“? თუ ვითომ დახარჯული თანხები მავანთა საკრედიტო ბარათებზეა გადანაწილებული? რატომ ვდევნით ყველა ჩვენივე მაღალი პროცენტით არჩეულ პრეზიდენტს? ნუთუ 1-2 წელზე მეტხანს ჩვენი ცნობიერება ვერ სწვდება? რატომ ვუწყობთ ერთმანეთს გაუთავებელ სასამართლოებს? 7 ნოემბრის ქართველთა ტრაგედია ხომ სულ ახლახან იყო? თუ ეს ჩემი ფანტაზიის ნაყოფია? მაშინ არ იყო, ქართველი ქართველს რომ დაუპირისპირდა? ნუთუ არ იცით, რომ ჯარისკაცი, რომელიც თანამემამულეზე ხელს ასწევს, ომში ვეღარ იბრძოლებს?! რატომ დაიხოცა ბოლო 4 წლის განმავლობაში ამდენი უდანაშაულო ახალგაზრდა? რატომ „მოკვდა“ სასამართლო? რატომ გვყავს ამდენი მათხოვრის პატრონს ამდენი მილიონერი? რატომ მივყიდეთ ყველა სტრატეგიული ობიექტი რ უ ს ე თ ს! ნუთუ ასე ძნელია ელემენტარული პროგნოზის გაკეთება? თუმცა, ვინ უნდა გააკეთოს პროგნოზი, როცა პროფესიონალები შინ სხედან, ქვეყანას კი 26-27 წლის ბიჭები მართავენ! ისე, სხვათა შორის, რაღაც ბევრი არ ჩანდა ამ განსაცდელში, ბევრს საქართველოს ძნელბედობის ჟამს აზერბაიჯანისკენ მიმავალ წითელ ხიდზე ძვირად ღირებული ჯიპების დეფილე ჰქონდა მოწყობილი. რა ვქნა? თვალებში ნაცარს ხომ არ შევიყრი? ამასობაში კი თბილისში არ დარჩა სკოლა თუ ბაღი, სადაც ლტოლვილები არ დაბინავებულიყვნენ. მათი რიცხვი შემაშფოთებელია (60000-ზე მეტი), მაგრამ კიდევ უფრო მძიმეა იმ დედების ხვედრი, რომელთა შვილების გვამები აგვისტოს თაკარა მზეში გაიხრწნა. მათი გადმოსვენება ჩვენივე სიჯიუტის გამო ვერ მოხერხდა. ერთი უბედურებაა დაღუპული შვილი, მეორე კი მისი ცხედრის არქონა, რომ საკადრისად დაიტირო!

ისტორია ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, ნათქვამია, „ბრძენი არასოდეს მოხვდება სიტუაციაში, რომლიდანაც ჭკვიანი ადვილად დაიღწევს თავსო“. რაოდენ დასანანიც უნდა იყოს, ჩვენ არც ბრძენები აღმოვჩნდით და არც ჭკვიანები. საქართველოში სჩვევიათ ჭირსა შიგან გამაგრება, მაგრამ დამთავრდება ეს საშინელი ომი და შოკიდან გამოსულ ქართველებს, ძაძით შემოსილ მგლოვიარე ერს უამრავი კითხვა გაუჩნდება და არამც და არამც რიტორიკული, მხოლოდ კონკრეტული. ვინ არის დამნაშავე და რატომ არ მიიღეს პრევენციული ზომები? თუმცა ბევრი შეკითხვა უკვე არის.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამად დემოკრატიული ფონდის თავმჯდომარე **ნინო ბურჯანაძე** (გაზეთი „ჯორჯიან თაიმსი“):

„ქვეყანაში ჯერ კიდევ საომარი მდგომარეობაა. ჯერ კიდევ არის რუსის ტანკი. ამიტომ, ვფიქრობ, ამ ეტაპზე არ არის ამის გარკვევის დრო, რა იყო, ვთქვათ, ამ შედეგის მიზეზი. ეს კითხვები აუცილებლად დაისმება ძალიან მწარედ და ძალიან მწვავედ. ამ კითხვებზე პასუხი გასაცემია, მაგრამ დღეს ამის დრო არ არის, დღეს აუცილებელია მივაღწიოთ ცეცხლის რეალურ შეწყვეტას და არა ისე, როგორც მედვედევი აცხადებს, შეწყვეტილიაო, და ამის შემდეგ გორში ბომბები ცვივა და ადამიანები იხოცებიან. და კიდევ, სიმართლე გითხრათ, ვერ გეტყვით, რით აიხსნება ის ფაქტი, რომ სხვადასხვა არხზე ჩაწერილი ჩემი მოსაზრება ეთერში არ გასულა. ახლა ამაზე საუბრის დრო ნამდვილად არ არის, მაგრამ მეორე მხრივ, ნამდვილად არ მინდა ჩემს ხალხს ეგონოს, რომ როდესაც მას უჭირს, არ ვიმყოფები საქართველოში“.

პოლიტოლოგი **რამაზ კლიმიაშვილი** (გაზეთი „ჯორჯიან თაიმსი“):

„მშვიდობის დამყარება ძალიან გრძელვადიანი და რთული პროცესი იქნება. რა, ვინმეს ჰგონია, რომ აფხაზები და რუსები კოდორიდან გავლენ? როცა კოდორში ქართველი პოლიციელები შევიდნენ, იმიტომ შევიდნენ, რომ იქ სვანები, ანუ ქართველები იყვნენ და არა აფხაზები!“

პოლიტიკოსი **თემურ შაშიაშვილი** (გაზეთი „ჯორჯიან თაიმსი“):

„ის, რაც დღეს ხდება საქართველოში, არის რუსეთისა და ამერიკის ომი. ყველამ მოიგო საქართველოს გარდა. მოიგეს რუსებმა. აფხაზებსა და ოსებს მოლოდინი გაუმართლდა. საქართველოს დასჯით რუსეთმა მთელ მსოფლიოს უთხრა: მე ამ ენით ნუ მელაპარაკებით, გაჩვენებთ, როგორი ვარო, და აჩვენა კიდეც. რუსეთი მსგავსი ხასიათის პროვოკაციების მოწყობას ცდილობდა უკრაინაშიც, მაგრამ უკრაინა არ წამოეგო.

მოიგო ამერიკამ და რატომ? ერაყთან ომმა რესპუბლიკელების რეიტინგი სერიოზულად დასცა. მაკკეინის რადიკალურმა განცხადებებმა საქართველოს მხარდასაჭერად (მოგეხსენებათ მაკკეინი რესპუბლიკელია) მისი რეიტინგი სერიოზულად გაზარდა. შესაძლოა, მაკკეინმა ობამა გადაფაროს არჩევნებში.

მოიგო ირანმა, ამერიკისათვის საქართველოს აეროდრომები, საჭირო შემთხვევაში, ირანზე თავდასხმის პლაცდარმი უნდა გამხდარიყო. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, ირანს საქართველოდან საშიშროება აღარ ელის.

წააგო საქართველომ. მაჩვენეთ ერთი მოაზროვნე კაცი, რომელიც ამას გააკეთებდა“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №23

რუსუდან ბერიძე

მამის სიკვდილის შემდეგ ვანიკომ პატარა ბინა იყიდა და საცხოვრებლად იქ გადავიდა. ამის შემდეგ გაუბედურებული დედამისი სრულიად მარტო და უმწეო მდგომარეობაში დარჩა, მაგრამ ვანიკოს ეს დიდად აღარ ანაღვლებდა. მას ახლა უკვე საკუთარი პირადი ცხოვრება და სერიოზული საქმეც ჰქონდა. ერთხელაც მას ორმა მობანდიტო ტიპმა ცოტა უცნაური თხოვნით მიმართა. მათ ჯერ კარგა ხანს საკუთარი ბიზნესის ჩავარდნასა და კონკურენტების დაუნდობლობაზე იწუწუნეს. საუბრის ბოლოს კი შეფარვით ჰკითხეს, გვარიანი თანხის საფასურად ჩვენს მთავარ კონკურენტს რამენაირად ხომ ვერ ჩამოგვაცილებდიო. შეთავაზებული თანხა რამდენიმე ათას ამერიკულ დოლარს შეადგენდა. მინიშნება კი გამჭვირვალეზე გამჭვირვალე იყო. ჩუმიაშვილს კონკურენტის მოკვლას სთხოვდნენ. ოღონდ ყველაფერი ისე უნდა გათამაშებულიყო, თითქოს ეს უბედური შემთხვევის გამო მოხდა. ვანიკო მიხვდა, რომ ამ ახალი შეთავაზებით უბრალოდ ფულის კი არა, დიდი ფულის შოვნის ახალი და ასევე დიდი პერსპექტივა ეხსნებოდა და ის, რასაც მანამდე აკეთებდა, მხოლოდ დიდი თამაშის წინ აუცილებელი მოთელვა თუ იყო.

ვანიკო შემოთავაზებულ წინადადებას დათანხმდა და დიდი „თამაშიც“ დაიწყო. ცოტა ხანში კონკურენტი, ვისი მოცილებაც ვანიკოს ბიზნესმენებმა სთხოვეს, საკუთარი „მერსედესით“ გზაზე ამოთხრილ თითქმის სამმეტრიან ორმოში გადაეშვა. გამოძიების ვერსიით, ბიზნესმენს ეს მხოლოდ იმიტომ დაემართა, რომ ორმოს წინ აღმართული გამაფრთხილებელი საგზაო ნიშანი ვერ შენიშნა. სინამდვილეში კი ვანიკოს მცდელობით, ის ნიშანი გზიდან უბედურ შემთხვევამდე რამდენიმე წამით ადრე გაქრა და მანქანის ორმოში ჩავარდნისთანავე ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა. თანაც ისე, რომ ეს არავის შეუნიშნავს. ბიზნესმენი მიღებული ტრავმების შედეგად საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ვანიკომ კი შეპირებული თანხა უკლებლივ მიიღო.

ამის შემდეგ მას მსგავსი თხოვნებით არცთუ იშვიათად მიმართავდნენ და ისიც ხალისით თანხმდებოდა. სამაგიეროდ სხვა, უმნიშვნელო შეკვეთებზე აღარ ხურდავდებოდა, რადგანაც იმ ქვეყნად ადამიანის ერთხელ და, რაც მთავარია, დაუსჯელად გასტუმრების შემდეგ, ამის გარდა, გული არაფრის გაკეთებაზე აღარ მიუდიოდა. ვანიკო ყოველი მორიგი მსხვერპლის გარშემო უხილავ, მაგრამ ისეთ საიმედო ქსელს ქსოვდა, რომ მასში მოხვედრილი ადამიანი უცილობლად განწირული იყო. მოკლედ, თუ ჩუმიაშვილი შეკვეთას თანხმდებოდა, შემკვეთს შეეძლო, თავისი კონკურენტი იმ დღესვე მკვდრების სიაში ჩაეწერა. თუმცა ვანიკო უშუალოდ არასდროს არავის კლავდა. მხოლოდ მკვლელობას ამზადებდა. ადამიანს კი ის თითქოსდა გარდაუვალი გარემოება თუ სულაც გარემოებები კლავდა, რომლებშიც ის ჩუმიაშვილის ვერაგული ჩანაფიქრის წყალობით ხვდებოდა. ჩანაფიქრი კი ყოველთვის უმნიშვნელო დეტალებამდე იყო გათვლილი. ასე რომ, გამომძიებლები თუ კრიმინალისტები იმის სულ უმნიშვნელო კვალის პოვნასაც კი, რომ ადამიანის დაღუპვაში ვინმეს ხელი ერია, ვერასდროს ახერხებდნენ. თუმცა მუდმივი ამქვეყნად არაფერია და ერთხელაც ვანიკოც გამოთვალეს...

ერთ თითქოს არაფრით გამორჩეულ დღეს, თავის ახალ ბინაში ტახტზე წამოგორებული ვანიკო ტელევიზორს უყურებდა და, თან, იმაზეც ინტენსიურად ფიქრობდა, მორიგი შეკვეთის შემდეგ აღებული ფული რაში დაეხარჯა. „დასასვენებლად წავალ, — დაასკვნა მან, — ბათუმში ან ანტალიაში კი არა, პირდაპირ კანარის კუნძულებზე. ახლა იქ ქვეყნის მთელი ელიტა ისვენებს და რატომღა უნდა ჩამოვრჩე“. ამის შემდეგ ვანიკომ ფანტაზიასაც მეტი გასაქანი მისცა და თავი უკვე ოკეანის სანაპიროზე, რომელიმე ადგილობრივ „ნაზ“ ყმაწვილთან ჩახუტებული წარმოიდგინა. თუმცა მერე ამ „მშვენიერ“ ოცნებაშიც კი მცირე კორექტივის შეტანა გადაწყვიტა და გვერდით ისევ ძველი და ნაცადი სატრფო მოიწვინა. ამის შემდეგ ვანიკომ უკვე მთელი სიცხადით წამოიდგინა ყმაწვილთან ერთად სანაპიროზე როგორ განმარტოვდებოდა და მთელი სამყარო მხოლოდ მათთვისღა იარსებებდა... ლაჟვარდოვანი ფიქრი ზარის გაბმულმა ხმამ გააწყვეტინა. ზარი სამჯერ განმეორდა. ეს უკვე პირობითი სიგნალი იყო, რომელიც მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელმა ადამიანებმა თუ იცოდნენ. ეტყობა, მორიგი შეკვეთაა, — გაიფიქრა ვანიკომ და სახე უკმაყოფილოდ დაემანჭა — „ოღონდ ახლა არა! მე შვებულებაში ვარ!“ — მაგრამ სხვა გზა არ იყო და, ტახტიდან უხალისოდ წამომდგარი, შემოსასვლელი კარისკენ გაემართა. კარის გაღება და ოთახში ორი უცნობი მამაკაცის შემოვარდნა ერთი იყო. ერთ-ერთმა ვანიკოს მკერდში მუშტიც კი ატაკა და განზე ისე გასწია. მამაკაცებმა ოთახშიც უცერემონიოდ შეაბოტეს. ვანიკო მათ ღასლასით მიჰყვა. თითქმის ერთი სიმაღლის დაუპატიჟებელ სტუმრებს ქვასავით ცივი სახეები ჰქონდათ. ორივეს შავი სათვალე ეკეთა.

— ივანე ვახტანგის ძე ჩუმიაშვილი ხარ ხომ? — ჰკითხა ერთ-ერთმა დამფრთხალ მასპინძელს.

— დიახ... — ტანში უსიამოვნოდ გააჟრჟოლა ვანიკოს. — რაშია საქმე?..

— მოკეტე! — გააწყვეტინა მეორემ და თვალით სავარძელზე ანიშნა. — დაეგდე და ყველაფერი დაწვრილებით მოგვიყევი!

ამის შემდეგ ერთ-ერთი მამაკაცი მოპირდაპირე სავარძელში ჩაჯდა,



მეორე კი სავარძელში ჩაკარგული ვანიკოს გვერდით დადგა და მძიმე ტორი მხარზე დაადო.

— მაპატიეთ, მაგრამ არ მესმის, რა უნდა მოგიყვ... — ვანიკომ სიტყვის დამთავრებაც კი ვერ მოასწრო, რომ გვერდით მდგომმა სახეში მუშტი დააძგერა.

ვანიკოს ცხვირიდან სისხლი თქრიალით წასკდა და ისიც მოეჩვენა, რომ თავზე ვიღაც უცხო მამაკაცი კი არა, სამარიდან წამომდგარი მამამისი ადგა.

— არა, არ გინდათ! — აწკმუტუნდა იგი. — მითხარით, რა გაინტერესებთ და ყველაფერს მოგიყვებით.

— მოგვიყვები, აბა, რას იზამ? — ტორი ისევ მხარზე დაადო ვანიკოს მამაკაცმა. — ჩვენ შენი ბინძური საქმეები გვაინტერესებს. აბა, დაიწყე!.. ოღონდ, იცოდე, არაფერი გამოგრჩეს, თორემ რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე!.

— ეტყობა, ვიღაცაში გეშლებით...

— დაიწყე! — თითქოს ვანიკოს ნათქვამი საერთოდ არ გაუგონიაო, ისე უბრძანა სავარძელში მჯდომმა მამაკაცმა და დიქტოფონი მიუშვირა. — სად, როდის და რანაირად კლავდი „შეკვეთილ“ ადამიანებს. ვინ იყვნენ შემკვეთები და რამდენს გიხდიდნენ. მოკლედ, ერთი პატარა წვრილმანიც კი არ უნდა გამოგრჩეს.

— მმმე არავინ

მხოლოდ მათი ბრძანებები აესრულებინა. ისინი კი ყოველ ნაბიჯს გაუკონტროლებდნენ და ერთხელაც მისგან შეიძლება, „საქვეყნო საქმისთვის“ საკუთარი სიცოცხლით გარისკვაც მოეთხოვათ. ჩუმიაშვილს კი ასეთი პერსპექტივა ნამდვილად არ ხიბლავდა, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ ამ წუთებში მარტო მისი თავისუფლების კი არა, ყოფნა-არყოფნის საკითხიც წყდებოდა და ამიტომაც, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— თუ დაგთანხმდებით, რამდენს გადამიხდით?

— არაფერი მოგაკლდება. რესტორნებშიც ჩვეულებრივად ივლი და... პატარა ბიჭებშიც, — ცბიერად გაუღიმა ერთ-ერთმა, — მაგრამ თუ შეთანხმების დარღვევას, ანდა ჩვენი ხელიდან დასხლტომას მოინდომებ... — ახლა უკვე ბოროტად გაეღიმა მას და ორი თითი ყელში თეატრალურად გამოისვა.

— თუ უარს ვიტყვი, ციხეში ჩამსვამთ? — მაინც წამოიკნავლა ვანიკომ.

მამაკაცებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი აუტყდათ.

— არა, რას ამბობ?!. ჩასმით ნამდვილად არ ჩაგსვამთ. — ერთ-ერთმა სათვალე მოიხსნა და ვანიკოს მკვლელის ცივი თვალებით შეხედა, — ასეთ შემთხვევაში შენ იმ დღესვე სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებ. ასე ვთქვათ, სინდისი შეგაწუხებს უდანაშაულოდ დახოცილი ადამიანების გამო და... იმედია, ჩვენგან არ გესწავლება, ეს როგორც კეთდება. ჰა, რას იტყვი ჩუმ-ჩუ-მე-ლავ? — შემდეგ ჩუმიაშვილის მეტსახელი ჩამომარცვლა მამაკაცმა. — როგორი პერსპექტივაა?.. ისე, შენ ჩუმჩუმელა კი არა, „ჩუმა“ უფრო მოგიხდებოდა...

— ყველაფერზე თანახმა ვარ, — დაფეთებულმა ვანიკომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო.

— ყოჩაღ! — მხარზე ხელი შინაურულად დაჰკრა მამაკაცმა. — მაშ ასე, სადაც გეტყვით, ხვალ იქ გამოცხადდები! ჩათვალე, რომ უკვე საქმეში ხარ. შენ ხომ დღეს სრულიად ახალი მომავლის „საგზურს“ მოაწერე ხელი! — მან ბოლოს ლამის საზეიმოდ წარმოთქვა.

ვანიკოს კი უკვე არცთუ უსაფუძვლოდ მოეჩვენა, რომ საკუთარ სასიკვდილო განაჩენს მოაწერა ხელი...

ლაშამ გასაღები საკეტს რის ვაი-ვაგლახით მოარგო, ორჯერ ხმაურით გადაატრიალა და საკუთარ ბინაში შეაბიჯა. ირგვლივ უცოლო კაცისთვის დამახასიათებელი კლასიკური უწესრიგობა სუფევდა: აულაგებელი საწოლი, ირგვლივ მიმოფანტული ტანსაცმელი, სიგარეტის ნამწვავებით სავსე საფერფლე... საფერფლის დანახვაზე ლაშამ სიგარეტის ახალი კოლოფი გახსნა, ერთი ღერი ამოიღო და ხელში მექანიკურად მოფშვნიტა.

„ამას მაინც როგორ ვერ უნდა შევეშვა“, — შემდეგ გაიფიქრა და გაღიზიანებულმა სიგარეტი იატაკზე მოისროლა.

ლაფაური რბილ სავარძელში მოეწყო, პულტი მოიმარჯვა და ტელევიზორი ჩართო. როცა ძალიან გაღიზიანებული იყო, ყველაფერს ავტომატურად აკეთებდა. ახლაც ტელევიზორი თავისთვის ახმაურდა, ლაშამ კი ისევ ფიქრის ძაფი გააბა:

„არადა, თავიდან თითქოს რა კარგად დაიწყო ყველაფერი: დამოუკიდებელი ქვეყანა, დამოუკიდებელი ხელისუფლება, პირველი მართლაც დამოუკიდებელი ტელევიზია... ახლა კი ამდენი დამოუკიდებლობისგან სახელიც კი აღარ დატოვეს“...

ცოტა ხანში ლაშა სამზარეულოში გავიდა, გაზქურა აანთო და ზედ ჩაიდანი შედგა. ესეც ავტომატურად გააკეთა, თუმცა ამჯერად ისიც დააფიქსირა, რომ გასარეცხი ჭურჭლით ამოვსებულ ნიჟარაში ტევა აღარ იყო:

„მორჩა! აქაურობა უნდა მოვაწესრიგო, თორემ მალე შეიძლება, ყლორტები ამომივიდეს“.

სახლის დალაგება ყოველთვის ბოღმიან გულზე ახსენდებოდა და, როგორც წესი, ამის გაკეთებას თავდაყირა დაყენებული სამზარეულოდან იწყებდა. არადა, არცთუ დიდი ხნის წინ ყველაზე იდეალური წესრიგი სწორედ აქ სუფევდა: გაკრიალებული იატაკი, ქათქათა ფარდები, გარეცხილ-მილაგებული ჭურჭელი და ყველაზე მთავარი — შინ მომზადებული ათასნაირი გემრიელი სასუსნავი. და ამ ყველაფერს ქეთი — ლაშას აწ უკვე ყოფილი ცოლი გულიანად უძღვებოდა.

თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი, — სევდიანად გაეღიმა ლაშას, — არადა, უკვე სამი წელია გასული...

ერთხელ, თითქმის სრულიად შემთხვევით, ლაშა „მის საქართველოს“ კონკურსზე მოხვდა. სცენაზე ერთმანეთის მიყოლებით, ლამაზ-ლამაზი გოგონები გამოდიოდნენ და ყველას შინაურულად უღიმოდნენ, დამსწრე საზოგადოება კი მათ ტაშით უშურველად აჯილდოებდა. ლაშას ოპერატორი არ ახლდა და ყველაფრის გადაღებამ თავად მოუწია. უფრო ზუსტად კი კამერა სცენასა და დარბაზში ერთი-ორჯერ მიატარ-მოატარა და ის იყო, საქმე დამთავრებულად უნდა ჩაეთვალა, რომ მისი ყურადღება პოდიუმზე გამოსულმა მორიგმა გოგონამ მიიპყრო.



გოგონა თითქოს არც სხვებზე ლამაზი იყო და — არც გამორჩეულად ტანკენარი, მაგრამ მის დანახვაზე ლაშას მაინც გული უცნაურად შეუტოკდა და სანამ გოგონამ პოდიუმი არ დატოვა, კამერა აღარ გამოურთავს.

კონკურსის დამთავრების შემდეგ ვითომ კონკურსანტებისთვის ინტერვიუს ჩამოსართმევად (სინამდვილეში კი მხოლოდ იმ ერთი გოგონასთვის თვალის

კიდევ ერთხელ შესავლებად) ლაშა საგრიმიოროსკენ გაქანდა. იქ შეკრებილებმა ჟურნალისტი მაშინვე იცნეს და კამერის წინ შთაბეჭდილების გაზიარებას ერთმანეთს აღარ აცლიდნენ. ლაშა გოგონებს თავადაც აჰყვა და კომპლიმენტი კომპლიმენტზე ჩამოურიგა, რითაც უკვე ნამდვილი ჟივილ-ხივილი გამოიწვია. ის ერთადერთი კი (ლაშამ გოგონა გულში უკვე ასე მონათლა) მოშორებით იდგა და აჟღურტულებული კონკურსანტების წრეში მოქცეული ჟურნალისტისკენ თვალს მხოლოდ შიგადაშიგ, ისიც მალულად თუ აპარებდა. ბოლოს ლაშა მას თვითონ მიუახლოვდა და ჰკითხა:

— კონკურსში რომ გაიმარჯვოთ, ჯილდოდ რას ისურვებდით?

— მთელ სამყაროს, — მშვიდად უპასუხა გოგონამ და შემდეგ დასძინა: მსოფლიოს საკუთარი თვალით ნახვას ვგულისხმობ.

— მსოფლიოს ჩემთან ერთად ნახვაზე რას იტყოდით? — საკუთარმა შეკითხვამ თავად ლაშაც კი გააოგნა.

— რატომაც არა, — გაეღიმა გოგონას, — დარწმუნებული ვარ, ჩინებული გიდი იქნებით.

— მაშინ სანამ გზას გავუდგებით, იქნებ, ერთმანეთიც გაგვეცნო? — გაეღიმა ლაშას და ხელი გაუწოდა: — მე ლაშა მქვია!

— მე — ქეთი! — გოგონამ ნატიფი ხელი შეაგება.

ქეთიმ კონკურსში ვერ გაიმარჯვა. თუმცა ლაშასთვის ამას უკვე არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მისთვის ქეთი უკვე ამქვეყნად ყველაზე ლამაზი და სასურველი გამხდარიყო და რადაც უნდა დასჯდომოდა, მისი სანუკვარი ოცნებაც უნდა აესრულებინა.

ამასობაში მთელ მსოფლიოში ცნობილი კანის ფესტივალი მოახლოვდა და ლაშამაც ყველაფერი გააკეთა, რათა ამ ზღაპრულ სანახაობაზე მარტო თვითონ კი არა, ქეთიც მოხვედრილიყო. გოგონა სიხარულით ჭკუაზე აღარ იყო. ის ხომ აქამდე ქობულეთის პლაჟსაც კი არ გასცილებოდა და უცბად ხმელთაშუა ზღვის უმშვენიერეს სანაპიროზე, პირდაპირ მსოფლიო კინოს ვარსკვლავების უდიდესი თავშეყრის ადგილზე ამოყო თავი. თანაც მას ამ ვარსკვლავების უბრალოდ ცოცხლად ხილვა კი არა, მათ გვერდით ყოფნა, ერთი ჰაერით სუნთქვა და ერთსა და იმავე რესტორნებში სიარულიც კი შეეძლო.

მთელი კანი გრანდიოზული დღესასწაულის განცდას მოეცვა. გადატვირთული სასტუმროების დერეფნებში ცნობილი მსახიობები და რეჟისორები დააბიჯებდნენ, ძველი ნაცნობები ერთმანეთს გულითადად ესალმებოდნენ და ხშირად მხარზე ხელსაც შინაურულად უტყაპუნებდნენ. ამჯერად ვარსკვლავები აბეზარ ჟურნალისტებსაც კი განსაკუთრებით სწყალობდნენ და ინტერვიუზე სიამოვნებით თანხმდებოდნენ. ქეთი კი ამ ყველაფრის უბრალო მოწმე კი არა, ზოგჯერ უშუალო მონაწილეც (ლაშამ ხომ ის კანში ოფიციალურად როგორც ოპერატორის თანაშემწე, ისე წაიყვანა) გახლდათ.

ლაშას ყველაფერი — მსოფლიოს უდიდესი ვარსკვლავებით და მათი ხილვით აღფრთოვანებული უბრალო ადამიანებით გადაჭედილი კანი, ქათქათა იახტებით სავსე ზღვა, ფეიერვერკებით ათასფრად განათებული ცა და განსაკუთრებით კი ბედნიერებითა და სიყვარულით სავსე ქეთის თვალები გუშინდელივით ცხადად ახსოვდა.

კანიდან დაბრუნების შემდეგ მალევე იქორწინეს. ცოტა ხანში კი ქეთიმ ერთ-ერთი ცნობილი უცხოური სარეკლამო სააგენტოსგან ოფიციალური მიწვევა მიიღო. და ეს ისევ ლაშას, უფრო სწორად კი „მის საქართველოს“ კონკურსიდან გაკეთებული მისი იმ რეპორტაჟის წყალობით მოხდა, რომელიც იმდენად კარგი გამოვიდა, რომ რამდენიმე წამყვანმა ტელეარხმა აჩვენა. ქეთი სააგენტოსთვის თანხმობის მიცემას არ ჩქარობდა, რადგან გრძნობდა, რომ ამით მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვლებოდა. საყვარელი ქმრის ფრთებქვეშ სიამოვნებით განაბულ ახალგაზრდა ქალს კი არაფრის შეცვლა აღარ სურდა. გადაწყვეტილების მიღება ლაშამ დააძალა: უნდა დათანხმდე, თვალს გაახელ, მსოფლიოს ნახავ... დაგავიწყდა, ამაზე როგორ ოცნებობდიო... ქმრისგან შეგულიანებულმა ქეთიმ ცოტა კიდევ იყოყმანა და დათანხმდა. ერთი სააგენტოს წინადადებას მეორე მოჰყვა, მეორისას — მესამე და, ერთად გატარებული სულ რამდენიმე თვის შემდეგ, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ერთმანეთს კარგა ხნით დაშორდა.

უერთმანეთოდ გატარებული დრო უსაშველოდ იწელებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მათი ხანმოკლე შეხვედრები უკვე ნამდვილ ვულკანის ამოფრქვევას ჰგავდა. თავიანთ პატარა და მყუდრო ბინაში განმარტოებული ლაშა და ქეთი ტელეფონებსაც კი თიშავდნენ, რომ მხოლოდ ერთმანეთით დამტკბარიყვნენ. მით უმეტეს, რომ არც სათქმელი ელეოდათ ოდესმე და არც — სიყვარული. ასე თითქმის მთელი ორი წელი გავიდა.

ლაშა ძალიან ბედნიერი იყო და ეს მის შემოქმედებასაც ეტყობოდა. მისი რეპორტაჟები მისივე ამაღლებული სულიერი მდგომარეობის ანარეკლი იყო და დიდი ხნის წინ მივიწყებული სერენადებისა და ძველი ლამაზი დროის ნოსტალგიას აჩენდა. თითქმის მთელი ხელფასი ქეთისთან საქალაქთაშორისო საუბრებზე ეხარჯებოდა. თავადაც ხშირად მოგზაურობდა და ხანდახან მონატრებულ ცოლს სხვა ქვეყნიდანაც ეხმიანებოდა. ერთხელაც ქეთის ჩინეთში მივლინებისას დაურეკა:

— პაწუ, სტიქიის შუაგულიდან გირეკავ. თურმე, ჩინეთში ისეთი კოკისპირული წვიმები სცოდნია, რომ მოვარდნილ წყალს მთელი სოფლები ბოსლებში აბღავლებული ძროხებიანად თან მიაქვს.

— ლაშუკა, ჩინეთში არ ვიცი და პარიზში ახლა ღამის 3 საათია, — გაისმა ყურმილში ნამძინარევი ქეთის უკმაყოფილო ხმა, — ხვალ, უფრო სწორად კი უკვე დღეს დილიდან საღამომდე კამერების წინ მომიწევს დგომა... ჰო, რაო, რა მითხარი, ძროხებს რა დაემართათო?..

ცოლ-ქმრის ურთიერთობაში სერიოზული ცვლილებები მესამე წელს მოხდა. ქეთი ისეთი პოპულარული გახდა, რომ უკვე ტელეფონით ლაპარაკისთვისაც კი ვეღარ იცლიდა: „მაპატიე, ლაშუკა, მაგრამ სასწრაფოდ მილანში მივფრინავ“... „უკვე ძალიან გვიანია, იცი, როგორ დავიღალე?“ „მოდი, რა, ცოტა გვიან დამირეკე, ახლა გადაღება მაქვს“... მოგვიანებით კი ყურმილს აღარავინ იღებდა...

ლაშას ესმოდა, რომ ქეთის მართლა ძალიან დატვირთული ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ იმდენად ხომ არა, რომ საკუთარი ქმრის ზარზეც ვეღარ ეპასუხა. რომანტიზმი მოაკლდა მათ ხანმოკლე უშუალო შეხვედრებსაც. ქეთი ტელეფონს უკვე აღარ თიშავდა. პირიქით, მონატრებულ თბილისელ დაქალებთან, სააგენტოების წარმომადგენლებთან თუ თუნდაც უბრალო თაყვანისმცემლებთანაც კი უკვე საათობით ლაქლაქებდა. ცოლ-ქმრის ურთიერთობა კი სულ უფრო იძაბებოდა და ცივდებოდა. ყოველი ახალი შეხვედრის შემდეგ ლაშა სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ ქეთი უკვე სულ სხვა, მისთვის უცხო და საკმაოდ მიუღებელ განზომილებაშიც ცხოვრობდა. მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა: თავად ისევ ჩვეულებრივ ჟურნალისტად დარჩა, ქეთი კი ამასობაში, ნამდვილ ვარსკვლავად იქცა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, №14-23

გულის ტკივილის პირველი სიმპტომები მარინას ქმრის გარდაცვალების შემდეგ გამოუვლინდა, თუმცა იმკურნალა და ამ დრომდე ერთხელაც არ შეუწუხებია. ახლა კი... მამიდას ცუდად გახდომაში სალომე თავის თავს ადანაშაულებდა. დარწმუნებული იყო, რომ ვაკომ არაფერი იცოდა ქალის დაავადების შესახებ, თორემ აუცილებლად გააფრთხილებდა. სანამ „სასწრაფო დახმარების“ მანქანა მამიდას საავადმყოფოში მიიყვანდა, გოგონას თავისი დაემართა. ცრემლები ღაწვებზე ღვარად ჩამოსდიოდა. შიშისგან სხეული ერთიანად უცახცახებდა. ხელოვნური სუნთქვის აპარატზე მიერთებული ქალი საკაცეზე გაუნძრევლად იწვა და სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

კლინიკაში მისვლისთანავე პაციენტი რეანიმაციაში შეიყვანეს. დაზაფრული სალომე მოსაცდელში დარჩა და მამაკაცივით ნერვიულად დაიწყო ბოლოთის ცემა დერეფნის ერთი ბოლოდან — მეორეში. ლოდინი გაიწელა. ექიმის გამოსვლას საშველი არა და არ დაადგა. გოგონა მამიდას გადარჩენას გულში ღმერთს შესთხოვდა.

როგორც იქნა, კარი გაიღო და მაღალი, სიმპათიური ქერა მამაკაცი გამოჩნდა.

— როგორ არის, ექიმო? — მიეჭრა სალი ექიმს.

მამაკაცმა სალათისფერი პირბადე მოიხსნა და გაიღიმა.

— ჯერჯერობით მდგომარეობა სტაბილურია. რამდენიმე დღე მოუწევს ჩვენთან დარჩენა. გამოკვლევებს ჩავუტარებთ, ანალიზებს ავუღებთ, შემდეგ პასუხს დაველოდოთ და ვნახოთ. რაც მთავარია, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. დედათქვენია?

— არა, მამიდაჩემია.

— კეთილი.

— შეიძლება, ვნახო?

— სამწუხაროდ, ვერ შეგიშვებთ. რეანიმაციაში მნახველების შესვლა აკრძალულია. ხვალ მობრძანდით, უკვე პალატაში იქნება და მოინახულეთ. დამშვიდდით, საშიშროებამ ჩაიარა, სანერვიულო არაფერია. მივხედავთ. აი, ეს რეცეპტი გამომართვით და წამლები შეიძინეთ. ჯერჯერობით ესენი დასჭირდება. რაც მალე მოიტანთ, მით — უკეთესი. ექთანს გადაეცით. თუ შორს წასვლა გეზარებათ, უახლოესი აფთიაქი აქვე, ეზოშია.

სალიმ უაზროდ დახედა გაკრული ხელით ჩამოწერილი წამლების სიას, ექიმს მადლობა გადაუხადა და ეზოში გავიდა.

როცა ნაყიდი პრეპარატები ექთანს გადასცა, სთხოვა, ტელეფონის ნომერს დაგიტოვებთ და თუ რამეა, შემატყობინეთ, იმწუთას აქ გავჩნდებიო. გაწრიპულმა, მჭახეხმიანმა მედდამ ნომერი ჩაიწერა და შეჰპირდა, თუ მდგომარეობა გართულდა, დაგიკავშირდებითო.

სალი შინ ტაქსით დაბრუნდა. ჭიშკართან მეზობლის ხანში შესული ქალი, ნათელა შემოხვდა.

— წეღან „სასწრაფო“ დავინახე, — თქვა მან, — მშვიდობაა, შვილო?

სალომემ უამბო, რაც მოხდა. ქალი ძალზე შეწუხდა.

— საწყალი მარინა, — თავი გადაქანია მეზობელმა, — ნამდვილი მოსიარულე სიკეთეა! მისგან იმდენი კარგი მახსოვს, რომ რა გითხრა... მისთვის ვილოცებ, შვილო. რამეში დახმარება ხომ არ გჭირდება?

— გმადლობ, ნათელა დეიდა, ექიმები არაფერს დააკლებენ, იმედია, — უპასუხა სალიმ, — ახლა მას კი არა, მგონი, დახმარება მე უფრო მჭირდება, ამ თაბაშირის გადამკიდე, არ ვიცი, რა მეშველება. ხელი მოვიტეხე და...

— უი, უი, ეს რა მითხარი, გენაცვალე, — შეიცხადა ქალმა, — მითხარი, რა გავაკეთო და აქ ვარ.

— რა ვიცი, თუ ძალიან გამიჭირდა, შემოგძახებთ, ხომ შინ იქნებით?

— როცა გაგიხარდეს, შვილო, სახლში ვარ, აბა, სად უნდა ვიყო! — ნათელამ გოგონას მკლავზე ალერსიანად მოუსვა ხელი და თავისი ჭიშკრისკენ ვაი-ვიშით გაემართა.

ღამით არავის დაურეკავს. ეს იმას ნიშნავდა, რომ მარინას მდგომარეობა არ გართულებია. სალომეს ცუდად ეძინა, ოფლში გახვითქულს წარამარა ეღვიძებოდა. ერთი-ორჯერ ძილში წამოიყვირა კიდეც და დაფეთებული ზეზე წამოხტა.

გათენებას წესიერად არც დალოდებია, უთენია ადგა და საავადმყოფოსკენ გაეშურა. მარინა უკვე პალატაში დახვდა, იმ ღამესვე გადაუყვანიათ. იგი უკეთ გამოიყურებოდა. თავთან ახლა სხვა ექიმი ეჯდა და მაჯისცემის სიხშირეს და გულის დარტყმების რიტმს შესაბამისი ხელსაწყოებით უკონტროლებდა. სალის დანახვაზე ქალს სახე გაუბრწყინდა.

— რა უშნო ხუმრობა გამომივიდა, საყვარელო, არა? — უთხრა სალის, როცა ექიმი პალატიდან გავიდა, — შენ კიდევ ამის დამატება გინდოდა, ნერვები ისედაც მოშლილი გაქვს.

გოგონამ ლოყაზე აკოცა.

— ჩემი ბრალია, მამი, ყველაფერი მე გავაფუჭე. რომ მცოდნოდა, გული გაწუხებდა...

— საიდან უნდა გცოდნოდა, სიხარულო, როცა ამის შესახებ არასდროს არავისთან დამცდენია? — შეაწყვეტინა მამიდამ, — სხვები ჩემი პრობლემებით რატომ უნდა დავამძიმო? ყველას თავისი გასაჭირი აქვს. შენ როგორ ხარ?

— რა ვიცი, აბა?.. რაც მთავარია, წუხანდელ ღამეს ცოცხალი გადავურჩი.

— ვაკოსთან ხომ არ დაგირეკავს?

ძმისშვილი საწოლზე ჩამოჯდა და თავი გააქნია.

— არა, არ დამირეკავს. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა... მეგონა, აჯობებდა, თუ შენ შეატყობინებდი ამ ამბავს, — დარცხვენილმა თვალები დახარა.

— მე-ე? აბა, როგორ, პატარავ? გგონია, ადგომის უფლებას მაძლევენ? შენ რომ დაურეკო, რა მოხდება?

— არც არაფერი, მამიდა. კარგი, რადგან ასეა, როგორც კი შინ მივალ, აუცილებლად შევეხმიანები.

— ჩემი ჭკვიანი გოგო! — ჩურჩულით წარმოთქვა მარინამ და თვალები დახუჭა. როგორც ჩანდა, მისუსტებული ქალი ხანმოკლე საუბარმაც დაღალა.

— დაძინება გინდა, ალბათ, არა?

— დაძინება? ა-აქ? — ქალმა ოდნავ

შესამჩნევად გაიღიმა, — ეს შეუძლებელია, შემოგევლე. საავადმყოფოში რა დამაძინებს! ზოგიერთებივით კი არ ვარ, ოღონდ ავად გახდნენ და მთელი დღე რომ შეუძლიათ, პალატაში გორაობა და ძილი. თანაც, ამათ ხელში გამოძინებას ვერც მოასწრებ. წარამარა შემოდიან — ხან ექთანი, ხანაც — ექიმი და ან წნევას მიზომავენ, ან ნემსს მიკეთებენ, ან კიდევ რაღაცას „ხიმანდრობენ“. წეღან კარდიოგრამა კიდევ ერთხელ გადამიღეს. იცი, რა? ჩემი აზრით, გადადება არ ღირს. იქნებ გახვიდე და ახლავე დაურეკო იმ ბიჭს, სანამ სამსახურში წასულა?

— მაგრამ... მისი ნომერი არ მაქვს.

— ასეთ მდგომარეობაში, შენ წარმოიდგინე, არც მე მახსენდება... მოიცა, ახლავე გავიხსენებ.

მარინამ რამდენიმე წუთით თვალები კვლავ დახუჭა, შემდეგ კი გამოკვეთილად, თითო ციფრის წარმოთქმით უკარნახა ძმისშვილს ვაკოს ტელეფონის ნომერი.

სალიმ სიტყვასიტყვით გაიმეორა მამიდას ნაკარნახევი და პალატიდან უხალისოდ გავიდა. ახლა, რაც ყველაზე მეტად არ უნდოდა, მასთან დარეკვა იყო, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა.

რეგისტრატურაში შევიდა და ტელეფონი ითხოვა. თეთრხალათიანმა ქალმა გვერდითა მაგიდიდან აპარატი გადმოდგა და სალის წინ დაუდო.

ვაკოს ხმა გაიგონა თუ არა, გოგონას მაშინვე მუხლები მოეკვეთა.

— სალომე ვარ, — ჩახრინწული ხმით ძლივს ამოთქვა.

დუმილი რამდენიმე წამს გაგრძელდა, შემდეგ კი...

— აქ მეტჯერ აღარ დარეკო! — მამაკაცის უკმეხმა ხმამ ბოლომდე გაანადგურა.

აქამდე კიდევ ეჭვობდა, რომ ვაკოს სიბრაზე გადაუვლიდა და მასთან შერიგებას მოინდომებდა. ახლა კი მისმა პასუხმა იმედი საბოლოოდ გადაუწურა. საშინელი გრძნობა დაეუფლა. გულმა გამალებით დაუწყო ცემა. ხელმეორედ აკრიბა ნომერი, თან სიმწრის ოფლი ასხამდა. თუმცა ამწუთას საკუთარი ემოციების გაანალიზების დრო არ იყო. მას უნდა შეეტყობინებინა ვაკოსთვის მარინას მდგომარეობა. მეექვსე ზარი რომ გავიდა, ავტომოპასუხე ჩაირთო.

— „გამარჯობა. ვინც უნდა იყო, მინდა გითხრა, რომ შინ არ ვარ. დამიტოვე შეტყობინება და თავად დაგირეკავ“.

— ვაკო, — ჩახლეჩილი ხმით წარმოთქვა სალიმ, — ვიცი, რომ სახლში ხარ. გთხოვ, აიღო ყურმილი. ჩემ გამო არ გირეკავ. საქმე ისაა, რომ მარინა მამიდ...

— მარინა? — მოულოდნელად გაისმა ყურმილში მამაკაცის ხმა, — მარინას რა მოუვიდა?

— საავადმყოფოში დავაწვინე, — შვებით ამოისუნთქა გოგონამ.

— ჯანდაბას! რა ცუდი ამბავია, რა სჭირს, რა დაემართა?

— გულის შეტევა ჰქონდა.

— დღეს?

— არა, წუხელ საღამოს.

— ახლავე მოვალ, — სწრაფად ჩაილაპარაკა ვაკომ და გათიშა.

სალის კარგა ხანს ჩაესმოდა ყურში ტელეფონის წყვეტილი ზუმერის ხმა. ბოლოს, როგორც იქნა, გონს მოეგო და ყურმილი დაკიდა.

სანამ ვაკო მოვიდოდა, სალი დამშვიდებას შეეცადა. არ უნდოდა, მამაკაცს ამ მდგომარეობაში დაენახა. ისედაც საშინელი სანახავი იყო, ღამენათევს სახე გაჰფითრებოდა, თვალის უპეები ჩაშავებოდა.

მამაკაცი იმაზე ადრე მოვიდა, ვიდრე სალომე მოელოდა. ალბათ გიჟივით მოქროდაო, — გაიფიქრა გოგონამ. როგორც კი პალატაში შემოვიდა, მაშინვე მარინასკენ გაეშურა, სალისთვის ზედაც არ შეუხედავს... ის კი არა, მისალმებაც არ აღირსა. ქალს შეწუხებული სახით მიეახლა, დაიხარა და აკოცა, მერე კი ხელზე თავისი ხელი მოჰკიდა.

— ავადმყოფობა თავში აზრად როგორ მოგივიდა, არა გრცხვენია? — გაეხუმრა.

მარინამ თბილად გაუღიმა.

— რა კარგია, ჩემო კარგო, ასე სწრაფად რომ მოხვედი.

— ჯერ კითხვაზე მიპასუხეთ, ქალბატონო, — აგრძელებდა ხუმრობას მამაკაცი, — რა დროს ავადმყოფობა იყო?

— ეჰ, რა ვიცი, რა ვიცი... როგორც ჩანს, დავბერდი.

— იცი, რა? გულის შეტევა არაფრის გამო არ ხდება. რამეზე ინერვიულე?

— დიდი ხანია, გული მაწუხებს, პირველი შემთხვევა კი არ არის...

— რას ამბობ! როდიდან? რაც მე გიცნობ, მსგავსი არაფერი მახსოვს...

— ჩემი ქმარი რომ დაიღუპა, პირველი სერიოზული შეტევა მაშინ დამემართა.

— შემდეგ?

— მერე დიდხანს ყველაფერი კარგად იყო, არ შევუწუხებივარ. როგორც ჩანს, დროებით დამინდო. ახლა კი გეყოფა „ბაირამობაო“, გამომიცხადა და აი, შედეგიც!

— ახლა რაღაზე ინერვიულე? — ვაკომ თავი მოაბრუნა და გამჭოლი მზერა სალის დაასო.

— რა ვიცი, — მარინამ ტუჩი აიბზუა, — დაავადებულ გულს მიზეზი არ სჭირდება. იქნებ ჯობია, ამაზე არ ვილაპარაკოთ?

— მამიდა, წავალ, — ხმადაბლა თქვა სალომემ, — მოგვიანებით ისევ მოვალ. საჭმელსაც გაგიმზადებ და მოგიტან.

გოგონა პასუხს არ დალოდებია, თავდახრილი უხმოდ წამოდგა და პალატიდან მხრებჩამოყრილი გავიდა.

შუადღე თითქმის გადასული იყო, სალი კლინიკაში რომ დაბრუნდა. მისდა გასაოცრად, აღმოაჩინა, რომ ვაკო კვლავ მარინას საწოლთან იჯდა და ქალს ჩაფიქრებული დასჩერებოდა. ავადმყოფი თვლემდა. გოგონამ ჩანთიდან სანოვაგე ამოალაგა, მაცივარი გამოაღო და მოტანილის შიგ შელაგებას ისე შეუდგა, მამაკაცისთვის ხმა არ გაუცია.

— შენთან ლაპარაკი მინდა, — კბილებშუა გამოცრა ვაკომ, როცა გოგონა საქმეს მორჩა. ამით მიანიშნა, რომ იგი მის დაბრუნებას ელოდებოდა.

აშკარა იყო, მან ყველაფერი ათქმევინა მარინას, რაც წინა საღამოს მოხდა, რამაც მისი გულის შეტევა გამოიწვია და ახლა ჭკუის სწავლება უნდა დაეწყო ან საყვედურებით სურდა მისი ავსება.

სალი წელში გაიმართა და უსიტყვოდ მიჰყვა უკან. ეზოში გავიდნენ. გარეთ საკმაოდ ცხელოდა, ისეთი დახუთული ჰაერი იდგა, სუნთქვა ჭირდა. სალომემ უარესი დისკომფორტი იგრძნო. საინტერესოა, რა უნდა უთხრას? ჰგონია, თავს დააჩაგვრინებს? არამც და არამც! გოგონა შედგა. თავი ამაყად ასწია და მამაკაცს მტრული მზერით მიაჩერდა.

— რის თქმას აპირებდი? — მკვახედ

იკითხა და იგრძნო, როგორ დაეცვარა ხელისგულები.

მის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ყველაფერი დამთავრებული იყო, მასზე მამაკაცის სიახლოვე მაინც ძლიერად მოქმედებდა. ეს კი სასოწარკვეთილებაში აგდებდა. ნეტავ, შესძლებოდა, ამ ურთიერთობის დავიწყება და წარსულში დაბრუნება... იმ მომენტამდე, სანამ მას გაიცნობდა.

მამაკაცმა შუბლი შეჭმუხნა და ხელები ჯიბეებში ჩაიწყო. გოგონამ მის ცივ მზერას ვეღარ გაუძლო და განზე გაიხედა.

— მარინაზე ძალიან ვნერვიულობ, — დაიწყო მან.

— წარმოიდგინე, მეც, — ირონიულად მიუგო.

— მას აწუხებს ის, რომ... რომ... ჩვენ...

— რა ჩვენ? — ხაზგასმით ჰკითხა.

— რომ ჩვენი ცხოვრებისეული შეხედულებები ერთმანეთს არ დაემთხვა.

— რას მელაპარაკები, მართლა?! რა დიპლომატიური ფორმულირებაა! — სარკასტულად ჩაიცინა სალიმ. — ამიტომაც გაიყო ჩვენი გზები, არა? არ აღმოგვაჩნდა ერთნაირი მსოფლმხედველობა... რა სამწუხაროა.

— ჩვენ შორის, რა თქმა უნდა, ყველაფერი დამთავრებულია, თუმცა ვფიქრობ, რომ...

— ვაკო, არ ვიცი, შენ რას ფიქრობ, მაგრამ ჩვენს ურთიერთობას უკვე ფიქრის დონეზეც არ ვუშვებ. ამიტომ, ახლა რაც უნდა მითხრა, იცოდე, რომ არაფერზე თანახმა არ ვიქნები!

— იქნებ ჯერ მომისმინო? მოსმენა არ გასწავლეს სკოლაში? — მამაკაცმა გესლიანად მიმართა. — პირადად მე, რომ იცოდე, შენი დანახვაც არ მინდა, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ჩვენი მოვალეობაა, მარინას ჯანმრთელობას გავუფრთხილდეთ. არც ამაში მეთანხმები?

— დავუშვათ, გეთანხმები, მერე? ამით რისი თქმა გინდა?

— იმის გამო, რომ მან არ ინერვიულოს, იქნებ ისე მოვაჩვენოთ თავი, ვითომ მეგობრობას კვლავ ვაგრძელებთ. ეს მის დასანახავად გავაკეთოთ.

სალომეს ნერწყვი ყელში გაეჩხირა. ის სულ სხვა რამეს ელოდა. ის, რასაც ვაკო სთავაზობდა, მათ ერთხელ უკვე გამოიარეს და აი, რით დამთავრდა ყველაფერი!

— თანახმა ხარ? — ისე ხმადაბლა ჰკითხა მამაკაცმა, რომ სალიმ ძლივს გაიგონა მისი შეკითხვა.



თანახმაა? ახლა რომ დათანხმდეს, ხომ იცის, რის ფასადაც დაუჯდება მას ეს თანხმობა? ისედაც, მთელ სხეულზე ყველა ნერვი ცალ-ცალკე უხტის, თითქოს მარტივ მამრავლებად იყოს დაშლილი. არც ერთი კიდური თავის გემოზე არ ემორჩილება, რომ აღარაფერი ვთქვათ გულზე. და ყოველივე ამის შემდეგ მის წინადადებას დათანხმდეს? მერედა, როგორ ითამაშოს? შეძლებს, კი? მისთვის ალბათ ადვილია, რადგან ჰგონია, რომ სალომე კარგი მსახიობია და ნიჭიერად შეასრულებს უკვე ნათამაშებ როლს, მაგრამ სინამდვილეში განა მართლა ასეა? არა, ეს შეუძლებელია! სალი ამას ვეღარ შეძლებს. ეს გადაწყვეტილია! მით უმეტეს, რომ ვაკო ვერასდროს მიხვდება, ახლა მის სულში რაც ხდება!

— ამოთქვი ბოლოს და ბოლოს, ხარ თუ არა თანახმა? — უკმეხად გაისმა მისი ხმა და კიდევ უფრო მოიქუფრა.

— ჰო! — ისე მოწყვეტით თქვა გოგონამ, თავადაც გაუკვირდა, პასუხი ასე მარტივად რომ გამოუვიდა.

— მგონი, მთლად ბოლომდე არ უნდა იყო დარწმუნებული შენს ნათქვამში... — შენიშნა მამაკაცმა.

— თანახმა ვარ. სხვანაირად როგორ გითხრა, ვიმღერო? მესმის, რომ მამიდას ახლა სიმშვიდე სჭირდება. ყველაფერს გავაკეთებ მისი გულისთვის, რადაც უნდა დამიჯდეს ეს. ახლა არის დამაჯერებელი ჩემი პასუხი?

— ის ერთადერთ რამეზე ოცნებობდა.

— ნუთუ? და რაზე, თუ საიდუმლო არ არის? — სალის დამცინავი კილო არ შორდებოდა.

— იმაზე, რომ ჩვენ დავქორწინებულიყავით.

— შეიძლება... მაგრამ ეს რომ გამორიცხულია, იმედია, კარგად გესმის, — ჩამწყდარი ხმით უპასუხა გოგონამ და ქვედა ტუჩი მოიკვნიტა.

— ძალიან მნიშვნელოვანია, მან იფიქროს, რომ ჩვენ მოვაგვარეთ ჩვენი პრობლემები და შევრიგდით, — გააგრძელა ვაკომ, — ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც, სანამ სრულიად არ გამოჯანმრთელდება. მერე კი, როცა შინ დაბრუნდება, ნელ-ნელა შევაპარებთ, რომ ასე სულაც არ არის. იმ დროისთვის საშიშროებაც ჩავლილი იქნება. მანამდე შენც და მეც ფრთხილად უნდა ვიყოთ...

სალიმ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

— ვიცი, რომ ეს ორივესთვის ძნელი იქნება და გაგვიჭირდება, — გააგრძელა ვაკომ.

— თანაც საოცრად გაგვიჭირდება...

— გეყოფა, სალი, რა! — მამაკაცმა უეცრად შეჰყვირა, — არ არის საჭირო ასეთი ირონია. ამწუთას, მგონი, სულ სხვა რამეზე ფიქრობ, ვიდრე ჩვენს საერთო პრობლემაზე! — ამ სიტყვებით მან მხრებში მძლავრად ჩაავლო ხელები, შეაჯანჯღარა და აიძულა, მისთვის თვალებში შეეხედა, — ეს ყველაფერი ჩემთვისაც ისეთივე უსიამოვნოა, როგორც შენთვის, მაგრამ მოგვიწევს... და არ მოგცემ საშუალებას, ჩვენი დაშორებით მარინას ჯანმრთელობას საფრთხე შევუქმნათ.

— ეს არც მე მინდა, — ერთობ მშვიდად უპასუხა სალომემ და თვალებში ჯიქურ ჩახედა, — გგონია, შენზე ნაკლებად მინდა მისი გამოჯანმრთელება? გგონია, მსიამოვნებს, ავად რომ გახდა? მის მეტი, ფაქტობრივად, არავინ მყავს. ამიტომ, თუ ვინმეს ინტერესებში შედის მისი კარგად ყოფნა, პირველ რიგში — ჩემსაში... ის ჩემთვის ყველასა და ყველაფერზე ძვირფასია ამქვეყნად. სწორედ ამიტომაც ვადანაშაულებ ჩემს თავს იმაში, რაც დაემართა და ცხოვრების ბოლომდე ვერ მოვინელებ ამას. მისი გულისთვის მზად ვარ, მსხვერპლი გავიღო. სულაც არ მსურს, ჩემმა საქციელმა ან სიტყვებმა ჩემთვის საყვარელი ადამიანი ინფარქტამდე მიიყვანოს.

— სამწუხაროდ, ეს უკვე მოხდა, — გესლიანად შენიშნა ვაკომ, — ამიტომ უკვე გვიან არის შენი მონანიება. ახლა კი შევბრუნდეთ უკან. ვინ იცის, იქნებ ნერვიულობს, იქ რომ არ ვართ.

პალატის კართან მისული ვაკო სალისკენ მოტრიალდა.

— ჩვენი შეთანხმება უკვე ძალაშია, ამიტომ, კეთილი ვინებოთ და ძალიან ბუნებრივად მოვიქცეთ, — თქვა მამაკაცმა, სწრაფად მოიქცია მისი სახე ხელებში და შუბლზე აკოცა.

ღმერთო! კოცნაც არის და კოცნაც! ნუთუ აუცილებელი იყო, ამდენი ვნება ჩაედო ამ კოცნაში? მამიდა ახლა ხომ არ უყურებს ამას? ლამის გონწასული მისდა უნებურად მიეყრდნო მამაკაცს და იგრძნო, როგორ უთრთოდა სხეული წამიერი აღგზნებისგან. ერთიანად აკანკალებული მალევე გამოფხიზლდა და უკან მიაწყდა.

— ამის გარეშე არ შეიძლებოდა? — მკაცრად იკითხა.

— ვფიქრობ, არა. ახლა მარინა იფიქრებს, რომ უკვე შევრიგდით, თორემ ძალიან მოშვებული იყავი, ამწუთას კი შესამჩნევად გამოცოცხლდი, — ვაკომ მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმა.

სალიმ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რომ მამაკაცმა მაჯაში ჩაავლო ხელი და თითქმის ძალით შეიყვანა პალატაში.

მარინამ ძმისშვილიდან მზერა ვაკოზე გადაიტანა და ბედნიერებისგან თვალები გაუბრწყინდა.

— მითხარით, რომ ეს სიზმარი არ არის.

— ჩვენ ყველაფერი ავწონ-დავწონეთ, მარი, აზრზე მოვედით და მინდა გითხრა, რომ ეს სიზმარი არ არის, — მამაკაცმა მთელი სახით გაიღიმა.

მამიდამ კვლავ სალის შეხედა, რომელმაც ვაკოს ნათქვამის დასტურად, თავი დააქნია.

— ჩვენ ხომ ასე გვიყვარს ერთმანეთი, — უბრალოდ თქვა მან.

მისმა სიტყვებმა ვაკოს თავზარი დასცა. მის აზრსა და გონებაში ამწუთას სიყვარული ბოლო ადგილზე იდგა. როგორც აღმოჩნდა, მარინას ძმისშვილთან ერთხელაც არ წამოსცდენია ვაკოს სიმდიდრის შესახებ, როგორც ამას თავად ვარაუდობდა. სულაც არ ყოფილა ისე, როგორც მას ეგონა. მერე რა, რომ თავდაპირველად ანგარებით გათხოვდა? — არწმუნებდა მარინა. — მას შემდეგ ხომ ბევრი რამ შეიცვალა. სალი გაიზარდა, დაქალდა, დაღვინდა...

მან კი რა არ მოუგონა! მაგრამ ცოლობაზე რატომ უთხრა უარი? იქნებ სწორედ იმიტომ, რომ გოგონას ვაკო ღარიბი ეგონა? იქნებ ეს არის მთავარი პრობლემა და არა მისი სიმდიდრე? უკვე აღარ იცის, რომელი ერთი იფიქროს. ველარ გაარკვია, სად არის სიმართლე და სად — ტყუილი. „ჩვენ ხომ ასე გვიყვარს ერთმანეთი“... ისე ბუნებრივად წარმოთქვა ეს სიტყვები, ისე დამაჯერებლად, პროფესიონალ მსახიობს გაუჭირდებოდა... კიდევ კარგი, ცოტა ხნის წინ კვლავ არ დაუშვა საბედისწერო შეცდომა, როცა ასეთი გზნებით აკოცა... კიდევ კარგი...

— რომ იცოდეთ, რა ბედნიერი ვარ... — წამოიძახა მარინამ და თვალები ცრემლით აევსო...

ვაკომ და სალიმ საავადმყოფო მაშინ დატოვეს, როცა მარინას ტუჩებზე კმაყოფილი ღიმილით ჩაეძინა.

— იმედია, მალე გამოწერენ, — თქვა მამაკაცმა, რათა უსიამოვნო სიჩუმე დაერღვია.

— მიხარია, რომ უკეთ არის.

— ჩვენმა შეთანხმებამ რომ იცოდე, უკეთ გახადა.

— ვიცი და ამიტომაც მადლობას გიხდი ამისთვის, კარგად მოგიფიქრებია. ხომ დაინახე, როგორი რეაქცია ჰქონდა?

— მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი შერიგებაა, შენც ხომ კარგად გესმის, — ცივად ესროლა ვაკომ, — ჩემი შეხედულება შენს საქციელზე არ შემცვლია და ძალიან გთხოვ, ისეთი სახით ნუ მიყურებ, თითქოს ჩემი გიკვირდეს. მამაკაცი რომ ყოფილიყავი, ჩემს ადგილას შენც ასე მოიქცეოდი.

— მოდი, ჩემ მაგივრად ნუ ილაპარაკებ. არ გირჩევ... არ იცი, მე როგორ მოვიქცეოდი, ამიტომ შენეულ დასკვნებს ნუ გამოიტან. ასე აჯობებს.

— მაგით რა გინდა თქვა, რომ დაუმსახურებლად მოგექეცი? რომ რაღაც არასწორად გავიგე? არ გინდა, რა, ისედაც დღესავით ნათელია ყველაფერი, — გაღიზიანებულმა მამაკაცმა ხმას აუწია.

— ღმერთო ჩემო! — აპილპილებული სალი გაჩერდა. — როგორ მელაპარაკები? გასაგებია, რომ ვერ მიტან და გეზიზღები, მაგრამ იქნებ ცოტა ხნით მაინც მოერიო თავს და არ გამოამჟღავნო ჩემდამი სიძულვილი? როგორღა მოვიქცე შეყვარებულივით, როცა ასეთი უხეში ხარ ჩემ მიმართ? ძალიან გთხოვ, ორიდან ერთი აირჩიე — ან გინდა, რომ მეგობრულად მომექცე, ან — არა. არ შემიძლია, შენი ხასიათის მიხედვით საკუთარი ხასიათი ვცვალო. არ ვარ ისეთი კარგი მსახიობი, როგორიც — შენ.

ვაკო ჩაფიქრდა. ქალის ნათქვამში სიმართლის მარცვალი იდო. რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ადამიანი ყოველთვის კარგ ხასიათზე იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო სხვასაც გაუფუჭო ხასიათი, თანაც სრულიად გააზრებულად. იქნებ საქმისთვის ასეთი მდგომარეობა უფრო ხელსაყრელიცაა? სალის არაჩვეულებრივ ტანადობას და მადის აღმძვრელ მკერდს მასში პირველყოფილი ინსტინქტები კი არ ჩაუკლავს! იქნებ ისარგებლოს კიდეც ამით, რას აგებს? თუ ცოლად არ გამოდგება, იქნებ დროის სატარებლად მაინც გამოიყენოს? ხომ არ სცადოს?

— რადგან ასეა, ვეცდები, გამოვსწორდე. მითხარი, ამ საღამოს რა გეგმები გაქვს? სალის თვალები გაუფართოვდა. ვაკომ მისი მზერა დაიჭირა თუ არა, ჟრუანტელმა დაუარა. ამწუთას მისი ულამაზესი თვალები ცისფერ ტბას ჰგავდა, რომელსაც გარშემო მისი ცხელი სხეული ერტყა. ცისფერი წყალი თითქოს ლივლივებდა, აღაგზნებდა, თავისკენ იზიდავდა... როგორ მოუნდა ამწუთას, შერეოდა ამ ლივლივს, შეეგრძნო მისი ტემპერატურა, მაგრამ... გაიგონა თუ არა მისი პასუხი, რომანტიკული განცდები თითქოს სადღაც გაქრა და საოცარი განხიბვლა დაეუფლა.

— არა მგონია, აუცილებელი იყოს ასე შორს შეტოპვა...

— ერთად ვახშმობას გთავაზობდი, შენ არასწორად გამიგე, — გააპროტესტა ვაკომ მისი ვარაუდი და შეეცადა, საკუთარ ფანტაზიები უკუეგდო, — ვიფიქრე, დისკომფორტს მოვუხსნიმეთქი. მით უმეტეს, ცალ ხელს ვერ ხმარობ. მარტომ რატომ უნდა ივახშმო?

— იმიტომ, რომ ჩემთვის ასე უფრო სასიამოვნოა, — უკმეხად უპასუხა, — ნახვამდის.

მამაკაცმა თავი სინანულით დააკანტურა, საკუთარ თავზე ბრაზობდა.

— სახლში მაინც გაგიყვან, — დაადევნა მიმავალს და მანქანის კარი გამოაღო.

— გმადლობ, ნუ შეწუხდები, — გოგონამ უკანმოუხედავად უპასუხა და ნაბიჯს აუჩქარა.

— ხვალ საავადმყოფოში შევხვდებით.

— განა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმე არაფერი გაქვს? — სალი მოტრიალდა და სიარული უკუსვლით განაგრძო. — მაგალითად, შენი ბიზნესის მართვა.

ვაკომ ძუნწად გაიღიმა.

— ჩემი ბიზნესი საიმედო ხელშია. კარგი მენეჯერი მყავს, თათა. ქალი, რომელმაც ყველაფერი იცის ქვეყანაზე და რომელიც ნამდვილი პროფესიონალია.

ვაკოს მხედველობიდან არ გამოჰპარვია სალის თვალებში გამკრთალი გაოცების ნაპერწკალი. გოგონა ადგილზე გაშეშდა. ალბათ მკითხაობს ახლა, რამდენად ახლო ურთიერთობა აქვს მას იმ ვიღაც თათასთან... ესეც ასე! მიზანში მოარტყა. იმდენად გაართო ამ აღმოჩენამ, რომ ხმა ხავერდივით რბილი გაუხდა.

— არც კი ვიცი, მის გარეშე რა მეშველებოდა.

— შენს ადგილას, უფრო სერიოზულად მოვეკიდებოდი ჩემს მოვალეობებს და ქალს, თუნდაც თავისი საქმის პროფესიონალს, ასე მშვიდად არ ვანდობდი მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, იმაზე მეტს ტრაბახობ, ვიდრე სინამდვილეშია სატრაბახო, — მრავალმნიშვნელოვნად აზიდა ცალი წარბი გოგონამ და იდუმალი ღიმილით გააგრძელა გზა.

აი, კიდევ ერთხელ შეახსენა სალიმ მიზეზი, რის გამოც უარი უთხრა ცოლობაზე. კიდევ კარგი, შეახსენა, თორემ ლამის წკიპზე იყო მისული, ლამის თავიდან დაეწყო მასთან რომანის გაბმა.

— მე არ ვარ ერთადერთი, ვინც სიმართლეს მალავს, — მიაძახა მიმავალს, — შენ მართალი ხარ. არ ღირს, ჩვენი დიდხანს ერთად ყოფნა! — ამ სიტყვებით მანქანაში ჩაჯდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

ანა პოლიციაში დაიბარეს. იფიქრა, რაიმე ახალი ინფორმაცია ექნებოდათ და იმედი გაუჩნდა, რომ გოგონას კვალს მიაგნებდა. ნუგზარი იახლა და განყოფილებაში ისე მივიდა.

— ეს წაიკითხეთ, ქალბატონო, — გამომძიებელმა წინ ქაღალდები დაულაგა.

გოდერძის ცრუჩვენება აღმოჩნდა:

„როდესაც მე და ნელი ბავშვს ვხვდებოდით, გოგონა დედას ეხვეწებოდა, რომ ანასგან ეხსნა. დედობილი მცემს და ცუდად მექცევა, მამუშავებს და ხშირად მშიერს მაძინებსო, — ამბობდა. დედას კი იმიტომ ვერ მიჰყავდა, რომ იცოდა, მართლსაწინააღმდეგო საქციელად ჩაუთვლიდნენ და პასუხს აგებინებდნენ. თანაც, ფინანსურად ცოტა უჭირს და ბავშვის შენახვას ვერ შეძლებს. შვილს ეუბნებოდა, ცოტა მოითმინე და სასამართლოს ძალით დაგიბრუნებო. ერთი სული ჰქონდა, როდის აღიდგენდა დედობის უფლებას. ანა კი ამის საშუალებას არ აძლევდა. ერთ დღეს ნელიმ დახმარება მთხოვა. მას სურდა, რომ ბელას დედობილს დავლაპარაკებოდი, შვილი დაებრუნებინა. ქალბატონი ანა ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად მოვიდა, რომელსაც ირაკლის ეძახდა. ხელფეხი შემიკრეს, მანქანაში ჩამაგდეს, მიყრუებულ ადგილზე წამიყვანეს და მცემეს. სხეულზე ახლაც მატყვია ცემის კვალი. ვიცი, რომ ამ ქალს იარაღიც აქვს. მისი პისტოლეტი საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, რომელიც ჩემს საფეთქელზე ჰქონდა მობჯენილი“.

თუ ბოლო 2 წინადადებას არ ჩავთვლიდით, მამაკაცი უსინდისოდ იტყუებოდა. ჩვენების ბოლოს ირაკლის მანქანის ნომერიც ჰქონდა მითითებული.

ანამ ყველაფერი ბოლომდე, გულდასმით წაიკითხა, თავი მძიმედ ასწია და გამომძიებელს შეხედა.

— თქვენ გჯერათ, რასაც ეს კაცი ამბობს?

— ჩვენ ვალდებულები ვართ, ეს ინფორმაცია გადავამოწმოთ.

— გადამოწმება როგორ უნდა მოახერხოთ? გოგონას რომ მიაგნებთ, ის თავად გეტყვით, როგორ ვექცევი. მანამდე კი შემიძლია, გითხრათ, რომელ სკოლაში სწავლობს ბელა. მიბრძანდით დირექტორთან და მასწავლებლებთან გადაამოწმეთ.

— ვიდრე თქვენ აქ ბრძანდებით, თქვენს სახლში ჩხრეკა მიმდინარეობს.

— რას ამბობთ, დედაჩემი გაგიჟდება, იმას რამე რომ მოუვიდეს, იცოდეთ, პასუხს გაგებინებთ, — ანა წამოდგა და წასასვლელად მოემზადა.

— ვიდრე ჩხრეკა არ დამთავრდება, ვერსად წახვალთ. ჯერ შედეგებს დაველოდოთ! — ბრძანებასავით გაისმა გამომძიებლის ხმა.

— ბრძანებებს მოეშვით! — ანა ისე განრისხდა, თვალებიდან ლამის ნაპერწკლები გადმოყარა. — ნუგზარ, ჩემთან, შინ წადი და ნახე, რას აკეთებენ იქ. გამორიცხული არ არის, რამე ჩამიდონ და ადვოკატი აიყვანე. ალბათ დამჭირდება.

ნუგზარი უხმოდ გავიდა.

ოთახში რამდენიმე პოლიციელი შემოვიდა.

— დაკავების ჯგუფია, როგორც ვატყობ, — ანამ ვარაუდი გამოთქვა.

— დიახ, სწორად მიხვდით, — გაიცინა ერთმა მათგანმა, — თუ საჭირო გახდება და უფროსი გვიბრძანებს, უნდა დაგაკავოთ.

— ყოფილხართ ოდესმე ციხეში? — ჰკითხა მეორემ.

— საქმეს მიხედეთ! თქვენს მოვალეობაში მაგის გარკვევა არ შედის. რადგან ჯერ დაკავებული არ ვარ, იმედია, დარეკვის უფლება მაქვს, — ანა პასუხს არ დალოდებია, ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო, ნომრის აკრებას შეუდგა და თან კარისკენ გაემართა.

გარეთ გაღწევა უნდოდა და არც არავის შეუჩერებია. დერეფანი გაიარა და ეზოში გავიდა. მანქანა ისე უხმაუროდ გაიყვანა, რომ კარში მდგომი პოლიციელის გარდა არავის შეუნიშნავს.

ცოტა მანძილი გაიარა და სიჩქარე აკრიბა. გამალებით ფიქრობდა, სად შეიძლებოდა, მანქანის „ბარდაჩოკში“ ჩაკეტილი პისტოლეტი დაემალა. უკანა ხედვის სარკეში მანქანა შენიშნა, რომელიც კუდში მისდევდა. ანამ იეჭვა, რომ მდევარი და მოთვალთვალე მიჰყვებოდა. „ალბათ სპეციალურად გამომიშვეს, აინტერესებთ, რას ვიზამ, სად წავალ, რომ რაიმე ხელმოსაჭიდი ფაქტი ჰქონდეთ. იმიტომაც გამომიშვეს დაუბრკოლებლად, თორემ მაგათ დავუძვრებოდი ხელიდან?!“ — ფიქრობდა ქალი.

ასეთ ვითარებაში იარაღის თავიდან მოშორება გაუჭირდებოდა. გონება ათას ვარიანტს ჰკარნახობდა, მაგრამ ყველა უარყო. ბოლოს, შვებით ამოისუნთქა, სახე დაუმშვიდდა, სარკეში მდევარს გახედა და ენაც კი გამოუყო. ტელეფონს დასწვდა და საბლიანის ნომერი აკრიბა.

— ვახო, სასწრაფო საქმე მაქვს და იქნებ ჩემთან შეხვედრა მოახერხო?

— ახლა არ მცალია, საყვარელო, ნახევარ საათში შევხვდეთ, — ვახოს გაუხარდა ანას ხმის გაგონება და ტელეფონში ლამის დადნა.

— არა. ახლავე უნდა მნახო, მერე შეიძლება, გვიან იყოს, — არ მოეშვა ანა და დაიყოლია კიდეც.

ვიდრე გზისპირზე გაჩერებული ვახოს ელოდა, შენიშნა, რომ მდევარი შორიახლოს გაჩერებულიყო. „ბარდაჩოკიდან“ იარაღი ამოიღო და ჩანთაში ჩადო. მანქანიდან მანამდე არ გადავიდა, ვიდრე ვახოს მანქანა მის უკან არ გაჩერდა. იცოდა, რომ ვახო თავისი თანდასწრებით მისი გაჩხრეკის უფლებას არ მისცემდა და გაუგებრობას თავს აარიდებდა.

ჩანთა იღლიაში ამოიდო და საბლიანის მანქანაში ჩაჯდა. ერთმანეთი გადაკოცნეს და მოიკითხეს.

— აბა, რა საქმე გქონდა?

— არაფერი. უბრალოდ, შენი ნახვა მინდოდა. ნახევარი საათი თავისუფალი დრო მქონდა და გამოვიყენე, — შესცინა ქალმა.

მამაკაცს აშკარად შეეტყო, რომ მისი ნათქვამი ესიამოვნა.

— მოგენატრე? — ვნებამორეული მზერით ჰკითხა და თვალებში ჩახედა.

— ჰო, ალბათ მომენატრე... შენთან ვმშვიდდები და ახლა ცოტა დამშვიდება არ მაწყენდა.

— გაგაბრაზა ვინმემ?

— სამსახურში სანერვიულო შემხ-

ვდა. დიდი არაფერი, ახლა უკვე კარგად ვარ.

— ასე კარგ გავლენას ვახდენ შენზე? — ბედნიერებისგან ბრწყინავდა ვახო.

— ეჭვი გეპარება?!

— არა, ახლა უკვე აღარ, — ლოყაზე თითი ჩამოუსვა.

— პირი მიშრება. ეტყობა, ნერვიულობისგან, — ანამ ნერწვი ხმაურით გადაყლაპა.

— ახლავე მოგიტან მინერალურ წყალს. ხომ გინდა?

— კი, — თავი დაუქნია ქალმა.

სწორედ ეს უნდოდა, რომ ვახო მანქანიდან გადასულიყო.

როგორც კი მამაკაცი მაღაზიაში გაუჩინარდა, ჩანთიდან პისტოლეტი ამოიღო, კაბის კალთით კარგად გაწმინდა და სავარძლის ქვეშ, ღრმად შეაცურა.

ვახომ უეცრად მოირბინა და ანას ბოთლი გაუწოდა. ქალმა სასმელი ბოთლიდანვე მოსვა. გრილი სითხე ესიამოვნა. „მართლა მწყურებია“, — გაიფიქრა და ვახოს ალერსიანი მზერა შეავლო.

— ახლა წავალ, შენც არ მოგაცდენ, საღამოს შევხვდეთ.

— კარგი, საყვარელო, რადგან შენგან ასეთ სიტყვებს ვეღირსე, აწი რაღა მომკლავს? იმედია, საღამომდეც ვიცოცხლებ და მერე თუ გინდა, სულიც გამძრობია, — საბლიანმა ლოყაზე აკოცა და საღამომდე დაემშვიდობა.

„ესეც ასე... წავიდნენ ახლა და ეძებონ იარაღი ვახოს მანქანაში. ვინ გაუბედავს პოლიციის მაღალჩინოსანს ჩხრეკას?“ — ნიშნის მოგებით გაიფიქრა ანამ და გეზი სახლისკენ აიღო.

შინ მისულს იქ აღარავინ დახვდა. მხოლოდ გულგახეთქილი ციცო იყო, რომელმაც ის იყო, ანასთვის საყვედურის თქმა დააპირა, მაგრამ ქალმა ამის საშუალება არ მისცა.

— დედა, ეს ფორმალური მხარე იყო. ბელას ეძებენ და ჩემი სახლის ჩხრეკა აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო.

ანას ბევრი ახსნა-განმარტება აღარ დაუწყია. ციცოს აკოცა, კარი გაიხურა და პოლიციის განყოფილებაში მივიდა.

— მობრძანდით, ქალბატონო?! — გამომძიებელს გაბრაზებული სახე ჰქონდა.

— დიახ, მოვედი.

— კი, მაგრამ ხომ იცოდით, რომ აქაურობის დატოვების უფლება არ გქონდათ?

— არ ვიცოდი, — ურცხვად მოიტყუა, — თანაც, ერთი მეტად საჭირო კაცი უნდა მენახა, რადგან შესაძლოა, მისი დახმარება დამჭირვებოდა. თან შინ უნდა შემევლო, რომ დედა დამეწყნარებინა.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა გამომძიებელმა, — ამჯერად თქვენს სახლში ვერაფერი ვნახეთ. მანქანის გასაღები მომეცით, თუ შეიძლება, — ხელი გაუწოდა.

— ვიდრე ჩემი ადვოკატი არ მოვა, არაფერსაც არ მოგცემთ, — გასაღები ჩანთაში ჩადო და ტელეფონზე ნუგზარს დაუკავშირდა.

— 2 წუთში მანდ ვართ, ანა, — უპასუხა მამაკაცმა და გაუთიშა.

— ორ წუთში იქნებიან და გასაღებსაც მაშინ მიიღებთ.

ნუგზარს ახალგაზრდა ქალი მოჰყვა. ანამ ხელი ჩამოართვა და გაეცნო.

— ახლა კი ინებეთ, — ქალმა გასაღები გამომძიებელს გაუწოდა.

ჩხრეკა მალე ჩაატარეს და რა თქმა უნდა, იქიდანაც ხელმოცარულები დაბრუნდნენ.

— ჯერ ბელა ვიპოვოთ და შემდეგ ამ ყველაფრისთვის პასუხს მოგთხოვთ, — დაემუქრა ქალი, — გოდერძის ჩვენებას როგორ შეიძლება, დაეყრდნოთ? თვალებში რომ შეხედავ, მაშინვე მიხვდები, რომ თაღლითია.

— შესაძლოა, ის მართლაც თაღლითია, მაგრამ ჩვენებაში მითითებული ფაქტები უნდა გადამოწმდეს.

— ჰოდა, როგორც იარაღის არსებობა არ დადასტურდა, ისე არ შეესაბამება მისი მონაჩმახი სიმართლეს.

— გოდერძი ხელწერილით გავუშვით და იმედია, გამოძიებას არ დაემალება. თანაც, შესაძლოა, თქვენზე კიდევ რამე ჰქონდეს მოსაყოლი.

ანას ტელეფონი აწკრიალდა. ირაკლი რეკავდა. ძალიან გაუკვირდა, რადგან ამდენი დღეა, ირაკლი მის ზარებს არ პასუხობდა და არც თვითონ ურეკავდა. გაბრაზებამ არა და არ გადაუარა.

— გისმენ, — რაღაცნაირი, გაბზარული ხმით ჩასძახა ანამ.

— სად ხარ? — ყოველგვარი „გამარჯობისა“ და მოკითხვის გარეშე დაიწყო მამაკაცმა.

— პოლიციაში, — ანამ მოკლედ უპასუხა.

— მანდ რას აკეთებ?

— ეს დიდი ამბავია, ასე უცბად ვერ გეტყვი. რა გაგჭირვებია?

— მეც დამირეკეს პოლიციიდან, დაკითხვაზე მიბარებენ. მაინტერესებდა, გამეგო, რა ხდებოდა, მაგრამ როგორც ვხედავ, შენც ჩემს დღეში ხარ. კარგი, მაშ, შეხვედრამდე „კაპეზეში“, — ირაკლიმ ტელეფონი მოულოდნელად გათიშა და არც ამჯერად შეუწუხებია თავი, „ნახვამდის“ ეთქვა და დამშვიდობებოდა.

ანა ისედაც გაღიზიანებული იყო და ნერვები ახლა უფრო მოეშალა.

— მოკლედ, ნამდვილი დამნაშავე გაუშვით და მე მიტრიალებთ, არა? ჩემი დაკავება გინდათ. სულ მცირე მიზეზი და ამომაყოფინებთ თავს, სადაც ჯერ არს...

— გოდერძი იმიტომ გავუშვით, რომ საჭირო კვალზე დაგვაყენოს. მისი დაპატიმრება ხელს არ გვაძლევდა. რაც შეეხება თქვენს საქმეს, სულ ტყუილად გგონიათ, რომ ჯიბრში გიდგავართ. ალბათ ბავშვის გამოჩენის შემდეგ ყველაფერს ნათელი მოეფინება და თქვენი პასუხისმგებლობის საკითხიც მას შემდეგ დადგება ან — არ დადგება.

— გასაგებია. ახლა წავალ. იმედია, არ მაკავებთ, — ანა პასუხს არ დალოდებია, ოთახიდან ისე გავიდა.

თავს ძლივს იკავებდა. ბრაზი და წყენა ერთმანეთში არეოდა და ცრემლი ახრჩობდა. ადვოკატს და ნუგზარს გამოემშვიდობა და პირდაპირ ირაკლისკენ გაემართა. უკვე მოსაღამოებული იყო და იმედი ჰქონდა, რომ შინ დახვდებოდა.

მამაკაცი არ ელოდა ანას გამოჩენას და გაოცება აშკარად გამოხატა.

— ჩემი თავი რამ გაგახსენა? — ნათქვამში ირონია ჩააქსოვა.

— შენმა ზარმა, — არ დაინდო ქალმა.

— კიდევ კარგი, დაგირეკე.

როგორც კი მამაკაცი მაღაზიაში გაუჩინარდა, ჩანთიდან პისტოლეტი ამოიღო, კაბის კალთით კარგად გაწმინდა და სავარძლის ქვეშ, ღრმად შეაცურა

— ვცდილობდი შენთან დაკავშირებას, მაგრამ არ მპასუხობდი. ველოდი, როდის გადაგივლიდა გაბრაზება და შენ თვითონ როდის დარეკავდი, — ანა დივანზე ჩამოჯდა და იქაურობა მოათვალიერა.

მართალია, ირაკლი გაბრაზებული იყო, მაგრამ ანას დანახვისთანავე გაუარა წყენამ და ახლა თავს ძლივს იკავებდა, რომ ქალისთვის არ ეჩვენებინა, როგორ ენატრებოდა და მის გარეშე როგორ უჭირდა.

— ირაკლი, მომენატრე, — ქალი დივანზე მისკენ მიჩოჩდა.

მამაკაცმა ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა. კარგა ხანს იყვნენ ასე ჩახვეულები და ერთმანეთის გულისცემას უსმენდნენ.

— გამხდარი ხარ და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რაღაცაზე ნერვიულობ. იმედია, ეს ჩემი ბრალი არ არის.

— მთლად არა, მაგრამ არც შენ მანერვიულე ნაკლებად, — ცხვირზე თითი ჩამოჰკრა მამაკაცმა.

— რა ხდება, იკა?

— სამსახურში წყალი შემიყენეს. ვგრძნობ, რომ ჩემ გარშემო რაღაც აბლაბუდას ქსოვენ. ლამის ყველა ნაბიჯსა და ქმედებას მიკონტროლებენ. ჯერჯერობით ვერაფერი ნახეს ისეთი, რასაც სათავისოდ გამოიყენებენ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მახე დამიგონ.

— შენი თავიდან მოშორება უნდათ?

— ჰო, ვფიქრობ, რომ ასეა.

— მიზეზი?

— მიზეზი ჯერ ვერ გავიგე. აშკარად არ მოქმედებენ, მაგრამ ვგრძნობ, რომ რაღაც ხდება. ცოტა ხნის წინ, მინისტრმა თავის ცოლს დაბადების დღე გადაუხადა და არ დამპატიჟა. წინათ თუ მასთან 2 ადამიანი იკრიბებოდა, მესამე მე ვიყავი. ახლა მომიბოდიშა — მარტო ქალები იყვნენ და ვერ დაგპატიჟეო, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ასე არ იყო.

— ჰმ, რა უნდა ხდებოდეს, ნეტავ? მე და შენ რაღაც, შავ ზოლზე ვართ.

— „ჰმ“ კი არა, ასეთ რთულ პერიოდში მიმატოვე და აღარც კი დაინტერესდი, ცოცხალი ვარ თუ — არა.

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ ეს დაკითხვაზე გამოძახება და გოდერძის მიერ მიცემული ჩვენება შენ სასარგებლოდ არ შემობრუნდება, ალბათ.

ანა დაწვრილებით მოუყვა ბელას გაუჩინარების შემდეგ განვითარებული მოვლენების შესახებ.

— ამაზე არ ინერვიულო, ბელა გამოჩნდება, — დაამშვიდა ირაკლიმ.

— მოდი და ნუ ინერვიულებ, დღეს პოლიციაში ისე მექცეოდნენ, როგორც კრიმინალს. შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. ირაკლი, მგონი, ჯობია, რომ მე და შენ ამერიკაში წავიდეთ. აქაური ინტრიგებით დავიღალე. ახლა რამაზს და ნინოს დავაქორწინებ, მანამდე ბელაც გამოჩნდება, შემდეგ „გლობალტექსის“ ნახევარ წილს ნინოს და რამაზს ვაჩუქებ, ნახევარს — დავითს, ამის შემდეგ კიდევ ერთი პატარა საქმე მაქვს მოსაგვარებელი, იმასაც ბოლომდე მივიყვან, მერე გადავიკარგოთ აქედან და იქაურ ბიზნესს მივხედოთ. რას იტყვი?

— დავფიქრდები და გადავწყვეტ, მაგრამ როდის ვიქორწინოთ? თუ უკვე გადაიფიქრე?

— არ გადამიფიქრებია. ჩვენი ქორწილი ამერიკისთვის შემოვინახოთ და იქ გადავიხადოთ.

— ანა, ის „პატარა საქმე“ რა არის, რატომ არ მეუბნები? ვგრძნობ, რომ რაღაცას მიმალავ. იმასაც ვგრძნობ, რომ ეს სასიყვარულო ინტრიგა არ არის. თავს ვიტეხ, ლამის გონება ვიღრძო იმაზე ფიქრით, რა არის ასე გასაიდუმლოებული შენს ცხოვრებაში და ვერაფრით ამოვხსენი.

— ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. ახლა ძალიან დაღლილი ვარ და მეძინება.

აკა და ნუგზარს დაემშვიდობა.

ირაკლისგან პოლიციაში გაიარა და გამომძიებელს ოპერატიული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა.

— ჩვენ ვიცით, როგორ უნდა ვიმუშაოთ, ქალბატონო ანნა!

— ანა! ანნა კი არა, ანა! არ მიყვარს, როცა გადაპრანჭულად წარმოთქვამენ ხოლმე ჩემს სახელს, და თქვენი გამომეტყველების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ახალი ამბავი გაქვთ ჩემთვის სათქმელი.

— არა, ჯერ — არა, — დააზუსტა გამომძიებელმა.

ანამ სახლში შეირბინა და ის 2 ფურცელი წამოიღო, რომლის მესამე ნაწილიც ამ დრომდე მანქანაში ჰქონდა შენახული. ეშინოდა, ისევ არ დაეკარგა. შინიდან გასულმა, გეზი პირდაპირ სართიჭალისკენ აიღო.

მოლა კარგა ხანს დაჰყურებდა სამივე ფურცელს და თავს იქნევდა. როგორც ანა მიხვდა — დანანების ნიშნად.

— ეს ძალიან ბოროტი ადამიანის გაკეთებული ჯადოა, — უთხრა, როდესაც ბოლომდე წაიკითხა.

— რაო, რა წერია?

— ქალის გაკეთებულია ეს... ბედზე აქვს ჯადო „დადებული“. რამდენჯერაც გათხოვდები, იმდენჯერ ქმარი მოგიკვდება.

...ალბათ ყველაფერს წარმოიდგენდა, იმის გარდა, რომ რძალყოფილი ოდესმე მათი სახლის კარზე მიაკაკუნებდა

— დარჩი ჩემთან, — ირაკლის მზერაში თხოვნა იგრძნობოდა.

— კარგი, დავრჩები, — ანა უცებ დათანხმდა, — საძინებელი ისევ იქაა თუ სადმე გადაიტანე? — ჰკითხა და წამოდგა. საძინებლისკენ მიმავალს ირაკლი უკან გაჰყვა.

დილით ნუგზარმა ახალი ამბავი შეატყობინა:

— ანა, ბელა და დედამისი თურქეთში იპოვეს. ხვალ საღამოს ორივე აქ იქნება.

— ბავშვი როგორ არის? — ანას გაუხარდა, რომ გოგონას მიაგნეს.

— მგონი, კარგად არის. ყოველ შემთხვევაში, არაფერი უთქვამთ იმის შესახებ, რომ რამე სჭირს. არა მგონია, ის ქალი ისეთი ველური იყოს, გოგონასთვის რამე დაეშავებინა.

— მეც არ მგონია, — ჩაილაპარაკა.

— რას ამბობ?! ხომ ვიპოვე მესამე ფურცელი? ახლა ხომ შეიძლება, ჯადოს მოხსნა?

— არა, — თავი გააქნია მოლამ, — თუ ის ქალი თვითონ არ მოვა აქ, ისე არ შეიძლება. უნდა მოვიდეს და ჯადოს მოხსნაში მონაწილეობა მიიღოს.

— ვნახოთ... თუ ნებით არ მოვა, ძალით მოვიყვან.

— იცნობ?

— კი, ჩემი ყოფილი დედამთილია...

— გამარჯობა, ქალბატონო თინიკო, — თავაზიანად მიესალმა ანა გაოცებულ ქალს, რომელიც ალბათ ყველაფერს წარმოიდგენდა იმის გარდა, რომ რძალყოფილი ოდესმე მათი სახლის კარზე მიაკაკუნებდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

მივესალმები მკითხველს და ვასრულებ დანაპირებს — საინტერესო და უცნაურ სიახლეს გაგაცნობთ: თუ დასასვენებლად ანაპაში აპირებთ გამგზავრებას, უნდა იცოდეთ, რომ იქ საღეჭ რეზინს ვერ იყიდით — ქალაქის მმართველობამ ლამის ნარკოტიკის მოხმარებასთან გააიგივა. ამ „სახიფათო“ პროდუქტის გაყიდვა ქალაქის ცენტრში და საკურორტო რაიონებში აკრძალულია. თუ თქვენი ყბები მუდმივად ღეჭვასაა შეჩვეული, მაშინ ან ქალაქის გარეუბანში მოგიწევთ გამგზავრება, ან საღეჭი რეზინის კონტრაბანდული გზით შეტანა უნდა მოახერხოთ. აკრძალვის მიზეზი თურმე ტროტუარების დაბინძურების თავიდან აცილება ყოფილა. არადა, ეს მეთოდი ცოტა უცნაურად მეჩვენება. თუ ამ პრინციპით ვიმსჯელებთ, მაშინ ქუჩების დანაგვიანების თავიდან აცილების მიზნით, ყველა შეფუთული პროდუქტის გაყიდვა უნდა აიკრძალოს, ან ჰაერის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით — სიგარეტის გაყიდვა. არადა, ხომ იცით, თუ კაცი მოინდომებს, გამოსავალს ყველა სიტუაციაში იპოვის და არც ანაპელები არიან ნაკლებად საზრიანები — რამდენიმე კაფეზე უკვე გაჩნდა წარწერა: ჩვენთან შეგიძლიათ, დაღეჭოთ კევი“. ჰოდა, სანამ ჩვენთანაც აკრძალავდნენ, ღეჭეთ „ჟუვაჩკა“ და იკითხეთ „გზავნილები“.

გამოუყენებელი შვებულება, მაგარი მძღოლი და სევდიანი ამბავი

ხუმარები

„რამდენიმე წლის განმავლობაში ქმრისგან მალულად ფულს ვაგროვებდი. როცა საჭირო თანხა მოვაგროვე, გავუმხილე, რომ მანქანის ყიდვა მინდოდა. ცოტაოდენი ფული იმანაც დამიმატა და საოცნებო მანქანის მფლობელი გავხდი. დამწყები მძღოლის კვალობაზე არცთუ ურიგოდ ვატარებდი ჩემს ავტომობილს, მაგრამ ყველა ღილაკსა და ხელსაწყოში გარკვეული არ ვიყავი. ერთ მშვენიერ დღეს, მივდიოდი ჩემთვის და უცებ, ბრახ! რაღაც ხმაური მომესმა და მანქანა „შეხტა“. გავაჩერე და გადმოვედი. იქვე 2 მუშა რაღაცას საქმიანობდა. გაჩერებული რომ დამინახეს, თან მანქანის ქვეშ ვიყურებოდი, მომიახლოვდნენ. საბარგულის ქვეშ რაღაც დიდი, მრგვალი რკინა იდო (როგორც შემდეგ აღმოჩნდა, საკანალიზაციო ჭის თავსახური), იმაზე მიმითითეს და მითხრეს, რომ მანქანას ძირის დამცავი მოძვრა. შევიცხადე. აიღეს და ეს „ძირის დამცავი“ საბარგულში ჩამიდეს, თან უახლოესი „პროფილაქტიკისკენ“ მიმავალი გზა მიმასწავლეს და დამარიგეს, რომ ავარიული ფარები ამენთო და ძალიან ნელა მეელო. წამოვედი. გული მისკდებოდა, რადგან ახალთახალი მანქანა გავაფუჭე და სანამ ჩემი ქმარი გაიგებდა, უნდა გამეკეთებინა. როგორც იქნა, „პროფილაქტიკამდე“ მივაღწიე. როდესაც ხელოსანს ვაცნობე, რომ ჩემს მანქანას „ძირის დამცავი“ მოძვრა და თან საბარგულში ჩავახედე, სრულიად სერიოზულად მითხრა: — ეს მანქანა არ გაკეთდება, ამას მარჯვენა მხრის გარმონი სჭირდება და არ მაქვს, თანაც, ძალიან ძნელი საშოვნელიაო. კი გამიკვირდა, რა გარმონი, რის გარმონი-მეთქი, მაგრამ გაგონილი მქონდა, რომ მანქანის ერთ ნაწილს გიტარა ერქვა და თუ გიტარა ჰქონდა, ხომ შეიძლებოდა, გარმონიც ჰქონოდა? ჰოდა, იმ მაღაზიისკენ გავწიე, რომელზეც ხელოსანმა მიმითითა და ზუსტად ისე ვუთხარი, როგორც დამარიგა — „ნისანის“ მარჯვენა მხარის გარმონი მინდა-მეთქი. უცნაურად კი შემომხედა იმ კაცმა, მაგრამ მერე მითხრა: — ახლა მარტო მარცხენა მხარის გარმონი მაქვს, მარჯვენა გერმანიაში უნდა შევუკვეთო, მაგრამ არ ვიცი, იქაც ექნებათ თუ არაო. ერთი სიტყვით, სხვა გზა არ იყო, დახმარება ჩემი ქმრისთვის უნდა მეთხოვა. საღამოს, დამნაშავის სახით გამოვუცხადე, რომ ჩემს მანქანას ძირის დამცავი მოსძვრა და რადგან მარჯვენა მხრის გარმონს ვერ ვშოულობ, არ კეთდებამეთქი. გაოცებული მიყურებდა. ჩავიყვანე ეზოში, მანქანას საბარგული ავხადე და ჩავახედე. — ეს კანალიზაციის თავსახური რა ჯანდაბად გინდაო? — მკითხა. მაშინღა „ვიცანი“, რას დავათრევდი მთელი დღის განმავლობაში. ქმარს ყველაფერი რომ მოვუყევი, იმდენი იცინა, ღამის ნაწლავების გადახლართვა დაემართა. ახლა უკვე გამოცდილი მძღოლი ვარ და ველარავინ მომატყუებს, მაგრამ ეს ამბავი კი სამახსოვროდ დამრჩა. სხვათა შორის, ჩემი მანქანა „ნისანი“ კი არა, „ტოიოტა“ იყო. ელისო“.

გამოუყენებელი შვებულება

„2 წლის წინ, როცა ბავშვები სკოლიდან დაითხოვეს, ცოლ-შვილი დასასვენებლად გავუშვი. ერთი სული მქონდა, როდის წავიდოდნენ, რომ მე აქ დამესვენა. გამგზავრების წინა საღამო ცოლმა სამზარეულოში გაატარა. უამრავი საჭმელი მოამზადა და მაცივარში შეინახა. მისი აზრით, მე ძალიან უსუსური ვარ და ჩემს თავს ვერ მივხედავ. მთელი ღამე სიხარულისგან არ მეძინა. როგორც იქნა, მარტო ვრჩებოდი და რასაც მინდოდა, იმას გავაკეთებდი. იმ ღამეს მთელი 2 კვირის გეგმა დავსახე და გამთენიისას ჩამეძინა. როგორც იქნა, გავაცილე ცოლ-შვილი. ქალაქს ბუღი ასდიოდა, მაგრამ მე მაინც ყველაფერი მიხაროდა. რატომაც არა? ტანისამოსი გარეცხილია, საჭმელ-სასმელი — ბლომად, მხოლოდ ლუდია საყიდელი და ნამდვილ სამოთხეში აღმოვჩნდები. დავიწყე შემუშავებული გეგმის მიხედვით ცხოვრება. ამ გეგმაში კარის მეზობლად ახალგადმოსული, „გულკეთილი“ ახალგაზრდა ქალიც შედიოდა, რომელსაც გადმოსვლის დღიდან დავადგი თვალი და ვატყობდი, რომ არც ის იყო ჩემ მიმართ გულგრილი. ის საღამო ტელევიზორთან გავატარე. მეორე დღეს სამსახურში წავედი და სწორედ აქ დავუშვი შეცდომა — ძმაკაცებთან ვთქვი, ცოლ-შვილი დასასვენებლად გავუშვი-მეთქი. იმავე საღამოს ჩემთან მოვიდნენ საქეიფოდ. იმდენი დავლიეთ, ვის სად გვეძინა, მხოლოდ დილით მივხვდით. 2 კვირის სამყოფი საჭმელი ერთ დღეში შემიჭამეს და წავიდნენ. ძლივს დავალაგე სახლი და ჭურჭელიც გავრეცხე. უკვე 4 დღე იყო გასული, რაც მარტო ვიყავი და ჩემი გეგმიდან 1 პუნქტიც ვერ განვახორციელე. მეხუთე დღეს, სამსახურში მიმავალს კარის მეზობელი შემხვდა. ვთხოვე, საღამოს იქნებ რამდენიმე წუთით შემოხვიდე და კარტოფილის შეწვაში დამეხმარო-მეთქი (მიზეზი ხომ მინდოდა?). მაგრამ რად გინდა? სამსახურში მივედი თუ არა, თანამშრომელი დამადგა თავზე და ჩურჩულით მთხოვა, რომ ამ საღამოს მისთვის სახლი დამეთმო, რადგან თავის ნაშასთან ერთად წასასვლელი არსად ჰქონდა. უარი ვერ ვუთხარი. შემდეგი 2 საღამო სხვა მეგობრებს დავუთმე ბინა. კიდევ 2 დღე სახლის დალაგებას მოვუნდი. ერთ საღამოს კი დავურეკე კარის მეზობელს და შევახსენე, კარტოფილის შეწვაში რომ უნდა დამხმარებოდა. შემოვიდა თუ არა, მაშინვე კარტოფილი მოიკითხა. ვეძებე, მაგრამ ვერ ვიპოვე. სამაგიეროდ, შამპანური მაქვს-მეთქი, — ვუთხარი. ის იყო, პირველი სადღეგრძელოს შესმას ვაპირებდით, რომ კარზე დააკაკუნეს. ჩემი ძმაკაცი მოვიდა, თავის ნაშასთან ერთად. ისევ დავუთმე სახლი. შემდეგმა რამდენიმე დღემაც ისე ჩაიარა, რომ მეზობელმა კარტოფილი ვერ შემიწვა და დადგა ცოლ-შვილის ჩამოსვლის დღეც. მგლოვიარე სახით დავხვდი სადგურზე და შინ წამოვიყვანე. ამის შემდეგ ჩვეულებრივად გაგრძელდა ცხოვრება“.

კვერცხის მწმენდავი

„ადრე, კომუნისტების დროს მილიციაში ვმუშაობდი. მე და ჩემი ძმაკაცი ერთმანეთს ავტობუსის გაჩერებაზე (სად იყო მაშინ მარშრუტკები) ვხვდებოდით ხოლმე და სამსახურში ერთად მივდიოდით. ცნობისთვის, ყვითელი ავტობუსები მაშინაც იყო თბილისში. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ასე, მილიციის ფორმებში გამოწყობილი, ავტობუსში ავედით. დილა იყო და ავტობუსი ბაზარში მიმავალი ხალხით გადაიჭედა. ზოგი საყიდლებზე მიდიოდა, ზოგსაც გასაყიდად მიჰქონდა რაღაც. ჩვენთან ერთად ავტობუსში 2 ბებო ამოვიდა. როგორც ჩანს, სოფლიდან მოდიოდნენ. ერთს ვედროთი გარგარი მოჰქონდა გასაყიდად, მეორეს — სოფლის კვერცხი. პირველი ბებო წინ გაძვრა და თავისუფალი ადგილი დაიკავა. მეორე კი იქვე, ჩვენ გვერდით დადგა. თან ძალიან ფრთხილობდა, რომ კვერცხი არ დამტვრეოდა. როგორც ჩანს, კვერცხი ახალი იყო, ჯერ კიდევ ზედ ჰქონდა შერჩენილი ქათმის სკინტლი და ბუმბული.

— ბებო, კვერცხი ახალია? — ჰკითხა ჩემმა მეგობარმა.

— კი, შვილო, ახლა გამოვაცალე დედალს, — ამაყად უპასუხა ბებომ.

— არ მომყიდი? — რატომღაც ავტობუსში მოუნდა კვერცხის ყიდვა ჩემს მეგობარს.

— კი, როგორ არა, — დაფაცურდა ბებო.

— 20 ცალი მომეცი. არ გიყვარს სოფლის კვერცხი? — თან მე მომიბრუნდა. თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად.

— ქეთოოო, ქეთო, ერთი „ტრიაპკა“ მამაწოდე, — აყვირდა კვერცხის გამყიდველი ბებო.

— რად გინდა, ქალო, „ტრიაპკა“ ამ შუა ავტობუსში? — დაინტერესდა ქეთო.

— აგე, ამ მილიციონერს კვერცხები უნდა გავუწმინდო, — უპასუხა ჩვენმა ბებომ.

პირველად ვნახე, როგორ წითლდება მილიციონერი და როგორ ზანზარებს ხარხარისგან ავტობუსი“.

შემზარავი ფაქტი

„ეს ამბავი დასავლეთში მოხდა: მშობიარესთან ბებიაქალი შევიდა, ბავშვი აჩვენა და მელოგინეს უთხრა, რომ მის ბიჭუნას ბეჭზე დიდი ხალი ჰქონდა. გავიდა 3 დღე. ქალს შვილი არ მიუყვანეს. საღამოს მთავარმა ექიმმა დედას უთხრა, რომ მისი შვილი დაიღუპა. მელოგინე გაგიჟდა, ისტერიკაში ჩავარდა; მოითხოვა, — მაჩვენეთ შვილი, უკანასკნელად მაინც მოვეფეროო. მიუყვანეს ბავშვი, მოხსნა სახვევები, მოფერ-

ება დაუწყო და ბეჭზე დახედა — ხალს დაუწყო ძებნა, მაგრამ რას იპოვიდა, როცა ხელში სხვისი გარდაცვლილი შვილი ეჭირა! მის საღ-სალამათ ბიჭს კი გასაყიდად ამზადებდნენ. ბევრი იჩხუბა იმ ქალმა, დიდხანს ითხოვდა შვილის დაბრუნებას, მაგრამ ვერაფერი გააწყო. გამოუყენებელი შანსი კი ბებიაქალის სიტყვები იყო. ამ საშინელ და შემზარავ ფაქტს შედეგად ის მოჰყვა, რომ ბავშვის გაყიდვა და მშობლების გამწარება შეწყდა და უამრავი ადამიანი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა, მაგრამ რა ბედი ეწია იმ ასობით ბავშვს, რომელიც დედებს მკერდიდან ააგლიჯეს, არავინ იცის“.

მზის დამბნელებელი

„ამბები გნებავთ? მაშ, კარგი... ეს მოხდა პეტერბურგში... რაის პეტერბურგში, ქობულეთში (სულ მეშლება). ერთ მწველ ზაფხულს დავადექი ზღვისკენ მიმავალ გზას. პირველ დღეს დამეზარა ზღვაზე გასვლა, მაგრამ მეორე დღეს სრული აღჭურვილობით გავიჭერი პლაჟზე. მაშინვე პარაშუტით ფრენა მომინდა. გავფრინდი კიდეც, მაგრამ ვაი, ამ გაფრენას! გული ხელით მეჭირა, რომ არ დამეკარგა. როგორც იქნა, დავეშვი. თავი სამშვიდობოს მეგონა და მადლიერების ნიშნად, ცას ავხედე. აქ კი მეორე ინფარქტი მივიღე: ჩემ წინ ისეთი ნაშა იდგა, მზის შუქს აბნელებდა თავისი სილამაზით. ჩემს გაფითრებულ სახეს რომ შეხედა, ალბათ იფიქრა, რაღაც იტკინაო და წამოდგომაში დამეხმარა. მეც, მეტი რა მინდოდა? შევიფერე და ხელი გადავხვიე, ვითომ ფეხი ვიღრძე. სინამდვილეში კი თვალები ვიღრძე მისი ყურებით. ვიფიქრე, მეშველა და საკურორტო რომანი გავაბი-მეთქი, მაგრამ რად გინდა? ვინ მოგცა იღბალი? წინ იმხელა ჯეჯგვი აგვესვეტა, ორივე დაგვჩრდილა. იმანაც ხელი მიშვა. თურმე ძმა ყოფილა. იმის შემდეგ ამ გოგოსთან მიახლოებასაც ვერ ვბედავდი, რადგან ძმა სულ თან ახლდა. აი, ასე გავუშვი შანსი ხელიდან. ამის მერე მე უნდა მერქვას იღბლიანა? უიღბლო იღბლიანა“.

„მფრინავი რვეული“

„გამარჯობა, მოგესალმებით ყველას. სკოლა 1976 წელს დავამთავრე. სკოლაში 3 დამამთავრებელი კლასი იყო. ერთმა პარალელურკლასელმა ბიჭმა თემები მთხოვა. საკონტროლო ჰქონდათ. ვერ მოასწრო და წერა მათემატიკის გაკვეთილზე გააგრძელა. ნინო მასწავლებელმა ჩემი რვეული რომ დაინახა, წაართვა და სამასწავლებლოში, თავის უჯრაში შეინახა. ზაური ჩუმად შესულა, რვეული აუღია და ჩემს ჩანთაში ისე ჩაუდვია, რომ არ ვიცოდი. შემოვიდა გაკვეთილზე ნინო და მაშინვე მე გამიძახა დაფასთან. ყველაფერი რომ ვუპასუხე, მითხრა: ახლა თემების რვეული მომიტანეო. გავშრი, რადგან მივხვდი, რომ რაღაც მოხდა. ინსტინქტურად წავედი ჩანთისკენ და სასწაული თუ გინახავთ? რვეული ჩანთაში აღმოჩნდა. მინდა, თქვენი ჟურნალით ხმა მივაწვდინო ჩემს მასწავლებლებს: ნინო ნასარიძეს, ლია ყალიჩავას, ლენა ტუღუშს“.

საჭირო ტყუილი

„მარი, მართლაც კარგია, დიდებსაც რომ მოგვეცი საშუალება, ჩვენი ტკივილი თუ სიხარული გამოგვეხატა. წლებია, თქვენი მკითხველი გახლავარ. როცა ქმარს გავცილდი, ბავშვით ხელში მარტო დავრჩი. ახლა ჩემი ბიჭი 17 წლისაა, დიასახლისი ვიყავი და არასოდეს მიმუშავია, თუ არ ჩავთვლით, რომ ცოტა ხანი ბარში, ბარმენად ვმუშაობდი. სადაც მივდიოდი, პირველ რიგში მეკითხებოდნენ, სად ხარ ნამუშევარიო? რომ ვამბობდი, ბარში-მეთქი, უარით მისტუმრებდნენ. შემთხვევით, ჩემს სახლთან ახლოს, სუპერმარკეტში წარწერა დავინახე — გამყიდველი უნდოდათ. არც დავფიქრებულვარ, ისე წავედი გამგესთან და მაშინვე მიმიღო. უკვე 1 წელია, ვმუშაობ. პატივს მცემენ და ყველაფერს მშვენივრად გავართვი თავი. ასე ვიპოვე გამოსავალი. გამგე რომ არ მომეტყუებინა, არსად მიმუშავია-მეთქი, ახლაც უმუშევარი ვიქნებოდი. აი, ასეთი პრობლემები გვაქვს დიდებს. ნინო“.

უსიყვარულო

„20 წელია, გათხოვილი ვარ, მეუღლეც მყავს, მაგრამ ნამდვილი სიყვარული არ ვიცი, რა არის. საერთოდ, სიყვარულზე წარმოდგენა არა მაქვს. ამდენი წლის თანაცხოვრების შემდეგ, მეუღლეს უბრალოდ შევეჩვიე. ვერ შევიყვარე იმიტომ, რომ მომიტაცა; მისმა მშობლებმაც ჩემი თხოვნა არად ჩააგდეს და ყველაფერში ხელი შეუწყვეს. არადა, რა ლამაზი მომავალი მქონდა... მე ტრადიციებს თავი ვერ დავაღწიე და ვცხოვრობ ახლა სხვისი ლამაზი ცხოვრების ყურებით. ჩემთვის ხომ განგებამ სიყვარულის ნიჭი არ გამოიმეტა. ახლა ჩემი ქმარი ჩემგან ძალიან შორსაა და უზომოდ ბედნიერი ვარ. რა თქმა უნდა, მისი ცუდი არ გამიხარდება, მაგრამ ასე უფრო მშვიდად ვარ“.

აი, რძალიიიი!

„ერთი ჩემი ნაცნობის დედა აფთიაქში შევიდა და ძლიერი საძილე საშუალება მოითხოვა. თან დასძინა: სახლში 95 წლის დედამთილი მყავს, მთელი ღამე წუხს, არ სძინავს და კვნესისო. იქვე მდგარმა ასაკოვანმა კაცმა დალოცა — შენნაირი რძალი ამრავლოს ღმერთმა, როგორ ზრუნავ დედამთილზე, ჩემი რძალი წამალს კი არა, რომ ვკვდებოდე, ჭიქა წყალს არ მომაწვდისო. — რას ბრძანებთ, ბატონო, ამ ძვირიან წამალს მისთვის კი არა, ჩემთვის ვყიდულობ, ღამე რომ კარგად დამეძინოს და დედამთილის კვნესამ არ შემაწუხოსო. საცოდავი, ცოცხალი აღარაა, დედამთილი კი 100 წლისაა და ისევ კვნესის. ესეც უჩვეულო გამოსავალი“.

ორმხრივი საიდუმლო

„გამარჯობა. გამატუტუცეთ ამხელა კაცი და ახლა მესიჯს გწერთ. იმედია, არ შევრცხვები და გამომიქვეყნებთ. უკვე 50 წლის ვარ და 30 წელია, ოჯახი მაქვს. ჩემი ქეთინო რომ გავიცანი, არც კი მიფიქრია, რომ ოდესმე შემიყვარდებოდა, რადგან დანახვისთანავე არ მოვხიბლულვარ მისით. ერთხელ დედაჩემმა მასთან ერთად, ქუჩაში მიმავალი დამინახა და მითხრა: თუ მაგ გოგოს შეირთავ ცოლად, წინააღმდეგი არ ვიქნებიო. დავფიქრდი და მივხვდი, რომ მისგან მართლაც კარგი ცოლი „დადგებოდა“, მაგრამ ეგ იყო, — არ მიყვარდა. ერთმანეთს კვირაში ერთხელ, შაბათობით ვხვდებოდით ხოლმე. ერთ შაბათსაც კინოში დავპატიჟე. 2-სერიანი ფილმი იყო და კარგა ხანს გაგრძელდა. გარეთ რომ გამოვედით (გაზაფხულის წყნარი, თბილი საღამო იყო), შევთავაზე, მის სახლამდე ფეხით გაგვევლო. უარი არ უთქვამს. სადარბაზომდე მივაცილე და ცოტა ხანს შევჩერდით. ისეთი უცნაური თვალებით მიყურებდა, ისეთი საოცარი გამოხედვა ჰქონდა, რომ იმ საღამოს შემიყვარდა. მთელი ღამე არ მასვენებდა მისი თვალები და გამოხედვა. მეორე დღეს მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ცოლობა მეთხოვა. 1 თვეში ვიქორწინეთ და დღემდე ბედნიერად ვცხოვრობთ. ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენი ქორწინების 30 წლისთავი აღვნიშნეთ და სწორედ იმ საღამოს გავუმხილე ის, რაც ზემოთ მოგიყევით. ამბის დამთავრება იყო და ქეთინო სიცილით გადაბჟირდა. სული რომ მოითქვა, მერე მითხრა — იმ საღამოს ერთი ისეთი ამბავი მოხდა, რომელსაც მეც საიდუმლოდ ვინახავდი, მაგრამ ახლა მეც გამოგიტყდები: მთელი საღამო ტუალეტში მინდოდა და მერიდებოდა, შენთვის მეთქვა; რომ შემომთავაზე, ფეხით გავისეირნოთო, გული გამისკდა, რადგან უკვე ველარ ვითმენდი, მაგრამ მაინც დაგთანხმდი. სადარბაზოსთან რომ გავჩერდით, თავი ველარ შევიკავე და გავუშვი; ფეხებთან მოზრდილი გუბე დავაყენე; თვალებში ისე საცოდავად იმიტომ გიყურებდი, ჯერ ერთი, დამნაშავის გამომეტყველება მქონდა, მეორეც, ვაკვირდებოდი, დაინახე თუ არა ჩემი მარცხიო. აი, ასეთ საიდუმლოებებს ვინახავდით თურმე და ახლა, ამდენი წლის შემდეგ გამოვუტყდით ერთმანეთს. არადა, მართლაც, იმის შემდეგ მისი ასეთი გამოხედვა აღარასოდეს შემინიშნავს. პატივისცემით, ლადო“.

„ყუთის უფროსი“

„აქამდე თუ ჯარში ძალდატანებით მიჰყავდათ, ახლა ვისაც ფეხი აუცდა, ყველამ ჯარში „გაადინა ტყაპანი“ — აქაოდა, დიდი ხელფასებიაო. თვის ბოლოს კი „საქართველოს ბანკის“ ბანკომატთან ისეთი საშინელი რიგებია

(მთელი ჯარი იქ იღებს ხელფასს), თუ „ბილობილი“ არ გაქვს დალეული, დაგავიწყდება, რაზე მიხვედი. დღეს, წვიმაში მეც მომიწია რიგში დგომის „ბედნიერებამ“. ჩემ წინ ერთი ჯარისკაცი იდგა და გაკვირვებული ხან ბარათს დასცქეროდა და ხან ბანკომატს მისჩერებოდა. შემდეგ მომიბრუნდა, ყურებამდე გადაიხსნა პირი და ვითომ ღიმილით მკითხა: — ამან უნდა მომცეს ფული? ჯერ მეგონა, გაცნობის მიზნით გამომელაპარაკა და უსიტყვოდ დავუქნიე თავი, მაგრამ როცა რიგმა მოუწია, მივხვდი, პირველად სარგებლობდა ბანკომატით. ჯერ იყო და ბანკომატის ეკრანზე მიაკაკუნა და ომახიანად დაიძახა: — ეი, „ხაზეინ“, გამომხედე! რა თქმა უნდა, ტყუილად გაისარჯა, მე კი სიცილით ავუხსენი სარგებლობის წესები და თან დახმარებაც შევთავაზე, რადგან მეჩქარებოდა, მაგრამ ვინ გისმინა? იმდენი აწვალა ბანკომატი, ბოლოს „გაბრაზებულმა“ ბარათი გადაუყლაპა. გამწარებული ჯარისკაცი კი ბანკის წინ მთელი ხმით აყვირდა: — ვინაა ამ ყუთის უფროსი? ჩქარა გამომხედეთ! ღრმად შევუდე და გამეჭედაო. ვიღას ახსოვდა რიგი და წვიმა, ხალხი ძირს იწვა სიცილით. ოქრუაშვილის თქმის არ იყოს, ამათი მოგებული ომის... არადა, ყოველი არჩევნების წინ, პრეზიდენტი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას გვპირდება“.

სიკვდილო, დაგამარცხებ!

„იცით, რა მწარე განცდა გეუფლება, როცა ექიმის თვალებში სიბრალულით გაჟღენთილ შიშს შენიშნავ? რა მტკივნეულია, როცა მიხვდები, რომ ეს მზერა მხოლოდ შენ გეკუთვნის? როცა გამშრალი ჩურჩულით შეევედრები მას, სიმართლე არ უთხრას შენთვის ძალიან ძვირფას ადამიანს, რომელიც გარეთ გელოდება, რადგან არ გინდა, უცხო მხარეში გაჰყვეს შენი სიკვდილის შიში. თავჩაღუნული ისმენ ექიმის განაჩენს და მის ბაგეებზე აცეკვებულ ეშმაკს ამჩნევ. გარეთ გამოსული კი იღიმები და ჯანმრთელი ადამიანის როლს თამაშობ. თავისუფლად აგრძელებ ცხოვრებას, როცა შენს მომავალს კითხვის ნიშანი აქვს დასმული და იცინი, როცა უნდა ტიროდე. თუმცა, სხვაგვარი ცხოვრება არც არასოდეს შეგეძლო... რა გინდოდა, სიკვდილო, ასე ადრე რატომ მოხეტე ჩემთან? ჯერ ხომ საუკუნის მეოთხედიც არ მიცხოვრია... არადა, რომ იცოდე, ვისთან გაქვს საქმე, არც გაბედავდი ჩემს სულში ბინძური ხელების ფათურს. მისამართი შეგეშალა, მე ის არა ვარ, ვისი დამარცხებაც ადვილად შეიძლება. სიცოცხლე ისე ძალიან მიყვარს, ვერ მაიძულებ, დაგითმო. გპირდები, ჩემს თავს დაგავიწყებ და გულიდან სამუდამოდ წაგშლი. ჩემი იარაღი შენ წინააღმდეგ მხიარულება, ღიმილი და სიცოცხლის უზომო წყურვილია. გპირდები, რომ მომავალი წლის ამავე დროს, როცა „გზა“ გამოვა, ჩემი მესიჯი ისევ იქნება „გზავნილებში“, შენ კი ამ დროს ჩემგან ძალიან, ძალიან შორს იქნები... P.S. ნეტავ, ავადმყოფ ადამიანზე მეტად თუ იცის ვინმემ, რა ტკბილია სიცოცხლე? თქვენი ერთგული მგზავნელი, უნიკოდ“.

„დიეტომანი“

„ჩემ ირგვლივ მყოფ ადამიანებს უამრავი კომპლექსი აწუხებთ. განსაკუთრებით კი — სიმსუქნის. ისეთი ვინმე იტყვის, რას ვგავარო, გაგიჟდები. მე არ მაქვს იდეალური პარამეტრები, მაგრამ ამაზე დიდად არ ვღელავ, რადგან მიმაჩნია, რომ საკმაოდ კარგად გამოვიყურები. ჰოდა, ერთმა ჩემმა კურსელმა, რომელიც შარშანდლამდე ძალიან ლამაზი, თეთრი, ქერაკულულებიანი და ნორმალური აღნაგობის იყო, დიეტის დაცვა გადაწყვიტა. შესაშური ნებისყოფაც გამოავლინა, 5 თვის მანძილზე მოხარშული ხორცისა და ბოსტნეულის მეტი არაფერი უჭამია. შედეგიც სახეზეა — ყველას ავადმყოფი ჰგონია, სიბრალულით უცქერენ და ექიმთან მისვლას ურჩევენ. ლექტორებმაც გული გაუწყალეს, რა გაწუხებსო? დიეტის ამბავს კი ვერ ამხელს, რადგან ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვარდება. წამალს ვსვამდი და მადა ამან დამიკარგაო, ამბობს“.

კვირაში შვიდჯერ

„ერთ-ერთმა ბანკმა ვაკანსიები გამოაცხადა და სამსახურის მაძიებელი ხალხი მიაწყდა. მათ შორის იყო უაღრესად წესიერი, მაგრამ ცოტათი დაბნეული, 40 წლის მერაბი. როგორც იქნა, მოუწია რიგმა. მინის მიღმა მჯდარმა გოგონამ ანკეტის ფურცელი მიაწოდა, შეავსეთო. მერაბმა დიდი გულმოდგინებით შეავსო ყველა გრაფა. ერთერთზე კი კარგა ხანს შეჩერდა, რადგან ფიქრობდა, რა ჩაეწერა. „სქესი“ — ეწერა ფურცელზე. მერაბმა კი, რომელსაც სათვალე შინ დარჩენოდა, „სექსი“ ამოიკითხა. ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, ბანკში მუშაობის დასაწყებად ვის უნდა აინტერესებდეს ჩემი სექსუალური მონაცემებიო. მერე კი იფიქრა, რა იცი, რა ხდება, ალბათ ეს მონაცემიც საჭიროაო და გადაწყვიტა, თავი მოეწონებინა. ამიტომ ამ სიტყვის გასწვრივ ჩაწერა — „კვირაში შვიდჯერ“. დანარჩენი გრაფები მალე შეავსო და ფურცელი ისევ იმ გოგონას გადააწოდა. გოგონამ ფურცელი გამოართვა და ისე, რომ შიგ არც ჩაუხედავს, უთხრა: ხომ ყველა მონაცემი ზუსტად ჩაწერეთ? გადახედეთ, თორემ კომისია ყველაფერს დაწვრილებით ამოწმებს, თუ რაიმე მოიტყუეთ და ბანკი შეცდომას აღმოაჩენს, თქვენი ანკეტა გაუქმდებაო. სახეაწითლებულმა მერაბმა ფურცელი გამოართვა, კუთხეში მიდგა, აქეთ-იქით ქურდულად გაიხედ-გამოიხედა, მერე „კვირაში შვიდჯერ“ წაშალა და გვერდით მიუწერა — „კვირაში ერთხელ“ და ფურცელი ისევ იმ გოგონას გადააწოდა. ცხადია, სამუშაოდ არ მიუწვევიათ“.

გამოსწორებული

„ჩვენს სოფელში ცხოვრობდა მეტისმეტად მსმელი კაცი, რომელსაც საშინელი სიმთვრალე ჰქონდა. დალევდა გემრიელად ანუ ჩაიხეთქავდა გასასკდომ მუცელს (როგორც მისი მეუღლე ჩიოდა), მივიდოდა სახლში და იწყებოდა ჯოჯოხეთი ცოლისთვის. სხვებს არ სჯერათ მფრინავი თეფშების არსებობის, ივანეს ცოლი კი ყოველდღე ხედავდა. მოჰბეზრდა ამ ქალს, ათასი საშუალება სცადა ქმარზე, მაგრამ ამაოდ. ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, მთვრალი დახვედროდა ქმარს სახლში. გადაწყვიტა და აასრულა კიდეც. ერთ საღამოს, როცა ჩვეულებრივად შებინდულდა ივანე სახლში, ასეთი სურათი დახვდა: მისი მარო დაქროდა ოთახებში და იქაურობას ღეწავდა. — ररরররররর

„დაქალი ყოველთვის გიღალატებს, მშობელი — არასდროს“

„ადამიანს მეგობარი მხოლოდ ლხინში კი არა, ჭირშიც სჭირდება“

„გზის“ №23-ში 16 წლის ლიკა-ლიკ გვწერდა, რომ მას კლასში პრობლემები აქვს: „სულ ცდილობენ, ნერვები მომიშალონ. პრობლემა მხოლოდ ჩემში არაა, თავად არიან ასეთები. ბევრჯერ დავაპირე სკოლის შეცვლა, მაგრამ მერე ვიფიქრე, — ცოტასაც გავუძლებ-მეთქი, თუმცა ეს უკვე შეუძლებელია, სიტუაცია აუტანელი ხდება...“ გოგონა ამბობს, რომ თავს მარტოსულად გრძნობს, რომ ნორმალური მეგობარიც არ ჰყავს.

ლიკა ქაჯაია

რეალელი:

„ამ სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა ადვილია. გირჩევ, სკოლა გამოიცვალო! აბა, კიდევ 2 წელი რა გაგაძლებინებს? იქნებ სხვა სკოლაში მაინც იპოვო მეგობრები. ასე მოიქეცი, ჯობია... P.S. რეალელი და რეალის ფანი სხვადასხვა პიროვნება ვართ, ერთი არ გეგონოთ.“

ბუსუ, ქუთაისი:

„ჩემო კარგო, გეფიცები, ეგ პრობლემა მეც მქონდა, მაგრამ მივხვდი, რომ სხვებისთვის ყურადღება არ უნდა მიმექცია. დასვენებაზე ყურსასმენებს ვიკეთებდი, მუსიკას ხმამაღალზე ვრთავდი და ვერ ვიგებდი, რას „ბაზრობდნენ“. ასე რომ, ამ ადამიანებისგან დავისვენე. რაღაც პერიოდის შემდეგ თავადაც დაიღალნენ ამ სისულელით და შემეშვნენ, მოგვიანებით კი ჩემთან მეგობრობაც მოინდომეს. ლიკა-ლიკ, გირჩევ, შენც ასე მოიქცე“.

ნინი:

„მსგავსი პრობლემა მეც მაქვს და კლასელებს ყური რომ დავუგდო, გავგიჟდები. მათ ყურადღებას ნუ მიაქცევ“.

თოლია:

„მეც ვყოფილვარ მსგავს სიტუაციაში. დამერწმუნე, სკოლის გამოცვლით პრობლემა ვერ მოგვარდება. ჩემი აზრით, კარგად უნდა დაფიქრდე იმაზე, თუ რის გამო აღმოჩნდი ასეთ სიტუაციაში. როცა მიზეზს იპოვი, მის გადაჭრაზეც უნდა იზრუნო... კლასელების მიმართ მეტი სითბო, სიყვარული გამოიჩინე, მათთან გულწრფელი იყავი და ბავშვებს აგრძნობინე, რომ ერთმანეთი გჭირდებათ. კლასელებს დაელაპარაკე და სთხოვე, ამ ყველაფერზე თავადაც დაფიქრდნენ. პირადად მე, ეს ხერხი ძალიან დამეხმარა“.

ფუფუალა:

„შეეცადე, ბავშვებს დაუახლოვდე, მათ რაიმე იდეა შესთავაზე. მაგალითად, სადმე წადით და გაერთეთ. თუ შენმა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო, მაშინ სხვა სკოლაში გადადი“.

კიჭა:

„გენაცვალე, ეგ პრობლემა თავადვე უნდა მოაგვარო ანუ მათ ქმედებებს ყურადღება არ მიაქციო და კლასელებს თავადვე აუშალე ნერვები. ეგ ისეთი პრობლემა არაა, რომ ამის გამო სკოლის გამოცვლა ღირდეს. ბავშვებს ნუ აგრძნობინებ, რომ ადვილად ღიზიანდები. ყველა „დაიკიდე“, მარტოსულობას შეეშვი და მეგობრებიც შეიძინე“.

ლიზა:

„შენ არ აკონკრეტებ, მთელი კლასი გიშლის ნერვებს თუ რამდენიმე კლასელი. თუ ყველა შენს წინააღმდეგაა განწყობილი, მაშინ პრობლემა შენშივე უნდა ეძებო. ამბობ, — ნორმალური მეგობარი არ მყავსო. ალბათ ადამიანებთან საერთო ენის გამონახვა გიჭირს. ჩემო კარგო, ამ პრობლემას სკოლის გამოცვლით ვერ მოაგვარებ. ეცადე იყო ლაღი, გახსნილი, კეთილი და ყველაფერი კარგად იქნება!“

გუზლუნა:

„სკოლა არ შეიცვალო! კლასელებს დაელაპარაკე და გაარკვიე, რატომ გიშლიან ნერვებს? იქნებ ცდები და პრობლემა მართლაც, შენშია? დამიჯერე, ამ ცხოვრებაში მეგობრის ფასი არაფერია“.

გიუუნია:

„ლიკ, მეც მსგავს სიტუაციაში ვარ — საუკეთესო დაქალებმა მიღალატეს, მაგრამ ეგ არაფერი, ცხოვრება გრძელდება. დაიმახსოვრე, დაქალი ყოველთვის გიღალატებს, მშობელი კი — არასდროს. ამაზე დაფიქრდი, ჩემო კარგო. აბა, შენ იცი, გაკოცე“.

ლილუ:

„ამბობ, მეგობარი არ მყავსო და რატომ გგონია, რომ ეს შენი ბრალი არაა? დავიჯერო, ყველა ნერვებს გიშლის? მგონი, პრობლემა შენშია. ყველაფერს სჯობს, საკუთარ თავს სიმართლეში გამოუტყდე... თუ გგონია, რომ ამ პრობლემას სკოლის შეცვლით ეშველება, გამოიცვალე. ჰოდა, თუ იქაც ვერ შეიძენ ნორმალურ მეგობარს, მაშინ თავად იცი, ვისი ბრალიც ყოფილა ეს ყველაფერი. წარმატებები!“

MISS TATUL_A:

„კლასში პრობლემები მეც მაქვს. ხომ იცი, ამქვეყნად რამდენი დამპალი ადამიანი არსებობს! ჰოდა, მაგარ ცუდ დღეში ვარ, განსაკუთრებით კი ბიჭები მიშლიან ნერვებს. P.S. მე მეათე კლასში ვარ“.

ნინა:

„გამარჯობა. ჩემო კარგო, მეც მყავს კლასელი, რომელსაც ვერავინ უგებს და მესმის შენი. გირჩევ, საკუთარ თავში არ ჩაიკეტო. ამას ჯობია, კლასელებს გული გადაუშალო. თქვი, რომ მათი საქციელი გაღიზიანებს, რომ მათთან მეგობრობა გინდა და არა — ჩხუბი. როცა საჭირო იქნება, ბავშვებს მხარში ამოუდექი და იმედია, ბოლოს და ბოლოს შენც გაგიგებენ. მოინდომე და ღმერთი აუცილებლად დაგეხმარება. იმედი არ დაკარგო, ცხოვრება წინაა და მალე საუკეთესო მეგობრებსაც შეიძენ“.

ჩორგოლა:

„მსგავსი რამ ბევრჯერ მსმენია. არ გეწყინოს, რა, მაგრამ როცა ყველა შენს წინააღმდეგაა, ე.ი. პრობლემაც შენშია. კარგად დაფიქრდი და დაიმახსოვრე: „მასა“ არ ცდება! აბა, შენ იცი, მაგრად“.

M.G.M:

„შენ გამო ძალიან ვწუხვარ. არ ვიცი, რა უნდა გირჩიო, მაგრამ ერთს გეტყვი: შენი თანაკლასელები რაიმეთი უნდა დააინტერესო. რომელიმე მათგანი შენთან დაპატიჟე, შემდეგ არ მოგერიდოს და შენც ესტუმრე, მასთან ერთად კარგად მოულხინე და მერე, ამ დროსტარების შესახებ კლასელებს უამბე — უხეშად რომ ვთქვა, ყველას „შეახარბე“. მერწმუნე, ეს ნაღდად გაჭრის და შენთან მეგობრობის სურვილი სხვებსაც გაუჩნდებათ. ლიკა-ლიკ, იმოქმედე“.

კოზანოსტრა:

„მეც შენი „პაკალენიის“ ვარ და მგონი ვხვდები, რაც გაწუხებს. ხშირად იარე თეატრში, კინოში და ზოგადად, თავშეყრის ადგილებში. გამხიარულდი, გაიხსენი და ბევრ მეგობარს შეიძენ. თუ სკოლაში სიარული არ გსიამოვნებს, მაშინ სასწავლებელი უნდა გამოიცვალო. ცხოვრება წამია და უნდა ეცადო, ეს წამი გაილამაზო“.

ჭრიჭინა:

„რაში გჭირდება ამ დონის ადამი-

ანებთან ურთიერთობა? თავს რატომ იკავებ — კარგები არიან და ვერც ერთს ვერ თმობ? რადგანაც ასეთი გულქვა ადამიანები გყავს გვერდით, ჯობია, მათ დაშორდე და ცხოვრებაც თავის კალაპოტში ჩადგება. მერწმუნე, იმ უგუნურებისა და უწიგნურების გამო ნერვის ატოკებაც არ ღირს“.

ჟურნალისტკა:

„ამ წუთისოფელში უმეგობროდ თავის გატანა ძალიან ძნელია. წარმომიდგენია, ახლა როგორ გიჭირს. იცი, რა მიკვირს? შენ გვერდით ყველა ასეთი შეუგნებელი როგორ აღმოჩნდა? თუ 10 წლის განმავლობაში მათთან ურთიერთობა ვერ ააწყვე, სჯობს, სკოლა გამოიცვალო, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ახალ კლასელებსაც ვერ გაუგებ, მაშინ პრობლემა საკუთარ თავში უნდა ეძებო. წარმატებებს გისურვებ!“

ლალუშკი:

„საყვარელო, სკოლის შეცვლას ნამდვილად არ გირჩევ. რა იცი, იქნებ, ახალ სკოლაში უარეს სიტუაციაში აღმოჩნდე და მერე რას იზამ? სჯობს, კლასელებს დაელაპარაკო, მათ აუხსნა, რომ ცუდად ხარ, რადგანაც ისე გექცევიან, როგორც არ უნდა გექცეოდნენ. იქნებ ჰგონიათ, რომ მათთან მეგობრობა თავადვე არ გსურს? მერწმუნე, უმეგობროდ ყოფნა საშინელებაა, მათ ნუ დაკარგავ“.

ზოზინა:

„ძალიან ცუდ სიტუაციაში ხარ. 1 წლის წინ მეც მქონდა მსგავსი პრობლემა. ასეთი ადამიანები არა მარტო სწავლის, არამედ სკოლაში სიარულის სურვილსაც გიკარგავენ. მე ბიჭი ვარ და ეს პრობლემა სხვანაირად მოვაგვარე, შენ კი გოგო ხარ და ძალიან ცუდ პირობებში გიწევს ყოფნა. შენ გვერდით მიგულე. თუ გინდა, შემეხმიანე... ძალიან მეცოდები (ცუდად არ გამიგო). პრობლემის მოგვარება ყოველთვის შეიძლება. იცოდე, სკოლა არავითარ შემთხვევაში არ შეიცვალო. გკოცნი, ლიკ. P.S. მეც მეთერთმეტეში გადავდივარ“.

კეთილისმსურველი:

„არ არსებობს, ასე ცუდად უმიზეზოდ გექცეოდნენ. იქნებ რაღაცაში დამნაშავე შენც ხარ? ყოველ შემთხვევაში, გირჩევ, ისე ისწავლო, რომ ყველა შენ აგეკიდოს. იცოდე, თავი არავის გაუტოლო, რადგანაც შენი ღირსები არ არიან. როცა ამ ყველაფერს გააკეთებ, დამიჯერე, კლასელებთან ურთიერთობაც გამოსწორდება. სხვა სკოლაში გადასვლა და მათგან დამალვა სწორი გამოსავალი არ არის — თუ მოუნდებათ, ნებისმიერ ადგილას მოგადგებიან და დაგამცირებენ. იცოდე, ამის უფლება არავის მისცე.“

ლუნა:

„შეეცადე, მათთან ჰარმონიული ურთიერთობა დაამყარო. იცოდე, კლასელებს ყველა წვრილმანის გამო ნუ გაეკიდები, უფრო დამთმობი უნდა გახდე. თუ ბევრ სიყვარულს გასცემ, უკან მცირედი მაინც დაგიბრუნდება, ეს კი უკვე ბედნიერებაა. უმეგობროდ ცხოვრება საშინელებაა. ადამიანს მეგობარი მხოლოდ ლხინში კი არა, ჭირშიც სჭირდება. პრობლემა შენში რომ არ იყოს, ერთი მეგობარი მაინც გეყოლებოდა. სკოლის შეცვლას რა აზრი აქვს? — ბავშვობის მეგობრებთან გაქვს ცუდი ურთიერთობა და გგონია, ახლებს ადვილად შეეწყობი?.. ბევრი ერთგული მეგობრის ყოლას გისურვებ. გკოცნი!“

თამთა 18:

„ყურადღება არავის მიაქციო, მხოლოდ სწავლაზე და საკუთარ მომავალზე იფიქრე. თუ კლასელებს შენთან მეგობრობა არ უნდათ, თავს ნურც შენ მოიკლავ. დამერწმუნე, როცა სტუდენტი გახდები, მეგობრებს მაშინ შეიძენ“.

გრუზინკა:

„უფრო კონკრეტულად, რის გამო გიშლიან ნერვებს? შენი მესიჯის გათვალისწინებით რაიმეს რჩევა ძალიან რთულია. გირჩევ, მოთმინება იქონიო. სკოლას მალე დაამთავრებ და შენს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყება. აბა, სხვა რა გითხრა?..“

იკუნას სიხა:

„შენ მიმართ სხვების დამოკიდებულება „დაიკიდე“, სწავლას მიაწექი და ბევრს მიაღწევ“.

შავი მარგალიტი:

„სიმართლე გითხრა, მსგავს სიტუაციაში არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ვხვდები, რასაც გრძნობ. მაინცდამაინც კარგი მრჩეველი არა ვარ და ამიტომაც, მხოლოდ ერთს გეტყვი: მაქსიმალურად შეეცადე, სხვებს ყურადღება არ მიაქციო. ვიცი, ძნელია, მაგრამ მაინც სცადე. P.S. რაც შეეხება გასულ კვირაში გასულ რჩევებს, მინდა ვთქვა: ხალხნო, ჩვენ წმინდანები არა ვართ და შესაბამისად, სხვების გაკიცხვის უფლებაც არა გვაქვს (განსაკუთრებით, ეს ფაშისტას ეხება). ვიდრე რაიმეს წამოვაყრანტალებთ, კარგად უნდა დავფიქრდეთ“.

სანტა:

„რომ იძაბები, ამიტომაც გამწარებენ. ნუ შეიმჩნევ, რომ რაღაცები გწყინს და მათ თავადაც ეღადავე. ხომ გაგიგონია, — სადაც წახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო. ჰოდა, აჰყევი კლასელებს. მათ ეტყობა, არ იციან, რით უნდა გაერთონ“.

თეკლე:

„შენ შუაში კი არა, თავში ხარ. ალბათ თავიდანვე მიეცი კლასელებს იმის საბაბი, რომ შენთვის ნერვები მოეშალათ. მეც შენი ასაკის ვარ, მაგრამ მსგავსი პრობლემა არასდროს მქონია. რბილად რომ ვთქვათ, შენი კლასელები თავზე დაისვი და ახლა, ჩვენი საშუალებით, მათ მიწაზე დაშვებას ცდილობ. ყველას საკადრის პასუხს თუ გასცემ, ზედმეტს ვერავინ გაკადრებს. არავის მისცე შენი დამცირების უფლება“.

მისტერ:

„არ გაბედო და სკოლა არ გამოიცვალო. გინდა, რომ შენზე თქვან, სუსტიაო?! ან რა დახმარებას ითხოვ, აქ „კათარსიზი“ კი არაა (ვიხუმრე, არ გეწყინოს). სკოლაში პრობლემები მეც მქონდა. ერთი ცუდად მექცეოდა და თან ამბობდა, — არ გეწყინოს, ვიხუმრეო. ჰოდა, ერთხელაც, მას კოჭში ქვა ჩავარტყი, მერე კი „თავი ვიმართლე“, — გეხუმრე-მეთქი. მას მერე იცოცხლე, ჩემ გარშემო ერთი ადგილის ქიცინით დადიოდა. ასე რომ, ფრჩხილის ქლიბი ერთხელ მაინც უნდა ატაკო ვინმეს. მერწმუნე, ადამიანი თავს მარტოსულად მხოლოდ საპირფარეშოში გრძნობს. ჩემი რჩევაა: დაერიო იმ „მკვახე აზროვნების“ პერიოდში მყოფ ღლაპებს“. ■

„ძალიან ვიტანჯები... ქმარს ვერასდროს შევიყვარებ“

უცნობი, *25 წლის:*

„თქვენი დახმარება ძალიან მჭირდება. მართლა ცუდად ვარ, თანაც — ძალიან. 18 წლის ვიყავი, როცა ჩემმა მომავალმა მეუღლემ მოტყუებით წამიყვანა (მაშინ ის 19-ის იყო). არ მიყვარდა, უბრალოდ, მომწონდა და სახელი რომ არ შემერცხვინა, მასთან დარჩენა გადავწყვიტე. იმედი მქონდა, — შემიყვარდება-მეთქი. კარგი ცხოვრება არასდროს მქონია, სულ ვჩხუბობდით, მაგრამ ახლა ძალიან ვიტანჯები, რადგან საბოლოოდ დავრწმუნდი იმაში, რომ ქმარს ვერასდროს შევიყვარებ. ის ვერ მაძლევს იმას, რაც მჭირდება. არ მინდა, საყვარელი გავიჩინო, ვინმეს შეყვარების მეშინია. რატომ? — საყვარელმა ადამიანმა რომ მიმატოვოს, ალბათ, მოვკვდები. მე სიყვარული და ბედნიერება მაკლია... 5 წლის შვილი მყავს. ქმარი მეუბნება და მარწმუნებს, რომ ჩვენი ურთიერთობა, ცხოვრება მალე უკეთესობისკენ შეიცვლება, თანაც — აუცილებლად, მაგრამ მე ამის სურვილიც აღარ მაქვს. მან ბევრჯერ მატკინა გული, თავისი არაკაცური საქციელით და აწი რაც არ უნდა გააკეთოს, თავს ვეღარ შემაყვარებს — რა ვიცი, ასე მგონია... ძალიან ცუდად ვარ, გვერდით კი არ მეგულება ადამიანი, რომელიც ნორმალურ რჩევას მომცემს. ამიტომაც მოგმართავთ თხოვნით, — მირჩიოთ რამე და თქვენი დახმარების იმედს ვიტოვებ“.

*P.S. **მაშ ასე, თუ უცნობის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81 მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.*** ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ამჯერად „მობილი-ზაციას“ ცოტა უცნაურად დავიწყებთ და ერთ განცხადებას გაგაცნობთ (სტილი დაცულია): „გამარჯობა. გთხოვთ, დამეხმაროთ და ეს წერილი დამიბეჭდოთ ჟურნალში, სურათთან ერთად. იტალიიდან გწერთ. მე გახლავართ პირაი ვლადიმირი. ჩემი პრობლემა ასეთია: მე და ნინო მჟავანაძე უკვე სამწელნახევარია, იტალიაში, ერთად ვცხოვრობთ. მალე დაქორწინებას ვაპირებდით, რასაც საქართველოს საელჩოს მიერ გაცემული საბუთი ადასტურებს. მას ავიწროებდნენ და მე დავიცავი. ჩხუბში გავები და ამისათვის ციხეში ჩამსვეს. ის მარტო დარჩა, დამხმარეს გარეშე. წერილებს ხშირად მწერდა — ყოველ მესამე დღეს. ამ წლის 14 მარტს მას მამა გარდაეცვალა — ავთანდილ მჟავანაძე. ამ ამბის შემდეგ ნინო ცუდად იყო, ძალიან განიცდიდა (დეპრესიაში იყო). ის აქ ვადაგასული პასპორტით (არალეგალად), ფაქტობრივად — უსაბუთოდ ცხოვრობდა. საქართველოში წასვლა უნდოდა, სამსახური მიატოვა. ამის მეტი მე არაფერი ვიცი. სხვა ციხეში გადამიყვანეს და ამის გამო კონტაქტი დავკარგეთ. ის ჩაწერილია ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე. ამჟამად ცხოვრობენ თბილისში. დედა გახლავთ ნორა ხაჭაპურიძე, ძმა — დავით მჟავანაძე. თუ რამე იცით ნინოს შესახებ, აუცილებლად შემატყობინეთ. გთხოვთ! ძალიან განვიცდი! ვიმედოვნებ, რომ დამეხმარებით. ძალიან გთხოვთ, თუ შესაძლებლობა გაქვთ, ერთი ჟურნალი გამომიგზავნოთ“. იტალიიდან მოსულ წერილს თან ახლავს ნინოს პასპორტის ასლი და ნებართვა — ქორწინებაზე, რომლის ქართული ვარიანტიც თავად ავტორს გაუკეთებია. ნინოს ოჯახს ან მის ახლობლებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ნომერზე: 8.77.45.68.61

EMBASSY OF GEORGIA IN THE REPUBLIC OF ITALY, MALTA AND SAN MARINO PERMANENT REPRESENTATION OF GEORGIA TO THE UN INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN ROME (FAO, IFAD, WFP)

NULLA OSTA AL MATRIMONIO

Ai sensi dell'art.116 del Codice Civile della Repubblica Italiana e la Legislazione della Georgia si dichiara

Nulla Osta

per il matrimonio della sig.ra – **MZHAVANADZE Nino,** la cittadina georgiana, numero personale – 60001006708, numero del passaporto – 10136689, nata il 21.03.1979. a Kutaisi (Georgia). Residente in via Tabukashvili N 189, Kutaisi (Georgia).

Figlia di Mzhavanadze Avtandili (paternità) e di Khachapuridze Nora (maternità).

La quale, all'ufficio anagrafe dello Stato Civile della Georgia risulta nubile, non è stata coniugata e in conformità alla legislazione vigente in Georgia, non ci sono gli impedimenti al suo matrimonio con il sig. – **PIRAY Vladimir,** il cittadino russo, nato il 13.03.1970 a Berat (Albania), Carta d'identita' – AK 2767434.

Roma, 23.04.2008

Irakli Khutsurauli
Console

ქალები

1. ვეხმაურები 42 წლის მამაკაცს. „გზა“ №16. ვარ 40 წლის, ლამაზი ქალბატონი. თუ სურვილი გაქვთ, დამიკავშირდით ახალ ნომერში.

2. ვეხმაურები „გზა“ №16-ში გამოქვეყნებული მესიჯის გამომგზავნს, 38 წლის დათოს, ოჯახის შექმნის მიზნით.

3. თუ შეიძლება, დამიკავშირდეს 30-40 წლამდე ასაკის, თბილისელი, ნორმალური მამაკაცი, რომელსაც ოჯახის შექმნა სურს.

4. გავიცნობ სერიოზულ, დასაოჯახებელ, 20-დან 28-წლამდე ბიჭს, დასავლეთისკენ მყოფს. ვარ სიმპათიური გოგო.

5. ჟურნალ „გზის“ №16-ში გამოქვეყნებული, მე-16 მესიჯის ავტორის, 38 წლის დათოს მობილურის ნომერი გამომიგზავნეთ, თუ შეიძლება. ლელა, 32 წლის.

6. გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ, 30-40 წლამდე ასაკის, კარგ მამაკაცს, ოჯახის შესაქმნელად. გთხოვთ, ნომერი გამომიგზავნოთ, ვინც ჩემით დაინტერესდება. მარიამი, 32 წლის.

7. ვეხმაურები 55 წლის მამაკაცს. დამირეკეთ.

8. ვარ 40 წლის, გასათხოვარი, საკმაოდ ლამაზი ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38-50 წლის მამაკაცს, რომელიც იქნება დასაქმებული. მსუქნები ნუ შეწუხდებიან.

9. ვეხმაურები „გზა“ №14, მერვე განცხადებას. მეც ვარ განათხოვარი და შვილიანი მანდილოსანი.

10. ვარ საკმაოდ მოწესრიგებული, მიმზიდველი, 44 წლის, იმერეთიდან. გავიცნობ მოწესრიგებულ მამაკაცს. აუცილებლად ფინანსურად ძლიერს. სხვაგვარად არ შეწუხდეთ.

11. 30 წლის, ლამაზი, საქმიანი ქალი ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-37 წლის, მაღალ, ქერა მამაკაცს.

12. ვარ 29 წლის, სუსტი აღნაგობის, რაიონიდან. გავიცნობ 42 წლის, შეძლებულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით.

კაცები

13. გავიცნობ 27-33 წლის, სულით მდიდარ გოგოს, ვისაც სურს, ჰქონდეს ლამაზი ოჯახი. მსურველმა მომწეროს საღამოს და გამომიგზავნოს ფოტო.

14. ვეხმიანები ჟურნალ „გზის“ №22, მეორე მესიჯის ავტორ ქალბატონს, ქუთაისიდან. შემეხმიანეთ. გია.

სხვადასხვა

• იცრუო უფრო ადვილია, სიმართლის თქმაა ძნელი. შეცდომა დაუშვა — ადვილია, გამოსწორება — ძნელი. გული ატკინო, ადვილია, მოფერებაა — ძნელი. რაღაც გამახსენო, ადვილია, რაღაც დამავიწყო — ძნელი. ჩემს ღალატს რა უნდა, ადვილია, ერთგულებაა ძნელი. უარის თქმაც ადვილია, პოვნაა ცოტა ძნელი. დავიწყებაც ადვილია, მონატრებაა ძნელი. გაუფრთხილდეთ სიყვარულს. აჩრდილი.

• ჩემო საყვარელო კლეოპატრა, ძალიან რომ შემაყვარე თავი, ხვდები? ძალიან თბილი და ტკბილი ხარ, დაიკო. ფლამინგო.

• მოვიკითხავ აზიელს, გრუზის, ტირიფს, რეალს და ჩემს უძაანჯიგრეს ძამიკოს, 9717-ს. გაიხარე ძამი, ძალიან კარგი ადამიანი ხარ. ფლამინგო.

• კნუტი, თუ ისურვებ, დამიმეგობრდი. მგონია, ყველა ცუდი, გულგრილია ირგვლივო და ჩემთვისაც უცხო არ არის, ცუდი აზრების ტყვეობაში ყოფნა. შენი პრობლემები ყველაზე მტკივნეულია ზოგადად და კეთილგონიერება კიდევ, ძალიან გარგებს. მეგობრები და გულის გადაშლა ვინმესთვის, ასევე შეგიმსუბუქებს დარდს. სარვიეტა.

• მიხო, მივიღე წერილი. კარგად მესმის შენი მდგომარეობა. თავს გაუფრთხილდი. რაც შეეხება შუამავალს, მე ავიყვანე. პროფილაქტიკის ირაკლის ბიძაშვილია. ფულსაც მე ვუხდი. ეს ადამიანი ყველაფერს აკეთებს პატიოსნად. ტყუილად არაფერს მპირდება და ფულსაც არ მცანცლის. შენ რომ მომწერე, ჩემი სახელით მოვა და საქმეს გააკეთებსო, ზუსტად ისე აპირებს ესეც ამ საქმის გაკეთებას. ის თვითონ დაგელაპარაკება ამაზე. ჩვენ ძალიან ცუდ დღეში ვართ. ბინა არ იყიდება. ამ თვის ფულს ვეღარ ვიხდი. ლამისაა, გავგიჟდე. გვერდში არავინ მიდგას, სულ მარტო ვარ. ძალიან მიჭირს ამ ყველაფრის ატანა. მე ვეცდები, ყველაფერი გავაკეთო. არ მიგატოვებ, საყვარელო. მთავარია, ჯანმრთელად იყო. მამაშენი უკვე სახლშია, შენს დასთან. ალბათ ოპერაციის ფული მან გადაიხადა. არ ვიცი, მე მგონი ექვსი ათასი დაჯდა. არც ეგ ვიცი ზუსტად. შენი და არ მეკონტაქტება საერთოდ. შენს ამბავსაც არ კითხულობს. ყველამ გამოაჩინა თავისი სახე. ის ფული ორივემ მოიტანა მაშინვე და მას მერე აორთქლდნენ. ნიკაზე არ ინერვიულო, რაც შეუძლია, გვერდში მიდგას. ჩემთან არ ამჟღავნებს, მაგრამ ძალიან ნერვიულობს. მამიკულაც სწავლობს. ის ადგილები რომ წავაკითხე, სადაც მასზე წერ, ჩამეხუტა და იტირა. ნიკა ხშირად დადის ნაკვეთში. მამაოც კარგად არის. მარხვაა და ალბათ ვერ მოიცალა. ძალიან მიჭირს უშენოდ. გკოცნით ბევრს, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. მეც ბევრს ვლოცულობ შენთვის. ერთად ყველაფერს გადავლახავთ. უფალიც არ მიგვატოვებს. მიყვარხარ. მარი-მარუსა.

• განა ოდესმე მე დავწერე შენზე ლექსები?/ არა, ძვირფასო, გულმა გამოთქვა ფიქრი დარდების,/ ამ კალამმა კი შემოხაზა წრე და ხაზები/ და გაამჟღავნა საიდუმლო, გულში ნადები.

• ჩემო სიხარულო და სიყვარულო, ძალიან მიყვარხარ. მართალია, ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს, მაგრამ ჩვენ ერთად შეუძლებელს შევძლებთ. მიყვარხარ, კუკუნი. თეკლა.

• შენი თვალები უცეცხლოდ მათბობს, შენი თვალები უღვინოდ მათრობს, შენი თვალები მხიბლავს და მაკრთობს. მაგ თვალებისთვის ყველაფერს დავთმობ.

• კუტრინ, არ მივიჩნევ ყურადსაღებად ადამიანის სიტყვებს, რომლის მხოლოდ ნიკი ვიცი. იმედია, არ გამაღიმებ და არ იფიქრებ, რომ ამით შენი გაცნობის სურვილს გამოვთქვამ. კარგად იყავი, თანადამმესიჯებელო, პერსპექტიულო ჩამოუყალიბებლობავ... არა, საკაიფებელზე კაიფი, ცხოვრებით დაუნი ადამიანების დამახასიათებელია და საკუთარ თავს დაუნად მიიჩნევე? ისე, შენნაირები 4-ზე უნდა დააყენო და ისე უნდა გააპო, შე მაღალ საფეხურზე მდგომო, ბინძურო გლეხო, შენა. ხომ ხვდები, რომ მაგარი ქლესა გოგო ხაარ? მისტერ.

• ოსკარელო, მისამართი აგერია. თქვენი ჩათი მანამ ქაჩავს, სანამ ფართზე ხართ და ყოველ 1 თვეში მივდივარო, იძახით. ასე რომ, სიგიჟეს უფრთხილდი, არ გაგირთულდეს. კოზანოსტრა.

• ვაახ, კა

• ახალ მგზავნელებს: მგზავნელობა დარგია, ესთეტიკის კიდეში. ნუ გგონია, რომ შენ ამ სიყვარულით სავსე მეცნიერების წაუკითხავი გვერდი ხარ. რადგანაც ყველას ზურგი დამშვენდა გზავნილების ხურჯინით, ხედავ მათთთან მსგავსებას და შენი დამწყების სტატუსის გამო თავს მგზავნელად არ რაცხავ. ნუ გგონია, რომ ყველას ფეხებზე ჰკიდიხარ... ყველანი შენნაირ გზას გავდივართ, ამ სტატუსის მისაღწევად... აბა... ნაცნობი სიტუაციაა, მაი. ჰოდა, ნუ ჩააგდებთ „ზადნიში“, არ შეანელოთ აღებული ტემპი... დაამესიჯეთ... წაუმგზავნელეთ... თითოეული ახალი წევრის შემომატებას დიდი ყიჟინით ვეგებები(თ) ხოლმე, მიხარია, რომ ვბევრდებით და ვიზრდებით. ნუ შეწყვეტ აქტივობას, რააა. უუძალიანესად გთხოვთ. პროგრესი „გზასაც“ უნდა. ჰოდაა, მე მაქვს ზუსტად ერთი შანსი, რომ აგიხსნათ, თუ რატომ უნდა იყოთ მგზავნელი: იმიტომ, რომ აქ... შევისყიდით წელიწადის ყველა დროს, რომ სიმშვიდემ ვერასოდეს დაგვღალოს. ვცვლით ფერად სიზმრებს — ღამაზ ოცნებებზე, ვარჩენთ იმედგაცრუებას, ვხსნით დაბღვერილ წარბებს, ვაყენებთ განწყობას სასურველ ამინდზეეე... ჰოდა, შემოგვიერთდით რა, ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზაში“... :(მაარრრ, დაბადების დღეს გილოცაააავვვვვვვვვვ... ლიმონა.

• მის რეალ გეფანატები, / ოქრო ხარ ჩემი, პლატინა, / შენმა უსაზღვრო სითბომა, / თვალიდან ცრემლი მადინა./ შენი ლამაზი სახელი, / სულში რამ ჩამახატვინა. ლიმონა.

• სარვიეტას: თუ სახსრები და დროის უკმარისობა არ მაწუხებს... ე.ი. ამ მიზეზით ვიკავებ თავს, აქტიურობისგან... არ მინდა, ვინმეს ზედმეტად თვალში შევეჩხირო... ჩემთვის, მშვიდად ვმგზავნელობ. :) ტერეზა გავიცანი. კაი გოგოცუნაა, რაა, აშკარად... მითხრა, თუ მოვახერხეო, უახლოეს ხანებში თბილისში ვაპირებ ჩამოსვლასოოო. ჰოოოდა, მგზავნელნო, ქუდზე კაცი — ფეხზზეეეე... ტერეზას ჩვენებურად დავხვდეთ და გულიანდ მოვილხინოთ. თან ის გზავნილ-სიგელები ყველასათვის არ მიგვიცია, უსიგელოები მის რეალს, SWEET-GIRL-ს ან მე შემეხმიანონ და მათაც გავუკეთებთ... რავარი ნომინაციები მივეცით ბაღნებო მაშიინ?! აუ, ასეთი დღე კიდევ მინდა, ოღონდ ბუშტებს მე უკვე აღარ გავბერავ. :) ლიმონა.

• ხანდახან რა მოსაბეზრებლად მოსაწყენია, ეს ცხოვრება... მთელი დღეა, რითი არ ვეცადე, რომ გავმხიარულებულიყავი, მაგრამ ვერ მოვახერხე... ეტყობა, ამის მოხერხებასაც თავისებური განწყობა უნდა... უაზრო ფიქრით თავგამოტენილმა დავიწყე რამდენიმე საქმის კეთება და ვერც ერთს ვერ მოვაბი თავი. მერე გავედი მარტო და უაზროდ ვიბოდიალე... არც ამან მიშველა... მერე ერთ ადამიანს შეხვედრაზე უარი ვუთხარი და გული ვატკინე... მერე რა... ჩემთვისაც ბევრჯერ უტკენიათ გული... ხომ შეიძლება, ერთხელ მეც დავაგემოვნებინო ვინმეს ეს რაღაც გულისტკენა? ალბათ შეიძლება. სახლში მოვედი და იმის მაგივრად, რომ დღიურის ფურცლებზე მივაჯღაბნო ეს უაზრო ნაბოდიალევი, აგერ, ა... შენი მაილის სიმყუდროვეს ვარღვევ... კარგი, აღარ შეგაწუხებ და უხმოდ გავიძურწები აქედან... SWEET-GIRL.

• მაშინ, როცა სამყარო კანონზომიერ ფუსფუსშია გართული, ყველა თავის საქმეს აკეთებს და ამ სიჩქარეში ცოტა ვინმეს თუ რჩება დრო დაკვირვებისთვის, მე ავტობუსის ბოლო სავარძელზე მოკალათებული, ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარი თუ მტვრიან ქუჩებში მოხეტიალე, ბევრ საინტერესო წვრილმანს ვამჩნევ და ფურცელზე გადმომაქვს. რადგან ამბობენ, ოცნებები ხდებაო, მეც, გამოუსწორებელ ოპტიმისტ ახალგაზრდას, რატომ არ უნდა მქონდეს იმედი, თქვენს რედაქციასთან თანამშრომლობისა? შეთავაზება რამდენიმე ჟურნალს უკვე გავუგზავნე. ამიტომ, წინასწარ გეტყვით, ჩემი დაწერილი სტატიის, ესეს ან მოთხრობის კითხვის დროს, ძილის ან დამთქნარების სურვილი არავის გაუჩნდება. ასე რომ, თუ არ დაგეზარათ და ეს ბოლომდე წაიკითხეთ, ერთი რამ შემიძლია, დავამატო: მოუთმენლად ველი გამოხმაურებას. პატივისცემით, ნატო.

• დღეს „მსოფლიო“ იწყებაა! სპაინ გაიმარჯვებს, იმედია. :) თელაველო, ბევრნი ვართ თელაველები და ვხვდებით კიდეც ერთმანეთს, დიდი ხანია. თუ სურვილი გაქვს, დათქვი შეხვედრა და მე პირადად, მანდ ვარ. ლოვე სთარ და რეალის ფანო, გაიხარეეთ, გვამრავლოს ღმერთმა, „რეალის“ ფანები. ფლამინგო, კლეოპატრა, სანტა, 9717, ფართი არ მაქვს და ალბათ არ ჩავრთავ, კაი ხანს, მაგრამ მიყვარხააართ და არ გივიწყებთ. ლიმონა, ჩუპი, კიკო, SWEET, ოსვალდი, აბეზარა, სიკვდილა (სად გდიხარ გოგოო, დაგჭრი), სოოფ19, კახელო, ქალი ცდუნება, მენატრეეეეეთ. მის რეალი.

• მომიახლოვდი... ნუ ხრი თვალებს დაბლა დარცხვენით, /მომიახლოვდი... ნუ გგონია — მძულხარ! მიყვარხარ! / მომიახლოვდი... და იხილავ პასუხს რეალურს, / ჩემთვის ამწუთას რატომ ხარ ან სულაც, ვინა ხარ. / მომიახლოვდი... აღარ შემძრავს შენი თვალები, / მომიახლოვდი... აღარც ვნება დამივლის ტანში, / მომიახლოვდი... ჩაგაბარო, მე მსურს ვალები, ის, რაც სიყალბით ჩააქსოვე, მშვენიერ ქალში. მის რეალი.

• მიყვარს სიცილი... მაშინაც, როცა ცრემლები მახრჩობს, / როცა ძლიერ წვიმს, როცა გარეთ წვიმა, ქარია, / მაშინაც მიყვარს, როცა ვხედავ, სხვას როგორ ართობ / და ეგ სიყალბე მის მაგივრად, მე მიხარია! / ვიცი, გამკიცხავთ... უღმერთობას ალბათ დამწამებთ, / იტყვით ხმამაღლა: ეშმას კვალი ალბათ ქალია, / მაგრამ იცოდეთ, რაც კი ჩემში არის სიყალბე, / თქვენი ნეკნი ვარ და ეს ალბათ მისი ბრალია... მის რეალ.

• გამარჯობა, ახალგაზრდებო. როგორ ხართ? ერთი ნომრით დაგვიანებით გწერთ. იმედია, მაპატიეთ. მარორიტა, შენი თქმის არ იყოს, ძაან შემცირდა კაი ამბები და აღარც ძველები აქტიურობენ. 22 ნომერში კნუტის და მარიამის ამბავი რომ წავიკითხე, მაგრად მეწყინა, მაგრამ კნუტს უფრო გავუგებ, ჩემმნაირი პრობლემები აწუხებს. ჰოდა, თემა რაც გინდაო და მოვყვე რამდენიმე? ნუ, ახლა დაცვის პოლიციაში ვმუშაობ და ასეა თუ ისე, ბევრი საინტერესო ამბავი გადამხდა თუ მომხდარა. ელმავლებს დავყვებით, თავისი ტვირთითურთ ვაცილებთ, აქეთ-იქეთ. ჰოოდა, ელმავალი სანამ გაჩერდება, მანამდე ვხტებით, რომ არ ვიაროთ ზედმეტი და ეს ზედმეტად არსიარული გვღუპავს. ერთ-ერთი გაცილების დროს სომხეთის საზღვრიდან მოვდივარ, ობიექტზე მისვლის შემდეგ სახლში უნდა წავსულიყავი. ამიტომ გადავწყვიტე, გზაზე ჩემი უბნის ბაქანთან ჩამოვმხტარიყავი. გავაფრთხილე, ეს მემანქანეები, 31-ს ბაქანს რომ მივუახლოვდებით, შეანელე, ჩავფრინდები-მეთქი. კარგი, ბატონოო. მივუახლოვდით ამ ბაქანს, დავდექი ელმავლის კიბეებთან და ვიცი, უნდა შეანელოს და ჩავხტე, მაგრამ შენც არ მომიკვდე. პირიქით, მოუმატა (ალბათ დაავიწყდათ). ჰოდა, დამეზარა გაყოლა ბოლომდე. დაიწყო ბაქანი. დავდგი ფეხი, ჯერ ხელები მიდის, მერე — თავი, მერე ტანი და ბოლოს — ფეხები (გულში გავიფიქრე, რა მაღალი ვყოფილვარ-მეთქი). ჰოდა, გავუშვი ხელი თუ არა, მივდივარ დაჭრილი გედივით, ვიქნევ ხელებს, ფეხებს, გადავეშვი ამ ბაქნიდან პიიირდაპირ... მაყვლის ბუჩქებში. იცოცხლე, ფრენის დროს მაყვალიც კარგად ვჭამე და ბუჩქებში ზღარბიც დავინახე. იმას ცალკე გაუსკდა გული, აქეთ — მე. კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა იყო: ამჯერად თურქეთის საზღვარზე ვიყავი და ჩამოხტომისას ფეხი ცუდად დავდგი. ჰაერში ერთი კარგად დავბზრიალდი და დავეხეთქე აირბაგით.)) იქ მყოფებმა, ეს რა აკრობატი გამოუგზავნიათო და გულიანად იცინეს. ჩემთვის ეკითხათ, მეცინებოდა? მაგრამ მერე მეც კარგაც ვიცინი ხოლმე. მარ, დაიბეჭდება ეს, ნეტავ? რა ვიცი, აბა... ჰოდა, ახალისმაგვარი ვარ და თუ დავწერ, ადუ ნიკით. გკოცნით და გეხვევით ყველას.

• დათო ბ-ს მარისგან. ვიყავით ჩამოსულები ხუთშაბათს, მაგრამ... იქნებ შემეხმიანო, ამ კვირაში ჩამოვალ და განცხადებას დავტოვებ. კარგად ვართ, არ ინერვიულო. მარი, ნიკა, მაკა.

გილოცავ!

• იმერლიშვილო, გილოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი საყვარელ ოჯახთან ერთად. სიხარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეს. გკოცნით. მზია და თამუნა.

• მაკა სილაგაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. შენს ღამაზ ოჯახთან ერთად ბედნიერი დღენი გევლოთ. უფლისაგან დალოცვილი იყავით, მარად. იხარეთ და იბედნიერეთ. თამილა.

• ჩემს დისშვილს, მონიკა მანაგაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 4 ივნისს. ჩემო პატარავ, ღამაზი ბავშვობა გქონოდეს და შენი მომავლით ყველა გაგეხარებინოს. თაკო დეიდა.

• ლილი სვანიძეს, ღვაწლმოსილ პედაგოგს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სულის სიმშვიდეს. ყველას გვიყვარხართ და გაფასებთ. თაბორის საჯარო სკოლა.

• მინდა, ჩემს ძვირფას დაიკოს, უსაყვარლეს, უთბილეს და უმშვენიერეს ედელვაისს ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს. დაიკო, ჩემი განძი ხარ, ბრილიანტი, საყვარელო. ფლამინგო.

• ჩემს პატარა ბიძაშვილს, გიო გელაშვილს ვულოცავ იუბილეს, კეთილი სურვილებით. ძალიან მიყვარხარ, ჩემო ცისფერთვალება ბიჭო. გილოცავთ მთელი ოჯახი! ლუნა.

• ჩემს უსაყვარლეს შვილიშვილს, გიორგი გელაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს! ღმერთმა მრავალს დაგასწროს, შენს ოჯახთან ერთად! მიყვარხარ ძალიან. შენი ბებია.

• ეკა ლოლაშვილო, დაბადების დღეს გილოცავ, მრავალს დაგასწროს უფალმა, ტკბილ ოჯახთან და ნათესავებთან ერთად. მალე შენს ქორწილში მექეიფოს. გკოცნი. მზია.

• ლოლაშვილო, გილოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, ოჯახთან და ნათესავებთან ერთად. ვუერთდები მზიას სურვილს. გკოცნით. თამუნა, ნათია, ნიკა სტურუები.

• ეკა ლოლაშვილო, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, ოჯახთან ერთად. სიხარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეს, ჯიგარო. გკოცნი. ნათელა ნარიმანიშვილი.

• ეკა ლოლაშვილს: დაბადების დღეს გილოცავ, ეკა დეიდა. მრავალს დაესწარი. ჩემი წყალი გადაგსხმოდეს. გკოცნი. ნათია სტურუა-ბიწაძე, თავისი ტკბილი ოჯახით.

• 15 ივნისს ნათია ქიმაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, წინსვლას ცხოვრებაში, უფლის წყალობას. მე შენ გულში მიყვარხარ. ელეონორა ჩადუნელი!

• ქუთაისში პატარა კაცუნას, გუჯა უგლავას ვულოცავთ 2 წლის შესრულებას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და უდარდელ ბავშვობას. შენი დედიკოს დაქალები, ინგა ჭანია და ია ძიძიგური.

• სენაკელო რევაზ ჯოჯუა, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს, საყვარელ ოჯახთან ერთად. რიტა, ედო და პაწუა ნანა.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფოტო, რომელმაც ნარნარა დაკარგა

• „ელექტრომონტიორი შვებულებაში“.

• „ელექტრომონტიორი პენსიაზე“.

• „შემცირებული“ ელექტრომონტიორი“.

• „კაცი — კოალა“

• „ყველაფერი საწყისს უბრუნდება“.

• „მითი იმის შესახებ, რომ ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა, ტყუილია — მამაკაცები მაიმუნებად დარჩნენ“.

• „ვის ვის და მე კი ზამთრის არ მეშინია“.

• „ახლა ავალ და სამყაროს ზევიდან გადმოვხედავ“.

• „ვინ ჩამოკიდა ჩემი ტანისამოსი ხეზე?“

• „არ ვიცოდი, სურათს თუ მიღებდნენ, თორემ გავიღიმებდი“.

• „სახე არ გამოაჩინოთ“.

• „პრეზიდენტმა მითხრა, თუ არჩევნებს ვერ მოიგებ, შიშველტიტველს დაგტოვებ და სახლსაც არ გაღირსებო. აასრულა სიტყვა“.

• „სად გაუკეთებიათ საარჩევნო უბანი?!“

• „უცებ გავიდა ზაფხული,
და შემოდგომაც წავიდა,
არ მეშინია სიცივის,
რადგანაც სქელი ტყავი მაქვს“.

• „არადა, ჩემოდანიც რომ გამოეტანებინათ სახლიდან, კარგი იქნებოდა“.

• „აქ ჩემს ბედისწერას ვეძალები“.

• „ნუდისტი თოვლის ბაბუა — ნაძვის პლაჟზე“.

• „თოვლის ბაბუა, ჩვენს პრეზიდენტთან ვიზიტის შემდეგ“.

• „გუშინ საგადასახადო მესტუმრა ფირმაში“.

• „ვაქირავებ ტოტს, მარტოხელა ქალზე“.

• „განცხადება: ავდივარ ნებისმიერ ხეზე და ჩამომყავს შინიდან გაქცეული ქმრები“.

• „თავგადასავლების მოყვარული თოვლის ბაბუა“.

• „ბიზნესის ჩაძირვის შემდეგ“.

• „აი, სად ემალება ჟურნალისტებს შალვა ნათელაშვილი“.

• „12 საათის შემდეგ კონკიად კი არა, შიშველ კაცად გადავიქეცი“.

„ალფონსი საოცრებათა ქვეყანაში“.

■

ტაიმ-აუტი

მძინარა საქმოსნები

* მით ლი ჰადვინი დღისით ძიძად მუშაობს. ღამე, ძილში კი სიურრეალისტურ ნახატებს ქმნის. საინტერესო ისაა, რომ გამოღვიძებულს არ ახსოვს, ღამე რას აკეთებდა.

უფრო მეტიც, დღისით ვერ ხატავს. მით ლი 4 წლის იყო, როცა საწოლიდან მძინარე დგებოდა და კედლებზე, შპალერსა და ტანსაცმელზე ხატავდა. მშობლებს ეგონათ, რომ ასაკის მატებასთან ერთად, ბიჭი ძილში სიარულსა და ხატვას გადაეჩვეოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ახლა ძილის წინ ჰადვინი საწოლთან ფანქარსა და ფურცლებს იმარაგებს, რათა შპალერი და ტანსაცმელი გადაარჩინოს, დილით გამოღვიძებულს კი ახალი შედევრები ხვდება. მისი ნახატებით არაერთი გალერეა დაინტერესდა და შესაძლოა, ცოტა ხანში მძინარე მხატვრის ტილოები გამოიფინოს.

* 55 წლის შეფ-მზარეული რობერტ ვუდი, უკვე 40 წელია, ძილის დროს 5-6-ჯერ დგება, კერძი რომ მოამზადოს. ■

დაბადების ადგილი – ხე, ფოსტა ან მატარებელი...

* მოზამბიკელმა ფეხმძიმე ქალმა ჩენძამ ხეზე შვილი გააჩინა. მშობიარობამდე რამდენიმე დღით ადრე, მის სოფელში მდინარე ადიდდა, რომელშიც ნიანგები და წყლის შხამიანი ცხოველები ბინადრობდნენ და მოსახლეობამ თავი ხეებს შეაფარა. მათ შორის — ჩენძამაც. მშობიარობიდან მეოთხე დღეს დასუსტებული დედა და ახალშობილი ხიდან „წითელი ჯვრის“ წევრებმა ჩამოხსნეს.

* ამერიკელი დანიელა მილერი ვანკუვერის ერთ-ერთ „მაკდონალდსში“ მუშაობდა. ერთ დღეს თავი ცუდად იგრძნო და მოსასვენებელ ოთახში შევიდა. ქალს წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ფეხმძიმედ იყო და უფრო მეტიც, უნდა ემშობიარა. მეგობრის მოსანახულებლად შესულმა თანამშრომელმა „სასწრაფო“ გამოიძახა და ცოტა ხანში ქალმა ჯანმრთელი, 2500-გრამიანი ბავშვი დაბადა.

* ინგლისელი სონია ნასიმენტო ფოსტაში, მობილური ტელეფონისთვის ანგარიშის შესავსებად შევიდა და იქვე იმშობიარა. მშობიარობაში ფოსტალიონები დაეხმარნენ და ჩვილი ფოსტის სასწორზე აწონეს. ფოსტის თანამშრომლები გახარებულები იყვნენ, რომ ასეთი „ბანდეროლის“ აწონა მოუხდათ.

* გერმანელმა ნიკოლა დემელერმა შვილი თვითმფრინავში, 10 ათას მეტრ სიმაღლეზე გააჩინა. მგზავრს მშობიარობაში სტიუარდესა დაეხმარა. ავიაკომპანიამ დედა-შვილი კუბაში მოგზაურობის საგზურით დაასაჩუქრა.

* ერთმა ინგლისელმა ქალმა ბავშვი ლონდონის მეტროში გააჩინა.

* აშტონ ლი სიმოლა საავადმყოფოს ლიფტში გაჩნდა, რადგან დედამ სამშობიარო ბლოკში შესვლა ვერ მოასწრო.

* ინდოეთში ცოტათი უჩვეულო და დაუჯერებელი ამბავი მოხდა. მატარებლით მგზავრობისას ფეხმძიმე ბხური კალბი საპირფარეშოში შევიდა, იქვე იმშობიარა და ახალდაბადებული უნიტაზიდან რელსებზე ჩაუვარდა. შოკის მომგვრელი მშობიარობის შემდეგ ქალმა მეუღლისა და გამცილებლის დახმარებით, მატარებელი გააჩერებინა და ცოცხალ, უვნებელ ბავშვსაც მიაგნო. ■

მოამზადა რუსუდან გელაშვილმა

ზღვის ამოუხსნელი საიდუმლოებანი

ეშმაკთან გარიგება

მეზღვაურებში პოპულარული ლეგენდა — „მფრინავი ჰოლანდიელი“, ამავე სახელწოდების გემზე XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე გაჩნდა. აღნიშნული გემი მისი კაპიტნის — ჰოლანდიელი ვან დერ სტრაატენის ცოდვების გამო ზღვის გაშლილ სივრცეში სამუდამო ხეტიალისთვის იყო განწირული. საზღვაო ფოლკლორში ჩახედულნი ირწმუნებიან, რომ იალქნებგაშლილი გემი წყლის ზედაპირზე ცოფიანივით დაქროდა და მის ჩონჩხებად ქცეულ ეკიპაჟთან შეხვედრა სიცოცხლისთვის უკიდურესად სახიფათო გახლდათ.

ერთ-ერთი ვერსიით, ვან დერ სტრაატენი ისეთი გამოუსწორებელი ლოთი, საშინელი მკრეხელი და ღვთისმგმობი იყო, რომ ხშირად მისი საქციელი თვით ყველაფერს შეჩვეულ მეზღვაურებსაც კი აღაშფოთებდა. ერთ-ერთი მორიგი ზღვარს გადასული ლოთობის დროს სტრაატენმა თავისი ძმაკაცების — კაპიტან ბერნარდ ფოკისა და გრაფ ფონ ფალკენბერგის წინაშე დაიქადა, რომ ღვთისა და ეშმაკის ჯიბრზე, კეთილი იმედის კონცხს (აფრიკის სამხრეთი კიდე) აუცილებლად შემოვუვლი, ამის გასაკეთებლად მთელი დარჩენილი ცხოვრებაც (განკითხვის დღის ჩათვლით) რომ დამჭირდესო. ლეგენდის სხვა ვერსიის თანახმად, „მფრინავი ჰოლანდიელის“ კაპიტანმა ეშმაკს ნაძლევი დაუდო, რომ თავისი გემით ევროპიდან ვესტ-ინდოეთამდე სამიოდე თვეში ჩავიდოდა, რის გამოც ეშმაკმა მისი გემის იალქნები უმართავ ლითონის ფურცლად აქცია.

ნებისმიერი გემი, რომელიც ზღვაში „მფრინავ ჰოლანდიელს“ გადაეყრებოდა, განწირული იყო. საუკეთესო შემთხვევაში გემი ნაპირზე გაირიყებოდა, მის ეკიპაჟს კი სიგიჟე შეიპყრობდა.

თუმცა „მფრინავ ჰოლანდიელზე“ შექმნილი ლეგენდის თვით ყველაზე თავგადაკლული მიმდევრებიც კი მიიჩნევენ, რომ ეს მაინც მხოლოდ ლეგენდაა და მეტი არაფერი. სამაგიეროდ, მათ დაბეჯითებით სჯერათ, რომ ოკეანის უნაპირო სივრცეებში არსებობს ადამიანის გონებისთვის სრულიად მტრული და მოუხელთებელი „რაღაც“, რასაც ადამიანების აზრების „შეჯერება“ და მათ წინაშე ზუსტად ისე ტრანსფორმირება შეუძლია, რა ფორმასაც მას იმ მომენტისთვის თავად თვითმხილველები მისცემენ.

1948 წლის 8 თებერვალს ჰოლანდიურმა გემმა — „ურანე მედაიმ“ უბედურების სიგნალების გაშვება დაიწყო. „... დაიღუპა ყველა ოფიცერი და კაპიტანი... ცოცხალი მარტო მე დავრჩი...“, — იტყობინებოდა რადისტი, რომლის ბოლო ფრაზაც „ვკვდები...“ აღმოჩნდა. მაშველებს, რომლებიც გემზე რამდენიმე საათის შემდეგ ავიდნენ, მისი ეკიპაჟის უკლებლივ ყველა წევრი მკვდარი დახვდათ.

მიუხედავად იმისა, რომ მათ არანაირი ჭრილობა თუ სხვა დაზიანება არ ჰქონდათ მიყენებული, გარდაცლილებს სახეზე მაინც აუწერელი საშინელების განცდა აღბეჭდვოდათ. გვამების გაკვეთამ აჩვენა, რომ ეკიპაჟის ყველა წევრი გულის უეცარი გაჩერების შედეგად გარდაიცვალა.

რა იყო ეს?.. გემი-მოჩვენების ხილვით გამოწვეული პანიკური შიშის შედეგი თუ ადამიანის ენერგიით ნაკვები იმ იდუმალი „რაღაცის“ მორიგი გამოვლინება, რომელთანაც შეხვედრა შესაძლებელია, გადარჩენა კი — არა!

მისტიკა თუ რეალობა

1892 წლის შემოდგომაზე ვეშაპებზე მონადირე გერმანელები ინდოეთის ოკეანეში სანახევროდ ჩაძირულ და ქარიშხლისგან გვარიანად დაზიანებულ ინგლისურ გემს — „ლედი ჰორტენზიას“ გადაეყარნენ. როცა გერმანელები დაზიანებულ გემზე ავიდნენ, სულ-ერთაგან იქ მხოლოდ შავი კატის კნუტი, სავახტო ჟურნალში კი ერთი დღის წინ გაკეთებული შემდეგი ჩანაწერი აღმოაჩინეს: „ლედი ჰორტენზია“ სერიოზულად დაიხვრიტა და მალე ჩაიძირება. გემს ვტოვებთ“.

გერმანელ მეზღვაურებს იმ მომენტში უცნაური გემის უახლოეს პორტში ბუქსირით მისაყვანად არ ეცალათ. ამიტომაც კნუტი თავად შეიფარეს, გემიდან წამოღებული სავახტო ჟურნალი კი მოგვიანებით ნაპირზე, საზღვაო უწყების ჩინოვნიკებს გადასცეს.

ასი წლის შემდეგ, 1993 წელს, ავსტრალიური თევზსაჭერი გემი — „კეროლ დარინგი“ მადაგასკარის მახლობლად იმყოფებოდა, როცა შებინდებამდე მცირე ხნით ადრე, ცა მძიმე ღრუბლებით დაიფარა და ირგვლივ გაუვალი ნისლი ჩამოწვა, — „მფრინავი ჰოლანდიელი!“ — იყვირა უცბად ვახტზე მდგომმა მეზღავაურმა. ყველანი გემბანზე გაცვივდნენ და დაინახეს, მარჯვნივ უცნაურად გადახრილმა გემმა გვერდით როგორ ჩაუქროლა. მეზღვაურებმა ბინდბუნდში გემის სახელი „ლედი ჰორტენზია“(!) ძლივს გაარჩიეს.

საზღვაო ისტორიაში კარგად ჩახედულ „კეროლ დარინგის“ კაპიტან სევიჯ ბრუკლის მაშინვე საუკუნის წინანდელი ამბავი გაახსენდა. მეზღვაურებისგან სასწრაფოდ ჩამოყალიბებულ ჯგუფს სათავეში თავად ჩაუდგა და სანახევროდ ჩაძირული გემისკენ გასწია. გემზე ასულ მეზღვაურებს იქ ზუსტად ისეთივე შავი კატის კნუტი, სავახტო ჟურნალში კი იგივე ჩანაწერი („ლედი ჰორტენზია“ სერიოზულად დაიხვრიტა და მალე ჩაიძირება. გემს ვტოვებთ“) დახვდათ.

„დალახვროს ეშმაკმა, ეს რა ვერაგული მისტიფიკაციაა?“ — გაოცდა ბრუკლი და უცნაური გემის კვალში ჩადგომის ბრძანება გასცა, რათა გათენებისთანავე უახლოეს პორტში ბუქსირით მიეყვანა, მაგრამ როგორც კი მზე ამოიწვერა და ნისლი გაიფანტა, აღმოჩნდა, რომ „ლედი ჰორტენზიაცა“ და იდუმალი კნუტიც უკვალოდ გამქრალიყვნენ...

მოჩვენებების მაგნიტი

საზღვაო სტატისტიკის თანახმად, ავსტრალია „მფრინავ ჰოლანდიელებს“ თავისი ნაპირებისკენ პირდაპირ მაგნიტივით იზიდავს.

2007 წლის აპრილის ბოლოს, ავსტრალიური პორტი ერლი ბიჩი თორმეტმეტრიანმა იახტა „Kaz II“-მა დატოვა. მასზე 56, 63 და 69 წლის მამაკაცები იმყოფებოდნენ. მათგან ორი ერთმანეთის ნათესავი, მესამე კი მათი საერთო მეგობარი იყო. მამაკაცებს იახტის კონტინენტის დასავლეთში მდებარე პორტ — „ტაუნსვილში“ გადაყვანა ჰქონდათ დაგეგმილი. მოგვიანებით, ცარიელი იახტა მაშველებმა ტაუნსვილიდან 80 მილში აღმოაჩინეს. მას დაზიანების არანაირი კვალი არ ეტყობოდა.

ძრავა ჩართული იყო, კომპიუტერები, რადიოსადგური და კაიუტაში აღმოჩენილი ნოუტბუკიც სრულიად გამართულად მუშაობდა. იახტაზე მხოლოდ ადამიანები გამქრალიყვნენ. არადა, იახტის სამზარეულოს მაგიდაზე მდგარ საჭმელს ჯერ კიდევ ორთქლი ასდიოდა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ ეკიპაჟი ის-ის იყო, ვახშმობას უნდა შესდგომოდა...

მაშველებმა ათი თვითმფრინავითა და ორი ვერტმფრენით 700 კვადრატული მილი ტერიტორია გულდასმით დაათვალიერეს, მაგრამ 3 დაკარგული პენსიონერის კვალსაც კი ვერსად მიაგნეს...

2006 წლის მარტში, ავსტრალიის ხელისუფლებამ კარპენტარიის ყურეში მოდრეიფე ტანკერ — Jian Seng-ზე სიცოცხლის კვალი ვერ აღმოაჩინა. სანავიგაციო სისტემებიც მწყობრიდან იყო გამოსული და ძრავაც გამორთული გახლდათ. მისი ჩართვა ბოლომდე ვერ მოხერხდა. მანამდე მსგავსი „მფრინავი ჰოლანდიელი“ 2003 წლის იანვარში, ავსტრალიის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირებთანაც გამოჩნდა. მოდრეიფე შხუნის ტრიუმები დაჭერილი თევზით იყო სავსე, მაგრამ 12 მეზღვაური (სავახტო ჟურნალში გაკეთებული ჩანაწერის მიხედვით, შხუნის ეკიპაჟი სწორედ ამდენი ადამიანისგან შედგებოდა) აღარსად ჩანდა. ეკიპაჟის ზღვაში ძებნის მცდელობებმა, ისევე, როგორც შხუნის გულმოდგინე დათვალიერებამ, შედეგი ვერ გამოიღო. ბორტზე ვერც ერთი მაშველი კანჯო ვერ იპოვეს. ასევე არ აღმოჩნდა დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც ეკიპაჟის წევრთა ვინაობის დადგენა გახდებოდა შესაძლებელი. ავსტრალიის ხელისუფლების წამომადგენელთა მტკიცებით, იმ პერიოდში პრაქტიკულად, არანაირი და მით უფრო ისეთ კატაკლიზმები არ ყოფილა, რომლებსაც მეზღვაურების ასე უკვალოდ გაქრობა შეეძლო.

მკვლელი ინფრაბგერა

ყველაზე მეტი გემი-აჩრდილი მაინც ჩრდილოეთ ატლანტიკაში ჩნდება. სტატისტიკის თანახმად, „იქაურ“ მფრინავ ჰოლანდიელთა რიცხვი 300-ს აღწევდა. ამ იდუმალ მოვლენას სხვადასხვა მეცნიერი სულ სხვადასხვა ახსნას უძებნის. მათგან ერთ-ერთი გასულ საუკუნეში მოღვაწე რუს მეცნიერ-შულეიკინს ეკუთვნის.

შულეიკინის მტკიცებით: „შტორმის რაიონებიდან ვრცელდება ინფრახმოვანი რხევები, რომლებიც ადამიანის ფსიქიკაზე არასახარბიელო ზემოქმედებას ახდენს. სუსტი რხევები მას შეშფოთებისა და შიშის განცდას უჩენს, ძლიერი (საშუალოდ, 6 ჰერცის სიხშირისა) კი წყლის ზედაპირზე იმდენად სწრაფად ვრცელდება, ხატოვნად რომ ვთქვათ, თავის გზაზე ყველასა და ყველაფრის წალეკვა შეუძლია. ულტრახმოვან ზონაში უნებლიეთ მოხვედრილ გემზე გარკვეული გარემოების შემთხვევაში შეიძლება, ყველაფერმა ვიბრირება და მტვრევა დაიწყოს. მოულოდნელად თავს დამტყდარი შიშისა და აუტანელი ხმაურის გამო მეზღვაურებს პანიკა იპყრობს. ისინი ფიქრობენ, რომ გემს თავად ეშმაკი დაეპატრონა და მთელი ამ საშინელებისთვის რაც შეიძლება, სწრაფად თავის დასაღწევად, პირდაპირ ღია ზღვაში ცვივიან. გარკვეული დროის შემდეგ ყველაფერი მშვიდდება და ოკეანის ზედაპირზე კიდევ ერთი მკვდარმეზღვაურებიანი, ანდა სულაც ცარიელი „მფრინავი ჰოლანდიელი“ რჩება“.

ადამიანებზე დამღუპველად მოქმედი ღია ზღვაში გაჩენილ ულტრახმოვანი რხევების თეორიას არაერთი თანამედროვე მეცნიერიც ემხრობა. მათი თქმით, საზღვაო ხომალდების (მათ შორის 1997 წელს, იაპონიის ნაპირებთან ტანკერ — „ნახოდკის“) იდუმალი დაღუპვა მეტეორიტების ელექტროგანმმუხტავი აფეთქებებით აიხსნება.

მეცნიერთა აზრით, ზებგერითი სიჩქარით მქროლი მეტეორიტი ჰაერთან ხახუნის შედეგად გიგანტურ პოტენციალს იძენს. ხოლო როცა პლანეტის ზედაპირამდე თითზე ჩამოსათვლელი კილომეტრებიღა რჩება, შეიძლება, მეტეორიტსა და დედამიწას შორის ელექტრული ხვრელიც კი გაჩნდეს. ამ დროს ზღვაში გასული გემების შვერილი ნაწილებიდან მუხტების თავისებური ჩამოღვენთა იწყება. თავიდან ამ მოვლენას თან ახლავს მზარდი სტვენისა და შიშინის ხმები. მათი ინტენსივობა ყოველწამიერად მატულობს და თანდათან სმენისთვის სრულიად აუტანელ ინფრახმოვან დიაპაზონში გადადის. ამის შედეგად კი ადამიანებს აუხსნელი პანიკა იპყრობს, რომელსაც გემზე არსებული საგნების მტვრევა-მსხვრევა და სახეცვლილება (შეიძლება, ანძებმა, მილებმა და ანტენებმა ნათებაც დაიწყონ) ახლავს. გემბანზე გამოცვენილი ადამიანები უჩვეულო სურათის მოწმენი ხდებიან: თავიდან წყლის ზედაპირზე სინათლის სხივები გაიელვებს და ტალღების ქიმები ნათებას იწყებს. შემდეგ, ელექტროსტატისტიკური ძალების ზემოქმედებით, ტალღებზე „მოხდილი“ ქაფი და წყლის შხეფები ჰაერში ადის და წყლისა და ჰაერის ეს უცნაური ნაზავი ერთგვარ „მდუღარე“ ფენას ქმნის, რომელშიც შეიძლება, ახლო მყოფი ხომალდები სულ ადვილად „ჩაიძირონ“. ასე მაგალითად, 1935 წელს იტალიური ლაინერ „რექსის“ მეზღვაურებმა საკუთარი თვალით ნახეს, წყალში ნელ-ნელა როგორ ჩაეშვა მათ გვერდით მცურავი გემი — „ლა-დომაჰა“. თუმცა მომხდარით დათრგუნვილი მეზღვაურები კიდევ უფრო იმან დაზაფრა, როცა რამდენიმე დღის შემდეგ „ლა-დომაჰა“ ისევ წყლის ზედაპირზე (ოღონდ უკვე ეკიპაჟის გარეშე) მცურავი დაინახეს.

მკვლევართა აზრით, მსგავსი „ჩაძირვა-ამოყვინთვა“ მეცნიერულად მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ გემი თავად ზღვაში კი არა, არამედ მხოლოდ ზღვის ზედაპირთან მეტეორიტის მიახლოებით გაჩენილ წყლისა და ჰაერის ნაზავში იძირება. საზღვაო გეოლოგიით დაკავებული მეცნიერები კი იმასაც დასძენენ, რომ ღია ზღვაში ხომალდების ეკიპაჟების იდუმალი გაუჩინარება ზღვის სიღრმეებიდან მის ზედაპირზე ნახშირორჟანგის შემცველი გაზის სწრაფი ამოსვლის შედეგია...

ამოუხსნელი გამოცანა

2006 წლის აგვისტოში იტალიაში, სარდინიის ნაპირებთან ძველებური იალქნიანი გემი გამოჩნდა, რომლის ბორტზეც სამართალდამცველებმა არათუ ვერც ერთი სულიერი, რაიმე ხელჩასაჭიდი დოკუმენტიც კი ვერ აღმოაჩინეს. ამდენად, ვერც იმის გარკვევა მოხერხდა, თუ საიდან ჩამოვიდა ეს იდუმალი გემი. ამის შემდეგ საქმეში იტალიის საიდუმლო სამსახურები და ინტერპოლი ჩაერთვნენ, თუმცა სრულიად უშედეგოდ.

გემი, რომლის კაიუტებშიც ჩრდილოაფრიკული ზღვების ფრანგული რუკები, ლუქსემბურგის დროშები, ეგვიპტური საჭმლის ნარჩენები და ძველი ტანსაცმელი აღმოჩნდა, ბოლომდე გამოცანად დარჩა. ერთადერთი, რისი ზუსტად გარკვევაც მოხერხდა, ეკიპაჟის წევრებს შორის ქალის (გემზე ქალის თმის ხვეული აღმოჩნდა) ყოფნა იყო. ამას ადასტურებს გემის ბორტზე ნაპოვნი ფირფიტაც წარწერით Bel'Amica („მშვენიერი მეგობარი ქალი“).

ამ გემისადმი გამორჩეული ინტერესი იმანაც განაპირობა, რომ ის იტალიის ამჟამინდელი პრემიერის — სილვიო ბერლუსკონის ვილიდან სულ რაღაც 100 მეტრში აღმოაჩინეს. ამდენად სამართალდამცველებს, ყველა სხვასთან ერთად, არც ბერლუსკონიზე თავდასხმის ვერსია გამოურიცხავთ. თუმცა ადგილობრივმა პარაფსიქოლოგებმა თავიდანვე მშვიდად განაცხადეს, იდუმალი გემი სხვა არაფერი იყო, თუ არა საშიშ ბერმუდის სამკუთხედს თავდაღწეული ერთ-ერთი მორიგი „მფრინავი ჰოლანდიელი“... ■

შვედეთი 1958

ფინალური ტურნირი 8-29 ივნისს მიმდინარეობდა.

მონაწილეები: შვედეთი, ჩრდილო ირლანდია, ჩეხოსლოვაკია, გფრ, არგენტინა, შოტლანდია, იუგოსლავია, საფრანგეთი, პარაგვაი, მექსიკა, უნგრეთი, უელსი, ბრაზილია, ავსტრია, ინგლისი, საბჭოთა კავშირი.

გათამაშების სისტემა: გუნდები ოთხ ქვეჯგუფად არიან დაყოფილები, სადაც მეტოქეები წრიული სისტემით თამაშობენ. თითოეული ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გუნდი მეოთხედფინალში გადის, საიდანაც ასპარეზობა ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობს.

გაიმართა: 35 მატჩი. დაესწრო 868000 მაყურებელი (საშუალოდ 24800 კაცი თითო შეხვედრას).

გოლები: გავიდა 126 გოლი (საშუალოდ 3,6 თითო შეხვედრაში).

საუკეთესო ბომბარდირი: ფონტენი (საფრანგეთი, 13 გოლი).

ფინალი: ბრაზილია — შვედეთი (5:2).

29 ივნისი. სტოკჰოლმის „როსუნდა“ — 518000 მაყურებელი.

გოლები: ვავა (9, 32); პელე (55, 90); ზაგალო (68) — ლიდჰოლმი (3); სიმონსონი (80).

მსაჯი: გიგი (საფრანგეთი).

ბრაზილია: ჟილმარი, დ. სანტოსი, ნ. სანტოსი, ზიტო, ბელინი, ორლანდო, გარინჩა, დიდი, პელე, ვავა, ზაგალო.

შვედეთი: სვენსონი, ბერგმარკი, აკსბომი, გუსტავსონი, ბერიესონი, პარლინგი, ჰამპინი, ლიდჰოლმი, სიმონსონი, გრენი, სკეგლუნდი.

სიმბოლური ნაკრები: გრეგი (ჩრდილო ირლანდია), ბერგმარკი (შვედეთი), ბელინი (ბრაზილია), ნ. სანტოსი (ბრაზილია), ზიტო (ბრაზილია), შიმანიაკი (გფრ), გარინჩა (ბრაზილია), დიდი (ბრაზილია), სკეგლუნდი (შვედეთი), ფონტენი (საფრანგეთი), პელე (ბრაზილია).

„ფეხბურთის მეფის“ დაბადება

1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორად შვედეთის შერჩევა, უპირველესად პოლიტიკური მოსაზრებით იყო განპირობებული (ქვეყანას ნეიტრალური პოზიცია ეკავა), თუმცა სამხრეთ ამერიკასა და ევროპას შორის მუნდიალის მონაცვლეობით ჩატარების პრინციპი მაინც დაირღვა, რადგან წინა ტურნირს შვეიცარია მასპინძლობდა.

შვედეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ნაკრების დებიუტი შედგა. დებიუტანტებს კენჭისყრისას ნამდვილად არ გაუმართლათ. საბჭოელები ყველაზე ძლიერ ქვეჯგუფში მოხვდნენ — ავსტრიის, ინგლისისა და ბრაზილიის გუნდებთან ერთად. მიუხედავად ამისა, „წითელთა“ გუნდს ტურნირი ურიგოდ არ დაუწყია და პირველ ორ მატჩში 3 ქულა მოაგროვა (2:2 ინგლისელებთან, 2:0 ავსტრიასთან; იმხანად მოგებაზე მხოლოდ 2 ქულა იწერებოდა). ასეთივე შედეგი აჩვენეს ბრაზილიელებმაც, რომლებთანაც საბჭოთა ნაკრებს ბოლო ტურში უნდა ეთამაშა. ამ შეხვედრაში მეოთხედფინალში გამარჯვებული გუნდი ავტომატურად გადიოდა.

გადამწყვეტ მატჩში ბრაზილიელებმა თავიანთი „საიდუმლო იარაღი“ გამოიყენეს და გარინჩა და 17 წლის პელე მოედანზე პირველად გაიყვანეს. ამ ფეხბურთელების შესახებაც იმხანად არავის არაფერი სმენოდა.

შემადგენლობაში გარინჩას შეყვანას, მთავარ მწვრთნელ, ფეოლასაგან, ჟურნალისტთა ჯგუფი და თავად ბრაზილიელი ფეხბურთელები (კაპიტან ბელინის ინიციატივით) მოითხოვდნენ, რომლებიც ინგლისელებთან უგოლოდ დასრულებული მატჩით უკმაყოფილონი იყვნენ. თვით გარინჩამაც წაუყენა ულტიმატუმი ფეოლას — ან მათამაშე, ან პირდაპირ ბრაზილიაში გავემგზავრებიო. მწვრთნელი, რომელიც გარინჩას ანარქიული ხასიათის გამო არ სწყალობდა, იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო.

როგორც კი საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის ნაკრებთა მატჩი დაიწყო, გარინჩამ უმალვე მძაფრად შეუტია მარჯვენა ფლანგიდან, მცველები — კუზნეცოვი, კრიჟევსკი და ვოინოვი — მოატყუა და კარისაკენ ძლიერად დაარტყა, თუმცა ბურთი ძელს მოხვდა... მოგვიანებით, გარინჩამ ანალოგიურად კიდევ ორჯერ შეუტია: მისი პასით პელემ ბურთი ასევე კარის ძელს მოარტყა, ხოლო ვავამ გოლი გაიტანა. „მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ფანტასტიკური წუთები“, — ასე უწოდა მატჩის დასაწყისში მოედანზე განვითარებულ მოვლენებს ფეხბურთის ცნობილმა ფრანგმა სპეციალისტმა — გაბრიელ ანომ. მეორე ტაიმში კი სამხრეთამერიკელებმა კიდევ ერთი გოლი გაიტანეს და შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანეს.

ერთი დღის შემდეგ საბჭოთა ნაკრებმა დამატებითი მატჩი გამართა ინგლისის გუნდთან და 1:0 მოიგო, თუმცა კიდევ ერთი დღის შემდეგ, მეოთხედფინალში შვედების ძლევა ვეღარ შეძლო (0:2). „სოციალიზმის მშენებლებმა“ 11 დღის განმავლობაში, 5 მართლაც რთული პაექრობა ჩაატარეს, თანაც ისინი პრაქტიკულად, უცვლელი შემადგენლობით თამაშობდნენ, ამიტომ შვედეთის ნაკრების ბარიერი ვეღარ გადალახეს.

ბრაზილიის გუნდი ნახევარფინალში პელემ გაიყვანა, როდესაც უელსის კარში ერთადერთი გოლი გაიტანა. ეს მსოფლიოს ჩემპიონატზე პელეს მიერ გატანილი პირველი გოლი იყო. უკვე საფრანგეთთან ნახევარფინალურ დაპირისპირებაში ფეხბურთის

მომავალმა „მეფემ“ 3 გოლი გაიტანა, ხოლო ბრაზილიელებმა 5:2 მოიგეს.

თავად ფრანგებმა ბრაზილიელთა ჯავრი გფრ-ის გუნდზე იყარეს,

როდესაც მესამე ადგილისათვის გამართულ პაექრობაში 6:3 მოიგეს. ოთხჯერ თავი ჟუსტ ფონტენმა გამოიჩინა, რომელიც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა (13 გოლით). ეს შედეგი (ერთ ტურნირში გატანილი გოლების რაოდენობა) დღემდე არავის გაუუმჯობესებია. ტურნირის ყველა მონაწილიდან (ამ შემთხვევაში ლაპარაკი გვაქვს არა ფეხბურთელებზე, არამედ გუნდებზე) მხოლოდ ბრაზილიის ნაკრებმა შეძლო ფრანგ ცენტრფორვარდზე 3 გოლით მეტის გატანა.

29 ივნისს სტოკჰოლმის „როსუნდაზე“ გამართულ ფინალურ მატჩში მსოფლიო თასის დასაუფლებლად შვედები და ბრაზილიელები იბრძოდნენ. უკვე მე-4 წუთზე ლიდჰოლმმა ანგარიში გახსნა. პირველად 1958 წლის მუნდიალზე, ბრაზილიის გუნდს ანგარიშის გასათანაბრებლად უნდა ებრძოლა. მართლაც, მეცხრე წუთზე გარინჩამ მასპინძელთა ნაკრების მცველებს თავგზა აუბნია და ბურთი ვავას გადასცა, რომელსაც გოლის გატანა არ გასჭირვებია (1:1). ამის გამო გაზეთები წერდნენ, — შვედებმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მხოლოდ 5 წუთი შეინარჩუნესო. პირველ ტაიმში გარინჩამ და ვავამ ანალოგიურად მეორე გოლიც გაიტანეს, მაგრამ უკვე მეორე ნახევრის შუა პერიოდში სამხრეთამერიკელები 4:1 იგებდნენ. განსაკუთრებულად ლამაზი პელეს გოლი აღმოჩნდა, რომელმაც ოთხი შვედი მცველის გარემოცვაში მყოფმა მოახერხა მეტოქის კარში ბურთის გადაგზავნა. 17 წლის ვუნდერკინდმა ბოლო გოლიც გაიტანა (5:2).

ამჯერადაც, ისევე, როგორც 1950 წლის მუნდიალის შემდეგ, მთელი ბრაზილია ტიროდა — ოღონდ სიხარულის ცრემლებით. 29 ივნისი ქვეყანაში ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდა, თანაც თავად ბრაზილიის პრეზიდენტი მონაწილეობდა ჩემპიონთა პატივსაცემად მოწყობილ საზეიმო ღონისძიებებში.

პირველად მსოფლიოს ჩემპიონატი ერთდროულად 12 ქალაქში მიმდინარეობდა. ეს გახლდათ ბოლო მუნდიალი, რომლის დასაწყისშიც არავინ იცოდა, თუ რამდენი მატჩი გაიმართებოდა. გუნდების მიერ ქვეჯგუფში თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში, გატანილ და გაშვებულ ბურთებს შორის სხვაობა მხედველობაში არ მიიღებოდა და დამატებითი შეხვედრები ინიშნებოდა. დამატებითი თამაშის გამართვა მხოლოდ ჯგუფში არ გახდა საჭირო.

დაინიშნა 10 პენალტი — იმდენივე, რამდენიც 1950 და 1954 წლების მუნდიალებზე ერთად. ფეხბურთელებმა მათგან მხოლოდ 3 თერთმეტმეტრიანის რეალიზება ვერ მოახერხეს, თუმცა მეკარის ოსტატობის მიზეზით ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა. ეს გახლდათ საბჭოთა გოლკიპერი, ლევ იაშინი, რომელმაც ავსტრიელი ბუზეკის დარტყმული ბურთისაგან თავისი გუნდის კარი იხსნა.

მსოფლიოს ჩემპიონატში პირველად მიიღო მონაწილეობა პელემ, რომელიც 1982 წლამდე, ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელად (17 წელი და 235 დღე) მიიჩნეოდა, ვისაც კი მუნდიალზე უასპარეზია. ესპანეთში გამართულ ტურნირში პელეს რეკორდი ჩრდილოირლანდიელმა, ნორმან უაიტსაიდმა გააუმჯობესა (17 წელი და 41 დღე). მიუხედავად ამისა, პელე დღემდე რჩება ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშედ, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე გოლი გაიტანა (17 წელი და 239 დღე) და ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონად (17 წელი და 249 დღე).

პირველად 1958 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩები ტელევიზიით გადაიცა. ამასთან, შვედეთში ჩატარებული ტურნირი დღემდე ერთადერთი ევროპული მსოფლიო პირველობაა, რომელიც არაევროპულმა ნაკრებმა მოიგო. ■

„მეფე“ უპირატესობას ბრაზილიასა და ესპანეთს ანიჭებს

მსოფლიო ფეხბურთის მეფედ აღიარებულმა პელემ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მიმდინარე მუნდიალის დაწყებამდე, ტრადიციულად ტურნირის ფავორიტებზე ისაუბრა, თუმცა პირდაპირი პროგნოზისგან თავი შეიკავა. „ეჭვგარეშეა, რომ ამჟამად ბრაზილიას და ესპანეთს მსოფლიოში საუკეთესო ნაკრები გუნდები ჰყავთ. მიუხედავად ამისა, მუნდიალის ფავორიტებზე მაინც არ ვისაუბრებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ფინალში თანამემამულეებთან ერთად, ერთ-ერთი აფრიკული ნაკრების ხილვა მსურს. ამ კონტინენტს საკმაოდ კარგად ვიცნობ, ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ სამხრეთ აფრიკაში ჩინებულად იქნება ორგანიზებული ტურნირი. რაც შეეხება კარლოს დუნგას გუნდს, მან საკუთარი კოზირები უნდა გამოიყენოს, რათა ტრიუმფს მიაღწიოს. რა თქმა უნდა, მას ძალიან გაუჭირდება. არ უნდა დავივიწყოთ ინგლისელებიც, რომელთა შემადგენლობაშიც არაერთი ჩინებული ოსტატია, ხოლო მათ შორის ყველაზე სახიფათო, ცხადია, უეინ რუნია“, — დასძინა

ფეხბურთის 69 წლის ლეგენდამ, რომელსაც მსოფლიო პირველობების დაწყების წინ თავისი უჩვეულო „წინასწარმეტყველებებით“ არაერთხელ გაუხალისებია სპორტული სამყარო. მაგალითად, 1994 წლის ტურნირის სტარტზე, პელემ თამამად განაცხადა — მსოფლიო თასს კოლუმბიელები დაეუფლებიანო. თუმცა კოლუმბიის ნაკრებმა მაშინ ჯგუფური ეტაპიც ვერ დასძლია. ■

WORLD CUP 2010

მუნდიალი 2010 რიცხვებში

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილე გუნდები საკმაოდ დიდ თანხებს გამოიმუშავებენ. მაგალითად, მხოლოდ ჯგუფურ ეტაპზე ასპარეზობისთვის თითოეული ნაკრები 8 მილიონ დოლარს მიიღებს. კიდევ თითო-თითო მილიონი მათ ფიფამ ტურნირისთვის სამზადისისას დახარჯული ხარჯების დასაფარად გადაურიცხა. საერთო ჯამში, მიმდინარე მუნდიალის საპრიზო ფონდი 61%-ით მეტია 2006 წლის მსოფლიო პირველობის ანალოგიურ მაჩვენებელზე და 420 მილიონ დოლარს შეადგენს. აქედან 30 მილიონს გამარჯვებული გუნდი მიიღებს, რაც ასევე რეკორდული მაჩვენებელია ამ შეჯიბრებისათვის. ფინალისტი 24 მილიონით გამდიდრდება. გარდა ამისა, ფიფა გაითვალისწინებს ამა თუ იმ კლუბის მოთხოვნას, რომლის მოთამაშეც ჩემპიონატის მსვლელობისას ტრავმას მიიღებს. ასეთი ფეხბურთელების საკომპენსაციოდ შექმნილია სპეციალური 40-მილიონიანი ფონდი. „ნებისმიერი კლუბი, რომლის მოთამაშეც მსოფლიო პირველობაში მონაწილეობს, ფეხბურთელის მიერ ტურნირზე გატარებული თითოეული დღისთვის 1,6 ათას დოლარს მიიღებს“, — განაცხადა ფიფას გენერალურმა მდივანმა ჟერომ ვალკემ. თანხა კლუბს მსოფლიო პირველობის დაწყებამდე 15 დღით ადრე ჩაერიცხება და მოთამაშის მიერ შეჯიბრებაზე გატარებული ყოველი მომდევნო დღის შესაბამისად გაიზრდება, რასაც მუნდიალიდან მისი გამოთიშვის შემთხვევაში კიდევ ერთი დღის საფასური დაემატება.

160 დოლარი — ასეთია ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე დასასწრები ბილეთის საშუალო ფასი. ფინალურ შეხვედრაზე კი ბილეთი საშუალოდ 900 დოლარი ღირს.

120 ათასი — ამდენი უფასო ბილეთი გამოუყო ფიფამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოსახლეობას.

2 მილიარდი დოლარი — დაახლოებით ამ ოდენობის თანხა დახარჯა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ მუნდიალისთვის საჭირო სტადიონების მშენებლობებისა და რეკონსტრუქციისთვის. სულ ორგანიზატორები მოგების სახით 3 მილიარდი დოლარის მიღებას ელოდებიან.

5,2 მილიარდი ევრო — ასეთია მონაწილე 32-ვე გუნდის მოთამაშეთა საერთო-სატრანსფერო ღირებულება.

29 მილიარდი — წინასწარი გათვლით, ამდენი კაცი იხილავს მსოფლიო პირველობის მატჩებს (ეს თითოეული შეხვედრის მხილველთა საერთო რაოდენობაა). სავარაუდოდ, მუნდიალს თვალს მიადევნებს პლანეტის მოსახლეობის 51%. ასეთია მსოფლიოს 55 ქვეყანაში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგი. ამასთან, ტურნირის მიმართ ყველაზე დიდ ინტერესს ბრაზილიელები იჩენენ (ქვეყნის მოსახლეობის 84%). შემდეგ ადგილზე არიან სამხრეთკორეელები (76%), იტალიელები (75%), პორტუგალიელები (75%) და ზამბიელები (69%). სატელევიზიო ტრანსლაციების უფლების გაყიდვით მიღებული სუფთა მოგება ოდნავ აღემატება მილიარდ დოლარს.

50 მილიონი გირვანქა სტერლინგი — სწორედ ამდენია დიდ ბრიტანეთში მსოფლიო პირველობის მსვლელობისას სარეკლამო ტელებაზრის საერთო მოგება. აშშ-ისა და ალჟირის გუნდებთან ინგლისის ნაკრების მატჩების მიმდინარეობისას ტელეეთერში გასული 30-წამიანი სარეკლამო რგოლის ღირებულება დაახლოებით 300 ათასი გირვანქაა. სხვა შეხვედრების სარეკლამო რგოლის საშუალო ფასი 20-დან 70 ათას გირვანქამდეა. პლეიოფის ეტაპიდან კი საეთერო დრო 100-დან 125 ათას გირვანქა სტერლინგამდე გაძვირდება. ■

ბრაზილია გაიმარჯვებს?

კომპიუტერული პროგრამის — Castrol Predictor — მონაცემების თანახმად, მიმდინარე მუნდიალს ბრაზილიელები მოიგებენ. კარლოს დუნგასა და კომპანიის შანსი 23,6%-ს შეადგენს. ყვითელმაისურიანთა მთავარ კონკურენტებად ესპანელები მიიჩნევიან, რომელთა შანსიც 16,1%-ით ფასდება. მესამე ადგილი კომპიუტერმა ინგლისის გუნდს მიუჩინა (10,4%). ■

ლეო მესი — არგენტინელთა მესაჭე

არგენტინის ნაკრების თავკაცმა დიეგო მარადონამ თავისი გუნდი ცნობილ ბრიტანულ ავტომობილს შეადარა. „არგენტინის ნაკრები „როლს-როისია“, რომლის საჭესაც ლეო მესი უზის, — განაცხადა მან, — საერთოდ, ბოლო დროს ლიონელი ჩინებულად ვარჯიშობდა, ის ეროვნულ გუნდში თამაშით ბედნიერია. ამასთან, მას ყველაფერი აქვს იმისთვის, რათა მიმდინარე საფეხბურთო ფორუმზე გამარჯვებამდე მიგვიყვანოს და ამგვარად, მთელი არგენტინელი ერი გააბედნიეროს“.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფურ ეტაპზე არგენტინელებს ნიგერიის, საბერძნეთისა და სამხრეთ კორეის გუნდებთან უხდებათ ასპარეზობა. თეთრცისფერმაისურიანებმა პირველ მატჩში უკვე მოახერხეს აფრიკელთა დამარცხება და ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი სწორედ მესიმ შეიტანა. ■

„თუ თავად ქალმა არ ამოგირჩია, ყირაზედაც რომ გადახვიდე, მასთან არაფერი გამოგივა“

პატარა ბიჭი რომ იყო და მხატვრულ ლიტერატურას კითხულობდა, სულ იმაზე ფიქრობდა, ესა თუ ის პერსონაჟი როგორ განესახიერებინა... ის „პატარა ბიჭი“ უკვე დიდი ხანია, გაიზარდა და დღეს მსახიობი ზაზა იაქაშვილი გახლავთ... მას პროზაც და პოეზიაც თანაბრად უყვარს. ზეპირად ბევრი ლექსი იცის. როცა ახალ ნაწარმოებს კითხულობს, იმაზე ფიქრობს, ამა თუ იმ ლიტერატურული პერსონაჟისგან ახალი რა ისწავლოს, რომ უკეთესობისკენ შეიცვალოს და სულიერი სამყარო გაიმდიდროს...

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— ზაზა, მსახიობობა რა ასაკში გადაწყვიტე?

— 21 წლის ვიყავი, როცა თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე. მანამდე საკუთარ თავს თეატრის კარგ მაყურებლად მივიჩნევდი; დღეს, როდესაც ჩემს განვლილ ცხოვრებას ვაანალიზებ, ვხვდები, რომ თურმე მსახიობობა 3 წლის ასაკიდან მიზიდავდა.

— შემოქმედებითი თვალსაზრისით, შენკენ რა სიახლეებია?

— უკვე ვასრულებთ 12-სერიიანი კრიმინალური სერიალის გადაღებას, რომელსაც რეჟისორი ლაშა ცერიაშვილი იღებს. სცენარი რეალურ ფაქტებზეა აგებული. ერთ-ერთი დამკვეთი შინაგან საქმეთა სამინისტროა. საკონსულტაციოდ 2 კვირის განმავლობაში პოლიციის აკადემიაშიც დავდიოდი... 50 წლის ჭაღარა გამომძიებლის როლს ვასრულებ.

— როგორც შევიტყვე, ფილმს ირაკლი აფაქიძეც იღებს და მასშიც მიგიწვიეს.

— დიახ, ძალიან საინტერესო კომედია იქნება, რომელშიც ცნობილი მსახიობები (გივი ბერიკაშვილი, კახი კავსაძე, ჯემალ ღაღანიძე) ითამაშებენ. გადაღებები 1 თვეში დაიწყება. ამის გარდა, შემოთავაზება კიდევ 2 პროექტიდან მივიღე, რომელზეც წინასწარ ლაპარაკი არ მინდა.

— გამოდის, რომ „ცხელი ზაფხული“ გელის...

— ძალიან „ცხელი“ და მადლობა ღმერთს, რომ ასეა.

— დასვენება არ გინდა?

— წელს ალბათ დასასვენებლად წასვლას ვერ მოვახერხებ... ამიტომ ვეცდები, დილაობით კუს ტბაზე ვიარო. საერთოდ, ზღვაზე დიდხანს ვერ ვჩერდები. მთაში ყოფნით კი არასდროს ვიღლები. პანტიანთან ახლოს, წვერში აგარაკი მაქვს, სადაც მდინარეც არის და დასვენებისთვის საუკეთესო ადგილია. იქ ყოფნაც მიყვარს.

— იოანე პეტრიწის განმარტებით, ძველად რიტორიკის სამი დარგი არსებობდა: თანამზრახველთა სათათბირო, საპაექრო და... დაასახელე მესამე დარგი.

— ესე იგი, კიდევ სად სჭირდება ადამიანს ორატორობა (*ფიქრობს*)? თამადობის დროს ან კიდევ...

— მეტს ნუ იფიქრებ, სწორი პასუხი უკვე გამეცი. მესამე დარგი სწორედ რომ სასუფრო-სათამადო გახლდათ. თავად როგორი თამადა ხარ?

— ვცდილობ, თამადა არ ვიყო ხოლმე. ეტყობა, ცოტა ზარმაციც ვარ, მირჩევნია, სხვას ვუსმინო, მაგრამ რამდენჯერმე ვითამადე და არცთუ ურიგოდ. ბევრი კარგი თამადა მინახავს, ასეთებს თანამეინახეებისადმი თხოვნა — გაჩერდი, მომისმინე — არ სჭირდებათ. იმდენად საინტერესოდ ლაპარაკობენ, გარშემო მყოფთა ყურადღებას იპყრობენ. ნაღდი თამადებიდან ვინც პირველ რიგში მახსენდება, ეს გოგი გელოვანია. მონუსხული ვუსმენდი ხოლმე...

— რომელი მთების სახელწოდების მიხედვით ეწოდა მთამსვლელობას ალპინიზმი?

— ალპების მიხედვით.

— სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში ახალ თანამშრომლებს იღებენ. წინასწარ გასაუბრების შემდეგ, ყველას მისცეს კონვერტი გრიფით — „სრულიად საიდუმლოდ“ და სთხოვეს, რომელიმე კაბინეტში წაეღოთ. ერთმა კანდიდატმა, სანამ დანიშნულების ადგილამდე მივიდოდა, საპირფარეშოში შეიარა და კონვერტი გახსნა. რა ეწერა წერილში?

— ალბათ ეწერა, რომ სამსახურში არ მიიღებდნენ.

— ასე რატომ მსჯელობ?

— წერილი არ უნდა გაეხსნა, მის სახელზე არ იყო.

— მართალია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ის პიროვნება მუშაობას უშიშროების სამინისტროში იწყებდა. წერილში შემდეგი სიტყვები ეწერა: „თქვენ ჩვენთვის შესაფერისი მუშაკი ხართ, დაბრუნდით უკან“.

— მე ასე არ მოვიქცეოდი.

— სკოლაში ფიზიკას კარგად სწავლობდი?

— მშობლები ფიზიკოსები მყავს და ეს საგანი რომ არ მესწავლა, სირცხვილი იქნებოდა (*იცინის*).

— ამ ცნობილი მეცნიერის ბაღში ეს ხე ერთადერთი მცენარე იყო. 1820 წელს მას მეხი დაეცა, მაგრამ მისგან სავარძელი გააკეთეს, რომელიც ინგლისში, კერძო კოლექციონერთან ინახება და ფასდაუდებელ რელიკვიას წარმოადგენს. დაასახელე ეს პიროვნება და ხის ჯიში.

— რადგან ფიზიკა, მეცნიერი და ხე ახსენე, ვხვდები, რომ ეს პიროვნება ნიუტონი იყო, მეხი კი მისი ვაშლის ხეს დაეცა.

— ყოჩაღ, ფიზიკა მართლა კარგად გცოდნია! სანამ შემდეგ კითხვაზე გადავიდოდე, გკითხავ, გარუჯვა გიყვარს?

— დილით ადრე კუს ტბაზე ავდივარ და იოგაში ვვარჯიშობ. ამ დროს თავისთავად ვირუჯები. 11 საათის შემდეგ პლაჟზე არ გავდივარ. ცურვა ძალიან მიყვარს. მზე ენერგიით მავსებს.

— გარუჯვა მოდაში ერთ-ერთმა ცნობილმა დიზაინერმა შემოიტანა. მანამდე კანის მუქი შეფერილობა

ადამიანის დაბალ წარმომავლობასა და მის მიერ შესრულებულ მძიმე სამუშაოზე მიუთითებდა. სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ გარუჯვა მოდიდან ჯანმრთელობისთვის მავნებლობის გამო მალე გადავიდოდა. დაასახელე დიზაინერი, რომელმაც ეს მოდა დაამკვიდრა?

— ეს დიზაინერი ქალბატონი იყო?

— **დიახ.**

— კოკო შანელზე ვფიქრობ, მართალია?

— **რა თქმა უნდა. ქალების ფსიქოლოგია კარგად იცი?**

— მეტ-ნაკლებად.

— **მარჩელო მასტროიანი კი ამ საქმის დიდი მცოდნე იყო, მან ქალების ხასიათის შესახებ თითქმის ყველაფერი იცოდა. ისიც კი, თუ რომელი გოგონა გაეცნო პლაჟზე, როცა შვებულების გასატარებლად ზღვაზე მიდიოდა. რა ნიშნით ირჩევდა ის სუსტი სქესის წარმომადგენლებს?**

— საინტერესოა (*ფიქრობს*).

— **თავად რა ნიშნით არჩევ?**

— ჩემი და სხვისი გამოცდილებიდანაც ვიცი, რომ მამაკაცი კი არ ირჩევს ქალს, პირიქით ხდება. თუ თავად ქალმა არ ამოგირჩია, ყირაზედაც რომ გადახვიდე, მასთან არაფერი გამოგივა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქალი გადმოდის შეტევაზე. ამას გამოცდილი მამაკაცი მზერით, მისი ერთი გამოხედვითაც გრძნობს.

— **ხშირად გირჩევენ ხოლმე?**

— (*იცინის*) მოწყენილობას არ ვუჩივი, კმაყოფილი ვარ...

— **კარგი, დასმულ კითხვას მივუბრუნდეთ.**

— მარჩელო მასტროიანის ვერ შევედრები, რა ნიშნით ირჩევდა — მიჭირს პასუხის გაცემა.

— **ის პლაჟზე ყველაზე გაურუჯავ გოგონას ირჩევდა. მთელი შვებულება წინ აქვსო.**

— აუუ! ეს რა მაგარი რამ მასწავლე (*იცინის*). გავითვალისწინებ.

— **მსოფლიოში არის 42 ქვეყანა, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არა აქვს. მათ შორის ყველაზე პატარა — ვატიკანია. დაასახელე ყველაზე დიდი ქვეყანა.**

— მინიშნებას ვერ მეტყვი?

— **მისი ფართობი 2 მლნ 717 ათასი კვადრატული კილომეტრია. მოსახლეობა — 16 მლნ 742 ათასი კაცი, არაერთი სახმელეთო მეზობელი ჰყავს. ერთ-ერთი რუსეთია.**

— (*ფიქრობს*) ყაზახეთი იქნება.

— **ნამდვილად ასეა. 1910 წლის 5 აპრილიდან მატარებლის გასვლის შეფერხების გამო საფრანგეთის რკინიგზის სადგურზე ის აკრძალეს. რაზეა ლაპარაკი?**

— ვერ ვხვდები.

— **კოცნა.**

— საფრანგეთში კოცნა აკრძალეს? თუმცა ფრანგებმა ისეთი კოცნა იციან, გამორიცხული არ არის, მატარებლის გასვლის გრაფიკი არეულიყო.

— **ერთმა ბრიტანულმა კლუბმა გამოსცა პლაკატი, რომელზეც ეწერა: „ღმერთმა შექმნა არც ისე ბევრი სრულყოფილი თავი, ხოლო დანარჩენი თავები მან თმით დაფარა“. ვინ არიან ამ კლუბის წევრები?**

— ადვილი გამოსაცნობია — მელოტები იქნებოდნენ.

— **II მსოფლიო ომის დროს, როცა ინგლისელების რაცია და მთელი საკაბელო კავშირები მწყობრიდან გამოდიოდა, საქმეში გერმანელ სნაიპერთა სპეციალური რაზმები ერთვებოდნენ. რით იყვნენ დაკავებულები ის სნაიპერები?**

— ვერ გიპასუხებ.

— **ინგლისელთა საფოსტო მტრედებს ესროდნენ. 1937 წელს ქართველმა ერმა და ინტელიგენციამ საუკეთესო ქართველი პოეტი და პროზაიკოსი დაჯილდოეს. ვის მიაკუთვნეს პროზაიკოსის ჯილდო? საუკეთესო პოეტად გალაკტიონი აღიარეს.**

— კონსტანტინე გამსახურდიას.

— **აინშტაინის აზრით, წარმატება 3 ნაწილისგან შედგება: იღბალი, თამაში და... დაასახელე მესამე.**

— ...და შრომისმოყვარეობა.

— **აინშტაინი ენაზე კბილის დაჭერის უნარს ასახელებდა. თავად ეს უნარი გაქვს?**

— მაქვს. ამ მხრივ ჯერ კიდევ 15 წლის ასაკში მწარე გამოცდილება მივიღე. შემდეგ ეს უნარი გამომიმუშავდა. შეიძლება, ბევრი ვილაპარაკო, მაგრამ რისი თქმაც არ მინდა, ვერაფრით დამაცდენინებ.

— **ურალის რაიონში, არის ტიპური პროექტით აშენებული თეატრის შენობა. ის თავისი მდებარეობით უნიკალურია და მსოფლიოში ანალოგი არა აქვს. თეატრში დგას მემორიალური სვეტი, რომელიც აღნიშნავს განსხვავებას სცენასა და მაყურებელთა დარბაზს შორის. რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?**

— ვერ გიპასუხებ.

— **სცენა ევროპაში მდებარეობს, დარბაზი — აზიაში.**

— მართლა? საინტერესო ფაქტია, სამწუხაროა, რომ აქამდე არ ვიცოდი.

— **„ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,/ ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი,/ წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე —/ თურმე ესეც გმირობაა დიდი!**

— **ეს სტრიქონები ვისი პოეზიიდან არის?**

— იოსებ ნონეშვილის.

— **სტუდენტი ეუბნება პროფესორს: სიზმარში ხშირად ვხედავ, რომ ვხდები პროფესორი, რა გავაკეთო, რომ სიზმარი ამიხდესო? რა რჩევა მისცა ენამოსწრებულმა პროფესორმა?**

— ალბათ ასე ეტყოდა, — ნაკლები იძინეო...

— **გამოიცანი. ფსიქიატრებისთვის ცნობილია, რომ ზოოფობია — ეს არის შიში ცხოველების მიმართ, ისტიოფობია — შიში თევზების მიმართ. პანოფობია — შიში ყველაფრის მიმართ. რა არის გინეფობია?**

— ფობიები არ მაწუხებს, არ ვიცი.

— **თუ დაფიქრდები, არა მგონია, პასუხის გაცემა გაგიჭირდეს.**

— გინეკოლოგიასთან ხომ არ არის კავშირში?

— **სწორად მსჯელობ.**

— შიში ქალების მიმართ. გამოვიცანი?

— **დიახ.**

— რა საშინელებაა. წარმომიდგენია, ასეთ ადამიანებს რა ტრაგიკული ბედი ექნებათ.

— **„ესენი არიან აზრის ხომალდები, რომლებიც მოგზაურობენ დროის ტალღებში და თავიანთ ტვირთს სათუთად გადასცემენ თაობიდან თაობას“, — ფრენსის ბეკონი ამას რის შესახებ ამბობდა?**

— ვერ გიპასუხებ.

— **წიგნების შესახებ. ეს ცეკვა ცენტრალურ ამერიკაში გასული საუკუნის 20-იან წლებში გაჩნდა. 30-იან წლებში კათოლიკურმა ეკლესიამ აკრძალა. ხელმეორედ ის ბრაზილიაში „აღმოაჩინეს“, ხოლო საქვეყნო პოპულარობა 1988 წელს მოიპოვა. რომელ ცეკვაზეა ლაპარაკი?**

— ლამბადაზე.

— **დაბოლოს, დაასრულე სენეკას ცნობილი გამონათქვამი: „ცხოვრება იგავ-არაკივით შინაარსით იზომება და არა...**

— „...და არა სიგრძით“.

■

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. ვისი მეუღლე იყო ანასტასია ჯამბაკურ ორბელიანი?
2. რომაელებს მხოლოდ თეთრი ფერის ვარდები მოჰყავდათ. ვინ და საიდან შემოიტანა ევროპაში წითელი ვარდი?
3. ვის ეკუთვნის ხუმრობა: „პამელა ანდერსონს ორი დიდი ოცნება ჰქონდა ცხოვრებაში და ორივე აუსრულდაო“?
4. რამდენი ცოლი ჰყავდა საქორწინო მარშის ავტორ მენდელსონს?
5. ტანზანიის საპორტო ქალაქის სახელწოდება — „ბოგომაიო“ — სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: „ადგილი, რომელიც იმედმა დატოვა“. რის გამო ეწოდა ქალაქს ასეთი სახელი?
6. „როგორც ჩანს, რუსეთში მხოლოდ ორი ადამიანი არ იპარავს — მე და თქვენ“. რის შემდეგ უთხრა ნიკოლოზ პირველმა თავის შვილს ეს სიტყვები?
7. 1947 წელს ინგლისელებმა ბიუჯეტის მოწესრიგებისას გააუქმეს სამხედრო თანამდებობა, რომელიც ჯერ კიდევ ნაპოლეონთან ომის დროს იყო შემოღებული. რა ევალებოდა ამ თანამდებობის მქონე სამხედრო პირს?
8. ზურა ქაფიანიძეს ჭირის დღესავით სძულს თაფლწასმული პური. რატომ?
9. დაასრულეთ კლარა ნოვიკოვას სიტყვები: „დენგი გრიაზ, ნო ...“
10. საბჭოთა არმიაში ჯარისკაცის ქამრის ბალთები თითბრისაგან იყო დამზადებული. რაში იყენებდნენ (არადანიშნულებით) ყველაზე ხშირად ამ ქამრებს ჯარისკაცები?
11. პირველად სად და როდის ამზადებდნენ სათვალეს?
12. რას ეძახიან ამერიკელები ხუმრობით „ჰენდ-ფართის“?



* * *

მთვრალი მწველავი შედის ფერმაში. ძროხა ეკითხება:
— კიდევ მთვრალი ხარ?
— ჰო...
— ჯანდაბას შენი თავი, ძუძუებზე ჩამეჭიდე, მე კი ვიხტუნავებ.

* * *

მაიმუნი ოცნებობს:
— ეჰ, ნეტავ, ადამიანი ვიყო!
— რად გინდა? — ჭკუას არიგებს ხანდაზმული მაიმუნი. — ადამიანი რომ იქნები, გაიზრდები, დავაუკაცდები, ვინმე შეგიყვარდება, ცოლად მოიყვან, შვილები გეყოლება, მერე ხელფასი არ გეყოფა და მაიმუნობას დაიწყებ. არადა, მაიმუნი ისედაც ხარ — თუ ძმა ხარ, დაეტიე საკუთარ ტყავში!...

* * *

კონცერნის შეფმა ასისტენტი იხმო:
— მოძებნეთ ჩვენს ფირმაში, მიზანდასახული ახალგაზრდა კაცი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ჩემს შეცვლას შეძლებს.
— რომ ვიპოვი, მერე რა ვქნა?
— კინწისკვრით გააგდეთ!

* * *

ღამე სასაფლაოსთან გოგო მიდის და შიშისაგან გული უსკდება. ვიღაცა წამოეწია და ეკითხება:
— გეშინიათ?
— ძალიან.
— ცოცხალი რომ ვიყავი, მეც მეშინოდა.

* * *

ინსტიტუტში გამოცდაა. ლექტორი ეკითხება სტუდენტებს:
— კითხვა „ხუთიანზე“: — რა მქვია მე? —
ყველა ჩუმადაა.
— კითხვა „ოთხიანზე“: — რა ფერისაა სახელმძღვანელო?
— ყველა ჩუმადაა.
— კითხვა „სამიანზე“: — რა საგანს ვაბარებთ?
უკანა მერხებიდან ჩურჩული ისმის:
— ნახე, როგორ გვჭრის, ეს ახვარი!

* * *

საქორწინო სახლში:
— რამდენი წლის ხართ, ყმაწვილო?
— 22-ის.
— რამდენი წლისაა საპატარძლო?
— 15-ის.
— კი, მაგრამ, ეს ხომ ქორწინებისათვის შეუფერებელი ასაკია?
— მეც მაგას ვამბობ, მაგრამ ჩემ უკან რომ კაცი დგას, დიდი პისტოლეტი აქვს გარჭობილი ქამარში და არაფრის მოსმენა არ უნდა...

* * *

— უკაცრავად, ეს ნესვი რა ღირს?
— ეს ნესვი არ არის, მსხალია!
— ააა... ეს საზამთრო რა ღირს?
— ეს საზამთრო არ არის, კიტრია!
— უი, თქვენი მობილური რეკავს!
— ეს მობილური არ არის, რადიაციის საზომი აპარატია!..

* * *

შუაღამისას პოლიციელი აჩერებს კაცს ჩემოდნით ხელში.
— რა გაქვთ ჩემოდანში?
— ჯერ არ ვიცი...

* * *

ქალი რეკავს სახანძროში:
— მალე! ჩქარა! ვიწვით!
— როგორ მოვიდეთ?!.
— რას ჰქვია, როგორ მოხვიდეთ?!. თქვენი წითელი მანქანით!..

* * *

პლაჟზე:
— ქალიშვილო, იქ ნუ შეხვალთ, ღრმაა და დაიხრჩობით.
გოგონამ ალმაცერად გამოხედა და გზა განაგრძო.
— მიდი, მიდი... ნიანგები არ იძირებიან!.. — გაბრაზდა ბიჭი.

* * *

— ბატონებო და ქალბატონებო, მოგესალმებით ჩვენი ავიაკომპანიის თვითმფრინავის ბორტზე. ჩვენი თვითმფრინავი იმყოფება 11 კილომეტრის სიმაღლეზე, ფრენის სიჩქარეა 900 კილომეტრი საათში. ტემპერატურა ბორტს გარეთ -30 გრადუსია. ჰო, მართლა, შემთხვევით ვინმეს ზედმეტი 40 ტონა საავიაციო ნავთი ხომ არ გაქვთ?

* * *

ჩანაწერი ავტომოპასუხეზე: „სავარაუდოდ სახლში ვარ, მაგრამ ერთ უჟმურ ტიპთან ლაპარაკი არ მინდა. დატოვეთ თქვენი შეტყობინება და თუ არ გადმოგირეკეთ, ესე იგი, ის ტიპი თქვენ ხართ.“

* * *

ორი კილერი სნაიპერული შაშხანებით ხელში სახლის სახურავზე ზის.
— ეჰ, ჩალის ფასად აღარ ღირს ადამიანის სიცოცხლე!.. — ამოიოხრა ერთმა.

* * *

ნებისმიერი პროექტის 6 სტადია:
1. ენთუზიაზმი.
2. ილუზიების მსხვრევა.
3. პანიკა.
4. დამნაშავეთა ძებნა.
5. უდანაშაულოთა დასჯა.
6. იმათი ქება და დაჯილდოება, ვისაც პროექტში მონაწილეობა არ მიუღია.

* * *

პოეტი ცოლს ეუბნება:
— დილიდან ვეძებ და ვერსად ვიპოვე ჩემი საუკეთესო ლექსი. ჩვენმა გოგონამ ხომ არ დახია?!..
— ნუ სულელობ!.. ბავშვმა ჯერ კითხვა არ იცის!..

* * *

— ჩემი ბიჭი ვუნდერკინდია. 11 წლისამ სკოლა დაამთავრა.
— მერე?
— მერე არაფერი... ადგნენ და 12 წლისა ჯარში წაიყვანეს.

* * *

— მამი, მამი, მანახვე, რა, როგორ დადიან სპილოები!...
— კარგი, რა, შვილო, უკვე რამდენჯერ განახვე, დაიღალნენ სპილოები.
— კიდევ მანახვე! გეხვეწები, მანახვე!
— ჰო, კაი, კაი!.. ასეულ�!.. მოეწყვეე!.. აირწინაღები სახეზეეე!.. 5 წრე ყაზარმის ირგვლივ, ნაბიჯით იარ!

* * *

საპატრულო პოლიციაში ქალი რეკავს:
— ვაიმე, მიშველეთ, კარზე ვიღაც კაცი მიკაკუნებს.
— არ გაუღოთ, ქალბატონო, ახლავე მოვალთ!
— რას ჰქვია, არ გავუღო, დავიღალე ამდენი მარტოობით.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ივანე ჯავახიშვილის.
2. წითელი ვარდი ევროპაში ჯვაროსნებმა დამასკოდან შემოიტანეს.
3. ნიკა ქავთარაძეს.
4. არც ერთი.
5. იგი თავის დროზე მონათვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი იყო.
6. მას შემდეგ, რაც ხაზინიდან უზარმაზარი თანხების დატაცების ფაქტები გამოავლინა.
7. ნაპოლეონის ინგლისში შეჭრის შემთხვევაში ქვემეხის გასროლით უნდა გაეფრთხილებინა თანამემამულენი.
8. ჭამის დროს ულვაშები ესვრება.
9. „... ლეჩებნაია“.
10. ჩხუბში.
11. XV საუკუნეში, იტალიაში.
12. ანანიზმს.

ჩვენი ფოტო მაღვრეა



ჰოროსკოპი

17-23 ივნისი

ვირაყი

საოჯახო საქმეები მთელ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. კოლეგასთან სასიყვარულო ურთიერთობას ნუ გააბამთ. კვირის ბოლოს დიდი ხნის ვალს დაიბრუნებთ.

ჯუჩუ

თქვენთვის დასვენების საუკეთესო საშუალება საყვარელ ადამიანთან ერთად განმარტოებაა. ნათესავები უცხოეთიდან ფულს ან საჩუქრებს გამოგიგზავნიან.

ტყუკი

სამსახურში ახალი პროექტის განხორციელებას დაგავალებენ. მალე რომანტიკული შეხვედრა გელით, რომელიც თქვენს ცხოვრებას რადიკალურად შეცვლის.

კიჩიხალიბი

მიიღებთ უამრავ სიურპრიზსა და საჩუქარს. დასვენების დღეებში ეცადეთ, კარგი ფილმი ნახოთ და საინტერესო წიგნი წაიკითხოთ.

ლიმი

კოლეგებს ახალი იდეებით გააოცებთ. მოზღვავებული ენერგიის წყალობით ყველაფერს მოაგვარებთ. დასვენების დღეებში ძველ მეგობრებს შეხვდებით.

ყანწუდა

დანაზოგით ახალი ბინის შეძენას შეძლებთ. ახლობლები ახალ სამსახურს შემოგთავაზებენ. დაუფიქრებლად არ იმოქმედოთ.

სასწიჩა

სამსახურებრივი საქმეების პარალელურად ნურც ოჯახსა და საყვარელ ადამიანს დაივიწყებთ. მოაწყვეთ ოჯახური სადილი და დაპატიჟეთ ნათესავები.

ბოჩიმდა

საყვარელ ადამიანთან თავი უხერხულ სიტუაციაში რომ არ ჩაიგდოთ, მოერიდეთ მისთვის ტყუილის თქმას. უმჯობესია, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ.

ბუვიგდიმსაყა

შანსი მოგეცემათ, სწავლის გასაგრძელებლად უცხოეთში გაემგზავროთ. თუ არ გსურთ, საყვარელ ადამიანთან პრობლემები შეგექმნათ, მეგობრებთან მასზე ნუ იჭორავებთ.

ოხიმ ჩუა

საქმიანი შეხვედრებითა და მოლაპარაკებებით დატვირთული კვირა გელით. დასვენების დღეები კი ოჯახთან ერთად, ქალაქგარეთ გაატარეთ.

ბიჩწუდა

გათავისუფლდით იმ საქმიანობისა და ადამიანებისგან, რომლებიც გავიწროებენ და წარმატებაში ხელს გიშლიან. ახალი თანამოაზრეების დახმარებით უამრავ იდეას განახორციელებთ.

ოდაზიბი

მოიკრიბეთ ენერგია და ცხოვრება რადიკალურად შეცვალეთ. მეგობრების წვეულებაზე მხიარულება და ახალი ნაცნობობა გელით.

ზოდიაქოს ნიშნები და მათი შინაური ცხოველები

✖ ზოდიაქოს ყველაზე აქტიურმა ნიშანმა — ვერძმა ირლანდიური ტერიერი უნდა მოიშინაუროს. ომის დროს ტერიერებს ფოსტალიონებად იყენებდნენ და სახიფათო დავალებებზე მიჰყავდათ.

✖ კუროს გვერდით ისეთი ცხოველი უნდა ჰყავდეს, რომელსაც მოეფერება და ჩაიხუტებს. ასეთი შპიცია. იგი განსაკუთრებულ მოვლას არ საჭიროებს. პატრონის ერთგული და მოსიყვარულე ძაღლია.

✖ ცნობილია, რომ ტყუპს ძალიან უყვარს ლაპარაკი. მან ისეთი შინაური ცხოველი უნდა იყოლიოს, რომელსაც ლაპარაკს ასწავლის. ასეთი კი აფრიკული რუხი თუთიყუშია. სხვა ფრინველებთან შედარებით, მას ყველაზე მეტი სიტყვისა და გამოთქმის დამახსოვრება და წარმოთქმა შეუძლია.

✖ კირჩხიბი მეოჯახე ნიშანია. სხვებზე ზრუნვა უყვარს. მისთვის შესაფერისი ზაზუნაა.

✖ ექსტრავაგანტურმა და კეთილშობილმა ლომებმა სიამის კატები უნდა მოაშინაურონ. ადრე ისინი მხოლოდ სამეფო ოჯახის წევრებს ჰყავდათ. ასეთი კატით ლომი ყოველთვის ყურადღების ცენტრში იქნება.

✖ სისუფთავისა და წესრიგის მოყვარულმა ქალწულმა ერთგული და მზრუნველი მეცხვარის ნაგაზი უნდა იყოლიოს. მისი მოთვინიერება ადვილია და მისი პატრონი თავს ყოველთვის დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნობს.

✖ გაწონასწორებულ და მეოცნებე სასწორს წყვილი იადონის ყოლას ვურჩევთ.

✖ თუ ცნობისმოყვარე და იდუმალ მორიელს საზოგადოების ყურადღების მიქცევა სურს, ობობა უნდა იყოლიოს.

✖ ენერგიული მშვილდოსნის ერთგული ოთხფეხა მეგობარი დოგი გახდება.

✖ თხის რქას ყველასა და ყველაფრის დამორჩილება სურს. მოსწონს, როცა მის ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებენ. გირჩევთ, გერმანული ნაგაზის ლეკვი იყიდოთ და გაწვრთნათ.

✖ ერთი შეხედვით, მერწყული თითქმის ყველაფრისადმი გულგრილია. სინამდვილეში, ყურადღების ცენტრში ყოფნა მოსწონს. თუ სახლში იგუანას იყოლიებს, სტუმრები მოსვენებას დაუკარგავენ.

✖ აკვარიუმში ტროპიკული და ეგზოტიკური თევზების მოვლა თევზებს ყოველდღიურ საზრუნავსა და საქმიანობას დაავიწყებს.



ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. პარანგონი; 2. ერევანი; 3. გნოლი; 4. ნარდი; 5. მიჩიგანი; 6. რევოლვერი; 7. ბერლინი; 8. ელია; 9. საბა; 10. ბოზა; 11. უნგრეთი; 12. კილიმანჯარო; 13. არა; 14. ბეირუთი; 15. დაცანი; 16. ანანდი; 17. იაგუარი; 18. პორტუ; 19. გოია; 20. აიდა; 21. საპონი; 22. ურო; 23. ცა; 24. ნოსტე; 25. ბაი; 26. მონა; 27. ხახვი; 28. ნიბლია; 29. ნაკთი; 30. ნამ; 31. იალაღი; 32. კილერი; 33. ავჭალა; 34. დალალი; 35. პანაცეა; 36. ბუ; 37. ძუ; 38. ღორი; 39. ბასტილია.

სურათებზე: 1. პირს ბროსნანი; 2. კაილი მინოუგი.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

ჟ. დრო, ხანი; **უ**. დრაკონი; **რ**. რა ერქვა ვაგნერს; **ნ**. საბჭოთა პერიოდში გამომავალი ქართული, სატირულ-იუმორისტული ჟურნალი; **ა**. ბავშვის სარწეველა საწოლი; **ლ**. რა მდინარე ჩამოედინება ცხინვალსა და გორში; **ი*. მდინარე ჩინეთში; **გ*. ქალაქი შოტლანდიაში; **ზ*. ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 10 ნომრით მოასპარეზე ცენტრალური თავდამსხმელი; **ა*. მთა, სადაც წარღვნის შემდეგ გაჩერდა ნოეს კიდობანი; **ს*. მზის სისტემის პლანეტა; **ა*. გათავისუფლებული ყმა; **უ*. მაღალი წიწვოვანი ხე, აქვს მოწითალო ფერის გამძლე მერქანი; **კ*. ვულკანის ჩაღრმავებული ნაწილი, საიდანაც ლავა გადმოდის; **ე*. მდინარე დასავლეთ საქართველოში; **თ*. აკაკი წერეთლის ტიტული; **ე*. ლეგენდარული პორტუგალიელი ფეხბურთელი; **ს*. ტბა სომხეთში; **ო*. რა ერქვა ჰამლეტის საცოლეს; **ა*. ყაჩაღის სახელწოდება დასავლეთ საქართველოში; **რ*. უკრაინელ კაზაკთა სახალხო კრება; **ჩ*. ვაზის აჭრილი ტოტი მტევნებიანად; **ე*. გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **ვ*. რა ხელობის კაცი გახლდათ „ქეთო და კოტეს“ პერსონაჟი, ქეთოს მამა, მაკარი; **ა*. პომიდვრის სამშობლო; **ნ*. ბუდისტების სამოთხე; **ი*. დოდო აბაშიძის პერსონაჟის სახელი ფილმში „პირველი მერცხალი“; **ა*. რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**ჩ*. ჩამიჩი; **ვ*. ვიცინი; **ე*. ეროსი; **ნ*. ნენსი; **ს*. სვანეთი; **ჟ*. ჟირაფი; **უ*. ურემი; **რ*. რეკორდი; **ნ*. ნიაგარა; **ა*. ანცი; **ლ*. ლაინერი; **თ*. თხუნელა; **ა*. არქიელი; **ნ*. ნამაზი; **ე*. ელეგია; **რ*. როდინი; **თ*. თაღლითი; **ა*. აპენინი; **დ*. დასაევი; **ა*. ანგარი; **რ*. რეალი; **ბ*. მუხუდო; **ო*. „ოლე!“; **ი*. იალაღი; **წ*. წადილი; **ყ*. ყაენი; **ე*. ელბა; **ნ*. ნეაპოლი; **თ*. თაობა.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

მცონარე კაცი უქმე დღეს გახელდებაო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

5	7	2	4	3	8	1	9	6
1	6	8	9	2	5	4	3	7
4	9	3	6	7	1	2	8	5
7	5	6	8	1	9	3	2	4
9	3	4	5	6	2	7	1	8
2	8	1	3	4	7	5	6	9
8	2	5	7	9	3	6	4	1
3	4	7	1	8	6	9	5	2
6	1	9	2	5	4	8	7	3

4	8	9	6	2	1	5	3	7
2	1	3	8	5	7	4	6	9
6	7	5	3	4	9	8	1	2
5	3	2	9	7	4	1	8	6
1	6	8	2	3	5	7	9	4
9	4	7	1	8	6	2	5	3
3	9	4	7	1	8	6	2	5
8	5	6	4	9	2	3	7	1
7	2	1	5	6	3	9	4	8

5	8	6	9	2	4	1	3	7
9	7	4	8	1	3	5	6	2
1	2	3	6	7	5	9	8	4
7	3	1	2	5	6	4	9	8
4	9	2	3	8	7	6	1	5
6	5	8	4	9	1	2	7	3
2	4	9	1	3	8	7	5	6
8	6	7	5	4	9	3	2	1
3	1	5	7	6	2	8	4	9

* **მარტივი**

	5			6			1	8
		8			4		2	
		1		3			4	
7			6		1			2
	2			7			5	
5				8				4
	1			9		4		
	6		5			2		
8	4			2			9	

** **საშუალო**

1	4		9				7	
		8	7				5	
		6		4				1
		9				3		
8		5		7		6		4
		2		3		8		
2				1		5		
	6				8	1		
	8				6		4	2

*** **რთული**

	3			2				8
				5				4
		4	3			6		
	6			7			2	
		8	9			3		
	5		6	3			4	
		5			1	7		
4				8				
2				6			9	

რადიოჟურნალი

იპოვე შენი ჟურნალი „პალიტრის" ეთერში!

ყოველ ოთხშაბათს, 15:30 საათზე
სალომე ლილუაშვილთან
ერთად

ეს საერთაშორისო პროექტი, რომელიც არაერთხელ განხორციელდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, საქართველოშიც დაიწყო. გამოკითხვა გაგრძელდება ივლისის ბოლომდე, ხოლო გამომცემლობა "პალიტრა L" წიგნების გამოცემას შემოდგომაზე დაიწყებს. ეს თქვენი არჩეული წიგნები იქნება!

50?

წიგნი

რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალი ხარ

რა წავიკითხოთ?

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

სახელი, გვარი.....

მისამართი.....

ელ-ფოსტა.....

დაასახელეთ ნაწარმოებები, რომლებიც თქვენი აზრით უნდა შევიდეს ამ სერიაში. ამოჭერით კითხვარი და გამოგზავნეთ "კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების მეშვეობით.

თქვენი აზრი შეგიძლიათ დააფიქსიროთ ინტერნეტშიც მისამართზე: www.50.kvirispalitra.ge

„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

წიგნი VIII

მიქელანჯელო

14 -დან – 21 ივნისამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!

ყურადღება: II, IV, V, VI და VII ტომი, წიგნის მაღაზიებში გაყიდვაშია! I და III ტომი იქნება თვის ბოლოს!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

ფოტოკოლაჟები



ბ 113/22

„მსოფლიო დეტექტივების სეიფი“

ყოველ ორშაბათს! ჟურნალ **„რეიტინგთან“** ერთად
თითო კრიმინალური საქმე!



ცნობილი ავტორები,
კლასიკა და ბესტსელერები

14-დან 21 ივნისამდე

საქმე №1 ჯეიმს ჰედლი ჩეიზი დათარსული კაცი

წიგნის ფასი 2 ლარი!
(ჟურნალთან ერთად 3 ლარი)